სექტორში გაერთიანებული სტუდენტები ენთუზიაზმით ჰკიდებენ ხელს ეკოლოგიური პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო თემებისა და მოხსენებების დამუშავებას. აღსანიშნავია, რომ ჩემი ერთ-ერთი მოხსენება – „ეკოლოგიის ეკონომიკური პრობლემები", ორჯერ იქნა წარმატებით წაკითხული ტარტუსა და ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტებში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე. მანვე გაიმარჯვა სტუდენტთა ნაშრომების რესპუბლიკურ კონკურსში და წარდგენილია საკავშირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ჩვენი სექტორის ძალებით შარშან დეკემბერში მოეწყო ეკოლოგიური პრობლემისადმი მიძღვნილი სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტისა და თსუ ეკონომიკისა და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები.

ცნობილია, რომ ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის დარგში განათლების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, ეკოლოგი სპეციალისტების მომზადების ორგანიზაციას. ამ მხრივ უკვე გარკვეული წარმატებებიც არის მოპოვებული. მაგრამ, ამასთანავე, დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ სპეციალისტების მომზადების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს. **იმის გამო, რომ შესაბამისი ორგანოები არ ითვალისწინებენ ეკოლოგიური პრობლემების სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს და არ გეგმავენ სათანადო სპეციალისტების გამოშვებას, უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე ამ მიმართულებით თითქმის არაფერი კეთდება.**

სრულიად ნათელია, რომ ერთ ეკოლოგიურად მოუფიქრებელ ეკონომიკურ ღონისძიებას შეუძლია წყალში ჩაყაროს ბუნების ქომაგთა ნაჯაფ-ნაღვაწი და ბუნებას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს. ამ წინააღმდეგობის დაძლევა კი მხოლოდ ეკონომიკისა და ეკოლოგიის, ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედების კანონზომიერებათა შესწავლითა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში მათი გონივრული გამოყენებით არის შესაძლებელი.

დიდი ილია აღნიშნავდა: „ტყის მოვლა, გაშენება და დაცვა – ეს არ არის რომელიმე კერძო პიროვნების საქმე. ეს მთელი ერის საქმეა. ვისაც ერის მომავლისათვის გული არ შესტკივა, ის, რასაკვირველია, ხეებს უღვთოდ გააჩანაგებს, გაკაფავს და ცეცხლსაც კი წაუკიდებს". ეს საკითხი ჯერ კიდევ მაშინ აწუხებდა დიდ მამულიშვილს.

შეშფოთებისა და წუხილის მიზეზი ახლა უფრო მეტი გვაქვს და უფრო მწვავედ დგება ერის წინაშე ბუნების დაცვისა და გამრავლების საკითხი. ამიტომაც განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ჩვენი თანამედროვე საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწენი. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დაუღალავად იღვწიან ამ საერთო-სახალხო საქმისათვის. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ზრუნვა ჩვენი დედაქალაქისა და მისი მიდამოების გამწვანებისათვის.

ჩვენს დევიზად იქცა სიტყვები: – „გადავაქციოთ თბილისი ბაღნარად". ამ მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში უნდა ჩაებას ყველა – დიდი თუ პატარა. დიდი მოვალეობა აკისრია ამ მხრივ სტუდენტ ახალგაზრდობასაც. კარგი იქნება შევქმნათ სტუდენტური რაზმები, რომლებიც მესამე შრომითი სემესტრის განმავლობაში თბილისისა და მისი მიდამოების გამწვანებაზე იმუშავებენ. ეს კი დიდად შეუწყობს ხელს მშობლიური ბუნების დაცვას, მის გაკეთილშობილებასა და შემდგომ აყვავებას.

გ. შიხაშვილი, თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსების
სპეციალობის IV კურსის სტუდენტი, ფაკულტეტის სტუდენტთა
ეკონომიკური ეკოლოგიის პრობლემური სექტორის გამგე.
გაზეთი „თბილისი", 23.07.1980

1981 წელი

(მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტობის პერიოდი)

ბუნება და ახალგაზრდობა

საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთზემოქმედების პროცესში გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საკითხებს, უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს მთელი პლანეტის მომავლისათვის.

ჩვენს ქვეყანაში გარემოს დაცვამ და ბუნებრივი რესურსების რაციონალურმა გამოყენებამ დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა; ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი – ბიოსფეროს დაცვისა და საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელი რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით.

ასეთ ღონისძიებათა მრავალფეროვან სპექტრში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბუნების დაცვის საქმეში სტუდენტი ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმას, განათლების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, გარემოს დაცვის დარგში სპეციალისტ-ეკოლოგთა მომზადებასა და სხვა ანალოგიურ საკითხებს.

ქვეყნის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია და ფუნქციონირებენ ბუნების დაცვის ახალგაზრდული საზოგადოებები, საბჭოები, წრეები, სექტორები; სპეციალიზებული კათედრები ზრდიან სპეციალისტ-ეკოლოგებს. ამ მხრივ მოწინავეთა რიგებში დგანან მოსკოვის, თბილისის, ტარტუს, ყაზანის, ტომსკისა და სხვა ქალაქების უნივერსიტეტები. **ტარტუს უნივერსიტეტში 1958 წლიდან მოქმედებს საბჭოთა კავშირში უძველესი „ბუნების დაცვის სტუდენტური წრე“, რომელშიც გაერთიანებულია ტარტუს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტებიც.** წრის წევრები სისტემატურად სწავლობენ ბუნების დაცვის საფუძვლებს. ეწევიან სამეცნიერო-კვლევით მუშაობასა და პროპაგანდას, ყოველწლიურად აწყობენ ექსპედიციებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მუშაობის შედეგები ჯამდება წრის ყოველწლიურ კონფერენციებზე. აქ წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებები იბეჭდება სპეციალურ კრებულებში.

ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ძალზე საინტერესოდ იკვლევს ეკოლოგიურ საკითხებს ბუნების დაცვის ახალგაზრდული საბჭო, რომელიც სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტებსა და ახალგაზრდა მეცნიერებს აერთიანებს. ასეთივე საბჭოებია შექმნილი ცალკეულ ფაკულტეტებზეც. **მაგალითად, ეკონომიკის ფაკულტეტის ბუნების დაცვის ახალგაზრდულ საბჭოს მეურვეობს ახლად შექმნილი ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის კათედრა, ამავე კათედრის გამგის, აკადემიკოს ტ. ხაჩატუროვის ხელმძღვანელობით. ფაკულტეტის სტუდენტთა საგრძნობი ნაწილი სიამოვნებით ირჩევს საკურსო და სადიპლომო ნამუშევრებს ეკოლოგიის საკითხებზე; სტუდენტებს უტარდებათ ლექციების კურსი ბუნებათსარგებლობის ეკონომიკაში, აგრეთვე, რამდენიმე სპეცკურსი.**

მესამე წელია, რაც ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის კათედრაზე ასპირანტთა კონტინგენტის მიღება ხდება და სტუდენტებიც წარმატებით ეწევიან ბუნების დაცვის პრობლემების ფართო პროპაგანდას – ატარებენ გასვლით ლექციებს წარმოება – დაწესებულებებში, აწყობენ ექსკურსიებსა და სპეციალურ ექსპედიციებს ბუნების წიაღში. აქაურ სტუდენტებს საქმიანი კონტაქტები აქვთ სხვა ქალაქების სტუდენტ-ეკოლოგებთან, ბუნების დაცვის ორგანიზაციებთან.

სასიამოვნოა ის გარემოება, რომ უკანასკნელ წლებში, ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებშიც მომრავლდნენ ახალგაზრდები, რომლებიც ცდილობენ ღრმად გაიაზრონ ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთმოქმედების რთული კანონზომიერებანი და პროპაგანდა გაუწიონ ბუნების დაცვის საშვილიშვილო საქმეს. **ამ მხრივ სამაგალითოა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. აქ, საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის გარემოს დაცვის განყოფილებაზე, მთელი მონდომებით ეუფლებიან ეკოლოგიურ ცოდნას.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე 1978 წლიდან მოქმედებს ეკონომიკური ეკოლოგიის სტუდენტური სექტორი, რომელიც, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ერთ-ერთი პირველია საბჭოთა კავშირში ამ პროფილის ფაკულტეტებზე. სექტორის ინიციატივით 1979 წლის დეკემბერში მოეწყო თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუ-

დენტთა პირველი თეორიული კონფერენცია, რომელიც ეკოლოგიის კომპლექსურ პრობლემებს მიეძღვნა; სექტორის წევრები მივლინებულ იქნენ ტარტუსა და ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე; მათივე წერილები პერიოდულად ქვეყნდებოდა რესპუბლიკურ პრესაში. ჩვენი ფაკულტეტის ხელმძღვანელობა იმთავითვე მთელი მზრუნველობით მოეკიდა სექტორის საქმიანობას და ასე განაგრძობს დღესაც.

უაღრესად სასარგებლო იქნებოდა საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნას სტუდენტ-ახალგაზრდობასთან მომუშავე სპეციალური ჯგუფი.

დღევანდელ ეტაპზე, მიზანშეწონილი და შესაძლებელიცაა – შეიქმნას სტუდენტური ბუნებისდაცვითი რაზმები, რომლებიც მთელ მესამე შრომით სემესტერს მშობლიური ბუნების დაცვასა და გაჯანსაღებას მოახმარდნენ. ასეთ სტუდენტურ რაზმებს ძალუძთ საგრძნობი დახმარება გაუწიონ იგივე თბილისისა და მისი შემოგარენის გამწვანების მესვეურთ, რათა ჩვენი დედაქალაქის მწვანე ზოლი, მისი პარკები და ბაღები მალე ჩადგეს არა მარტო რესპუბლიკური, არამედ საკავშირო მნიშვნელობის რეკრეაციული ზონების რიგშიც.

გ. შიხაშვილი, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის
კათედრის ასპირანტი.
გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 17.12.81

1984 წელი

(მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტობის პერიოდი)

ეკონომიკური მეცნიერება და ბუნების დაცვა

დავსახოთ წყლის რესურსების სახალხო მეურნეობაში გამოყენების ეკონომიკურად რაციონალური გზები

ეკოლოგიური პრობლემის პრაქტიკული გადაჭრისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედების ფუნდამენტური საკითხების შესწავლას, გარემოს დაცვის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავებას.

უკანასკნელი გამოკვლევები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ბიოსფეროში არსებული ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა ძირითადად ადამიანის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის, ანუ ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში ხდება. ამიტომაც ყველა პრობლემის გადაჭრა უმთავრესად ღრმად გააზრებული და ეკოლოგიურად დასაბუთებული ეკონომიკური განვითარების შედეგად არის შესაძლებელი.

საზოგადოებრივი წარმოების ეკოლოგიურად დასაბუთებული განვითარების კანონზომიერებებს იკვლევს ახალი ეკონომიკური დისციპლინა – ბუნების გამოყენების ეკონომიკა.

ცნობილი საბჭოთა ეკონომისტის აკადემიკოს ტ. ხაჩატუროვის განმარტებით, ბუნების გამოყენების ეკონომიკა არის მეცნიერული მიმართულება, რომელიც განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიკურად რაციონალურ გზებს, ითვალისწინებს რა ამ რესურსების ექსპლოატაციის ეკოლოგიურ შეზღუდულობას და სიცოცხლის უზრუნველმყოფი გარემოს შენარჩუნების აუცილებლობას. ამ განმარტებიდან გამომდინარე, აკადემიკოსი ტ. ხაჩატუროვი თავის შრომებში გვაძლევს ამ ახალი მეცნიერული მიმართულების უმთავრესი ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრასაც.

ბუნების გამოყენების ეკონომიკა მოწოდებულია, გააშუქოს და გადაწყვიტოს ორი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა: პირველი – როგორ გამოიძებნოს და ეფექტურად იქნეს გამოყენებული წარმოების პროცესისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსები და მეორე –

როგორ მოხერხდეს ინტენსიურად მიმდინარე გარემოს გაჭუჭყიანების პროცესის შეჩერება და საბოლოო ლიკვიდაცია.

სხვა რესურსებთან ერთად, დედამიწაზე გარკვეული რაოდენობითაა წყალი, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანეს, უძვირფასეს და, უმეტეს შემთხვევაში, შეუცვლელ რესურსს. მისი გამოყენების მეთოდი ხშირად ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. არარაციონალური გამოყენების გამო წყალი მზარდ რაოდენობრივ და ხარისხობრივ დეგრადაციას განიცდის.

ჩვენი აზრით, ასეთი გარემოება ძირითადად იმის შედეგია, რომ არ არსებობს მეცნიერული დისციპლინა, რომელიც თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით მოაგვარებდა საზოგადოებრივი წარმოების პროცესში წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას. **ამიტომ მიგვაჩნია, რომ საჭიროა ბუნების გამოყენების ეკონომიკის სტრუქტურაში გამოიყოს და ჩამოყალიბდესა ახალი დისციპლინა – წყლის რესურსების ეკონომიკა; იგი მოწოდებული იქნება გამოავლინოს და პრაქტიკაში დანერგოს წყლის – ამ უძვირფასესი საუნჯის – სახალხო მეურნეობაში გამოყენების ოპტიმალური გზები და მეთოდები.**

დროთა განმავლობაში, სათანადო მეცნიერული კვლევის მეშვეობით, უთუოდ შეიქმნება შესაძლებლობა, პრაქტიკულად გადაიჭრას შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანები:

- სახალხო მეურნეობაში წყლის რესურსების როლისა და პრიორიტეტის სრული და საბოლოო დადგენა;
- წყლის რესურსების ეკონომიკური შეფასება;
- წყლის გამოლევის საშიშროებისა და მისი გაჭუჭყიანებისაგან მიყენებული ზარალის განსაზღვრა;
- წყალდაცვითი ღონისძიებების მართვის, დაგეგმვისა და დაფინანსების ოპტიმალური ორგანიზაცია და მათი ეფექტიანობის გაანგარიშება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, აგრეთვე, წყლის რესურსების დაცვის დარგში სპეციალისტების მომზადების, წყლის გამოყენების რეგიონალური პრობლემების და სხვა აქტუალური საკითხების წარმატებით გადაჭრა.

ჩვენი აზრით, ფრიად მიზანშეწონილი, შედეგობრივად გამართლებული და პრაქტიკულად არცთუ ძნელად განსახორციელებელი იქნებოდა, უფრო ფართო მასშტაბით აგვესახა პრესის ფურცლებზე ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედების მეთოდოლოგიური საკითხები. ამ მიზნით, შეიძლება შეირჩეს საინტერესო და აქტუალური თემატიკა, სათანამშრომლოდ კი მოვიწვიოთ მეცნიერები და სპეციალისტები.

მხოლოდ სწორი თეორია იძლევა ოტიმალური პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძველს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში; ამიტომ სიტყვა მეცნიერებს ეკუთვნით. ეს მათი ვალია – იზრუნონ დედამიწის მომავალზე...

გ. შიხაშვილი, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის
კათედრის ასპირანტი.
ჟურნალი „საქართველოს ბუნება“, № 2, 1984, გვ.10

1985 წელი

გ. შიხაშვილი. დისერტაციის ავტორეფერატი. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1985 წლის 22 ნოემბერი

ЭФФЕКТИВНОСТЬ ВОДООХРАННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ В РЕГИОНЕ
(на примере Грузинской ССР)

Общая характеристика работы

Актуальность темы.

В силу объективных закономерностей в последнее время возникло и постепенно

формируется новое научное направление _ экономика природопользования, которое изучает и определяет пути экологически обоснованного экономического развития.

Некоторые вопросы экономического механизма рационального природопользования разработаны еще недостаточно. Отсутствие прочной теоретической основы мешает определению правильной стратегии и тактики охраны окружающей среды, что, в конечном счете, отрицательно сказывается на результатах практической природоохранной деятельности.

Поэтому важное значение приобретает дальнейшее исследование и развитие теоретических основ экономики природопользования.

Одним из конкретных направлений экономики природопользования является экономическое обоснование рационального использования водных ресурсов в народном хозяйстве.

Практикуемые сегодня отраслевые методы регулирования водоохраной деятельности (планирование, управление, финансирование) приносят недостаточно ощутимые результаты. На повестке дня стоит вопрос перехода на региональный принцип осуществления водоохранных мероприятий путем создания территориальных фондов водоохранного назначения.

Научно обоснованный, региональный метод финансирования может обеспечить высокую эффективность затрат, направляемых на охрану водных ресурсов от загрязнения.

Цель исследования заключается в анализе результатов водоохранных мероприятий в Грузинской ССР в выработке рекомендаций по совершенствованию экономических методов регулирования водоохраной деятельности в республике.

В соответствии с поставленной целью в диссертации решались следующие задачи:

- показать объективность возникновения финансов природопользования и финансов водопользования, раскрыть их сущность, определить их цели и задачи;
- проанализировать результаты водоохраной деятельности в Грузинской ССР;
- подсчитать народнохозяйственный ущерб, вызванный загрязнением водных ресурсов республики, дать оценку экономической эффективности проводимых водоохранных мероприятий;
- выявить основные недостатки экономических методов регулирования водоохраной деятельности в регионе, раскрыть их причины и разработать рекомендации по их устранению;
- обосновать необходимость перехода на региональный принцип финансирования водоохранных мероприятий путем создания в Грузии территориального фонда водоохранного назначения.

Научная новизна работы заключается в следующем:

- на основе исследования некоторых методологических вопросов финансирования природоохранной деятельности обоснована закономерность возникновения финансов природопользования и финансов водопользования как составных частей экономического механизма рационального природопользования; определены их сущность, цель и задачи;
- подсчитан ущерб, причиняемый народному хозяйству Грузии загрязнением водных ресурсов;
- проведен комплексный анализ результатов и эффективности водоохранных мероприятий в республике;
- на основе выявления основных недостатков экономических методов регулирования водоохранной деятельности сформулированы предложения и рекомендации по их устранению;
- обоснована необходимость перехода на региональный принцип финансирования мероприятий по охране водных ресурсов. Разработаны рекомендации по созданию в Грузинской ССР регионального фонда водоохранного назначения.

Практическая значимость. Результаты исследования могут быть использованы для развертывания эколого-экономической работы в системе Госкомприроды ГССР.

Рекомендация по совершенствованию организационно-экономических форм

регулирования водоохраной деятельности имеют практическую ценность также для природоохранных служб некоторых других организаций республики (Госплан, ЦСУ, Минфин ГССР).

Создание и функционирование предлагаемого в диссертации специального денежного фонда водоохранного назначения может значительно повысить эффективность водоохраной деятельности в Грузии.

Некоторые общие положения диссертации могут быть применены в других регионах и республиках страны.

Реализация результатов исследования. Результаты диссертационного исследования используются в работе Госкомитета Грузинской ССР по охране природы. Предложения и рекомендации автора включены в Координационный план работы Госкомприроды ГССР на 1986 год.

Методологические и теоретические положения диссертации использованы в учебном курсе «Экономика и организация управления воспроизводством водных ресурсов».

Структура работы.

Введение.

Глава 1. Теоретические и методологические вопросы охраны водных ресурсов.

1.1. Экономика природопользования как теоретическая основа рационального использования природных ресурсов в народном хозяйстве

1.2. Методологические вопросы эффективности водоохраной деятельности.

Глава 2. Анализ состояния водных ресурсов и эффективность водоохраной деятельности в Грузинской ССР.

2.1. Основные направления и проблемы водопользования в республике. Ущерб от загрязнения водоемов.

2.2. Эффективность водоохраной деятельности в Грузии.

Глава 3. Пути повышения эффективности водоохранных мероприятий в Грузии.

3.1. Расширение функций Госкомприроды Грузинской ССР. Совершенствование экономических методов регулирования водоохраной деятельности.

3.2. Перспективные пути решения проблемы рационализации водопользования.

Заключение.

Список использованной литературы.

Приложение.

1988 წელი

გარდაქმნა და ახალი ეკოლოგიური აზროვნება

უკანასკნელ პერიოდში გატარებული ბუნებისდაცვითი ღონისძიებების რეალური შედეგების ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ეკოლოგიური დაძაბულობა არათუ სუსტდება, არამედ საგრძნობლად მწვავდება კიდეც.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: დღევანდელი ბუნებისდამცავი საქმიანობა ნაკლებეფექტიანია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არცთუ მცირე მოცულობის ეკოლოგიურ ასიგნებებს პრაქტიკაში არ მოაქვს საგრძნობი შედეგები, რის გამოც ასეთი დანახარჯები ხშირად „ქარს გატანებული ფულის“ კატეგორიაში ხვდება.

ეკოლოგიური პრობლემის გადაუჭრელობა, კონკრეტულად კი, გარემოს მზარდი გაჭუჭყიანება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და, საბოლოო ანგარიშით, სიცოცხლესაც კი.

რა ხდება, სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი?

საქმე ის არის, რომ ბუნების დაცვა, ისევე, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროები, უკანასკნელ პერიოდში ვითარდებოდა დოგმატურად, კონსერვატული აზროვნებისა და სტერეოტიპების საფუძველზე. მეტიც, ბუნების დაცვას სახალხო მეურნეობის სხვა „პრივილეგირებულ დარგებთან" შედარებით მეორეხარისხოვანი, „გერის როლი" ენიჭებოდა.

ასეთი მდგომარეობის გამო ეკონომიკაში ფართოდ მოიკიდა ფეხი „ტექნოკრატულმა" აზროვნებამ და პრაქტიკამ. სადღეისო, წუთიერი, ხშირად მოჩვენებითი ეკონომიკური და ტექნიკური მიზნების მისაღწევად დაუზოგავად ინთქმებოდა ბუნებრივი რესურსები, დეგრადირდებოდა სასიცოცხლო გარემო.

ამ არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ვეძებოთ ეკოლოგიური პრობლემისადმი ახლებურ, ღრმად გააზრებულ მეცნიერულ მიდგომაში. საჭიროება მოითხოვს ყოველმხრივ გააზრებული, მეცნიერულად დასაბუთებული ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავებასა და მის პრაქტიკულ განხორციელებას.

პრაქტიკული ბუნებისდაცვითი საქმიანობის მაღალეფექტიანობა დამოკიდებულია მწყობრი ეკოლოგიურ-ეკონომიკური თეორიის არსებობაზე. ასეთი თეორია კი, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არ გაგვაჩნია, თუმცა პირველი ნაბიჯები ამ სფეროშიც უკვე გადაიდგა (იგულისხმება ახალი მეცნიერების – ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის ფორმირება, რაც დღეს თავისი განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება).

ჩვენ დღეს შეცბუნებული ვართ ჩვენი რესპუბლიკის არასახარბიელო ეკოლოგიური მდგომარეობის გამო; გვაშფოთებს წყლის, ჰაერის, მიწისა და საკვები პროდუქტების მოწამვლა-გაჭუჭყიანება, დაუნდობლად ვაკრიტიკებთ სპეციალიზებულ ბუნებისდაცვით ორგანოებს და სხვა. მაგრამ გვავიწყდება უბრალო ხალხური სიბრძნე: ხანძრის თავიდან აცილება გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი ჩაქრობა. არასწორი ეკოლოგიურ-ეკონომიკური აზროვნების შედეგად საქართველოში ეკოლოგიურად საშიში რამდენიმე კოცონი აგიზგიზდა. საზოგადოებამ ახლაღა იგრძნო, რომ ეს კოცონები დიდ ეკოლოგიურ ხანძრად შეიძლება გადაიქცნენ. ჰოდა, ჩვენც ტრადიციულად ვეძებთ დამნაშავეებს, ძველებურად ვუყიჟინებთ მხოლოდ „მეხანძრეებს" ანუ იმ ორგანიზაციებსა და ადამიანებს, რომლებსაც უშუალოდ აკისრიათ ეკოლოგიური გართულებების აღკვეთა.

სწორედ აქ არის საჭირო ახალი ეკოლოგიური აზროვნება: „ეკოლოგიური გართულებების გათვალისწინება-პროფილაქტიკა უფრო ადვილია, ვიდრე მათი აღკვეთა".

საქართველოში ეკოლოგიური პრობლემის გამწვავების თავიდათავი მიზეზი ეკონომიკური განვითარების პროცესის ეკოლოგიური დასაბუთებულობის უქონლობაა.

ჩვენს რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების სწრაფი ზრდა ემყარება იმ მოსაზრებას, რომ აუცილებელია მივაღწიოთ საერთო-საკავშირო დონეს ერთ სულ მოსახლეზე უმთავრესი სახალხო-სამეურნეო მაჩვენებლების მხრივ. რესპუბლიკის განვითარებისადმი ასეთი მიდგომა ტრადიციული, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, სავსებით მართებულია, მაგრამ იგი მცდარობად იქცევა, როცა არ გაითვალისწინება გარემოზე დასაშვები დატვირთვის რეალურად არსებული ზღვრების ფაქტორი.

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის თეორია საშუალებას იძლევა შევიმუშაოთ თვისობრივად ახალი, ეკოლოგიურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა პრაქტიკული გამოყენება უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიურ დასაბუთებულობას.

განვიხილოთ დამახასიათებელი მაგალითი:

დღეისათვის ჩვენ თითქმის მივაღწიეთ საშუალო-საკავშირო დონეს (ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით) ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა: ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი, კაპიტალური დაბანდებები, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, მოგება. ეს – წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით. ხოლო თუ გავითვალისწინებთ ეკოლოგიურ ფაქტორებს, განვიხილავთ ეკოლოგიური ხასიათის მაჩვენებლებს, მაშინ სურათს სხვა ელფერი მიეცემა: **ასეთ მაჩვენებელთა არსი გარემოზე ეკოლოგიურ-ეკონომიკური დატვირთვის ზღვრების არსებობაა. ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების ტერიტორიის ერთეულზე გადაანგარიშებით მივიღებთ, რომ:** საქართველოს ტერიტორიის ერთ კვადრატულ კილომეტრზე, იწარმოება 5-ჯერ მეტი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, 6 ჯერ მეტი ეროვნული შემოსავალი, 4-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, გამოიყენება

– 5 ჯერ მეტი კაპიტალური დაბანდებები, მიიღება 4-ჯერ მეტი მოგება, ვიდრე საშუალოდ კავშირში ტერიტორიის იგივე ერთეულზე.

სწორედ ეს არის დატვირთვა ბუნებრივ გარემოზე. ციფრები გვიჩვენებს, რომ ეს დატვირთვა შემაშფოთებლად დიდია; ჩვენ კი რატომღაც არ გვინდა უფრო ღმად ჩავწვდეთ ამ დამაფიქრებელი მდგომარეობის არსს. არ გვინდა განვსაზღვროთ ეკოლოგიურ-ეკონომიკური დატვირთვის პარამეტრები და დასაშვები საზღვრები, მაგრამ ბუნება თვითონ საზღვრავს ყველაფერს, მასში ყოველი მოვლენა ურთიერთგანპირობებულია. ჩვენ მიზეზი შევქმენით და შედეგმაც არ დააყოვნა.

მაგალითად, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 20 პროცენტით მეტი გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლები ხვდება წყალსატევებში, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. ერთ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე გადაანგარიშებით ეს განსხვავება თითქმის 7 ჯერ მეტია! ამ მაჩვენებლებით ჩვენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის „მოწინავე პოზიციები“ გვიკავია.

ძალზე ცუდ მდგომარეობაშია ჩვენი წყალსატევები. ზარალი, რომელსაც განიცდის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა წყლის რესურსების გაჭუჭყიანების გამო, ჩვენი გაანგარიშებით, ყოველწლიურად 40 მილიონ მანეთს აჭარბებს და ეს ავარიული დაბინძურების გარეშე! ძალზე უჭირს მტკვარს, ზარალი მისი აუზის გაჭუჭყიანების გამო ყოველწლიურად დაახლოებით 27 მილიონი მანეთია.

არანაკლებ არის გამწვავებული ჩვენი საჰაერო აუზისა და ნიადაგების მდგომარეობა.

ეკოლოგიური პრობლემა დიდად აწუხებს ჩვენს დედაქალაქსაც. მიზეზი აქაც უმთავრესად ის არის, რომ ქალაქის ზრდისა და განვითარების პროცესში ფაქტიურად უგულებელყოფილია ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობა. შედეგები აქაც ფრიად შემაშფოთებელია: თბილისის საწარმო-დანესებულებებიდან ჩამდინარე გაჭუჭყიანებული წყლები სახალხო მეურნეობას ყოველწლიურად დაახლოებით 8 მილიონ მანეთ ზარალს აყენებს. განსაკუთრებით საგანგაშოა თბილისის საჰაერო სივრცის დაბინძურება. მთელი რიგი მეტად საშიში ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ჰაერში, არც ისე იშვიათად ათეულჯერაც კი აჭარბებს დაგენილ ნორმებს.

დღეს მეცნიერთა და სპეციალისტთა ფართო წრისათვის, სამწუხაროდ, ხელმისაწვდომი არ არის ის მასალა, რომელშიც ასახულია ასეთი გაჭუჭყიანების ზეგავლენა თბილისის მცხოვრებთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, თუმცა, დიდი ლოგიკა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ადამიანის ორგანიზმი დიდხანს ველარ აიტანს მავნე ნივთიერებათა მთელი „თაიგულის სურნელებას“. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება – საქმე ხომ ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ეხება.

დღევანდელ პირობებში დიდად სასარგებლო იქნებოდა თბილისის ეკოლოგიური პრობლემატიკის რეგულარული საჯარო განხილვა.

საჭიროა ხშირად მოეწყოს ეკოლოგიური ხასიათის შეხვედრები, „მრგვალი მაგიდები“, კონფერენციები მეცნიერების, სპეციალისტების, წარმოების ხელმძღვანელთა მონაწილეობით. ამ მოძრაობაში აუცილებლად უნდა ჩავაბათ ახალგაზრდობა, ჩვენი მომავალი. ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, ყველა უმაღლეს სასწავლებელში შევქმნათ მძლავრი სტუდენტური ბუნებისდაცვითი ორგანიზაციები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელებს ჩაფიქრებული აქვთ ასეთი ერთიანი საუნივერსიტეტო ორგანიზაციის შექმნა. ეს სწორიცაა, რადგან, ალბათ, უნივერსიტეტმა უნდა იკისროს ეკოლოგიური მოძრაობის ფლაგმანის როლი, მითუმეტეს, რომ მას საამისო პოტენციალი აქვს.

აუცილებლობა მოითხოვს, დედაქალაქის ხელმძღვანელმა ორგანოებმა სპეციალისტთა და ფართო საზოგადოებრიობის აზრის გათვალისწინებით, შეიმუშაონ თბილისის ეკოლოგიური მიზნობრივი პროგრამა. ასეთი პროგრამის მიღება და განხორციელება უთუოდ გააუმჯობესებდა ქალაქის ეკოლოგიურ სიტუაციას.

გიორგი შიხაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის
კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის
საქართველოს ფილიალის უფროსი მასწავლებელი.

გაზეთი „თბილისი“, 20 იანვარი, 1988.

.....

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა: თეორიისა და პრაქტიკის საკითხები

საზოგადოებრივი წარმოების ეკოლოგიურად დასაბუთებული განვითარების კანონზომიერებებს ახალი ეკონომიკური დისციპლინა-ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა იკვლევს. ცნობილი საბჭოთა ეკონომისტის აკადემიკოს ტ. ს. ხაჩატუროვის განმარტებით ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა არის მეცნიერული მიმართულება, რომელიც განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიკურად რაციონალურ გზებს, ითვალისწინებს რა ამ რესურსების ექსპლუატაციის ეკოლოგიურ შეზღუდულობას და სიცოცხლის უზრუნველმყოფი გარემოს შენარჩუნების აუცილებლობას.[1]

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, ასევე ყოველი თანამედროვე კონკრეტული სამეურნეო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოების პროცესში ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედების ჰარმონიზაცია წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ეკოლოგიურ-ეკონომიკური კანონზომიერებების თეორიული შესწავლა და მათი პრაქტიკული გამოყენება. დღევანდელ პირობებში ეკოლოგიურ ფაქტორებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანის ეკოლოგიური მოთხოვნილებები იმსახურებს. ასეთად ითვლება ყველა ის მოთხოვნილება, რომელიც ადამიანის, როგორც ცოცხალი არსების ბუნებასთან ურთიერთმოქმედების პროცესში წარმოიშობა. **ზოგადად ეკოლოგიური მოთხოვნილება გამოვლინდება როგორც ინდივიდის ინტერესი – ჰქონდეს ნორმალური სიცოცხლის უზრუნველმყოფი ბუნებრივი პირობები.**

საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბების გიგანტური ზრდის შედეგად ბუნებრივ გარემოში არსებულმა ეკოლოგიურმა წონასწორობამ რღვევა დაიწყო, დეგრადაციას განიცდის პრაქტიკულად ყველა სიცოცხლის უზრუნველმყოფი ბუნებრივი კომპონენტი. ამის გამო, ადამიანი ღრმად განიცდის საკუთარ ეკოლოგიურ მოთხოვნილებებს და სულ მეტად რწმუნდება, რომ მათი დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია სპეციალურ სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

ადამიანის სხვა მოთხოვნილებებს შორის ეკოლოგიურ მოთხოვნილებებს პრიორიტეტული ადგილი უკავია. პ. ოლდაკი წერს, რომ ბიოსფეროს მოწამვლის შედეგად წარმოიშობა ახალი დაავადებები – გენეტიკური, ტოქსიკოლოგიური, ალერგიული და ენდოკრინული. დღევანდელ პირობებში პათოლოგიათა 95 პროცენტი პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება ბუნებრივ გარემოს, რომელიც დაავადების უშუალო მიზეზად ან მისი წარმოშობის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება.[2] საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკოლოგიური მოთხოვნილებები ინარჩუნებენ თავის ბიოლოგიურ საფუძველს, მაგრამ, ამასთან ობიექტურად იძენენ სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის შინაარსს.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა საკმაო აღიარება ეკოლოგიური მოთხოვნილებების როლმა. **ჩვენი აზრით, ეკოლოგიური მოთხოვნილება – ეს არის ადამიანის სასიცოცხლოდ, აუცილებელი, მუდმივი მოთხოვნილება, რომელიც მწვავდება და ღრმად შეიცნობა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების გარკვეულ ეტაპზე და რომლის სრული დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია წარმოების პროცესში – და მისივე მეშვეობით შენარჩუნებულ და მუდმივად კვლავწარმოებულ იქნეს ნორმალური სიცოცხლისუზრუნველმყოფი ბუნებრივი პირობები.**

ეკოლოგიურ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების უზრუნველყოფა ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის უმთავრესი მიზანი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. იგი უნდა იქცეს როგორც ზოგად-ეკონომიკურ, ასევე კონკრეტული ბუნების დაცვითი საქმიანობის ეფექტიანობის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად.

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის სტრუქტურაში, თეორიულ-პრაქტიკული თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, შეიძლება ოთხი ძირითადი ბლოკის გამოყოფა.

---

1 Экономическая энциклопедя. Политическая экономия, т. 4, М., 1980, стр. 659

2 П. Олдак. Равновесное природопользование. Взгляд экономиста. Новосибирск, 1983, стр.16

- პირველი – „თეორიული გამოკვლევები და ფუნდამენტური მეცნიერული მიმართულების შემუშავება“ ამ ბლოკის მიხედვით გამოკვლეული და ჩამოყალიბებული უნდა იქნეს რაციონალური ბუნებათსარგებლობის და ბუნებისდაცვითი საქმიანობის მეთოდოლოგიური საფუძვლები.
- მეორე – „რაციონალური ბუნებათსარგებლობის რეგულირება“, რომელიც მოიცავს პრაქტიკული ბუნებისდაცვითი საქმიანობის რეგულირების შემდეგ ძირითად მიმართულებებს: მართვის ორგანიზაცია; დაგეგმვა; დაფინანსება; ბუნებისდაცვითი ღონისძიებების აღრიცხვა, ანალიზი და კონტროლი, განათლება და კადრების მომზადება ბუნებათსარგებლობის ეკონომიკაში; ბუნებისდაცვითი საქმიანობის რეგულირების ეფექტიანობის განზოგადოებული შეფასება.
- მესამე – „ცალკეული ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა“ მასში შედის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა ბუნებრივი რესურსის (მიწა, წყალი, ტყე, წიაღისეული და სხვ.) გონივრული გამოყენებისა და დაცვისკენ.
- მეოთხე – „ბუნებრივი რესურსების შეფასება და არარაციონალური ბუნებათსარგებლობის შედეგად მიღებული ზარალის გამოთვლა“ აქ შედის შემდეგი მიმართულებები: ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება; გარემოს დეგრადაციის შედეგად მიღებული სოციალურ-ეკონომიკური ზარალის გამოთვლა; ბუნებისდაცვითი ღონისძიებებით თავიდან აცილებული ზარალის დადგენა.

ყველა აღნიშნულ ბლოკებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. მაგალითად, მესამე ბლოკში გაერთიანებული ყოველი ღონისძიება უშუალოდ უკავშირდება დანარჩენ ბლოკებს, ვინაიდან ნებისმიერი ბუნებრივი რესურსის ექსპლუატაციისას აუცილებელია მისი რაციონალური გამოყენება და დაცვის კომპლექსური რეგულირება, რაც, თავის მხრივ, უნდა ემყარებოდეს ბუნებათსარგებლობის თეორიულ საფუძვლებს და დასაცავი რესურსის ეკონომიკურ შეფასებას.

საბჭოთა კავშირში პრაქტიკული ბუნებისდაცვითი საქმიანობის განვითარებაში, ჩვენი აზრით, სამი ძირითადი ეტაპის გამოყოფა შეიძლება. პირველი მოიცავს პერიოდს ოქტომბრის რევოლუციიდან 50-იანი წლების შუა ხანებამდე. ამ პერიოდში ეკოლოგიური პრობლემები, ჩვენი ეკონომიკის სწრაფი ზრდის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ იყო წინა პლანზე წამოწეული. აქედან გამომდინარე, ბუნებისდაცვითი საქმიანობაც ნაკლებ აქტიური იყო.

მეორე ეტაპი იწყება 50-იანი წლების შუა პერიოდიდან და გრძელდება 1987 წლამდე. ამ პერიოდში საზოგადოებრივი წარმოება აღწევს უდიდეს მასშტაბებს, რის გამოც თანდათან იჩენს თავს და მწვავდება როგორც ლოკალური, ასევე საერთო-საქვეყნო ეკოლოგიური პრობლემები. ამის შესაბამისად ბუნებისდაცვითი საქმიანობა საგრძნობლად ძლიერდება.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1971-1987 წლებში საბჭოთა კავშირში ბუნებისდაცვით ღონისძიებებზე 34,3 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები დაიხარჯა[1]. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთმა დიდმა ასიგნებებმა საგრძნობი პრაქტიკული შედეგი ვერ გამოიღო. გარემოს დეგრადაციის შედეგად ჩვენი სახალხო მეურნეობა ყოველწლიურად ათობით მილიარდ მანეთ ზარალს განიცდის.[2]

საქართველოში 1976-1987 წლებში ბუნებისდაცვით ღონისძიებებზე დახარჯული იქნა 625,4 მლნ მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები.[3] ამავე დროს, ჩვენი გაანგარიშების მიხედვით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა მარტო წყალსატევების ეგრეთწოდებული „ჩამოყალიბებული გაბინძურების“ შედეგად ყოველწლიურად 40 მილიონ მანეთზე მეტ ზარალს განიცდის. ეს ციფრი რამდენჯერმე გაიზრდება, თუ მხედველობაში მივიღებთ ატმოსფეროს, მიწების, საკვები პროდუქტების გაჭუჭყიანების და საერთოდ გარემოს დეგრადაციის გამო მიღებულ მთელ ზარალს.

რესპუბლიკის ეკოლოგიური სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, დღევანდელ ბუნებისდაცვით საქმიანობას სასურველი უკუგება არ მოაქვს. ღონისძიებები ტარდება, თანხები იხარჯება, გარემოს დეგრადაცია კი გრძელდება, მწვავდება ეკოლოგიური დაძაბულობა.

---

1 Народное хозяйство СССР за 70 лет. М., 1987, стр. 61; СССР в цифрах в 1987 году, М., 1968, стр. 275.

2 გაზ. „კომუნისტი“, 1988 წლის 9 იანვარი.

3 Грузия в цифрах в 1987 году, Тб., 1988 г., стр. 174.

რატომ ხდება ასე, რატომ ვერ ვჭრით პრობლემას? ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი დიალექტიკური ლოგიკიდან გამომდინარეობს. **ბუნების დაცვის სფეროში რეალური წარმატებები იმიტომ არ გვაქვს, რომ ჩვენ უფრო მეტად ვებრძვით შედეგს, გავურბივართ (შეგნებულად თუ შეუგნებლად) მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას.** პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება არასწორი, მეცნიერულად დაუსაბუთებელი ბუნებათსარგებლობის ობიექტური შედეგია. რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების პროცესი ჯერ კიდევ არ არის ეკოლოგიურად სათანადოდ გააზრებული. ჩვენ ვისწრაფით მაღალი – საკავშირო დონის ინდუსტრიულ-ეკონომიკური მაჩვენებლებისაკენ, რაც წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია. ამასთან, არ ვითვალისწინებთ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიული, დემოგრაფიული და მრავალი სხვა თავისებურებანი. ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ განვიხილავთ ტერიტორიულ და ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საგულისხმო მაჩვენებელს.

ჩვენ მიერ ჩატარებული გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ 1987 წელს სსრ კავშირის და საქართველოს ერთ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე შესაბამისად იწარმოებოდა ეროვნული შემოსავალი – 26,8 და 148,6 ათასი მანეთი (საქართველოში – 5,6-ჯერ მეტი, ვიდრე საშუალოდ კავშირში), სამრეწველო პროდუქცია – 38,8 და 157,1 ათასი მანეთი (საქართველოში – 4,1-ჯერ მეტი), ელექტროენერგია – 74,3 და 207,1 ათასი კოლოვატსაათი (საქართველოში – 2,8-ჯერ მეტი), ქიმიური პროდუქცია (საქართველოში წარმოებული სახეობის მიხედვით) – 2,2 და 4,3 ტონა (საქართველოში თითქმის 2-ჯერ მეტი), გამოიყენებოდა კაპიტალური დაბანდებები – 9,1 და 40 ათასი მანეთი (საქართველოში – 4,4-ჯერ მეტი), მიიღებოდა მოგება 8,5 და 30 ათასი მანეთი (საქართველოში – 3,5-ჯერ მეტი).[1] ეს მაჩვენებლები ნათლად მიანიშნებენ ტერიტორიის ერთეულზე მოსულ საწარმოო-სამეურნეო დატვირთვას, რაც შესაბამის ნეგატიურ პროცესებს იწვევს შედარებით დატვირთულ ტერიტორიაზე მაგალითად, ჩვენი გაანგარიშებით, 1986 წელს საქართველოს მდინარეთა საშუალო წლიური ჩამონადენის ყოველ ერთეულზე 1,7-ჯერ მეტი გაჭუჭყიანებული წყლების მოცულობა ვიდრე საშუალოდ კავშირში. საქართველოს ფარგლებში მდ. მტკვრის აუზის ჩამონადენის ერთეულზე კი გაჭუჭყიანებული წყლების ოდენობა 4,2-ჯერ აღემატებოდა იგივე მაჩვენებელს, გაანგარიშებულს მდ. ვოლგისათვის.

ჩვენი წყალსატევები დიდი რაოდენობის ისეთი საშიში ნივთიერებებით ბინძურდება, როგორიცაა სულფატები, ქლორიდები, ფოსფორი, აზოტი, დიქლორეთანი, მანგანუმი, დარიშხანი, პესტიციდები, ფენოლები, ციანიდები, ფტორი და სხვა.

მეტად შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ ჯანმრთელობისათვის მეტად საშიში ინგრედიენტები სასმელ წყალშიც კი იყრიან თავს. ცხინვალის მაგალითი ამისი ნათელი დადასტურებაა. არანაკლებ საშიში ნივთიერებები ხვდება ჰაერში, ნიადაგში, საკვებ პროდუქტებში. არ შეიძლება თავი მოვიტყუოთ ილუზორული იმედით, რომ ბუნებრივი გარემოს ასეთი მდგომარეობა სავალალო გავლენას არ ახდენს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

აუცილებელია მეცნიერებს, სპეციალისტებს, ფართო საზოგადოებას მივაწოდოთ ობიექტური და სრული ინფორმაცია ჩვენი რესპუბლიკის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, რათა საშუალება მოგვეცეს მთელი ძალებით შევეჭიდოთ თანამედროვეობის ამ ურთულეს პრობლემას.

საბოლოოდ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ეკოლოგიური სიტუაცია მეტად შემაშფოთებელია, და ეს უმთავრესად გარემოს გადაჭარბებული ეკონომიკური დატვირთვითაა გამოწვეული. უნდა არსებობდეს ეკონომიკური დატვირთვის ბუნებრივი ზღვარი, რომლის დარღვევაც -ეკოლოგიური „ინფარქტის“ გარდუვალ საშიშროებას შეგვიქმნის.

აუცილებლობა მოითხოვს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით სერიოზულად მოკიდონ ხელი რესპუბლიკის ეკოლოგიური პროგრამის

---

1 გაანგარიშებულია: „სსრკ სტატსახკომის ცნობა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ“, „კომუნისტი“ 1987 წლის 26 იანვარი/ „საქართველოს სსრ სტატსახკომის ცნობა საქ. სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წ. სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ“. „კომუნისტი“ 1988 წ. 2 თებერვალი, მასალების მიხედვით.

დროულად შემუშავებას. პროგრამაში აუცილებელია როგორც მთელი საქართველოს, ასევე მისი ყოველი რეგიონის თავისებურებათა მთელი კომპლექსის გათვალისწინება. **თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე გამოდის ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის დღევანდელი სპეციალიზაცია-ორიენტაციის გარდაქმნა -განახლების ამოცანა.** ეს, საკითხი, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ მის გადაწყვეტას ვერსად გავექცევით. შექმნილი რეალური მდგომარეობა ეკოლოგიური პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს. ჩვენი აზრით, ახლო მომავალში აღნიშნული საკითხი სერიოზული მეცნიერული ანალიზისა და გულახდილი საზოგადოებრივი განხილვის საგნად უნდა ვაქციოთ.

დღევანდელ პირობებში ეკოლოგიური პრობლემატიკის კვლევა სცილდება ტრადიციულად ვიწრო, სპეციალიზებულ ჩარჩოებს. პრობლემის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კომპლექსურობა. მისი პრაქტიკული გადაჭრის განსაკუთრებული სირთულე მოითხოვს მთელი საზოგადოების გააზრებულ და მიზანსწრაფულ მოქმედებას.

ბუნებისდაცვითი საქმიანობა ჭეშმარიტად საერთო-სახალხო მოძრაობად უნდა იქცეს. ამისათვის კი აუცილებელია ვიზრუნოთ გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების მომზადების, მთელი საზოგადოების ეკოლოგიური კულტურის ამაღლებისათვის ისევე, როგორც ყველგან. ეკოლოგიის სფეროშიც წარმატების მიღწევა შეიძლება მხოლოდ სწორი თეორიული აზროვნებისა და მიზანმიმართული, ინტენსიური პრაქტიკული საქმიანობის ჰარმონიული შერწყმის საფუძველზე.

გიორგი შიხაშვილი, გივი გურეშიძე
ჟურნალი „ეკონომისტი“, №11, 1988 წელი, გვ. 71-79.

1989 წელი

საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია. თბ., რუსთაველის საზოგადოება, 1989, 48 გვ. თანაავტორები: რ. გოცირიძე, გ. ბაბუნაშვილი, ნ. ბაგრატიონი, კ. გიგაშვილი და სხვ.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური კონცეფცია. თბ., საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება, 1989, 182 გვ. თანაავტორები: ე.კობახიძე, ზ.ბარბაქაძე და სხვ.

1994 წელი

ეკონომიკური თეორიის და პრაქტიკის მართმადიდებლური საფუძვლების გააზრებისათვის

ქრისტიანული სარწმუნოების ტოტალური დევნა-დამცირების ეპოქამ ადამიანებს საღვთო ჭეშმარიტების გააზრების სურვილი, უნარი და საშუალება დააკარგვინა, საბჭოთა საქართველოს ეკონომისტები უღვთო კატეგორიებით აზროვნებას და მხოლოდ ამქვეყნიურზე ფიქრს მიაჩვიეს. შესაბამისად ფუნქციონირებდა ეკონომიკაც.

დღეისათვის უკვე შესაძლებელი და აუცილებელია ტრადიციული სარწმუნოების და მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება, ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნების და შესაბამისი სამეურნეო საქმიანობის აღდგენა-განვითარება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება სტატიათა ციკლი. წინამდებარე (პირველ) სტატიაში განხილულია მართმადიდებლური სარწმუნოებისა და ეკონომიკის ღვთივდადგენილი კავშირურთიერთობის საკითხები; გადმოცემულია ადამიანის დანიშნულებისა და მისი ამქვეყნიური ცხოვრების მიზნის სარწმუნოებრივი განმარტება, რის საფუძველზეც გამოთქმულია ავტორისეული მოსაზრება ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზნის შესახებ.

ცნობილია, რომ თანამედროვე ეკონომიკური თეორიები და პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობა უგულვებელყოფს ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლებს და მოთხოვნებს. ამის გამო დღევანდელი წარმოების საბოლოო მიზანი ხშირად ნებისმიერი საშუალებებით მაქსიმალური მოგების მიღებაა. ასეთი ეკონომიკის ფუნქციონირება კი, საბოლოო ჯამში, სიმდიდრის გაღმერთებას და საზოგადოების სულიერ დაცემას იწვევს.

საზოგადოების ნაწილის, მათ შორის, ეკონომისტების მორწმუნეობა განაპირობებს ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ქრისტიანული გააზრების მოთხოვნილებას და სათანადო თეორიულ-პრაქტიკული საკითხების დამუშავება-განხორციელების შესაძლებლობას. **დღის წესრიგში დგება მართმადიდებლური სარწმუნოების და ეკონომიკის ღვთივდადგენილი კავშირურთიერთობის შესწავლა-გამოყენების აქტუალური საკითხი. ამ საქმეში თავისი წვლილის შეტანა მართლმადიდებელ ეკონომისტებთან ერთად ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია.**

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით ყოველი ადამიანისათვის ღმერთმა დაადგინა ამქვეყნიური ცხოვრების ეტაპები. ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის, აქედან გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულება და მისი მიწიერი ცხოვრების მიზანი. მართლმადიდებლური კატეხიზმო გვასწავლის: „კაცის დანიშნულება ის არის, რომ განავითაროს ღვთისაგან მონიჭებული ძალი და ნიჭი და, რაოდენადაც შესაძლებელია შეზღუდულის არსებისათვის, მიაღწიოს სისრულეს და ღვთის მსგავსებას, მიიღოს რამდენადაც შეიძლება, მეტი მონაწილეობა საუკუნო საღმრთო ნეტარებაში. სულ უკანასკნელი მისწრაფება კაცისა არის ღმერთი, ერთობა ანუ ცხოველი კავშირი ღმერთთან. ... მაგრამ კაცი შესდგება არა მარტო სულისაგან, არამედ ხორცისაგანაც. აქედან ცხადია, რომ თავის დანიშნულებას კაცმა უნდა მიაღწიოს მიწის და ქვეყნის დახმარებით. ... ხილული ქვეყანა ასწავლის კაცს სულის ამაღლებას ღვთისადმი“.[1] მიწიერი ცხოვრების განმავლობაში ადამიანი მუდმივად უნდა ადიდებდეს ღმერთს და ზრუნავდეს სულიერი სრულყოფისათვის; „... იყავით სრულყოფილნი, ისევე როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“ (მათე 5,48) – გვმოძღვრავს მაცხოვარი. პავლე მოციქული ამბობს: „ვილტვი მიზნისაკენ, ღვთის უზენაესი მოწოდების პატივისაკენ ქრისტე იესოში“ (ფილ. 3:14).

ყოველი ქრისტიანის ცხოვრების უმაღლესი მიზანია საკუთარი ცხოველქმედების პროცესში ზნეობრივი კანონის განხორციელება, რაც მისი სულის ნეტარებას უზრუნველყოფს.[2]

ადამიანის დანიშნულების და ცხოვრების მიზნის ამგვარი განმარტება განაპირობებს მისივე ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზნის შესაბამისი განსაზღვრის აუცილებლობას. ადამიანის სამეურნეო საქმიანობის უშუალო შედეგი ნივთიერი დოვლათისა და ფულის შექმნა-დაგროვებაში გამოიხატება. ქრისტიანული სარწმუნოება არ განიკითხავს არც სიმდიდრეს და არც მდიდარ ადამიანს. **დიდი სჯულის კანონში ნათქვამია: „სიმართლით შეძენილი და სიკეთისათვის დახარჯული სიმდიდრე არ უნდა დავამციროთ“.[3] ამავე დროს, ადამიანმა ფული და სიმდიდრე კერპად არ უნდა გაიხადოს, არ უნდა დაემონოს მათ.** უფალი გვეუბნება: „არავის არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს; ან და იმ ერთს შეეთვისოს და მეორე დაამციროს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც“[4] (მათე 6:24). **მაცხოვარი ამ გამონათქვამით გვასწავლის, რომ სიმდიდრისადმი მონური მორჩილება შეუთავსებელია ადამიანის ღვთივმონიჭებულ დანიშნულებასა და ცხოვრების მიზანთან, რადგანაც ეს გამოიწვევს ღმერთის გმობას და სულიერი სრულყოფის უარყოფას.** ამიტომაც უფალი გვასწავლის: „ნუ დაიუნჯებთ დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ. დაიუნჯეთ ცაში, სადაც არც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ. ვინაიდან სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქვე იქნება“ (მათე 6:19-21).

ქრისტიანული განმარტებით, სიმდიდრე ეს არის როგორც გარეშე, დროებითი და მიწიერი, ასევე უმაღლესი, ზეციური და სულიერი დოვლათის სიუხვე,[5] რომლის შექმნა-დაგ-

---

1 საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989 წ. გვ. 123.

2 სრული მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ენციკლოპედიური ლექსიკონი, მ., 1992 წ. ტ. 1, გვ. 346. (რუს.).

3 საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 536.

4 „მამონა“ სირიული სიტყვა, რომელიც სიმდიდრეს ან მიწიერ დოვლათს ნიშნავს.

5 ბიბლიის ენციკლოპედია, მ. 1991, გვ. 95 (რუს.)

როვების შესაძლებლობა ადამიანს ამქვეყნიური ცხოვრების დროს ეძლევა. ადამიანმა, მისთვის ღვთითბოძებული თავისუფალი ნებისა და გონიერების მეშვეობით უნდა ამოირჩიოთ ეკონომიკური საქმიანობის ისეთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მისი ხორციელი და სულიერი მოთხოვნილებების ღმერთისთვის მოსაწონ ურთიერთშეხამებას.

ცათა სასუფეველში ეკონომიკა, ფული და მიწიერი სიმდიდრე არ იარსებებს. ყოველივე ამქვეყნიური გარდახდება, ხოლო ღირსეულებს უფალი ნეტარ საუკუნო ცხოვრების განუმზადებს, „რადგან ვიცით, რომ, როცა დაინგრევა ეს ჩვენი მიწიერი სახლი-კარავი, ღვთისაგან გვაქვს შენობა ცაში, ხელთუქმნელი სახლი, საუკუნო“ (2 კორ. 5:1) – წერს პავლე მოციქული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლებას ვთქვათ, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზანს ადამიანის ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნა უნდა წარმოადგენდეს, იმ ღვთივდადგენილ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც სულის გამუდმებული სრულყოფის მეშვეობით ცათა სასუფეველში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს.

ეკონომიკურ საქმიანობაში სარწმუნეობრივი საფუძვლების გაუთვალისწინებლობა იწვევს სულისმმაკვდინებელი ანგარების და მისგან გამომდინარე ვერცხლისმოყვარეობის აღზევებას, რომელიც პავლე მოციქულის თქმით, ყოველგვარი ბოროტების ფესვს წარმოადგენს (I ტიმ, 6:10). ამის გამო გამრავლდება და გაბატონდება სხვა ისეთი მომაკვდინებელი ცოდვები, როგორიცაა: ამპარტავნება, არაწმინდობა, ნაყროვანება, მცონარება, მრისხანება, შური.[1] ასეთი გარემოება ადამიანებს ცოდვის მონებად გადააქცევს, რაც საზოგადოების უდიდესი ნაწილის საბოლოო წარწყმედას გამოიწვევს.

იციან რა ვერცხლისმოყვარეობისათვის დამახასიათებელი ყოვლისწამბილწველობის უნარი, ხილული თუ არახილული ანტიქრისტიანული ძალები თავის ბნელ საქმეებში უმთავრეს იარაღად სწორედ ეკონომიკურ მეთოდებს იყენებენ. შედეგიც სახეზეა – Dდღევანდელ ცივილიზებულ თუ არაცივილიზებულ მსოფლიოში თითქმის სრულიად გამეფდა მამონის კერპი, რომლის თაყვანისცემის გამოც ადამიანები ცოდვის მონებად და ბოროტ არსებებად გადაიქცნენ. ცოდვილთა გონს მოყვანის მიზნით პავლე მოციქული ადამიანებს აფრთხილებს: „ ... ჩვენ ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა – კეთილს თუ ბოროტს“ (2, კორ. 5:10). შემდეგ კი წავლენ ცოდვილნი „საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი – საუკუნო სიცოცხლეში“ – ამბობს უფალი (მათ. 25:46).

ყოველივე ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ აუცილებელია ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისაკენ შემობრუნება. საჭიროა ეკონომიკის ფუნქციონირების ამქვეყნიურად აუცილებელი და მართლმადიდებლურად დასაშვები ფორმების, მიმართულებების და მასშტაბების განსაზღვრა, ამ სფეროში ცოდვილობათა და დარღვევათა აღკვეთის გზების დადგენა და ამით ადამიანთა სულის გადარჩენის პერსპექტივების გააზრება. დღის წესრიგში დგება სხვადასხვა უღვთო ეკონომიკური თეორიების ღვთივსულიერი ქრისტიანული ეკონომიით კანონზომიერი შეცვლის აქტუალური საკითხი.[2]

ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლები ღვთივდადგენილად არის გადმოცემული ბიბლიაში.

ადამისა და ევას კურთხევისას ღმერთმა უთხრა მათ: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს“ (დაბ. 1:8). ჯერ კიდევ ევას შექმნამდე აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2:15). ღმერთის მცნების დარღვევისთვის ადამი და ევა დაისაჯა; უფალი ეუბნება ადამს: „ ... მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე... პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე ...“ (დაბ. 3:17, 19). ადამისა და ევას პირველი შვილი კაენი მიწის მუშაკი იყო, ხოლო მეორე შვილი აბელი – მეცხვარე (დაბ. 4:2).

აქედან ჩანს, რომ უკვე პირველ ადამიანებს ამქვეყნიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ღმერთმა შრომა დაუწესა. შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ისე სხვა

---

1 მომაკვდინებელი ცოდვების შესახებ იხ. ცოდო-მადლის წიგნი. თბილისი, 1993, გვ. 5.

2 ქრისტიანული ეკონომიის შესახებ მასალები იხ. „ვოპროსი ეკონომიკი“, № 8, 1993.

ადამიანების საჭიროებათა დაკმაყოფილებისთვის. პავლე მოციქულის თქმით „ვისაც შრომა არ სურს, ის ნულარც ჭამს“ (2 თეს. 3:10).

გარდა მიწიერი სიცოცხლის შენარჩუნების საშუალებისა, მართლმადიდებელი სარწმუნოების მიხედვით, შრომა იმქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი უზრუნველმყოფი პირობაცაა, ვინაიდან ცნობილია, რომ მცონარები ვერ მოიპოვებენ ცათა სასუფეველს. მიტროპოლიტი ინოკენტი გვასწავლის: „ზეციურ სასუფეველში არის ყველაზე დიდი ნეტარება, უმაღლესი დიდება და ღირსება, ულევი სიმდიდრე და ამიტომ „თუ მცირე და მწირი წარმავალი მიწიერი სიმდიდრისათვის დიდი შრომა და გარჯაა საჭირო, მაშ როგორ შეიძლება მიიღო შრომის გარეშე ულევი სიმდიდრე? ზეციური სასუფეველი არის უმაღლესი ჯილდო და სად იძლევიან ჯილდოს უბრალოდ და არაფრისათვის? ამიტომ თუ მიწიერი და დროებითი ჯილდოსათვის საჭიროა შრომა და მოღვაწეობა, მითუმეტეს საჭიროა გარჯა ზეციური და საუკუნო წყალობის მისაღებად“[1]

ბიბლიაში ფართოდ და სიღრმისეულად არის გადმოცემული მრავალფეროვანი ეკონომიკური საკითხები, სახელდობრ: ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილება, წარმოების და მართვის აუცილებლობა, საკუთრება, შრომა, ეკონომიკის ცალკეული დარგები (მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, განათლება დას ხვ.), მოგება, გადასახადები, ფული და სარგებელი, სიმდიდრე, მართვა, დაგეგმვა, აღრიცხვა, ეფექტიანობა, ეკონომიკურ-მმართველობითი ურთიერთობები ოჯახში, ეკონომიკა და ეკლესია, წარმოება და ბუნებრივი გარემო, ეკონომიკა და ომები, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები დას ხვ.

ბიბლია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის თეორიული საფუძველია, რომლის მიხედვითაც თანდათან განვითარდა ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნება და პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობა.

ამ მხრივ აღსანიშნავია დიდი სჯულის კანონში ასახული ეკონომიკურ-მმართველობითი საკითხები, რომლებიც ქრისტიანული მეურნეობრიობის ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს. ეკონომიკურ საკითხებზე ბევრს წერდნენ ეკლესიის მამები, ღვთისმეტყველები, წმინდანები. მათგან აღსანიშნავია იოანე ოქროპირის, კლიმენტი ალექსანდრიელის, თეოდორე სტუდიელის და სხვათა ნაშრომები.

აი რას ამბობს წმ. იოანე ოქროპირი: „იგი (ვერცხლის-მოყვარეობა) თიხასა შინა და მწვირესა დაგვფლავს, რამეთუ ოქრო და ვერცხლი თიხა არს და მწვირე, – ხოლო ქრისტე აღგვამაღლებს ნივთთაგან ქვეყანისათა და გვიბრძანებს ზრუნვად საუნჯისა მისთვის ზეცათასა. იგი აქაცა შრომით და ურვით წარაგებს ცხოვრებასა ჩვენსა და მუნ თანამდებ გვყოფს ცეცხლის მის უშრეტისა, ხოლო ქრისტე სასმელისათვისაც ერთისა გრილისა მოგვცემს სასყიდელსა მოუკლებლად და უფროსად მრავლად წილად“.[2] წმ. იოანე ოქროპირი იქვე აღნიშნავს, რომ უკეთური მძლავრის, ანუ მამონის მონებას ადამიანისთვის ტანჯვა და ჭირი მოაქვს, „რამეთუ უმეტესნი ჯოჯოხეთს მიმავალნი ამის მიერ მივლენ, რამეთუ ოქრო შეიყვარეს და გლახაკნი არა შეიწყნარეს“.[3]

ეკონომიკურ საკითხებს სათანადო ყურადღებას უთმობდნენ თავის შემოქმედებაში ქართველი ღვთისმეტყველები, წმინდა მამები, კეთილმსახურნი.

მამონას მორჩილებაში მოქცეულა წმ. დავით აღმაშენებელიც, რისთვისაც იგი შეწყალებას სთხოვდა უფალს: „ვერცხლი, ვითარცა მიწა და ოქრო, ვითარ თიხა უბნისა ვიუნჯენ, თაყვანის ვეც ანგაჰრებისა მამონის, ვითარ – იგი ძველთა მათ – ბაალს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა. ... და აწ, მომდრეკელი მუხლთა გულისათა, ვხმობ ვითარცა სხვა მანასე: მილხინე, ჰოი მეუფეო, მილხინე და ნუ წარმწყმედ ციდვათა შინა, და ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა, და ნუ დამსჯი მე ქვესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთა, ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან“[4]

ეკონომიკური საკითხების ქრისტიანული გააზრების შესახებ ქადაგებდა და წერდა ჩგა-

---

1 ქრისტიანული ეკონომიის შესახებ მასალები. იხ. „ვოპროსი ეკონომიკი“, № 8, 1993.

2 ღვთივ-შვენიერი სწავლანი, რომელსა ეწოდება ოქროს წყარო, თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირის მიერ, თბილისი, 1905, გვ. 173-174.

3 იქვე, გვ. 174

4 დავით აღმაშენებელი. გალობანი სინანულისანი. წიგნში: ქართული მწერლობა, ტ.2, თბილისი, 1987, გვ. 202, 203-204.

ბრიელ ეპისკოპოსი. ბედნიერების საფუძვლად მას ადამიანის დაუცხრომელი ძალისხმევა მიაჩნდა: „...ხორციელთაცა და სულიერსაცა წარმატებასა და ბედნიერებასა აქვთ ერთი და იგივე საფუძველი – შეურყეველი მხნეობა და დაუძინებელი შრომა სულიერი და ხორციელი, შეიძინე ესენი თუ გსურს ბედნიერება“.[1]

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, სარწმუნოების უმკაცრესი დევნის პირობებში ფიქრიც კი შეუძლებელი იყო ღვთისმეტყველებისა და ქრისტიანული ეკონომიის განვითარების შესახებ.

უღვთო სოციალისტურ თეორიაზე აგებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სისტემამ კანონზომიერი დაცემა განიცადა. კრიზისულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით დღესაც, სიმდიდრის თაყვანისმცემელ კაპიტალისტურ ეკონომიკაზე ორიენტაციის პირობებში.

სოციალისტური სისტემა გამორჩეულ პიროვნებებს აღმერთებს, კაპიტალისტური – მამონას. ორივე სისტემა უგულვებელყოფს ჭეშმარიტ ღმერთს. ღვთივდადგენილ ზნეობას, ცათა სასუფევლის პერსპექტივას და წარმოების მიზნად მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის ზრუნვას აღიარებს, ეკონომიკის ასეთი ორიენტაცია კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბოროტების საყოველთაო აღზევებას და ადამიანთა საბოლოო წარწყმედას გამოიწვევს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს გადარჩენა-გაბრწყინებისათვის აუცილებელია ქრისტიანული აზროვნებისაკენ დაბრუნება და მართლმადიდებლური ეკონომიკური თეორიის შექმნა, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მეურნეობრიობის ტრადიციული და თანამედროვე მაღალეფექტიანი მიმართულების განვითარება.

ქრისტიანული ეკონომია ჩვენ გვესახება როგორც ღვთისულიერ თეორიაზე დამყარებული სამეცნიერო დისციპლინა, ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ღმერთისთვის მოსაწონ ეკონომიკურ განვითარებას, ამავე დროს, ქრისტიანული ეკონომიკა უნდა ჩამოყალიბდეს როგორც სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სასწავლო დისციპლინა.

დღის წესრიგში დგას წართმეულ-მივიწყებული ქრისტიანული აზროვნების აღდგენა-განვითარების, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ჭეშმარიტ, ღვთიურ გზაზე დაყენების უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც სხვებთან ერთად ეკონომისტებმაც უნდა გადაწყვიტონ. უფალი შეეწეოდეს ღვთისათვის ესოდენ სათნო საქმის ყველა მტვირთველს.

გიორგი შიხაშვილი
ჟურნალი „ეკონომიკა“, 9-12. 1994, გვ. 18-23.

1996 წელი

გ. შიხაშვილი. ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი. გამომცემლობა „ზედაშე“, 1996, 32 გვ.

ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი

(მოკლე შინაარსი)

თანამედროვე მსოფლიოში, ოფიციალურად მიღებულ ეკონომკურ თეორიებსა და პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობაში თითქმის სრულიად არის უგულებელყოფილი უფალი ღმერთი, ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები. ამის გამო დღევანდელი საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანს უმეტესად ამქვეყნიური სიამოვნებისა და მაქსიმალური ფულადი მოგების ნებისმიერი საშუალებით მიღება წარმოადგენს. ასეთ საფუძველს დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირება კი სიმდიდრის გაღმერთებას, ცოდვების საყოველთაო გაბატონებას, საზოგადოების სულიერ დაცემას და ადამიანთა საბოლოო წარწყმედას იწვევს.

საზოგადოების ნაწილს, მათ შორის, ეკონომისტების მორწმუნეობა განაპირობებს ადა-

1 ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I, ქუთაისი, 1913, გვ. 454.

მიანის სამეურნეო საქმიანობის ქრისტიანული გააზრების მოთხოვნილებას და სათანადო თეორიულ-პრაქტიკული საკითხების დამუშავება-განხორციელების შესაძლებლობას. **დღის წესრიგში დგება ქრისტიანული სარწმუნოების და ეკონომიკის ღვთივდადგენილი კავშირურთიერთობების შესწავლა-გამოყენების აქტუალური საკითხი. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში თავისი წვლილის შეტანა ქრისტიან ეკონომისტებთან ერთად ყველა დანტერესებულ ადამიანს შეუძლია.**

საზოგადოებრივი წარმოების უღმერთობა დღეისათვის პრაქტიკულად მთელი კაცობრიობისათვის არის დამახასიათებელი. ამიტომ აუცილებელია ასეთი სიტუაციის ღვთივსულიერი მეცნიერული ანალიზი და ეკონომიკური განვითარების ქრისტიანული გზების ძიება როგორც მთელი მსოფლიოს, ასევე ცალკეული ქვეყნების მასშტაბით.

სოციალიზმის პერიოდში ქრისტიანული სარწმუნოების საყოველთა დევნა-დამცირების ეპოქამ ადამიანების საღვთო ჭეშმარიტების გააზრების სურვილი, უნარი და საშუალება დააკარგინა. საბჭოთა საქართველოს ეკონომისტები უღვთო კატეგორიებით აზროვნებას და მხოლოდ ამქვეყნიურზე ფიქრს მიაჩვიეს. შესაბამისად ფუნქციონირებდა ეკონომიკაც.

დღეისათვის უკვე შესაძლებელი და აუცილებელია ტრადიციული სარწმუნოებისა და მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება, ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო საქმიანობის აღდგენა-განვითარება.

წინამდებარე ბროშურა დაწერილია ჟურნალ „ეკონომიკაში“ 1994-1995 წლების სამ ნომერში დაბეჭდილი სტატიების საფუძველზე. იგი წარმოადგენს შესავალი ნაწილის ერთ მონაკვეთს ავტორის მიერ უფლის შეწევნით დაწყებული ვრცელი ნაშრომისა სათაურით: „ეკონომიკისა და მართვის ქრისტიანული საფუძვლები“, რომელიც ეძღვნება ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ქრისტიანულ გააზრებისა და ამ საფუძველზე საქართველოს სულიერი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული გზების განსაზღვრის საკითხებს.

ეკონომიკური საქმიანობა ამქვეყნიური ცხოვრების საფუძველი და უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. ამ საქმიანობის უფლისათვის სათნოდ წარმართვა უზრუნველყოფს ჩვენთვის მიწიერ სიხარულს და ზეციურ ნეტარებას.

ეკონომიკურ საქმიანობაში უშუალოდ თუ ირიბად ჩაბმულია ცალკეული ადამიანები და ნებისმიერი ოჯახი, ეკონომიკის ავკარგიანობაზე არის დამოკიდებული საზოგადოების ყოველი ფენის და მთელი სახელმწიფოს არსებობა, სამეურნეო საკითხებით დაინტერესებულია ეკლესიაც. **ამიტომ ჩაფიქრებული ნაშრომი თანაბრად არის განკუთვნილი ყოველი ჩვენთაგანისათვის, მიუხედავად ჩვენი ასაკის, პროფესიისა და სოციალური მდგომარეობისა.** ამავე დროს, კვლევის ეკონომიკური ორიენტაცია თავისთავად გულისხმობს მისდამი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ეკონომისტების მომეტებული ყურადღების გამახვილების საჭიროებას.

წინამდებარე ბროშურაში ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველზე მიმდინარეობს მსჯელობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ადამიანის დანიშნულება, მისი მოთხოვნილებები და ცხოვრების მიზანი; საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანი; ეკონომიკური თემატიკა წმინდა წერილში და ქრისტიანულ ლიტერატურაში; ქრისტინული ეკონომია, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა (შდრ. – პილიტიკური ეკონომია); საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში და ეკონომიკურ განათლებაში ქრისტიანული პრინციპების ასახვის აუცილებლობა და სხვ.

ავტორი იმედოვნებს, ახლო მომავალში გამოსცეს ბროშურების ციკლი შემდეგი თემატიკით: ადამიანის ღვთივდადგენილი დანიშნულების განხორციელების ეკონომიკური პრინციპები; ქრისტიანული ეკონომიკურ-მმართველობითი ურთიერთობები ოჯახში; ადამიანის მოთხოვნილებების, მოხმარების, შრომის, წარმოებისა და მართვის ქრისტიანული გააზრება; ქრისტიანული სარწმუნეობა და ცხოვრების ხარისხი; ცოდვათა გამოვლენა ეკონომიკასა და მართვაში, მათი ადგილი მომაკვდინებელ ცოდვებს შორის; ქრისტიანობა და ეკონომიკური კონკურენცია; ეკონომიკური აზრის ქრისტიანული ნიმუშები; ფულის ფუნქციების თეორიულ-პრაქტიკული გააზრება ქრისტიანულ საფუძველზე; ეკლესიის და ეკონომიკის ღვთივდადგენილი ურთიერთკავშირი; ეკოლოგიური პრობლემატიკა ქრისტიანული სარწმუნოების შუქზე; ეკონომიკური თეორიის ქრისტიანული საფუძვლები; ქრისტიანული ეკონომიკა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა; ქრისტიანული ეკონომიკური განათლება; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქრისტიანული პრინციპები.

ავტორი დიდ მადლობას უძღვნის იმ ადამიანებს, რომლებიც ძალისაებრ ეხმარებიან მას ჩანაფიქრის განხორციელებაში.

თემის სიახლის და სირთულის გამო ნაშრომი დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისაგან, რომელთა გამოსწორებისათვის გამოთქმულ სურვილებს ავტორი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს მომავალ საქმიანობაში.

* * *

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით ყოველი ადამიანისათვის ღმერთმა დაადგინა ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების ეტაპები. ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის, აქედან გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულება და მისი მიწიერი ცხოვრების მიზანი. მართმადიდებლური კატეხიზმო გვასწავლის: „კაცის დანიშნულება ის არის, რომ განავითაროს ღვთისაგან მონიჭებული ძალი და ნიჭი და, რაოდენადაც შესაძლებელია შეზღუდულის არსებისათვის, მიაღწიოს სისრულეს და ღვთის მსგავსებას, მიიღოს რაოდენადაც შეიძლება, მეტი მონაწილეობა საუკუნო საღმრთო ნეტარებაში. სულ უკანასკნელი მისწრაფება კაცისა არის ღმერთი, ერთობა ანუ ცხოველი კავშირი ღმერთთან. მაგრამ კაცი შესდგება არა მარტო სულისაგან, არამედ ხორცისაგანაც. აქედან ცხადია, რომ თავის დანიშნულებას კაცმა უნდა მიაღწიოს მიწის და ქვეყნის დახმარებით. ხილული ქვეყანა ასწავლის კაცს სულის ამაღლებას ღვთისადმი“.[1] მიწიერი ცხოვრების განმავლობაში ადამიანი მუდმივად უნდა ადიდებდეს ღმერთს და ზრუნავდეს სულიერი სრულყოფისათვის: „... იყავით სრულყოფილნი, ისევე როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“ (მათ. 5:48) – გვმოძღვრავს მაცხოვარი. პავლე მოციქული ამბობს: „ვილტვი მიზნისაკენ, ღვთის უზენაესი მოწოდების პატივისაკენ ქრისტე იესოში“ (ფილ. 3:14).

ყოველი ქრისტიანის ცხოვრების უმაღლესი მიზანია საკუთარი ცხოველმოქმედების პროცესში ზნეობრივი კანონის განხორციელება, რაც მისი სულის ნეტარებას უზრუნველყოფს.[2]

ადამიანის დანიშნულების და ცხოვრების მიზნის ამგვარი განმარტება განაპირობებს მისივე ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზნის შესაბამისი განსაზღვრის აუცილებლობას, რაც პრაქტიკული ეკონომიკის კრიტერიუმად უნდა იქცეს.

ადამიანის სამეურნეო საქმიანობის უშუალო შედეგი ნივთიერი დოვლათისა და ფულის შექმნა-დაგროვებაში გამოიხატება. ქრისტიანული საწმუნოება არ განიკითხავს არც სიმდიდრეს და არც მდიდარ ადამიანს. **დიდი სჯულის კანონში ნათქვამია: „სიმართლით შეძენილი და სიკეთისათვის დახარჯული სიმდიდრე არ უნდა დავამციროთ“.[3]** ამავე დროს, ადამიანიმა ფული და სიმდიდრე კერპად არ უნდა გაიხადოს, არ უნდა დაემონოს მათ. უფალი გვეუბნება: „არავის არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს; ანდა იმ ერთს შეეთვისოს და მეორე დაამციროს. ვერ შეიძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც[4] (მათ. 6:24). მაცხოვარი ამ გამონათქვამით გვასწავლის, რომ სიმდიდრისადმი მონური მორჩილება შეუთავსებელია ადამიანის ღვთივმონიჭებულ დანიშნულებასა და ცხოვრების მიზანთან, რადგანაც ეს გამოიწვევს ღმერთის გმობასა და სულიერი სრულყოფის უარყოფას. ამიტომაც უფალი გვასწავლის: „ნუ დაიუჯებთ დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ. დაიუნჯეთ ცაში, სადაც არც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ. ვინაიდან, სადაც შენი საუინჯეა, შენი გულიც იქვე იქნება“ (მათ 6:19-21).

ქრისტიანული განმარტებით, სიმდიდრე ეს არის როგორც გარეშე, დროებითი და მიწიერი, ასევე უმაღლესი, ზეციური და სულიერი დოვლათის სიუხვე,[5] რომლის შექმნა-დაგროვების შესაძლებლობა ადამიანს ამქვეყნიური ცხოვრების დროს ეძლევა. ადამიანმა, მისთვის ღვთივბოძებული თავისუფალი ნებისა და გონიერების მეშვეობით უნდა ამოირჩიოს ეკონომიკური საქმი-

1 საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989 წ. გვ. 123.

2 მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების სრული ენციკლოპედიური ლექსიკონი. მ., 1992 წ. ტ. I, გვ. 346 (რუს.).

3 საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1987 წ. გვ. 536. 194.

4 „მამონა“ სირიული სიტყვაა, რომელიც სიმდიდრეს ან მიწიერ დოვლათს ნიშნავს.

5 ბიბლიის ენციკლოპედია, მ., 1991 წ. გვ. 95 (რუს.).

ანობის ისეთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მისი ხორციელი და სულიერი მოთხოვნილებების ღმერთისათვის მოსაწონ ურთიერთშეხამებას.

ცათა საუფეველში ეკონომიკა, ფული და მიწიერი სიმდიდრე არ იარსებებს, ყოველივე ამქვეყნიური გარდახდება, ხოლო ღირსეულებს უფალი ნეტარ საუკუნო ცხოვრებას განუმზადებს, „რადგან ვიცით, რომ, როცა დაინგრევა ეს ჩვენი მიწიერი სახლი-კარავი, ღვთისაგან გვაქვს შენობა ცაში, ხელთუქმნელი სახლი, საუკუნო“ (2 კორ. 5:1) – წერს პავლე მოციქული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზანს ადამიანის ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნა უნდა წარმოადგენდეს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც გაუდმებული სულიერი სრულყოფის მეშვეობით ცათა სასუფეველში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს.

ეკონომიკურ საქმიანობაში სარწმუნოებრივი საფუძვლების გაუთვალისწინებლობა იწვევს სულისმომაკვდინებელი ანგარებისა და მისგან გამომდინარე ვერცხლისმოყვარეობის აღზევებას, რომელიც პავლე მოციქულის თქმით, ყოველგვარი ბოროტების ფესვებს წარმოადგენს (1 ტიმ. 6:10). ამის გამო გამრავლდება და გაბატონდება სხვა ისეთი მომაკვდინებელი ცოდვები, როგორიცაა: ამპარტავნება, არაწმინდანება, ნაყროვანება, მცონარება, მრისხანება, შური ასეთი გარემოება ადამიანებს ცოდვის მონებად გადააქცევს, რაც საზოგადოების უდიდესი ნაწილის საბოლოო წარწყმედას გამოიწვევს.

იციან რა ვერცხლისმოყვარეობისათვის დამახასიათებელი ყოვლისწამბილწველობის უნარი, ხილული თუ არახილული ანტიქრისტიანული ძალები თავის ბნელ საქმეებში უმთავრეს იარაღად სწორედ ეკონომიკურ მეთოდებს იყენებენ. შედეგად თვალწინაა – დღევანდელ ცივილიზებულ თუ არაცივილიზებულ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც თითქმის სრულიად გამეფდა მამონას კერპი, რომლის თაყვანისცემის გამოც ადამიანები ცოდვის მონებად და ბოროტ არსებებად გადაიქცნენ. ცოდვილთა გონს მოყვანის მიზნით პავლე მოციქული ადამიანებს აფრთხილებს: „...ჩვენ ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეული სიცოცხლის დროს აკეთებდა – კეთილს თუ ბოროტს“ (2 კორ. 5:10). სამსჯავროს შემდეგ კი განიმწესებიან ცოდვილნი „საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი – საუკუნო სიცოცხლეში“ – ამბობს უფალი (მათ 25:46).

ყოველივე ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ აუცილებელია წართმეულ-მივიწყებული ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისაკენ შემობრუნება. საჭიროა სამეურნეო საქმიანობის ამქვეყნიურად აუცილებელი და მართმადიდებლურად დასაშვები ჩარჩოების შემოსაზღვრა, ამ სფეროში ცოდვილობათა აღკვეთის გზების დადგენა და ამით ადამიანთა სულის გადარჩენის პერსპექტივების გააზრება.

დღის წესრიგში დგება სხვადასხვა უღვთო ეკონომიკური თეორიების ღვთივსულიერი სამეცნიერო-პრაქტიკული დისციპლინით ქრისტიანული ეკონომიით კანონზომიერი შეცვლის აქტუალური საკითხი.[1]

ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლები ღვთივდადგენილად არის გადმოცემული ბიბლიაში.

ადამისა და ევას კურთხევისას ღმერთმა უთხრა მათ: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს“ (დაბ. 1:28). ჯერ კიდევ ევას შექმნამდე „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2:15). ღმერთის მცნების დარღვევისთვის ადამი და ევა დაისაჯა; უფალი ეუბნება ადამს: „... მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე... პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე“ (დაბ. 3:17,19). ადამის და ევას პირველი შვილი კაენი მიწის მუშაკი იყო, ხოლო მეორე შვილი აბელი – მეცხვარე (დაბ. 4:2).

აქედან ჩანს, რომ უკვე პირველ ადამიანებს ამქვეყნიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ღმერთმა შრომა დაუწესა. შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ისე სხვა ადამიანების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. პავლე მოციქულის თქმით „ვისაც შრომა

1 ქრისტიანული ეკონომიის შესახებ მასალები იხ. ჟურნ. „ვოპროსი ეკონომიკი“, №8, 1993 (რუს.).

არ სურს, ის ნულარც ჭამს“ (2 თეს. 3:10).

მართლმადიდებლური სარწმუნეობის მიხედვით, შრომა, გარდა მიწიერი ცხოვრების უზრუნველყოფის საშუალებისა, საუკუნო სიცოცხლის მოპოვების პირობაცაა, ვინაიდან ცნობილია რომ უქნარები ვერ მოიპოვებენ ცათა სასუფეველს. მიტროპოლიტი ინოკენტი გავსწავლის: „ზეციურ სასუფეველში არის ყველაზე დიდი ნეტარება, უმაღლესი დიდება და ღირსება, ულევი სიმდიდრე და ამიტომ თუ მცირე და მწირი წარმავალი მიწიერი სიმდიდრისათვის დიდი შრომა და გარჯაა საჭირო, მაშ როგორ შეიძლება მიიღო შრომის გარეშე ულევი სიმდიდრე? ზეციური სასუფეველი არის უმაღლესი ჯილდო და სად იძლევიან ჯილდოს უბრალოდ და არაფრისათვის? ამიტომ თუ მიწიერი და დროებითი ჯილდოსათვის საჭიროა შრომა და მოღვაწეობა, მითუმეტეს საჭიროა გარჯა ზეციური და საუკუნო წყალობის მისაღებად“.[1]

ბიბლიაში სირღმისეულად არის ასახული მრავალფეროვანი ეკონომიკური თემატიკა, სახელდობრ: ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილება, წარმოების და მართვის აუცილებლობა, საკუთრება, შრომა, ეკონომიკის ცალკეული დარგები (მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, განათლება და სხვა.), მოგება, გადასახადები, ფული და სარგებელი, სიმდიდრე, მართვა, დაგეგმვა, აღრიცხვა, ეფექტიანობა, ეკონომიკურ-მმართველობითი ურთიერთობები ოჯახში, ეკონომიკა და ეკლესია. წარმოება და ბუნებრივი გარემო, ეკონომიკა და ომები, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და სხვა.

ბიბლია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის თეორიული საფუძველია, რომლის მიხედვითაც თანდათან განვითარდა ქრისტინული ეკონომიკური აზროვნება და პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობა.

ამ მხრივ აღსანიშნავია „დიდი სჯულის კანონში“ ასახული ეკონომიკურ- მმართველობითი საკითხები, რომლებიც ქრისტიანული მეურნეობრიობის ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს.

ეკონომიკურ საკითხებზე ბევრს წერდნენ ეკლესიის მამები, ღვთისმეტყველები, წმინდანები. მათგან აღსანიშნავია იოანე ოქროპირის, კლიმენტი ალექსანდრიელის, თეოდორე სტუდიელის და სხვათა ნაშრომები.

აი რას ამბობს წმ. იოანე ოქრიპირი: „იგი (ვერცხლის-მოყვარება) თიხასა შინა და მწვირესა დაგვფლავს, რამეთუ ოქრო და ვერცხლი თიხა და მწვირეა, – ხოლო ქრისტე აღგვამაღლებს ნივთთაგან ქვეყნისათა და გვიბრძანებს ზრუნვად საუნჯისა მისთვის ზეცათასა. იგი აქაცა შრომით და ურვით წარაგებს ცხოვრებასა ჩვენსა და მუნ თანამდებ გვყოფს ცეცხლსა მის უშრეტისა, ხოლო ქრისტე სასმელისათვისცა ერთისა გრილისა წყლისა მოგვცემს სასყიდელსა მოუკლებელად და უფროსად მრავლად წილად“.[2] წმ. იოანე ოქროპირი იქვე აღნიშნავს, რომ უკეთური მძლავრის, ანუ მამონას მონობას ადამიანისათვის ტანჯვა და ჭირი მოაქვს, „რამეთუ უმეტესნი ჯოჯოხეთს მიმავალნი ამის მიერ მივლენ, რამეთუ ოქრო შეიყვარეს და გლახაკნი არა შეიწყნარეს“.[3]

ეკონომიკურ საკითხებს სათანადო ყურადღებას უთმობდნენ თავის შემოქმედებაში ქართველი ღვთისმეტყველები, წმინდა მამები, კეთილმსახურნი.

მამონას ზეგავლენას ვერ გაექცევია წმ. დავით აღმაშენებელიც, რისთვისაც იგი შეწყალებას სთხოვს უფალს: „ვერცხლი, ვითარცა მიწაი, და ოქროი, ვითარ თიხაი უბნისაი ვიუნჯენ, თაყვანის ვეც ანგაჰრებისა მამონას, ვითარ – იგი ძველთა მათ – ბაალს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა. ...და აწ, მომდრეკელი მუხლთა გულისათაი, ვხმობ, ვითარცა სხვაი მანასე: მილხინე, ჰოი მეუფეო, მილხინე და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა, და ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა, და ნუ დამსჯი მე ქვესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანურთაი, ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან“.[4]

ეკონომიკური საკითხების ქრისტიანული გააზრების შესახებ ქადაგებდა და წერდა გაბრიელ ეპისკოპოსი. ბედნიერების საფუძვლად მას ადამიანის დაუცხრომელი შრომა და ძალისხმევა

---

1 მიტროპოლიტი ინოკენტი. გზა ცათა სასუფევლისა. წილკნის ეპარქიის გამოცემა, თბილისი, 1994 წ. გვ. 17.

2 ღვთივ-შვენიერი სწავლანი, რომელსა ეწოდება ოქროს წყარო, თქმული წმინდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირის მიერ, თბილისი, 1905, გვ. 173-174.

3 ღვთივ-შვენიერი სწავლანი..... გვ. 174.

4 დავით აღმაშენებელი. გალობანი სინანულისანი. წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. 2, თბილისი, 1987, გვ. 202, 203-204.

მიაჩნდა: „...ხორციელსა და სულიერსაცა წარმატებასა და ბედნიერებასა აქვთ ერთი და იგივე საფუძველი – შეურყეველი მხნეობა და დაუძინებელი შრომა სულიერი და ხორციელი. შეიძინე ესენი თუ გსურს ბედნიერება“.[1]

მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსი ღვთისმეტყველებისა და მეცნიერების ნაშრომებით საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ ეკონომიას, როგორც ღვთივსულიერ სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმართულებას.

1917 წელის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, სარწმუნოების უმკაცრესი დევნის პირობებში ფიქრიც კი შეუძლებელი იყო ღვთის-მეტყველებისა და ქრისტიანული ეკონომიის განვითარების შესახებ.

უღვთო სოციალისტურ თეორიაზე აგებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სისტემამ კანონზომიერი დაცემა განიცადა. კრიზისულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით დღესაც, სიმდიდრის თაყვანისმცემელ საბაზრო ეკონომიკაზე ბრმა ორიენტაციის პირობებში.

სოციალისტური სისტემა გამორჩეულ პიროვნებებს აღმერთებს, კაპიტალისტური – მამონას. ორივე სისტემა უგულებელყოფს ჭეშმარიტ ღმერთს, ღვთივდადგენილ ზნეობას, ცათა საუფევლის პერსპექტივას და წარმოების მიზნად მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის ზრუნვას აღიარებს, ეკონომიკის ასეთი ორიენტაცი კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბოროტების საყოველთაო აღზევებას და ადამიანთა საბოლოო წარწყმედას გამოწვევს.

ამავე დროს, მეურნეობრიობის ორივე ფორმა ეყრდნობა ღვთივდადგენილ საფუძველს, რომელიც ადამიანთა მიერ ამ ჭეშმარიტების აღიარება-გათვალისწინების შემთხვევაში უზრუნველყოფს საზოგადოების რეალურ პროგრესს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მატერიალური და სულიერი წინსვლისათვის აუცილებელია ქრისტიანული აზროვნებისაკენ დაბრუნება და მართლმადიდებლური ეკონომუკური თეორიის შექმნა, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მეურნეობრიობის ტრადიციული და თანამედროვე მაღალეფექტიანი მიმართულებების განვითარება.

დღის წესრიგში დგას წართმეულ-მივიწყებული ქრისტიანული აზროვნების აღდგენა-განვითარების, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ჭეშმარით, ღვთიურ გზაზე დაყენების უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც სხვებთან ერთად ეკონომისტებმაც უნდა გადაწყვიტონ.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის, რომელშიც ეკონომიკა აღარ იარსებებს. ამიტომ ქრისტეს მოძღვრება სამეურნეო საქმიანობას განიხილავს როგორც დროებით პროცესს, რომლის მიზანს ადამიანის ამქვეყნიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს. **ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი უნდა შეიქმნას ღვთივდადგენილი ზნეობრივი მოთხოვნების იმ ჩარჩოებში, რომელთა დარღვევა ადამიანის სულის წარწყმედას გამოიწვევს. ასეთ საფუძველს ეყრდნობა იესო ქრისტეს სწავლება, რომლის უმთავრესი მიზანია ცათა სასუფეველის მიღწევა.**

საზოდაგოებაში გავრცელებულია დილეტანტური აზრი, თითქოს ქრისტიანული სარწმუნოება განიკითხავს ადამიანთა ამქვეყნიურ მოთხოვნილებებს, მიწიერ სიხარულს, შრომას, ეკონომიკურ საქმინობას, სიმდიდრეს. ასეთი შეხედულების უსაფუძვლობას გვიდასტურებს ახალი აღთქმა, რომლის სწავლების მიხედვით, ყოველივე ამქვეყნიური დასაშვებია, თუკი იგი სიმართლეს, სიკეთეს, სიყვარულს ეფუძნება და ემსახურება.

ყოველივე ადამიანურისადმი პატივისცემას გამოხატავს იესო ქრისტეს მიერ მოხდენილი პირველი სასწაული გალილეის ქალაქ კანაში, სადაც მაცხოვარი, მისი დედა და მოწაფეები ქორწილში იყვნენ მიწვეულნი. ხელმოკლე მასპინძლებს ღვინო შემოაკლდათ. იესომ დედამისის თხოვნით თვრამეტ საწყაულამდე წყალი გადააქცია საუკეთესო ღვინოდ, იგი მიართვეს თამადას, რითაც მას ლხინის გაგრძელების საშუალება მიეცა. „ასე დაიწყო იესომ სასწაულების მოხდენა გალილეის კანაში და გამოავლინა თავისი დიდება. ირწმუნეს მისმა მოწაფეებმა“ (იოანე. 2.1-11). **ეს მოვლენა გამოხატავს მაცხოვრის დამოკიდებულებას ადამიანთა ამქვეყნიური მოთხოვნილებებისადმი, რომელთა დაკმაყოფილების აუცილებლობა შრომის, სამეურნეო საქმიანობის და ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს.**

სამეურნეო საქმიანობის უფლისმიერი კურთხევა არის ასახული სასწაულებრივ თევზჭერ-

1 ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I, ქუთაისი, 1913. გვ. 454.

აში, რომელიც მაცხოვარმა მოახდინა გენესარეტის ტბაში. მთელი ღამის უნაყოფო შრომით დამაშვრალმა სიმონ პეტრემ და მისმა ამხანაგებმა ამჯერად „იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ“ (ლუკ. 5:6). **ამ მოვლენას, გარდა შრომის პროცესის წახალისებისა, სხვა უდიდესი მნიშვნელობაც ენიჭება. ეს იყო სიმბოლური მოქმედება, რომლითაც სიმონ პეტრეს, იაკობს და იოანეს მიეთითათ მათს მომავალ დიდ წარმატებებზე მრავალი ადამიანის ქრისტიანობაზე მოქცევის საქმეში**.

გალილეის, ანუ ტიბერიის ზღვის გაღმა იესომ სასწაულებრივად დააპურა ხუთი ათასი მშიერი ადამიანი. ამ სასწაულის მხილველმა ხალხმა თქვა: „ესაა ჭეშმარიტად ის წინასწარმეტყველი, რომელიც წუთისოფელში უნდა მოსულიყო“ (იოანე 6:14). ეს შემთხვევა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ დაპურების შემდეგ იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: „მოაგროვეთ მონარჩენი ნატეხები, რომ არაფერი არ დაიკარგოს“ (იოანე 6:12), რითაც რაციონალური ბუნებათსარგებლობის აუცილებლობა იქნა ხაზგასმული. **უფლის ამ სწავლების უგულებელყოფის და ბუნების მაექსპლუატირებელი წარმოების განვითარების შედეგია დღეისათვის თითქმის მთელს მსოფლიოში გამეფებული ეკოლოგიურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც იოანე მოციქულის წინასწარმეტყველების მიხედვით, აპოკალიფსურ პერიოდში კაცობრიობის დაღუპვის ერთ-ერთი ნიშანია.**

სამეურნეო საქმიანობაში კომპეტენტურობის აუცილებლობაზე მიგვითითებს იგავი გონიერ და უგონო მშენებლების შესახებ (მათ 7:24-27; ლუკ 6:47-49). მასში ლაპარაკია კეთილგონიერ კაცზე, რომელმაც მყარ ნიადაგზე აიშენა სახლი. **ასეთ ნაგებობას, უგუნური კაცის მიერ აშენებული სახლისაგან განსხვავებით, ვერ ანგრევს სტიქიური ძალები.**

მშენებლობის ეფექტიანი დაგეგმვა-დაფინანსების პრინციპი არის გადმოცემული იგავში კოშკის მშენებლის შესახებ. აქ მაცხოვარი გვეუბნება: „...რომელიმე თქვენგანმა რომ კოშკის აშენება მოისურვოს, განა თავდაპირველად არ დაჯდება და არ გამოთვლის იმ ღირებულებას, რაც მის დასამთავრებლად იქნება საჭირო? რადგან საძირკველს თუ ჩაყრის და ვერ დაამთავრებს, ყველა, ვინც დაინახავს, დაცინვას დაუწყებს, და იტყვის: ამ კაცმა შენება დაიწყო და ვეღარ დაამთავრაო“ (ლუკ. 14:28-30).

ვაჭრობა-მოგების უფლისმიერ წახალისებას ასახავს იგავი ტალანტებზე (მათ. 25:14-30). მასში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ერთმა ბატონმა შორს გამგზავრებისას თავისი ქონება მსახურებს ჩააბარა. ორმა მათგანმა კომერციის მეშვეობით გაორმაგა დატოვებული თანხა, ხოლო მესამემ ეს არ გააკეთა. დაბრუნებულმა ბატონმა ეს უკანასკნელი დასაჯა, რადგან მან ჩაბარებული ვერცხლი მოვაჭრეს არ მისცა და ბატონს სარგებლითურთ არ დაუბრუნა.

პროდუქციის წარმოების სრული პროცესი არის გადმოცემული იგავში ხორბლისა და ღვარძლის შესახებ (მათ 13:24-30). მასში აღწერილია ხორბლის დათესვა. გარე ფაქტორების მავნე ზეგავლენა ყანის მდგომარეობაზე, ჯეჯილის მოვლა-გაფრთხილება, მოსავლის აღება-დაბინავება, ხელმძღვანელისა და ხელქვეითების ურთიერთობა.

მათეს სახარებაში უფალი გვასწავლის: „ცათა სასუფეველი წააგავს საუნჯეს, მინდორში დაფარულს, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს იმ მინდორს. კიდევ: ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს, როდესაც იპოვის ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყოველივეს. რაც აბადია და იყიდის მას“ (მათ. 13:44-46). **ამ მაგალითებით ნაჩვენებია ცათა სასუფეველის უპირატესობა ყოველგვარ მიწიერ სიმდიდრესთან შედარებით.**

უნდა აღინიშნოს, რომ იგავები იესო ქრისტეს ქადაგების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. იგავებით საუბარი გვხდება ძველ აღთქმაშიც, მაგრამ საოცარ სრულყოფილებას და სილამაზეს მან მაცხოვრის მეტყველებაში მიაღწია. სწავლების ასეთი ფორმა იმისათვის იყო საჭირო, რომ ადამიანებს ადვილად გაეგოთ ახალი აღთქმის სიბრძნის საფუძვლები. **ოთხთავის იგავებში საყოფაცხოვრებო-ეკონომიკური მაგალითების განხილვის საფუძველზე აღწერილია ცათა სასუფეველი და ნაჩვენებია მასში ადამიანის მოხვედრის გზები.**

ზემოთ აღწერილთა გარდა ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი იგავები: უმოწყალო გამსესხებელზე; ვენახის მუშებზე; ორ მოვალეზე; ერთგულ სახლმმართველზე; გულმოწყალე სამარიტელზე; ფხიზელ მონებზე; მთესველზე; მდიდარსა და ლაზარეზე; მებაჟესა და ფარისეველზე; ბოროტ მევენახეებზე და სხვ.

ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ზოგიერთ ადამიანს დიდძალი ქონება უგროვდება.

წმინდა წერილში უხვად არის მაგალითები მდიდარი, და ამავე დროს, მართალი და კეთილი ადამიანებისა. ასეთები არიან: აბრაამი, ისააკი, იაკობი, დავითი, სოლომონი, იოსაფატი, იობი, იოსებ არიმათიელი, ზაქე და სხვ.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, მდიდარი ადამიანი თავის ქონებას უნდა უყურებდეს როგორც სხვებისთვის დახმარების გაწევის საშუალებას, „...რათა ჰქონდეს გაჭირვებულისათვის მისაცემად“ (ეფეს. 4:28). სხვა შემთხვევაში „გამდიდრების მსურველნი ცვივიან განსაცდელსა და მახეში, მრავალ ბრიყვულ და მავნე გულისთქმაში, რომელნიც გასანადგურებლად და დასაღუპავად უბიძგებენ ადამიანს“ (1ტიმ. 6:9).

მაცხოვარი გვეუბნება: „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან“ (მათ. 5:7). სიმდიდრის კეთილად გამოყენებით ადამიანს შეუძლია ცათა სასუფეველს მიაღწიოს, უკეთური მდიდარი კი ჯოჯოხეთში ხვდება.

იგავში მდიდარი კაცისა და გლახაკ ლაზარეს შესახებ (ლუკ. 16:19-31) მოთხრობილია, თუ როგორ დაიმონა ადამიანი ქონებამ და ფულმა. ამ მდიდარს არ ებრალებოდა მის ჭიშკართან მწოლიარე გლახაკი ლაზარე. სიკვდილის შემდეგ ლაზარე ხვდება სამოთხეში, ხოლო მდიდარი კაცი – ჯოჯოხეთში.

ამ იგავში მდიდარი ისჯება არა სიმდიდრის, არამედ უთეთურობის გამო.

ახალი აღთქმის ტექსტებდან ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკური საქმიანობა თვით უფლის მიერ არის დაწესებულ-წახალისებული და გვევლინება როგორც მართმადიდებლური სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი.

თავისი მოძღვრების ზნეობრივი საფუძვლის შესახებ იესო ქრისტე გვეუბნება: „შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, ყოვლითა გულითა შენით, და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა ეს არის პირველი მცნება. მეორე არის: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ამათზე დიდი მცნება არ არსებობს (მარ. 12:30-31).

ეს სწავლება უზენაეს ზნეობრივ ნორმას უნდა წარმოადგენდეს ყოველი ადამიანისათვის მისი ცხოველქმედების ნებისმიერ სფეროში.

ამ მცნებათა დაცვა-შესრულება ადამიანებს განსაკუთრებით მოეთხოვება და ესაჭიროება ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში, სადაც ესოდენ ძალუმალ ზემოქმედებენ ჩვენზე სატანისეული ძალები ვერცხლის მოყვარეობის მეშვეობით, რომელიც ყოველგვარი ბოროტების ფესვებია. ბოროტების ძლევა კი მხოლოდ ქრისტესმიერი სიყვარულით და მართმადიდებლური ზნეობით არის შესაძლებელი.

მართმადიდებლური სწავლების მიხედვით ადამიანი წარმოადგენს სხეულის (ხორცის), სამშვინველისა და სულის ერთიანობას. [1] „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“ (დაბ. 2:7). ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად (დაბ. 1:26), რაც ადამიანის უმაღლესი ღირსების მიმანიშნებელია. **მართმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოში წერია:** „ღმერთმა შექმნა ხორცი პირველ კაცის ადამისა მიწისაგან, შთაბერა მას შინა სამშვინველი ცხოვრებისა, ე.ი. სული უკვდავი, გონიერი, თავისუფალი და წმიდა; ყველა ამით კაცი მსგავსია, – თუმცა კი ძალიან სუსტად, – ღვთის სისრულისა. ხორცი კაცისა ღმერთმა შექმნა მიწისაგან, როგორც ხორცი ყველა სხვა ცხოველთა, სული კი შექმნილია ღვთის ყოვლადშემძლებელის ძლით, როგორიც სრულიად ახალი ქმნილება, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ნივთიერ ქვეყანასთან“.[2] **ფიზიკური სიკვდილის შემდეგ ადამიანის სხეული მიწად მიიქცევა (დაბ. 3:19), ხოლო სული უბრუნდება ღმერთს, რომელმაც შთაბერა (ეკლ. 12:7).**

კაცი ამ ქვეყანაზე განსაკუთრებული არსებაა, რომელსაც აქვს გონიერი, თავისუფალი და უკვდავი სული, რითაც ადამიანი ღვთის ხატს (სახეს) წარმოადგენს. ღვთის მსგავსებაში კი იგულისხმება ადამიანის უნარი და მისწრაფება გაუდმებული სულიერი მოღვაწეობის შედეგად მიაღწიოს სისრულეს და ღვთის მსგავსებას. „სულ უკანასკნელი მისწრაფება კაცისა არის ღმერთი, ერთობა ანუ ცხოველი კავშირი ღმერთთან. როგორც ღვთის სახედ და მსგავსად შექმნილს არსებას, კაცს არ შეუძლიან არ ეძიოს ერთობა ღმერთთან“. [3]

ადამიანი წარმოადგენს სულის, სამშვინველის და სხეულის სრულ ჰარმონიულ ერთობას.

1 იხ. „ზაკონ ბოჟიი“, ჯორდანვილი, 1987, გვ. 125 (რუს.).

2 საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1989, გვ, 121.

3 იქვე, გვ. 123.

სული მიისწრაფვის ღმერთისაკენ, სამშვინველი შეერთებულია და ემორჩილება სულს, ხოლო სხეული სამშვინველს.

ადამიანის ხორციელი სიცოცხლე არაფრით არ განირჩევა სხვა არსებებისაგან და მდგომარეობს სხეულის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, რომლებიც ერთიანდებიან ორ ძირითად ინსტიქტში: თვითშენარჩუნების ინსტიქტში და გამრავლების ინსტიქტში.

სამშვინველი არის სასიცოცხლო ძალა, რომელიც მოცემული აქვს ადამიანს ღმერთისაგან სხეულის სამართავად. სამშვინველის ყველა მოძრაობა და მოქმედება ერთიანდება სამ ჯგუფად: აზრები, გრძნობები და სურვილები. სულიერი (სამშვინველისეული) ცხოვრება გულისხმობს გონების, გრძნობის და ნების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

სხეულსა და სამშვინველს ზემოთ არის სული, რომელიც ადამიანში ვლინდება სამი სახით: ღმერთის შიში, სინდისი და ღმერთის წყურვილი. სული ხშირად გვევლინება, როგორც სამშვინველისა და სხეულის მსაჯული და ყოველივეს აფასებს განსაკუთრებული, უმაღლესი პოზიციებიდან. ადამიანი თავისი სულით მუდმივად (შეგნებულად და შეუგნებლად) მიისწრაფვის ღმერთისაკენ, სურს შეასრულოს თავისი დანიშნულება და დაიმკვიდროს საუკუნო სიცოცხლე.

ადამმა და ევამ ღვთის მცნების უგულებელყოფით ჩაიდინეს უდიდესი ცოდვა, რითაც დაარღვიეს ადამიანში არსებული ჰარმონიული ერთობა სულს, სამშვინველსა და სხეულს შორის. ამ დროიდან მოყოლობული ადამიანმა თავის „დანიშნულებას უნდა მიაღწიოს ცოდვასთან ბრძოლის, სიკვდილის, ხრწნილების და აღდგომის გზით“.[1]

სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთმა მას დაუწესა ღვთითდადგენილი გეგმით და კანონით (შდრ. „ბუნების კანონები“) არსებობა, ამავე დროს, იგი გამუდმებით ზრუნავს ქვეყნიერებისათვის (საღვთო განგებულება). ადამიანი სხვა ქმნილებებთან ერთად არის საშუალება უფლის ხელში საღვთო განგების მიზნების განხორციელებისათვის. „უფალმა ყოველივე საკუთარი მიზნისთვის შეჰქმნა“ (იგავ. 16:4), ამიტომ „მასში ვცოცხლობთ, ვიბრძვით და ვარსებობთ“ (საქ. 17:28), „რადგან ყოველივე მისგან, მის მიერ და მის მიმართ არის“ (რომ 11:36).

კაცის ღვთივდადგენილი დანიშნულების, როლისა და მისწრაფებების მართლმადიდებლური არსი ადამიანის უმაღლესი ღირსების მაჩვენებელია და მიუთითებს მისი სულიერი (საბოლოო ჯამში – ცათა სასუფეველის) მოთხოვნილების უზენაესობაზე.

მიწიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება საზოგადოებრივი წარმოების საშუალებით, რომელიც მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრების დროს არის დაშვებული და წუთისოფლის საფუძველს წარმოადგენს (ზირ. 38:1-34). წარმოების პროცესში იქმნება ყოველგვარი მიწიერი დოვლათი, რომელიც ღვთის დაშვებით ამქვეყნად სატანის განმგებლობაში არის მოქცეული (ეშმაკი წუთისოფლის მთავარია) და მხოლოდ თავისივე (სატანის) თაყვანისმცემლებს უნაწილებს, მაგრამ ადამიანი მხოლოდ უფალ ღმერთს უნდა ემსახუროს და მას სცეს თაყვანი (შდრ. ლუკ. 4:5-8; მათ. 4:8-10).

ახლანდელ პირობებში „ხორცი მეტ ნაწილად მშვინვიერია; კაცის სულსა და ხორცს შორის ბრძოლაა; ხორცი იმორჩილებს სულს და ბატონობს იმაზედ; აღდგომის შემდეგ კი ხორცი ჩვენი იქნება სულიერი, უკვდავი, უვნებელი; ხორცი შეიქმნება სულის მორჩილ იარაღად“.[2] **პავლე მოციქული გვასწავლის:** „მოიქეცით სულიერად და არ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს. ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი – ხორცის საწინააღმდეგო, რაკი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთოთ არა ის, რაც გსურთ... ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმინდურება, და თავაშვებულობა, კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოება, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი... ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ. ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება... ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმასთან ერთად. თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ“ (გალ. 5:16-25). „...რასაც დათესავს კაცი იმასვე მოიმკის. ვინც თავის ხორცისთვის თესავს, ხორცისაგან მოიმკის ხრწნლებას, ხოლო ვინც სულისათვის თეს-

1 საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1989, გვ. 124.

2 საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1989, გვ. 170.

ავს, სულისაგან მოიმკის მარადულ სიცოცხლეს“ (გალ. 6:7-8)

ადამიანს ამქვეყნიური დოვლათის შექმნა-გამოყენება წუთისოფელში ცხოვრების დროს უხდება, ხოლო ყოველივე რაც წუთისოფელშია: ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და სიამაყე ცხოვრებისა არ არის უფლისაგან და წარმვალია, მასთან ერთად წარმავალია უფლის უარმყოფელი და ამქვეყნიურის თაყვანისმცემელი ადამიანიც, „ღვთის ნების აღმსრულებელი კი რჩება უკუნისამდე“ (1 იოან. 2:15 – 17).

ქრისტიანული მოძღვრება გვასწავლის, რომ მიწიერი ცხოვრება არის დაუცხრომელი შრომის, სულიერი სრულყოფის და ზნეობრივი გმირობის დრო, მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის ადამიანიოს თვითშემზადების პერიოდი“.[1]

აქედან გამომდინარე, ადამიანმა ამქვეყნიურად უნდა მოახდინოს სხეულის, სამშვინველის და სულის მოთხოვნილებათა ღმერთისათვის მოსაწონი ურთიერთშეხამება დევიზით: სხეული უფლისათვის, ხოლო უფალი – სხეულისათვის (შდრ. 1 კორ 6:13), **ხოლო ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელების მიზნით ადამიანმა, მისთვის ღვთივბოძებული თავისუფალი ნებისა და გონიერების მეშვეობით უნდა ამოირჩიოს აზროვნებისა და მოქმედების (მათ შორის ეკონომიკური საქმიანობის) ისეთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მის მოხვედრას ცათა სასუფეველში.** ასეთი საზოგადოებრივი წარმოებისათვის უმთავრესია ღვთის სასუფევლის ძიება, ხოლო დანარჩენი მიეცემათ ადამიანებს (შდრ. ლუკ. 12:31). ამავე დროს, მორწმუნე და ღვთისათვის სათნო ადამიანი წუთისოფელში გადატანილი ყველა გაჭირვებისათვის „სამოცდაათჯერ და მეტად დაჯილდოვდება ამქვეყნიური ცხოვრების დროსაც“. [2]

ქრისტიანული საზოგადოებრივი წარმოების პროცესში სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და ტექნიკა-ტექნოლოგიის მეშვეობით უნდა შეიქმნას ისეთი ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი (ქრისტიანული ფასეულობა), რომელიც მოემსახურება სულის ნეტარების უზრუნველმყოფი ზნეობრივი კანონის განხორციელებას და არ გამოიწვევს ღმერთის გმობას, მამონას გაკერპებას და მომაკვდინებელ ცოდვათა წარმოშობა-გაბატონებას.

ქრისტიანული ცხოვრების (რომელშიც საზოგადოებრივი წარმოებაც უნდა ვიგულისხმოთ) მიღწევა-მოწესრიგების გზას გვასწავლის მაცხოვარი, რომელიც ამბობს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით“ (იოან. 14:6). უფალი აქ ლაპარაკობს მამა-ღმერთზე, „როგორც ყველა ადამიანურ მისწრაფებათა ჭეშმარიტ მიზანზე. ადამიანები ესწრაფვიან საუკუნო დიდებას, რომელშიც სუფევს მამა, ხოლო ქრისტე არის ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა“.[3]

არქიმადრიტი იუსტინე წერს: „ნებისმიერი ადამიანური საქმიანობა – ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოსნობა, ხელოვნება, განათლება, კულტურა – თავის წარუვალ ღირებულებას მხოლოდ მაშინ იძენს, როცა განათლდება და გაიზრდება ღმერთკაცში – ჩვენს უფალსა და ღმერთში იესო ქრისტეში“.[4]

ასეთი აზროვნების და მოქმედების საფუძველი კი სიყვარულია, სიყვარული უფლისა და მოყვასის მიმართ (შდრ. მარ. 12:30-31). ამ უდიდეს მცნებას უნდა ემყარებოდეს ადამიანის ეკონომიკური საქმიანობაც, ხოლო ქრისტიანული ეკონომიის, როგორც მეცნიერული მიმართულების, საფუძველს და მიზანსაც სწორედ სიყვარულზე დამყარებული მეურნეობა უნდა წარმოადგენდეს.[5]

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე წარმოების პრინციპები და მეთოდები ძირითადად ქრისტიანობის საფუძველზე და მის წიაღში არის ჩასახულ-განვითარებული და მხოლოდ უღვთო საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემების პირობებში მოხდა მათი ღვთივსულიერების უარყოფა. ქრისტიანული მეურნეობრიობა თავიდანვე ეფუძნებოდა საკუთრების ნებისმიერ

---

1 იღ. ფილარეტი. ზნეობრივი ღვთისმეტყველების კონსპექტი. ᲣᲣᲤᲐ. 1991, გვ. 19 (რუს.).

2 მიტრ. ინოკენტი. გზა ცათა სასუფევლისა, თბილისი, 1994, გვ. 33.

3 განმარტებითი ბიბლია. ა. ლოპუხინის მემკვიდრეთა გამოცემა. პეტერბ. 1911-1913 წ. წიგნი 3, ტ. 9. გვ. 448 (რუს.).

4 არქიმანდ. იუსტინე პოპოვიჩი (სერბეთი). მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი. წიგნში: სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა. თბ., 1995, ტ. 5, გვ. 158.

5 იხ. ა. გლაგოლევი. ქრისტიანული ეკონომია რუსეთის ეკონომიკური რეფორმის საარსებო ამოცანების შუქზე ᲟᲣᲠᲜ. „ᲕᲝᲠᲝᲡᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘ“, №8, 1993, გვ. 65 (რუს.).

ფორმას, მართვის სხვადასხვა მეთოდებს, გეგმურ თუ საბაზრო ურთიერთობებს, პრიორიტეტულობას და განვითარებას მოტივაციაში და სხვ. **ამიტომ ქრისტიანული წარმოებისათვის საჭიროა არა რაიმე ახალი ეკონომიკურ-მმართველობითი ფორმებისა და პრინციპების აღმოჩენა-შემოღება, არამედ დიდი ხნის აპრობირებულის ღვთივსულიერ შინაარსობრივ საფუძველზე აღორძინება და საყოველთაო გამოყენება.**

ამავე დროს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმ დიამეტრული თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული განსხვავების შესახებ, რომელიც არსებობს თანამედროოვე წარმოებასა და ქრისტიანულ მეურნეობრიობას შორის: **თანამედროვე უღმერთო ეკონომიკა მხოლოდ მიწიერი ცხოვრების გააზრებით შემოიფარგლება და ამიტომაც შეზღუდულია და ცოდვიანი, ქრისტიანული წარმოება კი ზეციური, საუკუნო ნეტარი ცხოვრების პერსპექტივაზეა დამყარებული და ამიტომაც ყოვლისმომცველია და სათნო.**

ქრისტიანული ეკონომიკური საქმიანობის აღდგენა-დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი გზა იმ ღვთივდადგენილი ზნეობრივი ნორმების დაცვაა, რომელთა უარყოფა უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს იწვევდა და კვლავაც გამოიწვევს.

ზნეობის დარღვევა დიდ ცოდვილობას, ღმერთის გმობას და მის განდევნას ნიშნავს, ხოლო ღმერთის გარეშე დარჩენილი ადამინი „...ეშმაკს მიემსგავსება რადგანაც ცოდვა ეშმაკის ძალაც არის და სახეც ერთსა და იმავე დროს. და როცა უღმერთკაცოდ დარჩენილი ადამიანი ცოდვას ემუშაკება და ემონება, იგი თავისი ნებითვე ხდება ეშმაკის მსგავსი, თავისიანად შეექნება ბოროტ სულს“, ეშმაკის მიზანიც სწორედ ეს არის: „უღმერთო გახადოს ადამიანი, მოაკლოს მას ღვთისმსგავსება, მოსწყვიტოს იგი ღმერთკაც იესო ქრისტეს და, ამგვარად, თავის მსგავს ბოროტ არსებად გადააქციოს“.[1] დღევანდელი ვითარება ამის ნათელი დადასტურებაა – „ჭეშმარიტად, უღმერთობის მიზეზით დაბნელდა სულიც და გონებაც ჩვენი. ადამიანმა დაკარგა უნარი თეთრის და შავის, სიკეთის და ბოროტების გარჩევისა და იქცა იარაღად ეშმაკისა“.[2]

ღმერთმა ადამიანის სულს დაუწესა ზნეობრიბვი კანონი, რომლის მეშვეობით ხელმძღვანელობს ადამიანის ცხოვრებას და საქმიანობას. ადამიანის ამქვეყნიური ზნეობრივი მოვალეობები (მათ შორის შრომაც) სამ ჯგუფად იყოფა: საკუთარი თავის მიმართ. მოყვასის მიმართ და უმაღლესი მოვალეობანი ღმერთის მიმართ. სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა უდიდესი ნაწილი მხოლოდ ეგოისტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ესწრაფვის აღნიშნულ მოვალეობათა შეუგრძნობლად. **ფაქტობრივად უარყოფილია ქრისტიანული ზნეობრიობა, რაც უღმერთობის შედეგი და საყოველთაო სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის მიზეზია. ამიტომ დღეისათვის უმთავრესი მიზანი მართმადიდებლური მსოფლმხედველობისა და ზნეობის აღდგენა უნდა იყოს.** ამის გარეშე საქართველოს წინსვლა და განვითარება არ უწერია. ასეთ პირობებში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები ვერ მოგვიტანს სასურველ შედეგებს, უზნეობა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ჯოჯოხეთს გვიმზადებს. ქრისტიანული ზნეობის გამარჯვება კი – წინსვლას და სიცოცხლეს. თითოულ ქართველს და სრულიად საქართველოს სულიერი აღორძინება სჭირდება, ხელახალი შობის გარეშე ჩვენ ვერ ვიხილავთ ცათა სასუფეველს (შდრ. იოან. 3:3).

ცათა სასუფეველში (ღვთის სასუფეველი, ქრისტეს სასუფეველი) მხოლოდ ქრისტეს ჭეშმარიტი მორწმუნენი, ზნეობრივი და ცოდვების მონანული ადამიანები მოხვდებიან ფიზიკური სიკვდილის შემდეგ. **სასუფეველში ადამიანის სულის საუკუნო ნეტარება იქნება უზრუნველყოფილი. ამავე დროს, მართალი ადამიანები ნეტარებას ღმერთის შემწეობით ამქვეყნიური ცხოვრების დროსაც შეიგრძნობენ.**

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის საფუძველია საღმრთო ნება და განგებულება. ასეთ საქმიანობას აქვს თავისი ღვთივსულიერი თეორიული საწყისი და პრაქტიკული გამოვლენა. **ქრისტიანულ საფუძველზე დამყარებულ საზოგადოებრივ წარმოებას უნდა შეისწავლიდეს და წარმართავდეს სათანადო დისციპლინა – ქრისტიანული ეკონომია, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი, მიზანი, ამოცანები,**

1 არქიმანდ. იუსტინე პოპოვიჩი (სერბეთი). მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი. წიგნში: სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა. თბ., 1995, ტ. 5, გვ. 162.

2 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლე. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1994, გვ. 8,

სათანადო კანონები, პრინციპები, მეთოდები და სხვ.

წარმოების ღვთივდადგენილი საფუძვლების განხილვის შედეგად შესაძლებელად მიგვაჩნია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ **ქრისტიანული ეკონომია შეისწავლის საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ადამიანთა ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნის გზებს, იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ცათა სასუფეველში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს.**

ქრისტიანული ეკონომია არის ღმერთისათვის მოსაწონი ეკონომიკური განვითრების ის თეორიული საფუძველი, რომლის პრაქტიკული გამოყენება უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, ერის, სახელმწიფოს დ კაცობრიობის მატერიალურ და სულიერ პროგრესს. იგი, ამავე დროს, უნდა გვევლინებოდეს როგორც სასწავლო დისციპლინა, რომლის დანერგვა აუცილებელია სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ეკონომიკური საქმიანობის მხოლოდ ღვთივსულიერი სამეცნიერო-პრაქტიკული გააზრება მოგვიტანს რეალურ სასურველ შედეგებს, რადგან მარტოოდენ „უფალო იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება, მასთან არის მართალთა შეწევნა, ის არის ფარი უმწიკვლოთათვის, იცავს სამართლის გზებს და მადლიანთა სავალს იფარავს... ბედნიერია ის კაცი, ვინც ჰპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა! რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი ხალას ოქროს“ (იგავ. 2:6-8; 3:13,14).

რუსეთის მართმადიდებელ ეკონომისტებს ქრისტიანული ეკონომიის სფეროში დღეისათვის მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ, რომლებშიც ავტორები განიხილავენ ისეთ ფუძემდებლურ და საინტერესო საკითხებს, როგორიცაა: ქრისტიანული ეკონომიის საგანი, მიზანი, კონცეფციები, პრინციპები, კანონები, ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნების სისტემა, ფასეულობათა მართმადიდებლური სისტემა, ქრისტიანული პროგრესი, ქრისტიანული ეკონომიკური განათლება და სხვ. [1]

საქართველოს მართმადიდებელი და სხვა დაინტერესებული ეკონომისტების გარდაუდებელი ამოცანაა ქრისტიანული ეკონომიის, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინის წარმოჩენა, ეკონომიკის ფუნქციონირების ამქვეყნიურ აუცილებელი და უფლისათვის სათანო ფორმების, მიმართულებების და მასშტაბების, ამ სფეროში ცოდვილობათა სიღრმისეულობის განსაზღვრა და ამ უკანასკნელთა აღკვეთის გზების დადგენა, საქართველოს ეკონომიკის მართვის მაკრო და მიკრო დონეებზე შესაბამისი გამოკვლევა-ანალიზის ჩატარება და ამის საფუძველზე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

უდიდესი ცოდვა, ჩვენს მიერ ჩადენილი უფლის განგებულებისა და ერის წინაშე არის საქართველოს ღვთივკურთხეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ურყოფა-მივიწყება.

მომადლებულის გმობისათვის უკვე ვისჯებით: მიწები გაყიდულ-გაპარტახებულია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ინდუსტრიულმა ობიექტებმა შთანთქა, სოფლები უსახურ და უფუნქციო დაბა-ქალაქებად გადაიქცა, ტყეები გაიჩეხა, მდინარეები დაშრა, კვების პროდუქტებს ვეღარ ვაწარმოებთ და სხვა. მიწის ბარაქა დავკარგეთ და ვერც ინდუსტრიამ მოგვიტანა სიკეთე, დამშეულ და მათხოვარ ქვეყნად ვიქეცით...

საქართველოს გადარჩენისა და’სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია ქრისტიანული აზროვნებისაკენ შემობრუნება, ეკონომიკაში ქრისტიანული საფუძვლებისა და პრინციპების აღორძინება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღდგენა, ერის მატერიალური და სულიერი პროგრესიისათვის აუცილებელი თანამედროვე მაღალეფექტიანი დარგების განვითარება.

ტრადიციული მიწათმოქმედების აღორძინებისაკენ მოგვიწოდებს უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავის 1995 წლის საშობაო ეპისტოლეში: „...ჩვენც გვმართებს გამოვიძიოთ, რას საქმიანობდნენ ჩვენი წინაპრები. დღეს, როცა ნედლეულისა და მანქანა-დანადგარების ნაკლებობა ასე მწვავედ იგრძნობა, ფაბრიკა-ქარხნები ერთ დღეში ვერ ამუშავდება. კრიზისიდან გამოსავალისათვის, უპირველეს ყოვლისა, **უნდა დამუშავდეს მიწა, ჩვენი მარჩენალი. ხალხი ჯერ შიმშილისგან უნდა ვიხსნათ, შემდეგ კი შეგვეძლება წარმოების თანდათანობით აღდგენასა**

---

1 იხ. ჟურნ. „ვოპროსი ეკონომიკი“, №8, 1993, ე. აფანასიევის, ვ. სიმონოვის, დ. პლატონოვის, ა. გლაგოლევის, ვ. ხოლოდკოვის და სხვათა სტატიები.

და განვითარებაზეც ვიფიქროთ. ამის უგულებელყოფა შეუძლებელია“.[1]

აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელია მოქმედი და მომავალი ეკონომისტების მომზადებისათვის განათლების სათანადო სისტემის ორგანიზება.

მართმადიდებელი ადამიანის ფორმირება სულ მცირე ასაკიდან უნდა იწყებოდეს ნათლისღებისა და ზიარების მეშვეობით. **სკოლის ასაკიდან უკვე შესაძლებელია მოგვარდეს მომავალი მართმადიდებელი ეკონომისტების აღზრდა, ხოლო შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში მოხდეს ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველზე თეორიტიკოსი და პრაქტიკოსი ეკონომისტების მომზადება.**

დღეისათვის მოსკოვში მოქმედებს რამდენიმე საერო უმაღლესი სასწავლებელი, სადაც მომავალ მართლმადიდებელ ეკონომისტებს ამზადებენ. **მათ შორის აღსანიშნავია რუსეთის მართმადიდებელი უნივერსიტეტი, რომლის სამფუძნებელია მოსკოვის საპატრიარქო. ამ უნივერსიტეტში კვალიფიციური ეკონომისტები აღზრდას ემსახურება ეკონომიკურ-სამართლებრივი ფაკულტეტი.**

ანალოგიური სპეციალისტების მომზადება თავდაპირველად შეიძლება მოგვარდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. შემდეგ კი შეიძლება ვიზრუნოთ სპეციალიზებული მრავალპროფილიანი საერო-საღვთისმეტყველო სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის შექმნის იდეის ხორცშესხმაზეც.

სხვადასხვა საღვთისმეტყველო დისციპლინასთან ერთად ეკონომისტებმა უნდა შეისწავლონ სპეციალური საგანი – „ეკონომიკისა და მართვის ქრისტიანული საფუძვლები“. **ამ საგნის პროგრამის თემატური გეგმა საწყისი სახით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:**

- თავი 1. ადამიანის ცხოვრების ქრისტიანული აღქმა;
- თავი 2. ეკონომიკისა და მართვის ქრისტიანული გააზრება;
- თავი 3. ეკონომიკურ-მმართველობითი საკითხები ბიბლიასა და ქრისტიანულ ლიტერატურაში;
- თავი 4. ეკონომიკური აზროვნების განვითარება ქრისტიანული სარწმუნოების შუქზე;
- თავი 5. თანამედროვე ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობა ქრისტიანულ მოთხოვნათა ფონზე;
- თავი 6. ქრისტიანული ეკონომია, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა;
- თავი 7. საქართველოს მატერიალური და სულიერი პროგრესის მართლმადიდებლური პრინციპები.

თემატური გეგმის ცალკეული თავების მიხედვით განხილული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები (ჩამონათვალი არასრულია):

- I თავი. 1.1. ადამიანი, როგორც ღმერთის ქმნილება, მისი ხორციელი და სულიერი საწყისები. 1.2. ადამიანის ღვთივდადგენილი დანიშნულება და ცხოვრების მიზანი. ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრება. 1.3. ოჯახი, როგორც ამქვეყნიური ცხოვრების საფუძველი.
- II თავი. 2.1. ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილება. მოხმარების არსი. 2.2. შრომის, წარმოების და მართვის აუცილებლობა. 2.3. ეკონომიკის და მართვის ადგილი და როლი ამქვეყნიურ ცხოვრებაში. 2.4. ცოდვილობები ეკონომიკასა და მართვაში, მათი ადგილი მომაკვდინებელ ცოდვათა შორის. ეკონომიკური მომენტები მომაკვდინებელ ცოდვებში.
- III თავი. 3.1. ეკონომიკა და მართვა ძველსა და ახალ აღთქმაში. 3.2. ეკონომიკურ-მმართველობითი საკითხები კანონიკურ მართლმადიდებლურ ლიტერატურაში, ეკლესიის მამების, ღვთისმეტყველებისა და წმინდანების შემოქმედებასა და ცხოვრებაში. 3.3. თანამედროვე ქრისტიანობა ეკონომიკისა და მართვის შესახებ.
- IV თავი. 4.1. ეკონომიკური აზრის ქრისტიანული ნიმუშები ისტორიული პერიოდების და ცალკეული ქვეყნების მიხედვით. 4.2. უღვთო და არაქრისტიანული ეკონომიკური მოძღვრებები.
- V თავი. 5.1. მე-20 საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემების დახასიათება

1 საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1995, გვ. IX.

ქრისტიანობის შუქზე. 5.2. ეკონომიკა და მართვა თანამედროვე პირობებში. 5.3. საკუთრება, შრომა, წარმოება, ვაჭრობა, კონკურენცია, მონოპოლია, ფული, ფინანსები, დაგროვება და სიმდიდრე დღევანდელ პირობებში. 5.4. ეკონომიკურ-მმართველობითი ურთიერთობები ცალკეულ ადამიანებსა და ოჯახის წევრებს შორის. 5.5. ეკონომიკა და ბუნებრივი გარემო. 5.6. ეკონომიკა და ომები, სამხედრო წარმოება. 5.7. ეკონომიკა და ეკლესია. 5.8. სამონასტრო მეურნეობრიობა. 5.9. ქრისტიანული თემის ეკონომიკა. 5.10. ეკონომიკურ-მმართველობითი ცოდვილობების აღკვეთა, როგორც გადარჩენის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება. 5.11. ცალკეული ადამიანის, ერის, სახელმწიფოს და კაცობრიობის გადარჩენის ღვთივდადგენილი აუცილებლობა და ეკონომიკურ-მმართველობითი წინამძღვრები. 5.12. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსებობის და ეკონომიკური განვითრების ქრისტიანული მოდელი.

- VI თავი. 6.1. ეკონომიკური თეორიის ქრისტიანული საფუძვლები. 6.2. ქრისტიანული ეკონომია, როგორც სამეცნიერო და პრაქტიკული დისციპლინა. 6.3. ქრისტიანული ეკონომიის სწავლების საკითხები საერო და სასულიერო სასწავლებელში.
- VII თავი. 7.1. ქრისტიანული პრინციპების შეტანა საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამებში.

ქრისტიანული სარწმუნოების დევნა-დამცირების პერიოდში პრაქტიკულად პარალიზებული იყო სასულიერო განათლების სისტემა. განსაკუთრებით მძიმე ცოდვად უნდა შეირაცხოს ის, რომ ყოველნაირად უშლიდნენ ხელს ბავშვებისა და მომავლი სპეციალისტების ქრისტიანულ აღზრდა-განათლებას. მაცხოვარი კი გვასწავლის: „გამოუშვით ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ ჩემთან მოსასვლელად, ვინაიდან მაგათნაირებისაა ცათა სასუფეველი“ (მათ. 19:14), და კიდევ: „მე ნათელი ვარ წუთისოფლის, ვინც წამომყვება, ბნელში აღარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას“ (იოან. 8:12).

სატანისეული სიბნელის საყოველთაო შემოტევის დღევანდელ პირობებში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია სასოებით მიმართავს საქართველოს მოსახლეობას: „ჩვენი ქვეყნისათვის ამ ურთულეს პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მომავალი თაობის სწორ აღზრდასა და განათლებას, მათში მართლმადიდებლური ცხოვრების წესის დანერგვას, ზრუნვას ჭეშმარიტი ცოდნის, სიკეთის, სიყვარულის, მიმტევებლობის, ურთიერთთანადგომის, ერთობის, ქრისტიანული მორალის განმტკიცებისათვის, ეს არის ქართველი ერის სულიერი სიწმინდის საფუძველი, ქართული ეროვნული ცნობიერების მრავალსაუკუნოვანი ბუნებრივი გზის გაგრძელება, ჩვენი ხსნა“.[1]

უფალს ვინც უყვარს, მას ამხელს და წვრთნის, მისგან თხოულობს მონანიებას. მაცხოვარი საქართველოს კართან დგას და გვიკაკუნებს, თუ მოვისმენთ მის ხმას და გავუღებთ კარს, იგი შემოვა და ივახშმებს ჩვენთან, მხოლოდ ასეთნაირად შევძლებთ გამარჯვებას, ხოლო გამარჯვებულებს უფალი გვერდში მოგვისვამს მის ტახტზე (შდრ. გამოცხ. 8:18-21).

უძველესი ქრისტიანული წარსულის და კულტურის მქონე ქართველ ერს არა აქვს უფლება უარყოს მაცხოვარის ასეთი მოწოდება და კვლავაც უღმერთოების ბნელში განაგრძოს სიარული. ჩვენი წმინდათაწმინდა მოვალეობაა დავუბრუნდეთ უფლისმიერ ნათელს და ამით უზრუნველყოთ საკუთარი მომავალი, ივერიის გაბრწყინება, მოვიპოვოთ ადგილი ცათა სასუფეველში.

უფალი შეგვეწიოს ამ წმინდა საქმეში.

1 გაზ. „მადლი“, №9, 30 სექტემბერი, 1995 წ. გვ. 1.

1997 წელი

ეშმაკთან წილნაყარი ვერცხლისმოყვარეობა: კორუფციის რელიგიური გააზრება

თანამედროვე საქართველოში სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები. ამ პროცესში სტრატეგიული მიზანია მაღალგანვითარებული, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირება.

სერიოზული პრობლემები გვაქვს ეკონომიკის მართვის, ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, სამეწარმეო, ანტიმონოპოლური საქმიანობის, სოციალური, შრომის ანაზღაურებისა და სხვა სფეროებში. ***ხოლო პრობლემათა პრობლემას, რომელიც ჩვენი ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროშია შეჭრილი და გაბატონებული – კორუფცია წარმოადგენს.***

ეკონომიკა ყოველთვის საკუთარ კონცეპტუალურ საფუძველს ეყრდნობოდა. საქართველოს ეკონომიკა, საუკუნეების მანძილზე, ქრისტიანულ პრინციპებზე დაყრდნობით ვითარდებოდა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს მაშინ ქრისტიანული ზნეობა წარმოადგენდა.

ათეიზმის ბატონობის პერიოდში ეკონომიკაც ათეისტურ რელსებზე იქნა გადაყვანილი, რის გამოც საქართველოში სამეურნეო-ფინანსური ხასიათის მრავალი ბორტება და ცოდვა გამეფდა. **მათი საერთო სახელწოდება საეკლესიო ენაზე – ვერცხლისმოყვარეობაა, რაც გარკვეულ წილად თანამედროვე ტერმინს – კორუფციას შეესატყვისება.**

დღეისათვის შესაძლებელი და აუცილებელია ტრადიციული სარწმუნოებისა და მსოფლმხედველობისკენ შემობრუნება, ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო საქმიანობის აღდგენა-განვითარება.

ქრისტიანული ეკონომიკური ზნეობა სიყვარულსა და ადამიანთა მოქმედების ღვთივდადგენილ ნორმებსა და წესებს ემყარება. ეკონომიკური საქმიანობა ზნეობრივია მაშინ, როდესაც ადამიანები აღასრულებენ მოვალეობებს ღმერთის, მოყვასის და საკუთარი თავის მიმართ.

ეკონომიკურ საქმიანობაში სარწმუნოებრივი საფუძვლების და ქრისტიანული ზნეობის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობა სულისმომაკვდინებელი ვერცხლისმოყვარეობის აღზევებას იწვევს, რომელიც პავლე მოციქულის თქმით, ყოველგვარი ბოროტების ფესვს წარმოადგენს. (1 ტიმ. 6:10). ამის გამო გამრავლდება და გაბატონდება სხვა ისეთი მომაკვდინებელი ცოდვები, როგორიცაა; ამპარტავნობა, არწმინდანება, ნაყროვანება, მცონარება, მრისხანება, შური. ასეთი გარემოება ადამიანებს ცოდვის მონებად გადააქცევს, რაც კაცობრიობას აპოკალიფსური დაღუპვით ემუქრება.

ვერცხლისმოყვარეობა უსამართლობით და უნამუსობით გამდიდრებისკენ ლტოლვას ნიშნავს. აქ სიხარბე და სიძუნწე ერთმანეთში გადახლართულნან და ყოველგვარი ბოროტებისკენ უბიძგებენ ადამიანს.

ვერცხლისმოყვარეობის გამო ჩაიდინა იუდა ისკარიოტელმა საშინელი დანაშაული თავისი უფლისა და მოძღვრის წინააღმდეგ.

კორუფცია მოსყიდვას ნიშნავს. ამ აქტში მოსყიდული და მომსყიდველი მონაწილეობს. კანონის და უფლის წინაშე ორივე თანაბრად აგებს პასუხს.

საერო ლიტერატურაში ბევრი რამ დაწერილა კორუფციის შესახებ. ისტორიამ შემოგვინახა მრავალი ნიმუში მაფიოზური და რეციდიული კორუფციისა, როგორც სოციალიზმის, ასევე კაპიტალიზმის პირობებში. სხვადასხვა ქვეყნებში შემუშავებულია და მოქმედებს უმკაცრესი ანტიკორუფციული კანონმდებლობა. სამართალდამცავი ორგანოები ყოველთვის ებრძოდნენ და ახლაც თავგამოდებით ებრძვიან კორუფციას. მაგრამ ყოველგვარი მცდელობა უშედეგოა – კორუფცია მრავალთავიანი გველეშაპივით კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს.

საქართველოში ახლო წარსულში და დღესაც მიმდინარეობს მუშაობა კორუფციის აღმოფხვრის მიზნით, შედეგები კი არ ჩანს, რაც განპირობებულია თუნდაც იმით, რომ კორუფციას ებრძვიან ამისთვის მოწოდებული, ოღონდ თვითონაც კორუმპირებული ინსტიტუტები და ადამიანები.

კორუფცია-ვერცხლისმოყვარეობის მორევში ნებით თუ უნებლიედ ჩართულ-ჩათრეულია სახელმწიფო მოხელე და მისი მცველი, ეკონომისტი და მეწარმე, ინტელიგენტი და მუშა,

ხელოსანი და გლეხი, მასწავლებელი და მოსწავლე, ექიმი და ავადმყოდი, სამართალდამცავი და დამნაშავე, მდიდარი და ღარიბი, ხელფასიანი და უხელფასო... უმთავრესი მიზეზი ასეთი მდგომარეობის ის არის, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა უარყო შემოქმედი, დაგმო ქრისტიანული ზნეობა, რის გამოც ღმერთმაც მიგვივიწყა. შედეგად სულიერად დაკნინდა და წახდა საზოგადოება, რაც თვალნათლივ აისახა ეკონომიკის სფეროშიც.

კორუფცია-ვერცხლისმოყვარეობის და სხვა მომაკვდინებელი ცოდვათა აღკვეთის და საზოგადოების გადარჩენის ერთადერთი გზა უფალთან დაბრუნებაა. უძველესი ქრისტიანული წარსულის მქონე ქართველი ერი ვალდებულია აღადგინოს კავშირი ღმერთთან, რაც ჩვენი ქვეყნის ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს, საწინდარს და გარანტიას წარმოადგენს.

გიორგი შიხაშვილი
გაზ. „ფინანსები“ № 9(46), 1997 წ. 7-14 მარტი

1998 წელი

ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსების მართვა. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. სახელმძღვანელო. თბილისი, 1998, 127 გვ.

სახელმძღვანელო შემუშავდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანამშრომლობით ევრაზიის ფონდის მხარდაჭერით ჩატარებული „ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსების მართვა – სპეციალისტების ტრენინგისათვის“ (23.03 – 10.04.1998, ეკოლოგიის კათედრის ბაზაზე, თსუ, თბილისი). გრანტის დირექტორი: მანანა დევიძე, კოორდინატორი: მზია გვილავა, რედაქტორი: ლეო ბალანჩივაძე.

თავი II. მდგრადი განვითარების კონცეფცია და ეკოლოგიური მენეჯმენტის ზოგადეკონომიკური ასპექტები (გვ. 6-12)
(გიორგი შიხაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

საზოგადოების პროგრესი და ადამიანების ცხოვრების დონის ყოველმხრივი ამაღლება განუხრელად არის დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიურ დასაბუთებულობასთან.

ბუნებათსარგებლობის პროცესის საბოლოო მიზანს ადამიანის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს. პიროვნებისა და საზოგადოების კეთილდღეობა არ იქნება სრული, თუ დაუკმაყოფილებელი რჩება რომელიმე სახის მოთხოვნილება. უფრო მეტიც – მაგალითად, ეკოლოგიური მოთხოვნილებების უგულვებელყოფა ავტომატურად აყენებს ცალკეულ ადამიანს და მთელ საზოგადოებას სასიკვდილო საფრთხის წინაშე.

თანამედროვე პირობებში როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი ეკოლოგიური მოთხოვნილებები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მხოლოდ წარმოების პროცესში და მისივე მეშვეობით, ოღონდ იმ პირობით, თუ ეკონომიკა ვითარდება ეკოლოგიურად დასაბუთებული გზით. **ეკოლოგიური მოთხოვნილება – ეს არის ადამიანის სასიცოცხლოდ აუცილებელი, მუდმივად მომქმედი მოთხოვნილება, რომელიც მწვავდება და ღრმად შეიცნობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე და რომლის სრული დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია წარმოების პროცესში და მისივე მეშვეობით შენარჩუნებულ იქნეს ნორმალური სიცოცხლისუზრუნველმყოფი ეკოლოგიური პირობები.**

ბიოსფეროში არსებული წონასწორობის კატასტროფული დარღვევა ძირითადად ადამია-

ნის სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის, ანუ ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში ხდება, ამიტომაც პრობლემის გადაჭრაც უმთავრესად ღრმად გააზრებული და ეკოლოგიურად დასაბუთებული ეკონომიკური განვითარების შედეგად არის შესაძლებელი.

ეკოლოგიური და ეკონომიკური საწყისების ჰარმონიზაციის პრობლემა ბოლო ათწლეულში მსოფლიო მეცნიერული აზრის ყურადღების ცენტრში იმყოფება. ინტენსიურად შეისწავლება გარემოსა და წარმოების ურთიერთზემოქმედების ფუნდამენტური საკითხები და ყალიბდება ბუნებათსარგებლობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.

ეკონომიკის ეკოლოგიზაციის პრობლემები სხვადასხვა დასახელების სამეცნიერო-პრაქტიკული დისციპლინის კვლევის ობიექტს წარმოადგენენ. მათგან აღსანიშნავია: სოციალურ-ეკონომიკური ეკოლოგია, გარემოს ეკონომიკა, ეკონომიკური ეკოლოგია, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა და სხვა. ყოველი მათგანის საბოლოო მიზანს ეკონომიკური განვითარების პროცესში გარემოსა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედების ჰარმონიზაცია წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია გდაიჭრას ეკოლოგიურ-ეკონომიკური კანონზომიერებების თეორიული შესწავლისა და პრაქტიკული გამოყენების ამოცანა, გამოიძებნოს და ეფექტურად იქნეს გამოყენებული ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსები, მაქსიმალურად შეჩერდეს გარემოს ინტენსიური დაბინძურების პროცესი.

ეკონომიკის ეკოლოგიზაციის გზების მრავალწლიანი ძიების შედეგად თანამედროვე მეცნიერებამ შეიმუშავა „მდგრადი განვითარების კონცეფცია“. ეს არის საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაოებების უფლებას ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს სპეციალური გამოკვლევა საერთაშორისო კომისიისა, რომელმაც კვლევის შედეგები მოხსენების სახით 1987 წელს წარუდგინა გაერთანებული ერების ორგანიზაციას. აღნიშნული კონცეფცია მდგრადი განვითარების პრინციპების სახით ჩამოყალიბდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს სპეციალურ კონცეფციაზე.

მდგრადი განვითარების პრინციპებს ეყრდნობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების და 1997 წლის ინდიკატური გეგმები, რის საფუძველზეც ჩამოყალიბებულია ეკოლოგიური პოლიტიკის არსი. სახელდობრ, ნათქვამია, რომ საქართველოში ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა მოითხოვს გარემოს დაცვისა და ბუნებაღსარგებლობის ახლებური სისტემის შექმნასა და ამოქმედებას. იგი ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელება ბუნებათსარგებლობის ისეთი კომპლექსური მექანიზმის საშუალებით მოხდება, რომლის ᲭᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐ პირველ რიგში თავად მოსარგებლეს დააინტერესებს ბუნების დაცვითა და ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენებით.

საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ ასახულია გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. რისკის შემცირების პრინციპი;
2. მდგრადობის პრინციპი;
3. პრიორიტეტულობის პრინციპი;
4. ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპი;
5. პრინციპი – „დამბინძურებელი იხდის“;
6. ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი;
7. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრინციპი.

ჩამოთვლილი და სხვა პრინციპების შინაარსი მეტყველებს მათ პროგრესულობაზე და მათი განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელია გარემოსდაცვითი საქმიანობის მნიშვნელოვანი მოწესრიგება.

კანონის მიხედვით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს განათლებასა და სამეცნიერო კვლევებს გარემოს დაცვის სფეროში. გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მართვის

უზრუნველყოფის მიზნით საქართველოში შეიქმნება გარემოს დაცვის დაგეგმვის სისტემა, რომელიც მოიცავს: 1) გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას (მდგრადი განვითარების სტრატეგია); 2) ხუთწლიან გეგმას (გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა); 3) საქმიანობის ობიექტებისათვის შედგენილ გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმას. აღნიშნული მიმართულებებით ეფექტიანი მუშაობის შედეგად შეიქმნება საფუძველი გარემოს დაცვის სფეროში მეცნიერულად გააზრებული და მიზანმიმართული პოლიტიკის გატარებისა მმართველობის ყველა დონეზე.

საქართველოს ნორმალური განვითარება შეუძლებელია ადგილობრივი (ეროვნულ-ტრადიციული), რეგიონალური (კავკასია) და გლობალური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. ამიტომაც ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს აღნიშნული სამი ფაქტორის ჰარმონიულ შერწყმას. აქედან გამომდინარე უნდა განიხილებოდეს ყოველი დარგის განვითარების, შესაბამისი გარემოსდაცვითი საქმიანობის და მისი მართვის პერსპექტივებიც.

ეროვნული გამოცდილების და თანამედროვე საზღვარგარეთული საქმიანობის ღრმა შესწავლის საფუძველზე უნდა შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო, ეკონომიკური და მმართველობითი სისტემა, რომლის ფუნქციონირება მოაწესრიგებს მთელ გარემოსდაცვით საქმიანობას საქართველოში. ჩვენში საყოველთაოდ არის ცნობილი ქართული გამონათქვამი „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია“, რაც მდგრადი განვითარების კონცეფციის ჩვენეულ, ტრადიციულ გააზრებას წარმოადგენს. ამ პრინციპს ეფუძნებოდა ეკონომიკური და გარემოდაცვითი საქმიანობის მართვა საქართველოში საუკუნეების მანძილზე. ანალოგიური მოსაზრებები არის ასახული რიო-დე-ჟანეიროს კონცეფციის მდგრადი განვითარების პრინციპებში, ხოლო 22-ე პრინციპში ნათქვამია, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან აღიარონ და სათანადოდ დაუჭირონ მხარი ადგილობრივი, ძირეული მოსახლეობის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას, რომლის გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის მართვის საქმეში.

ქართული ტრადიციული გარემოდაცვითი საქმიანობის ზოგიერთი მხარე შესწავლილი აქვს ი. ჯავახიშვილს და ზოგიერთ სხვა მკვლევარს. ამავე დროს, შესწავლილია ასეთი საქმიანობის ეკონომიკური და მმართველობითი ასპექტები ისტორიულ ჭრილში. ისიც უნდა ითქვას, რომ დღეისათვის პრაქტიკულად არ მოგვეპოვება ჩვენი ავტორების სერიოზული ნაშრომები, რომელთა დანიშნულება თანამედროვე დასავლური ეკონომიკურ-ეკოლოგიური, და განსაკუთრებით, ეკოლოგიურ-მენეჯმენტური გამოცდილების ასახვა იქნებოდა. ამიტომ აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვა. პირველ რიგში, მიზანშეწონილია უცხოურ ენებზე არსებული მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების თარგმნა, რომლებიც აღნიშნულ თემატიკას შეეხება.

ეკონომიკა საზოგადოების საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს. ეკონომიკურ პრინციპებს და მეთოდებს უნდა ეყრდნობოდეს ეკოლოგიური მენეჯმენტიც.

ეკოლოგიური მართვის ერთიანი ეფექტური სისტემა მოიცავს დაბინძურებასთან ბრძოლის შემდეგ ხერხებს: 1) სტანდარტები და ჯარიმები; 2) გადასახადები და სუბსიდიები; 3) დაბინძურების წარმოების ეფლებათა ბაზრები.

გარემოს დაცვა ისეთი სპეციალური სფეროა, რომლის ოპტიმალური მართვისათვის აუცილებელია სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი სექტორებისათვის დამახასიათებელი პრინციპების და მეთოდების ჰარმონიული შეხამება. სწორედ ასეტ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს ეკოლოგიური მენეჯმენტი,

ეკოლოგიური მენეჯმენტი არის სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი საქმიანობა პრობლემასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციისა და პიროვნებისა მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად. სხვაგვარად, ეკოლოგიური მენეჯმენტი არის ორგანიზაციის მიერ რესურსების შეხამების პროცესი, რომელიც გამიზნულია პრობლემის გადასაჭრელად. ეს უკანასკნელი განმარტება შესაფერისია ცალკეული, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციისათვის. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა მოხდეს დიფერენცირება ობიექტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ვინაიდან მმართველობის პროცესის მსგავსებასთან ერთად აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებაც. სახელდობრ, აუცილებელია ბუნებათმცოდნეობითი საწარმოებმა სათანადოდ გაიაზრონ

საკუთარი ეკოლოგიური მიზნები და შესაბამისად წარმართონ გარემოსდაცვითი საქმიანობა. ორგანიზაციული თვალსაზრისით მათთვის აუცილებელია სათანადო ქვედანაყოფების შექმნა მმართველობით სტრუქტურაში; საჭიროების შემთხვევაში ეს უნდა იყოს ვიცე-პრეზიდენტი ეკოლოგიის დარგში და მისდამი დაქვემდებარებული სათანადო სამსახური.

ეკოლოგიური მენეჯმენტის საკითხები მეტად აქტუალურია თანამედროვე პირობებში. ამდენად, აუცილებელია ამ სფეროში სათანადო საგანმანათლებლო საქმიანობის მოწესრიგება, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად უნდა გადაიქცეს სამთავრობო და კერძო ორგანიზავციებისათვის სპეციალისტთა რეგულარული სატრენინგო მომზადების უზრუნველყოფა.

1999 წელი

პორნოეროტიკული ბილწი ბიზნესი, ანუ გზა ზნეობრივი დაცემისა

ცივილიზებულ ქვეყნებში ზოგადსაკაცობრიო და ადგილობრივი კრიტერიუმების გათვალისწინებით ხდება ბიზნესის ზოგიერთი სახეობის კონტროლი, რეგულირება, შეზღუდვა და აკრძალვა. ასეთ ქმედებას ექვემდებარება: მასობრივი მოსპობის იარაღით ვაჭრობა, მავნე კვების პროდუქტების წარმოება, ნარკობიზნესი, პორნობიზნესი, პროსტიტუცია, ადამიანებით ვაჭრობა და სხვ.

საქართველოში უკანონო და უზნეო ბიზნესის ჩასახვა-განვითარების უმთავრესი მიზეზებია: ნიჰილიზმი ეროვნული მსოფლმხედველობის, კულტურისა და ეკონომიკური ტრადიციების მიმართ; მასების უკიდურესი სიდუხჭირე; ეკონომიკური სუბიექტების დაბალი პროფესიული კვალიფიკაცია; ბიზნესის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი რეგულირების არასათანადო დონე, ვერცხლისმოყვარეობა, ანუ დაუოკებელი ლტოლვა უპატიოსნო გზით სიმდიდრის მოპოვებისაკენ; უცხოეთის მავნე ზეგავლენა და სხვ.

ერთი შეხედვით უწყინარი, მცირე სიშიშვლის პროპაგანდა და ცქერაც დამღუპველი სიბილწის დასაწყისია. გავიხსენოთ, რომ ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი ქამი და მისი შთამომავლობა მამის სიშიშვლის უდიერი ცქერის გამო იქნა დაწყევლილი ღმერთისა და ნოეს მიერ.

დავაკვირდეთ ყოველ ნაბიჯზე თვალშისაცემ სიბილწის ამსახველ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც შეფარვით თუ აშკარად, სხვადასხვა დოზით, გამომსახველობით და შინაარსით გვთავაზობენ ბინძურ პროდუქციას.

ჩვენ გამოვკითხეთ ასეთი პროდუქციის მწარმოებელთა და გამავრცელებელთა გარკვეული რაოდენობა. მეწარმეები და გამომცემლები აცხადებენ, რომ ბიზნესის თავისუფლების პირობებში მათი საქმიანობა იურიდიულად და ზნეობრივად დასაშვებია, ვინაიდან ეს პროდუქცია ეროტიკულია და არა პორნოგრაფიული. უშუალო გამავრცელებლები (გამყიდველები) კი აცხადებენ, რომ გაჭირვების ან მესვეურთა მოთხოვნის გამო იძულებული არიან ივაჭრონ ასეთი პროდუქციით. თითქმის ყველა გამავრცელებელს მიაჩნია, რომ ასეთი საქმიანობა გარყვნილების დამკვიდრებას უწყობს ხელს.

მაინც რა არის ნამდვილი ეროტიკა და რითია იგი პორნოგრაფიაზე უკეთესი და უწყინარი, რის საფუძველზეც დასაშვებია მისი ლეგალიზება? ხაზი გავუსვათ, რომ პორნოგრაფიის მავნეობას და უკანონობას ეროტიკოსი ბიზნესმენები თავადაც „აღიარებენ“.

სხვადასხვა წყაროები გვამცნობენ, რომ ეროსი (კუპიდონი, ამური) წარმართულ მითოლოგიაში სიყვარულის ღმერთია, ბევრი მამისა და დედის შვილი. ერთ-ერთმა მამამ (ზევსმა) ახალშობილი ეროსი კინაღამ მოკლა და იგი, მომავალი სიძვის ღვთაება, ერთ-ერთმა გარყვნილმა დედამ (აფროდიტემ) ძლივს გადაარჩინა. მომავალში უმადური შვილი საკუთარ დედასაც არ ინდობს და მასაც, როგორც სხვა ყველას – მოკვდავს და უკვდავს მწვავე სამრუშო ვნებებით აფორიაქებს. ეროსის საპატივცემულოდ ეროტიდიებს აწყობდნენ (შდრ. – დიონისესეული ბაკქანალიები, ორგიები). ეროსი არა მარტო მოპირდაპირე სქესთა, არამედ მამათმავალთა ღვთაებაცაა. იგი თანამეინახეა უბილწესი დიონისესი (ბახუსისა), რომელიც

თავის მხრივ სქესობრივი ჟინის, აღვირახსნილი გარყვნილებისა და ფალოსის (მამაკაცის სარცხვინელის) კულტის ღვთაებაა.

ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე, ეროტიკა ბილწი ღვთაების – ეროსის შესაბამისი უმდაბლესი გრძნობების გამოვლინებაა, საიდანაც ანომალიური სიყვარული (გარყვნილება) და ფსიქიკური აშლილობა – ეროტომანია ვითარდება, რაც ეროტომანიით შეპყრობილ ადამიანებს ამრავლებს და მთელ საზოგადოებაზე შესაბამის გავლენას ახდენს.

სწორედ ეს არის ეროტიკა, რომელიც პორნოგრაფიის მსგავსად სიბილწეს აწარმოებს, ქადაგებს და ავრცელებს. ბილწი ადამიანების გამრავლება სიბილწეს დაამკვიდრებს, რაოდენობა თვისებრიობაში გადავა, შედეგად პიროვნების, ერის და სახელმწიფოს სხეულს და სულს სიბილწე დაეპატრონება. ქვეყნისთვის ეს კატასტროფის ტოლფასია, ხოლო გარყვნილების ბიზნესმენთათვის – არნახული შემოსავლების შესაძლებლობა.

სათანადო მასალები და სპეციალისტები გვიდასტურებენ, რომ ჩვენში უკვე სწრაფად ვითარდება სქესობრივი გაუკუღმართების პრაქტიკულად ყველა სახეობა: ჰომოსექსუალიზმი, პედოფილია, გერონტოფილია, ნეკროფილია, ზოოფილია, ფეტიშიზმი, სადიზმი, ონანიზმი და სხვ. ასევე სწრაფად ვრცელდება გაბილწების თანამდევი ხორციელი და სულიერი სნეულებები: შიდსი, ათაშანგი, გონორეა, იმპოტენცია, შიზოფრენია, ახალგაზრდობის ნიჰილიზაცია, ოჯახური ინსტიტუტის მოშლა, ბავშვთა დაავადებები და სიკვდილიანობა, პროსტიტუცია, ნარკომანია, დამნაშავეობა დას ხვ.

არქიმანდრიტი ლაზარე წერს: „ხორციელ გულისთქმას აყოლა მარტო ერთ ადამიანს კი არა, მთელ ქვეყნებს და ქალაქებს ღუპავს და ანადგურებს, მეფეებს გვირგვინს ხდის და სამხედრო ძალას განაქიქებს“.

სიბილწისათვის დასაჯა ღმერთმა წარღვნით მაშინდელი კაცობრიობა, ცეცხლითა და გოგირდით გაანადგურა სიძვით მოცული სოდომი და გომორა. ახლაც ამ ზღვარს ვუახლოვდებით...

წარმართული საქართველო ბევრი სენისაგან, მათ შორის სიბილწისგანაც ქრისტიანობამ იხსნა. ქრისტიანობის დროს ჩამოყალიბდა წმინდა ურთიერთობა მამაკაცსა და დედაკაცს შორის, შეიქმნა ზნეკეთილი ქართული ოჯახი, რომელიც ყოველთვის სამეურნეო და სახელმწიფოებრივი ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა.

აი, ახლაც საქართველოს საპატრიარქომ ოფიციალურად განაცხადა პორნოეროტიკული მოძალების აღკვეთის აუცილებლობის შესახებ და მოუწოდა ხელისუფლებას წინ აღუდგეს საზოგადოებისათვის ამ მავნე საქმიანობის გავრცელებას.

საპატრიარქოს მიმართვას იხილავს თბილისის მერია, მაგრამ პროკურატურის გარეშე ჯერ ვერ მიუღია ქმედითი გადაწყვეტილება. სასწრაფო საქმე ჭიანურდება, მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდებლობა გადამჭრელი მოქმედების საფუძველს იძლევა (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 232-ე; კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“, მუხლი მე-4).

ჟურნალ-გაზეთების დანიშნულების და მნიშვნელობის შესახებ წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) წერდა: „ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს ერთ უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოებრივი აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება. ... პატივისცემა კერძო პირისა და საზოგადოებისა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველს რიგიანს და მართებულს ჟურნალს თუ გაზეთსა“.

ასეთივე ფუნქციას უნდა ასრულებდეს ნებისმიერი მონაწილე თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ამ პრინციპებს უნდა ემორჩილებოდნენ მესვეურნიც ყოველგვარი ეკონომიკური საქმიანობისა.

ჭეშმარიტი ბიზნესის გზა სიწმინდეშია და არა სიბილწეში!

გიორგი შიხაშვილი.

ჟურნალი „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“. თებერვალი, 1999 წელი, გვ. 45-46

2000 წელი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ შექმნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ (შემდგომში – „ცენტრი“) შეიქმნა ჩემი ინიციატივით და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2000 წლის 8 თებერვალს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრაზე და წარმოადგენს ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს.

ცენტრის შექმნიდან დღემდე მისი დირექტორია მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებული პროფესორი გიორგი შიხაშვილი.

სტუდენტური ცენტრი „იდეას“ ისტორიისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციული სტატია გადმოცემულია წინამდებარე ნაშრომის ბოლოს.

2001 წელი

2001 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატიები:

1. ბიბლიური მოძღვრება მეურნეობის შესახებ და თანამედროვეობა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №4, 2001, გვ. 42-50.
2. მდგრადი განვითარების თეორია – ჰარმონიული ეკონომიკურ-ეკოლოგიური მართვის საფუძველი. *(ფონდი – **„Friedrich Ebert Stiftung“**-ის გრანტით).* საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ბიულეტენი. 2001, №51, გვ. 2-32.

2002 წელი

2002 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატიები:

1. ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა. (ფონდი – **„Friedrich Ebert Stiftung“**-ის გრანტით). საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი. 2002, №71, გვ.2-35.
2. Теологическое осмысление эколого-экономической деятельности – основа устойчивого развития. (კოლექტიური მონოგრაფია, უცხოეთში – გრანტით). В коллективной монографии: От Сциллы к Харибде: Актуальный опыт России. Под ред. Ю. М.Осипова, О.В.Иншакова и др. МГУ, 2002, с. 64-76.

2003 წელი

2003 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატიები:

1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის ბიბლიური გააზრება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ეკონომიკის სერია. ტ.11. 2003, №3, გვ. 248-275.
2. პ.ფ. დრაკერი ამერიკული მენეჯმენტის პერსპექტივების შესახებ. ჟურნალი „ამერიკის შესწავლის საკითხები“. (კრებული II) თბ., თსუ, 2003, გვ. 589-593.

2004 წელი

2004 წელს, მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, ჩვენ მიერ შესრულებული და გამოცემულია 2 მოცულობითი ნაშრომი (მონოგრაფია), მიძღვნილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს შემოქმედებისადმი:

3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. თბილისი, „გეოკერია“, 2004, 333 გვ.
4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისი, „გეოკერია“, 2004, 236 გვ.

ასეთი სახის, სპეციფიკური თემატიკისა და მოცულობის ორივე ნაშრომი იმ დროისათვის პირველად შესრულდა და გამოიცა საქართველოში.





2004 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატიები:

1. О Библейском осмыслении национальной концепции управления хозяйством. *კოლექტიურ მონოგრაფიაში, უცხოეთში – გრანტით)* В книге: Экономическая теория в XXI веке – 2 (9): Национальное и глобальное в экономике. Под ред. проф. Ю. М. Осипова. М., МГУ, 2004, с. 1049-1056.
2. Современные методы преподавания дисциплин по управлению экономикой. *(უცხოეთში)* Журн. Российской Академии Наук «Кавказоведение», Москва, 2004, №5, с. 160-167.

2005 წელი

2005 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატიები:

1. პრეზიდენტის ინსტიტუტი აშშ-ს სახელმწიფოებრივი მართვის სისტემაში. *(აშშ-ს საელჩოს გრანტით).* საერთაშორისო ჟურნალი „ამერიკის შესწავლის საკითხები“. (კრებული III) თბ., თსუ, 2005, გვ. 596-600 თანაავტორი მ.შიხაშვილი
2. ეკონომიკის სახელმწიფო მართვის ზოგიერთი ასპექტი რ. რეიგანის პრეზიდენტობის
3. პერიოდში. *(აშშ-ს საელჩოს გრანტით).* საერთაშორისო ჟურნალი „ამერიკის შესწა-

ვლის საკითხები“.თბ., თსუ, 2005, გვ. 148-151.

4. ეკონომიკური დისციპლინების სწავლების თანამედროვე მეთოდიკა. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, №2, 2005.

აღსანიშნავია, აგრეთვე სახელმძღვანელო და ლექსიკონი:

1. მენეჯმენტის საფუძვლები. *(დამხმარე სახელმძღვანელო – კერძო პირის გრანტით)* თბ., „ინოვაცია“, 2005, 206 გვ. თანავტორები: ნ. პაიჭაძე, თ. ხომერიკი, ბ. ხვინთელიანი
2. მენეჯმენტის ქართულ-ინგლისურ-რუსული ლექსიკონი. *(კერძო პირის გრანტით).* თბ., „ინოვაცია“, 2005, თანავტორი: ბ.ხვინთელიანი

2006 წელი

2006 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატია:

1. მენეჯმენტის სწავლების მეთოდიკა აშშ-ს უნივერსიტეტებში *(აშშ-ს საელჩოს გრანტით)* საერთაშორისო ჟურნალი „ამერიკის შესწავლის საკითხები“. (კრებული IV) თბ., თსუ, 2006, გვ. 478-483. თანაავტორი: მ.შიხაშვილი

2008 წელი

2008 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატიები:

1. ბიზნეს-ტრენინგები პროექტების მეთოდის გამოყენებით. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, №5, გვ. 119-132.
2. ქართული ამერიკისმცოდნეობის ეკონომიკური ასპექტები *(მოხსენება* საერთაშორისო *კონფერენციაზე).* საერთაშორისო ჟურნალი „ამერიკის შესწავლის საკითხები“. (კრებული V) თბ., თსუ, 2008, გვ. 543-548 *(აშშ-ს საელჩოს გრანტით).* თანაავტორი: მ.შიხაშვილი

2009 წელი

2009 წელს გამოიცა ორი სქელტანიანი წიგნი:

1. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. *(კოლექტიური მონოგრაფია).* თბილისი, „მერიდიანი“, 2009, 367 გვ. თანაავტორები: მღვდელი ბასილ ახვლედიანი, ნიკოლოზ ბაკაშვილი
2. საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის საფუძვლები *(სასწავლო-სამეცნიერო კრებული – ლექციების კურსი და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები).* თბილისი, „რწმენა და საქმე“, 2009, 210 გვ. თანაავტორები: მღვდელი ბასილ ახვლედიანი, დ. ჩიკვაიძე, ი. გაგნიძე, ე. გულუა და სხვ.



2010 წელი

2010 წელს გამოიცა ლექციების კურსი:

1. პროექტების მენეჯმენტი. (ლექციების კურსი) თბ., „მერიდიანი“, 2010, 262 გვ. თანაავტორი – კ.რუსიძე

2010 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატია:

1. ჯანდაცვის მართვის სინერგიული მოდელის შესახებ. *(მოხსენება კონფერენციაზე)* სამეცნიერო შრომების კრებული საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში“თბ., სესსუ 2010, გვ. 204-209.

2012 წელი

2012 წელს გამოიცა 2 სახელმძღვანელო:

1. პროექტების მენეჯმენტი. *(სახელმძღვანელო).* თბ., „მერიდიანი“, 2012. 290. გვ მ.გედევანიშვილი, კ. რუსიძე
2. პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა. *(სახელმძღვანელო).* თბ., „მერიდიანი“, 2012. 160 გვ. გ. შიხაშვილი, გ.ერქომაიშვილი. ც. დალაქიშვილი


კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
გიორგი შიხაშვილი
მარინა გედევანიშვილი
კახაბერ რუსიძე
პროექტების მენეჯმენტი
პროექტების მენეჯმენტი
გიორგი შიხაშვილი, მარინა გედევანიშვილი, კახაბერ რუსიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა
სახელმძღვანელო
შემდგენლები:
გიორგი შიხაშვილი, გულნაზ ერქომაიშვილი,
ციცინო დალაქიშვილი
კონტრიბუტორი
ნინო ანასტასიადი
თბილისი 2012

2012 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატია:

1. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, № 6, გვ. 33-44.

2013 წელი

2013 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატიები:

1. სატრენინგო პროექტი: „პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა“. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2013, №4, გვ. 153-170.
2. საქართველოში აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მმართველობითი და საორგანიზაციო-საპროექტო ასპექტები. შრომების კრებული II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა – „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“. თბილისი, 2013
3. თეოლოგიური ეკონომიკის არსი, მიზანი, ამოცანები.. მოხსენებათა კრებული VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა „ქრისტიანობა და ეკონომიკა“. გორი, 2013, გვ. 107-113.

2014 წელი

2014 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატია:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ საქმიანობა და სამომავლო გეგმები. შრომების კრებული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა – „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“ – მესტია. თბილისი, 2014, გვ. 35-41. თანაავტორი – დ. ნარმანია

2015 წელი

2015 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატიები:

1. ისრაელის მიწათსარგებლობის ბიბლიური ასპექტები. შრომების კრებული II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა – „საქართველო -ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ — სიღნაღი. თბილისი, თსუ, 2015, გვ. 29-33. თანაავტორი: ნ. ქიტიაშვილი
2. ინფორმაციული წყაროები ეკონომიკური საქმიანობისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის ქრისტიანული გაზრებისათვის. შრომების კრებული I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა – „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“. თსუ, 2015, გვ. 348-355.

2016 წელი

2015 წელს გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი სტატიები:

1. თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის სამეურნეო-სამართლებრივი ასპექტები ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში. მოხსენებათა კრებული IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა „ქრისტიანობა და ეკონომიკა“. თბილისი-ქუთაისი. თსუ, 2016, გვ. 31-37 თანაავტორი – თ. ბერიძე
2. ლიტვის ჟურნალში: OIKONOMOS: Journal of Social Market Economy. Vilnius, Lituania, 1 (4), 2016, p. 24-27.

Гиорги Шихашвили,
Доктор экономики, асоц. профессор Факультета
экономики и бизнеса Тбилисского государственного университета

Место Церкви в структуре общества с точки зрения трехсекторности национального хозяйства

Аннотация

Учитывая Богочеловеческую природу и миссию Церкви, сферу ее деятельности, следует представить в виде круга, полностью охватывающего всю деятельность государства, бизнеса и НКО и одновременно возвышающегося над ними, называясь Высшей, Блаженной, Божественной сферой жизни и развития человечества.

Изложенные в статье соображения и суждения создают возможности с Богочеловеческих позиций подходить к осмыслению истинного места и роли Церкви в современном обществе. Именно на такой Богоустановленной основе в Православных странах следует разрабатывать и осуществлять надлежащие общенациональные концепции, модели и программы социально-экономического развития общества.

Ключевые слова: Структура секулярного общества. Трехсекторность национального хозяйства. Церковь – Божественное учреждение. Миссия Церкви. Боговдохновенное развитие человечества. Место Церкви в структуре общества.

Церковь, как религиозное объединение, в разных странах имеет различный организационно-правовой статус. Например, Православная Церковь Грузии имеет официальный статус Юридического лица публичного права и не регистрирована как религиозное обьединение, или как НКО.

Структура современного секулярного общества осмысливается как разделенный на три сектора круг: 1) государство, 2) бизнес-сфера и 3) сфера деятельности некоммерческих организации (НКО). Именно с такой точки зреня и следует определить место Церкви в современной организационной структуре общества, что является важным теологическим и теоретико-методологическим вопросом.

Церковь _ это Божественное учреждение, в котором Святой Дух подает людям благодатные силы для духовного возраждения и нравственного развития личности, семьи, общества, государства и всего человечества с целью достижения Царства небесного и вечного блаженства («обожения»). В этом заключается Богоустановленная миссия Церкви Христовой. Для выполнения такой Богочеловеческой миссии Церковь использует весь свой богатейеший духовный и материальный потенциал.

Основными целями существования современных НКО является благотворительная деятельность и содействие решению экологических проблем. Большинство современных НКО и исследователей несправедливо приписывают хронологическое первенство в проведении благотворительности не Церкви, а гражданским некоммерческим организациям начиная с XVI – XVII веков.

Между тем, библейское учение гласит, что:

- Благотворительность заповедано _ «Много замыслов в сердце человека, но состоится только определенное Господом. Радость человеку _ благотворительность его» (Притч.19, 21-22);
- Христос Сам был образцом добрых дел _ «. . . Он ходил, благотворя и исцеляя всех . . .» (Деян. 10, 38);
- Милосердие Божие должно служить людям примером _ «Итак, будьте милосерды, как и Отец ваш милосерд» (Лук. 6, 36), за что они получат высшее вознаграждение _ «Блаженны милостивые, ибо они помилованы будут» (Мат. 5, 7).

Библейское учение о милосердии распространяется и на творение Бога – природе,

животных и растениях. Это отразилось в древней грузинской народной мудрости: «Сохрани лес потомству, это твой отцовский долг». Этому созвучен современный, выработанный ООН основной принцип Концепции устойчивого развития, который гласит, что сегодняшнее развитие не должно осуществляться во вред интересам общественного развития и охраны окружающей среды на благо нынешнего и будущих поколений [см.: 6. с. 36].

Позиция Церкви по отношению к решению экологических проблем носит истинно научный характер, так как Церковь выявляет реальную причину эколого-экономического кризиса (греховность, духовный кризис человечества) и указывает действенный путь решения проблемы (оставление грехов и духовное возрождение).

Церковь является Богоустановленным учреждением (в отличие от всех организаций всех трех секторов). Ее цель состоит в заботе о нравственном благополучии общества, через которое обеспечивается победа отдельных людей и всего человечества над смертью и вечное блаженство в Царстве небесном. Поэтому такую миссию не может иметь ни одна организация всех трех секторов.

Земные проблемы человечества (в том числе и эколого-экономические) по божьему допущению возникают из-за греховности людей. Поэтому решение таких вопросов достигается только через религиозное (нравственное) очищение общества и находится исключительно в Руках Божиих. Поэтому, стремясь к нравственному очищению общества, Церковь, одновременно, в своих молитвах просит Всемогущего Господа Бога «о благорастворении воздухов, о изобилии плодов земных и временех мирных». Нетрудно заметить, что в этой молитве содержатся комплексные экологические (блогорастворение воздуха), экономические (продукты труда – плоды земные) и политические (мирные времена) состовляющие общественного благосостояния, совокупное осмысление и осуществление которых раскрывает саму сущность современной теории и практики устойчивого развития.

Невозможно представить, что осмыслить и действовать по всем этим направлениям сможет какая либо организация любого из трех секторов общества. Это еще один фактор, отличающий Церковь от любой другой организации. Исполняя такую функцию, в процессе своей деятельности, Церковь стирает грани между всеми тремя секторами.

Ни одна организация всех трех секторов (фонд, НКО, корпорация, государство, блоки государств, мировое сообщество) в мире не сможет найти для поддержки своей деятельности такого всемогущего попечителя, каким является Бог, ни одна организация в мире не сможет быть таким всеблагим попечителем, каким является Господь.

Церковь учитывает абсолютно все стороны земной жизни, указывая путь, с помощью которого человечество сможет познать истину, чем и обеспечит себе победу над смертью и вечную жизнь в Царстве небесном. Господь Иисус Христос говорит нам: «Я есмь путь и истина и жизнь» (Ин. 14, 6). Именно такое развитие может быть по-настоящему устойчивым. **А точнее, такое развитие нужно именовать как Боговдохновенное, Синергичное, Гармоничное развитие общества (человечества).**

Церковь является организацией, которая учреждена богом. Миссия Церкви заключается в том, чтобы с синергическим соработничеством с Богом обеспечить человечеству вечную жизнь в Царстве небесном.

Своим предназначением и значимостью Церковь стоит выше всех личностей, организаций, институтов, секторов общества. Исходя из своей миссии, Церковь распространяет свою заботу и практическую деятельность на все три сектора общества, с целью объединения и сплачивания их на духовной, теологической основе. Этим Церковь показывает, что наряду с земными заботами, в первую очередь необходимо думать о делах вышних.

Исходя из совершенно особенной, Богоустановленной природы и миссии Церкви, ее невозможно и несправедливо приравнять к какому либо из трех секторов национального хозяйства. Церковь стоит выше всех земных, светских организаций. Однако, так как она активно участвует в земной жизни, то следует, хотя бы условно определить ее место по отношению к другим секторам общества.

Церковь, по своей Божественной природе и миссии, является наивисшим учреждением

на земле. Из-за особенностей своей земной деятельности, Церковь нельзя приравнять ни к одному из трех секторов национального хозяйства. Миссии Церкви принадлежит та сфера общественной жизни, о которой не знают, не могут, да и не желают заботиться ни секулярное государство, ни бизнес, ни НКО.

Сфера деятельности Церкви является практически чуждой, недоступной и ненужной для существующих ныне трех секторов национального хозяйства. Церковь стоит обособленно и имеет своего Всемогущего и Всеблагого попечителя – Господа Бога. Следовательно, можно говорить, что в общественной жизни существует специфический, пока еще незамеченный, непризнанный светской наукой некий четвертый (но никак – по важности) Божественный сектор. Мы бы назвали такой сектор Главным (или Высшим), оставив существующим трем секторам нынешную их нумерацию.

Вместе с тем, учитывая Богочеловеческую природу и миссию Церкви, сферу ее деятельности, на наш взгляд, следует представить в виде круга, полностью охватывающего всю деятельность государства, бизнеса и НКО и одновременно возвышающегося над ними, называясь Высшей, Блаженной, Божественной, Богоуправляемой сферой жизни и развития человечества.

Изложенные в настоящей статье соображения и суждения, на наш взгляд, создают возможности с теологической позиции подходить к осмыслению истинного места и роли Церкви в современном обществе. Именно на такой Богоустановленной основе в Православных странах (России, Украине, Белоруси, Грузии и др.) следует разрабатывать и осуществлять надлежащие общенациональные концепции, модели и программы социально-экономического развития общества.

Литература

1. Библия. М., Российское Библейское Общество, 1997
2. Библейский богословский словарь. Под ред. В. Михайловского. М., 1995
3. Святейший и Блаженнейший Католикос-Патриарх всея Грузии Илиа II об актуальных вопросах социально-экономического развития (1977-2004). Составитель-издатель Г. Шихашвили. Тбилиси, «Геокериа», 2004 (на грузинском языке)
4. И. Зейпель. Хозяйственно-этические взгляды Отцов Церкви. Пер. с немецкого с предисловием С. Н. Булгакова. М., 1913
5. Программа действий. Повестка дня на 21 век. Сост. М. Китинг. Женева, 1993
6. Г. Шихашвили. Теологическое осмысление эколого-экономической деятельности – основа устойчивого развития. Известия АН Грузии, серия экономическая, т. 9, 2001, №1-2

Giorgi Shikhashvili

Place of the Church in the Structure of Society in Terms of Three Sectoral National Economy

Annotation

Given the divine-human nature and mission of the Church, the scope of its activities, should be represented in the form of a circle, completely covering all the activities of government, business and NGOs, while towering over them, being called Higher, blessed, divine sphere of the human life and development.

The presented ideas and opinions creates opportunities to position theanthropic approach to understanding the true place and role of the Church in modern society. It is on this basis divinely established in Orthodox countries should develop and implement appropriate national concepts, models and programs

of socio-economic development of society.

Keywords: The structure of the secular society. Three sectoral national economy. Church _ Divine institution. The mission of the Church. Divinely inspired human development. Place of the Church in the structure of society.

.....

3. მოხსენებათა კრებულში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2016, გვ. 543-547.

გიორგი შიხაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

თვითმენეჯმენტის თეორიიდან პრაქტიკისაკენ: კარიერის დაგეგმვისა და შექმნის პრინციპები

ანოტაცია

თანამედროვე საზოგადოებისთვის მეტად აქტუალურია მსჯელობა პრაქტიკული თვითმენეჯმენტის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებაზე, როგორიცაა კარიერის დაგეგმვისა და შექმნის საკითხები.

სტატიაში გადმოცემული თანამედროვე დასავლური სამეცნიერო და საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები დაეხმარება ფართო საზოგადოებას და ზრდასრულ ადამიანებს, აღმოაჩინონ და აკეთონ საყვარელი საქმე და იცხოვრონ ისეთი ცხოვრებით, როგორსაც იმსახურებენ.

* * *

ჩვენი მიზანია დაინტერესებულ ადამიანებს მივაწოდოთ თვითმენეჯმენტის თეორიიდან გამომდინარე მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, თუ როგორ აღმოაჩინონ, გამოავლინონ და სრულყონ საკუთარი ინტერესები, ხასიათის თავისებურებანი და პიროვნული ფასეულობები, ძლიერი მხარეები, როგორ დაგეგმონ კარიერა, როგორ სრულყონ უნარ-ჩვევები. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს მათ მიერ სამსახურებრივი და ცხოვრებისეული წარმატებების მიღწევას.

საკვანძო სიტყვები. ვინ ხართ თქვენ. ღრმად ჩაწვდით და მართეთ საკუთარი თავი. სამუშაო ბაზრის ტენდენციები. მცირე ბიზნესის დაწყება.

* * *

თანამედროვე დასავლური სამეცნიერო და საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები დაეხმარება ფართო საზოგადოებას და ცალკეულ ადამიანებს აღმოაჩინონ და აკეთონ საყვარელი საქმე და იცხოვრონ ისეთი ცხოვრებით, როგორსაც იმსახურებენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობა და ასაკი არასდროს არის ძალზედ ადრე ან გვიან – აღმოვაჩინოთ ჩვენთვის საუკეთესო კარიერა.

ქვემოთ ვიმსჯელებთ კარიერის დაგეგმვისა და შექმნის აქტუალურ საკითხებზე და დავსახავთ დასახული მიზნების მიღწევის პრაქტიკული გზებს.

I. ვინ ხართ თქვენ?

კითხვა – „ვინ ვარ მე?“ ხშირად ჩნდება ჩვენს ცხოვრებაში, უკვე 20-30 წლის ასაკში გარკვეულად ჩამოყალიბებული წარმოდგენა გაგვაჩნია მის შესახებ. როდესაც მივაღწევთ 40, 50 და 60 წელს, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამ კითხვას კვლავ ვუსვამთ საკუთარ თავს.

ეს არის კითხვა, რომელიც საჭიროა ხშირად გავუმეოროთ საკუთარ თავს, რაც ჩვენთვის სასურველი კარიერის ძიების პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ხომ მართალია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობას 10 წლის მანძილზე უყურადღებოდ არ დატოვებთ? იგივე დამოკიდებულება გვმართებს კარიერითა და ცხოვრების სტილით დაკმაყოფილების დონის მიმართ, ვინაიდან ჯანმრთელობა, ცხოვრებისეული ბედნიერება და კარიერული წარმატება ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული.

ცხოვრების მანძილზე გავდივართ ზრდისა და განვითარების ეტაპებს. ყოველი ეტაპი წარმოგვიდგენს ახალ სფეროებს, რომლებზე ფოკუსირების საშუალებითაც განვსაზღვრავთ, თუ როგორი ტიპის ინდივიდები, პიროვნებები, მეგობრები, პარტნიორები, მშობლები ვართ ჩვენ კარიერის დაწყების, კარიერის პიკისა და პენსიაზე გასვლის სტადიებში. ყოველივე ამის გამო აუცილებელია მუდმივად ვიზრუნოთ წარმატებული კარიერის მიღწევის გზების დასახვა-განხორციელებისათვის.

ჩაუტარეთ ანალიზი საკუთარ თავს, დაიწყეთ თითოეული ასპექტის შესწავლით და ჩამოწერეთ თქვენი მოსაზრებები ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტების მიხედვით.

1. რა არის ჩემი ფასეულობები?

ფასეულობები – ეს არის დამოკიდებულება და რწმენა ყოველივე იმისადმი, რაც ჩვენს ცხოვრებაში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მათი დემონსტრირება ხდება შესაბამისი ქცევების საშუალებით აღნიშნულ ფასეულობებთან მიმართებაში. ფასეულობები ძირითად როლს ასრულებენ ჩვენ მიერ სამუშაოს ტიპის, სამუშაო გარემოს, ცხოვრების სტილის შერჩევის საქმეში, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და შესრულებადია.

2. რისი გაკეთება მომწონს?

ეს თქვენი ინტერესებია და ყოველივე ის, რისი გაკეთებაც მოგწონთ, გსიამოვნებთ და გეხერხებათ. გაიხსენეთ ბოლო სამი თვე და ჩამოწერეთ ის, რასაც აკეთებდით ამ პერიოდის განმავლობაში და რისი გაკეთებაც გსიამოვნებდათ.

3. ყველაზე უკეთ რა გამომდის?

ის, რისი გაკეთებაც საუკეთესოდ გამოგვდის, სავარაუდოდ, ჩვენი ნიჭია ან უნარები, რომელთა გაკეთება უკეთესად შეგვიძლია. გაიაზრეთ, თუ რა გამოგდით ყველაზე კარგად.

4. სად მინდა ვცხოვრობდე?

ბევრი ადამიანისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი კითხვაა მათი კარიერული და ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მოგწონთ სხვადასხვა კულტურის მქონე ადგილებში ცხოვრება? გჭირდებათ გარკვეული კლიმატი ჯანმრთელობის თვალსაზრისით? ფიქრობთ, რომ თქვენი საქმიანობა უფრო მომგებიანი იქნება გარკვეულ ადგილებში ან კლიმატური პირობების გამო? ამჟამად, სად გსურთ იცხოვროთ და რატომ?

5. რა რაოდენობის თანხა მსურს მქონდეს?

კარგად უნდა გესმოდეთ, რომ ფული მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია თქვენთვის კარიერის შერჩევისას ან იმაში უნდა იყოთ დარწმუნებულნი, რომ თქვენ მიერ გაკეთებული საქმის გამორჩეულობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და ფული ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. გაიაზრეთ, თუ რა რაოდენობის თანხის გამომუშავება გსურთ ყოველწლიურად. რა რაოდენობის თანხა გსურთ იქონიოთ და რატომ?

მინიმუმი, რომელიც საჭიროა იცოდე:

1. გამორიცხეთ ის სამუშაოები, რომლებიც ნამდვილად არ მოგწონთ – ამით ოპტიმალურად შეამცირებთ გასააზრებელ არეალს;
2. გაიაზრეთ თქვენი ფასეულობები, ვინაიდან სწორედ ისინი გამოძრავებენ კარიერის დაგეგმვის საკითხში გადაწყვეტილებების მიღებისას;
3. გაითვალისწინეთ, რომ კარიერასთან დაკავშირებით გაკეთებული არჩევანი შეგეცვლებათ ცხოვრებისეული და სამუშაო გამოცდილების კვალობაზე.

II. ღრმად ჩაწვდით საკუთარ თავს, გაიაზრეთ სამუშაო ბაზრის ტენდენციები

თქვენთვის საოცნებო და ბედნიერების მომტანი კარიერის აღმოჩენა იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე იმის გაგება, თუ რა გსურთ თქვენ. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმის იმის მკაფიოდ დადგენა, თუ რა გეხერხებათ კარგად და რომელი ტიპის სამუშაო შეესაბამება ყველაზე უკეთ თქვენს ფასეულობებს, ტემპერამენტსა და ინტერესებს.

იმის დადგენაში, თუ ვინ ხართ და რა გსურთ, შეუფასებელ სამსახურს გაგიწევთ თვითშეფასება. თვითშეფასება – ეს არის თქვენი პიროვნული ღირსებებისა და თვისებების გამოვლენა, რაც გეხმარებათ საკუთარი ძლიერი მხარეების დადგენაში.თვითშეფასებას შეუძლია უზრუნველგყოთ საჭირო ინფორმაციით თქვენი ფარული ტალანტების, პიროვნული თვისებებისა და ინტერესების შესახებ, რის შედეგად თქვენ შეიტყობთ ბევრ მნიშვნელოვან რამეს მთლიანად საკუთარი თავის შესახებ და აღმოაჩენთ თქვენი საოცნებო კარიერისკენ მიმავალ გზას.

ოცნებები. ოცნებები ინფორმაციის წყაროა. გაიხსენეთ ის ოცნებები, რომლებიც გაგაჩნდათ ახალგაზრდობაში და კვლავ მიილტვით მათკენ. ეს ოცნებები შეიძლება იყოს იმ ელემენტთა ძირითადი გასაღები, რომლებიც განსაზღვრავენ იმას, თუ ნამდვილად რას ნიშნავს თქვენთვის შესანიშნავი კარიერა. ოცნებების გადამოწმებასთან ერთად თვალი მოავლეთ თქვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს და განსაზღვრეთ, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ ახლა.

იმის გაანალიზება, თუ რამდენად გაკმაყოფილებთ თქვენი სამსახური, ფინანსური შემოსავალი, ოჯახი და სამეგობრო წრე, ჯანმრთელობა, გონება, სულიერი მდგომარეობა, სამუშაო და საცხოვრებელი გარემო, გართობა და რეკრეაცია, თქვენ მოგცემთ უფრო მეტ მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გსურთ გქონდეთ მომავალში ნაცვლად დღევანდელისა. ეს არის გარკვეულწილად შემდგომი ნაბიჯი ოცნებების დროში წინსვლის წანამძღვრების შესაქმნელად.

ფასეულობები. ფასეულობები – ეს არის დამოკიდებულებები და რწმენები, რომლებიც გავლენას ახდენენ თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებზე. იმის მიუხედავად, თუ რისი სწამთ სხვებს, შესაძლებელია იპოვოთ კარიერა, რომელიც შეათავსებს სამუშაოს თქვენს ფასეულობებთან.

პიროვნული თვისებები.თქვენი პიროვნება იმაზე უფრო მეტია, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ. იგი თქვენი ყველა თვისებისა და მახასიათებლების საერთო ჯამია. ეს კომპლექსური სისტემა მოიცავს ემოციურ მახასიათებლებს, ტემპერამენტს, გონებრივ შესაძლებლობებსა და ქცევებს, რომლებიც თქვენ განუმეორებელს გხდიან. თქვენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელსაც შეუძლია დაგეხმაროთ თქვენთვის საოცნებო კარიერის მოძიებაში, შეიძლება არ იყოს ის თვისება, რომელსაც თქვენ უკვე იცნობთ.

მოტივაცია. გაქვთ თუ არა წარმოდგენა თქვენი მოტივაციების შესახებ? რა გაძლევთ ენთუზიაზმით დღის დაწყების საფუძველს? ზოგი მოტივაცია ეფუძნება საჭიროებებს და კომუნიკაციებს, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლებიან (მაგალითად, ფული; აღიარებული და დაფასებული ურთიერთობები, რომელთაც საზოგადოების და სულიერების განვითარებაში შეაქვთ წვლილი).

სხვა მოტივაციები უფრო სიღრმისეულია, მაგალითად, რეალურად რას ვაფასებთ ჩვენს კარიერაში:

- *ცხოვრების ტიპის შეფასების ოთხი კოლოფი* დაგაფიქრებთ და დაგეხმარებათ განსაზღვროთ პრიორიტეტები თქვენი მოტივაციის ოთხი ძირითადი სფეროს მიმართულებით: უსაფრთხოება, ურთიერთობები, აღიარება და ანაზღაურება.
- *კარიერის ღუზები, რეალური ფასეულობების განსაზღვრა.*

მაგალითად:

1. საკუთარი თავის ექსპერტად ხედვა;
2. სხვათა მართვისა და ხელმძღვანელობის სურვილი;
3. დამოუკიდებლად მუშაობა;
4. მიმდინარე უსაფრთხოებით სარგებლობა;
5. მეწარმედ ყოფნა;
6. მომსახურების უზრუველყოფა;
7. გამოწვევების მიღება;

8. ცხოვრების სპეციფიკური სტილით სარგებლობა.

ინტერესები. ინტერესების გათვალისწინება ხშირად ბევრს ავიწყდება. ათეული წლების განმავლობაში, ადამიანები ირჩევენ კარიერას მათი ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინების გარეშე. ამიტომ, ბევრი პროფესიონალი ვერასოდეს განიცდის სამუშაოსგან მიღებულ სიამოვნებას.

უნარები. თვითშეფასებას შეუძლია ზუსტად განსაზღვროს თქვენი უნარები. ამ უნარებში შედის ის გამოცდილებაც, რაც თქვენ სამსახურებრივი და ცხოვრებისეული პრაქტიკიდან მიიღეთ.

ასეთი უნარები სამ ძირითად კატეგორიად იყოფა:

- გადაცემადი ან ფუნქციონალური უნარები: უნარები, რომელთა გადაცემა მარტივია ერთი სამუშაოდან მეორეზე, მაგალითად, ბეჭდვა ან კომპიუტერული პროგრამის ცოდნა;
- ადაპტირებადი უნარების თვითმართვა: ქცევითი უნარები, რომლებიც შესრულებული სამსახურებრივი და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან შეიძინეთ. მაგალითად, თქვენ შესანიშნავად ახერხებთ დაძაბულ გარემოში მუშაობას ან კარგი კომუნიკატორი ბრძანდებით;
- ტექნიკური ან სამუშაო შემცველობის უნარები: უნარები, რომლებიც სპეციფიკური განათლების შედეგად მიიღეთ, მაგალითად, მასწავლებლის ან ბუღალტრის დიპლომი.

ცხოვრებისეული სტილი. ნათელი წარმოდგენის შექმნა ცხოვრების ისეთი სტილის შესახებ, რომელსაც უპირატესობას ანიჭებთ, მოიცავს იმის აღქმას, თუ რა ოდენობის ფინანსური სახსრები გესაჭიროებათ იმისათვის, რათა უზრუნველყოთ საჭირო ბალანსი კარიერასა და ოჯახურ ცხოვრებას შორის. როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი სამუშაო საათების შემდეგ ან დასვენების დღეებში? რა არის თქვენს ცხოვრებაში თქვენთვის მნიშვნელოვანი – ურთიერთობები, დასვენება, გართობა თუ საზოგადოებრივ საქმიანობებში მონაწილეობის მიღება? შეფასების მოცემულ არეს არსებითი მნიშვნელობა გააჩნია თქვენი კარიერის არჩევანის გაკეთებისას.

იდეალური სამუშაო გარემო. რა ტიპის სამუშაო გარემო მოგწონთ? მაგალითად, მოგწონთ თუ არა მარტო მუშაობა? ვერ იტანთ ოფისზე მიჯაჭვულობას? იქიდან გამომდინარე, თუ როგორ უპასუხებთ მსგავსი ტიპის კითხვებს, შეგიძლიათ განსაზღვროთ კარიერის სფეროები, სადაც თქვენ უფრო კომფორტულად და ბედნიერად იგრძნობთ თავს. ეს, აგრეთვე, დაგეხმარებათ უფრო დაკონკრეტდეთ ისეთი ორგანიზაციის მოძიების პროცესში, რომელიც თქვენთვის კარგი სამუშაოს ცნებას ყველაზე მეტად შეესაბამება.

სამუშაობაზრის ტენდენციები. სამუშაო ბაზრის ცვლილებათა ტენდენციების გაცნობიერება დაგეხმარებათ გამოიყენოთ შესაძლებლობები ახლა და მომავალში. აუცილებლად უნდა იყოთ საქმის კურსში, თუ რომელი სამუშაოს ტიპებია დღეს ყველაზე მოთხოვნადი. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე შესაძლებლობაზე ერთად ფიქრობთ და ერთ-ერთი მოთხოვნა ძალზედ მაღალია, შეგიძლიათ დაიწყოთ აღნიშნული ტიპის სამუშაოს განხილვით.

შრომის ბაზარზე საუკეთესო სამუშაოებად ითვლება დაბალი სტრესის, კარგი სამუშაო პირობების და სერიოზული ანაზღაურების მქონე სამსახურები.

სამუშაო ბაზარზე მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვნად დაგეხმარებათ თქვენი ყველა მოთხოვნის შესატყვისი კარიერის განსაზღვრაში.

სამუშაო ბაზრის ტენდენციების საშუალებით შესაძლებელია განსაზღვროთ ყველაზე მოთხოვნადი სამუშაო როგორც ამჟამინდელი მდგომარეობით, ისე ახლო მომავლის თვალსაზრისით.

ბაზრის ტენდენციების შესწავლით შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია ისეთი ახალი სამუშაო სფეროების გამოჩენის შესახებ, სადაც აქცენტი კეთდება განათლებასა და ტრენინგზე. ამიტომ აუცილებელია საკუთარ თავზე მუშაობა, რათა გავხდეთ სასურველი კადრი მთელი ჩვენი ცხოვრების პერიოდში.

III. მცირე ბიზნესის დაწყება – წარმატებული თვითდასაქმების საწინდარი

საკუთარი ბიზნესის დაწყებისას აუცილებელია შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინება:

- რა ბიზნესს ირჩევთ და რას მოგიტანთ იგი თქვენ? რა პრობლემების ან საკითხების გადაჭრას უზრუნველყოფს იგი სხვებისთვის? რა პროდუქციას ან მომსახურებას მიაწვდით ბაზარს? სად და როგორ იპოვით საკუთარ ადგილს ბაზარზე?
- ვინ არიან თქვენი იდეალური დამკვეთები ან კლიენტები? რა ბაზრებზე აპირებთ ორიენტაციას?
- როგორ აცნობთ მომხმარებელს საკუთარ საქმიანობას და რას სთავაზობთ მას? კონკრეტულად სად არის თქვენი ბიზნესისთვის გათვლილი ბაზარი? როგორ შედიხართ ბაზარზე და როგორ ქმნით ქსელს, რომელიც ბაზარზე თქვენთვის და თქვენთან ერთად იმუშავებს? რა ტიპის მარკეტინგული ინსტრუმენტები გესაჭიროებათ? გჭირდებათ თუ არა ვებ-გვერდი?
- რა ტიპის და ოდენობის ფინანსური ინვესტიცია გჭირდებათ ბიზნესის დასაწყებად? როგორ და საიდან იზიდავთ ფინანსებს ბიზნესის დასაწყებად? როგორია თქვენი კრედიტუნარიანობა? როგორ აწარმოებთ ფინანსურ ანგარიშებს? გჭირდებათ თუ არა ბუღალტერი? რა ტიპის ჩანაწერების წარმოება მოგიწევთ? რა საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებთ?
- რომელი იურიდიული მომენტების გათვალისწინება დაგჭირდებათ თქვენს ბიზნესთან დაკავშირებით? რა სახის მოვალეობები და პასუხისმგებლობა გეკისრებათ თანამშრომლების დაქირავების შემთხვევაში?
- როგორ შეადგენთ ბიზნეს-გეგმას, რომელშიც უნდა აისახოს პასუხები და ანგარიშები ყველა ზემოჩამოთვლილ კითხვაზე?

თქვენს ბიზნესში წარმატების მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია სათანადო დონის ოფისის მოწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენი ბიზნესის განვითარებას.

ოფისში საჭიროა უზრუნველყოთ შემდეგი:

- კარგი განათება. ყველაფერს უნდა ხედავდეთ ნათლად და განათებამ უნდა შექმნას გამახალისებელი და არა ძილის მომგვრელი გარემო;
- ჰაერის კარგი დენადობა. აუცილებელია ფანჯრიანი ოთახი და კონდიციონერი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ მიიღოთ სათანადო ტემპერატურის ჰაერი წლის ნებისმიერ დროს;
- ავეჯი და სამუშაო ტექნიკა;
- საკომუნიკაციო საშუალებები და საკანცელარიო ინვენტარი.

ფარული რეალობები. საჭიროა მოემზადოთ ზოგიერთი ფარული რეალობისთვის, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეთ საკუთარი ბიზნესის წარმოების დროს.

ამ მხრივ, სავარაუდოდ, მოსალოდნელია შემდეგი:

- საბაზრო სიტუაცია. ბაზარზე თქვენი პროდუქციის ან მომსახურების გატანისათვის ჩაატარეთ წინასწარი მარკეტინგული კვლევა. შეისწავლეთ ფასები. გაითვალისწინეთ სარეკლამო ხარჯები, ამასთან, მოიძიეთ რეკლამირების უფასო საშუალებები (მაგალითად, ღონისძიებებზე გამოდით სიტყვით, ან მიეცით ინტერვიუ ადგილობრივ გაზეთს);
- ცხოვრება ხელფასის გარეშე. ბიზნესი არის ცხოვრების სრულიად განსხვავებული გზა. თქვენ ალბათ მიჩვეული იყავით და იცოდით, თუ რა თანხას აიღებდით ხელფასის სახით ყოველ კვირას ან ყოველ თვეს. ახლა თქვენ გადახვედით თქვენი პროდუქციის ან მომსახურების გაყიდვაზე და ზოგჯერ მაშინვე არ იღებთ თქვენს კუთვნილ ფულს. ხშირად თქვენ მოგიწევთ საქონლის გაცემა ნისიად, გარკვეული განვადებით. ასეთი გარემოების დასაძლევად საჭიროა იქონიოთ კრედიტი და ნაღდი სარეზერვო ფული გადასახადების გადახდისას პრობლემებისგან დაზღვევის მიზნით. აწარმოო საკუთარი ბიზნესი – ნიშნავს იმას, რომ იყო საკუთარი თავის კრედიტორი.

მართე საკუთარი თავი

მცირე ბიზნესში წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს თვითმენეჯმენტი.

მიზნების მისაღწევად თქვენ მოგეთხოვებათ შემდეგი:

- აწარმოეთ ჩანაწერები იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში;

- წარმოიდგინეთ, თუ როგორ განახორციელებთ დაგეგმილ ქმედებებს;
- შექმენით კვლევისა და განვითარების ჯგუფი, რომელიც იმუშავებს მარკეტინგის, იდეების შეფასების, ახალი პროდუქციისა და განფასების კვლევის საკითხებზე;
- შექმენით ანგარიშგების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყოველდღიურად ვინმე ახლობელს (ტრენერს, მეგობარს, პარტნიორს) საკონსულტაციოდ წარუდგენთ ანგარიშს შესრულებული საქმიანობის შესახებ;
- აუცილებლად წაახალისეთ და დაარწმუნეთ საკუთარი თავი რაიმე ღონისძიების, პროექტის დასრულებისას; აწარმოეთ ჩანაწერები თქვენი წარმატებების, სწავლებისა და იდეების შესახებ, რათა სიამოვნებით და დარწმუნებით გაიხსენოთ და გაიაზროთ მიღწევები. დღის განმავლობაში მშვიდად ყოფნის პერიოდში დარწმუნებით გაუმეორეთ საკუთარ თავს, თუ ვინ ხართ და ვინ გსურთ გახდეთ;
- ვარჯიში და ჯანსაღი კვება;
- იცნობდეთ თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებს. აიყვანეთ დამხმარე (მაგალითად, ასისტენტი, ვებ-გვერდის დიზაინერი, ბუღალტერი, მარკეტინგის სპეციალისტი და სხვ.) ისეთი საქმეების შესრულებისთვის, რომლებიც თქვენ კარგად არ გამოგდით.
- მიაქციეთ ყურადღება საკუთარ ინტუიციას, გრძნობებსა და ფიქრებს. გამოიყენეთ ისინი სახელმძღვანელო პრინციპებად, ფოკუსირება მოახდინეთ იმაზე, თუ რა გსურთ და იმოქმედეთ შესაბამისად;
- იმუშავეთ საკუთარი შესაძლებლობების, ცოდნის გაუმჯობესებაზე და ყოველთვის ინფორმირებული იყავით თქვენს სპეციფიკურ დარგში. შეიძინეთ ახალი უნარები, გაიარეთ ტრენინგების კურსები.

დასკვნა

სტატიაში გადმოცემული თანამედროვე დასავლური სამეცნიერო და საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები დაეხმარება ფართო საზოგადოებას და ზრდასრულ ადამიანებს, აღმოაჩინონ და აკეთონ საყვარელი საქმე და იცხოვრონ ისეთი პროფესიული და პირადი ცხოვრებით, როგორსაც იმსახურებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აკუდოვიჩიუტე ა., ფორცაგი ც. და სხვ. მართე შენი კარიერა. თბილისი, „ერა-2008“, 2014. 324 გვ.
2. პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა. ***შემდგენლები***: გ. შიხაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ც. დალაქიშვილი. თბილისი, „მერიდიანი“, 2012. 160 გვ.
3. ღუდუშაური ზ. თვითმენეჯმენტი. თბილისი, „საჩინო“, 2015. 320 გვ.
4. Ali M., Brookson S., Bruce A. and others. Managing for Excellence. USA, DK, 2009. 864 p.
5. Baron E., Benoliel M. and others. The Book of Management. USA, DK, 2010. 720 p.
6. Carew R. Discovering Your Perfect Career. USA, Alpha, 2005. 324 p.

Giorgi Shikhashvili

From Self-Management Theory to Practice: Career Planning and Setting up Principles

Resume

For modern society, it is very actual to discuss the practical self-management theory in important areas, such as planning and creating career.

Practical recommendations, developed on the basis of western scientific and educational methods given in the article, will help the wider community and adult people to discover and do the job they love, and live the life they deserve.

2017 წელი

თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეას სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“ №1, 2017 გვ. 48-57

გიორგი შიხაშვილი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი, სტუდენტური ცენტრი „იდეას“ დირექტორი

თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეას“ საქმიანობა ისრაელის ეკონომიკის კვლევის სფეროში

რეზიუმე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ უმთავრესი მიზანია სტუდენტთა ცოდნისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დონის ამაღლების ხელშეწყობა.

2013 წლიდან ცენტრი მუშაობს სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროგრამაზე სახელწოდებით: „საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები“.

აღნიშნული სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროგრამის ფარგლებში „ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორის“ ინიციატივით ცენტრმა 2014 წლიდან დღემდე ჩაატარა 3 სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და ერთი საზაფხულო სკოლა. ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და საზაფხულო სკოლა ცენტრი „იდეას“ კვლევითი პროგრამის შემადგენელი ნაწილია და მისი მიზნების განხორციელებას ემსახურება.

ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს მის ინიციატივიანობას, ინოვაციურობას, მრავალფეროვნებას, შედეგიანობას და მომავალი გეგმების განხორციელების დიდ პერსპექტიულობას.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტური ცენტრი „იდეა“. კვლევითი პროგრამის მიზნები. კვლევითი სექტორი. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები. სამეცნიერო-პრაქტიკული საზაფხულო სკოლა. სამეცნიერო ნაშრომების კრებული.

სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროგრამა „საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები“

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის, საკუთარ ტრადიციებთან ერთად, აუცილებელია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სათანადო კონცეპტუალური საფუძვლების და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა-გამოყენება სამეურნეო-მმართველობით პროცესში. ამ თვალსაზრისით მეტად სამაგალითოა ისრაელის ეკონომიკური განვითარება, რომლის ბიბლიურ, ისტორიულ, სოციალურ და ეთიკურ კონცეპტუალურ საფუძვლებს ეყრდნობა თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია.

ცენტრის გეგმით მიმდინარეობს კვლევითი მუშაობა ეკონომიკური განვითარების და მართვის ებრაული მოდელის ისტორიულ, თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებზე და მათს სათანადო ადაპტაციაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელის შექმნა-ჩამოყალიბებისა და გამოყენების პროცესში. ამ საქმიანობას წარმართავს ცენტრის სტრუქტურაში შექმნილი სპეციალიზებული ერთეული: „ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორი“

სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროგრამის ფარგლებში „ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორი“ შეისწავლის შემდეგ საკითხებს:

1. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელები და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი პრაქტიკა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში;
2. ისრაელის ეკონომიკური ისტორია;

3. ისრაელის ეკონომიკური განვითარების ბიბლიური საფუძვლები;
4. თანამედროვე ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის საკანონმდებლო გარემო;
5. ისრაელის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვა და ელექტრონული მთავრობის პრაქტიკა;
6. ისრაელის ეკონომიკის დარგობრივი სექტორები;
7. ბიზნესის განვითარება თანამედროვე ისრაელში. ებრაელი ბიზნესმენების სოციალური და საქველმოქმედო საქმიანობა;
8. ისრაელის სოფლის მეურნეობა და მისი მართვა;
9. ებრაული სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის – კიბუცების და მოშავების ეკონომიკა და მართვა;
10. ეკონომიკის, ბიზნესის და მენეჯმენტის საფუძვლების სწავლება ისრაელის უნივერსიტეტებში;
11. ებრაელი ნობელიანტი ეკონომისტები;
12. ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ებრაული მოდელი და საქართველო;
13. ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების ისტორია, თანამედროვეობა და პერსპექტივები;
14. გაცვლითი და ერთობლივი სტუდენტური კვლევები და პროექტები;
15. ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლის ცენტრების შექმნა „ისრაელის სახლში“, „ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესში“, ორივე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდთან, ბიზნესმენთა ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.

აღნიშნული სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროგრამის ფარგლებში „ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორის“ ინიციატივით ცენტრმა 2014 წლიდან დღემდე ჩაატარა 3 სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და ერთი საზაფხულო სკოლა.

განვიხილოთ თითოეულ მათგანზე წარმოდგენილი თემატიკა, ისრაელთან დაკავშირებული რაკურსით.

I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“. 2014 წლის 14-17 ივლისი, მესტია

კონფერენცია მიეძღვნა ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს აღნიშვნას. მასში, საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობენ სტუდენტები და პროფესორები ისრაელისა და უკრაინის უნივერსიტეტებიდან.

კონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თსუ-ს მმართველობითი სტრუქტურებისა და მესტიის ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლები, საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის მიტროპოლიტი ილარიონი, მათთან ერთად კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლისა და წმ. ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა.

პირველად ასეთი რანგის კონფერენციების ისტორიაში ცენტრმა „იდეამ“ წარმოადგინა გუნდური სტუდენტური მოხსენებები.

კონფერენციის ფარგლებში მოხდა ტერიტორიის გამწვანება და მოეწყო ვიზიტი ადგილობრივ სასოფლო-სამურნეო საწარმოში.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ თსუ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა და სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

მხარდამჭერები: საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ისრაელის საელჩო საქართველოში. მხარდამჭერებს შორის ასევე არიან კერძო პირები: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი დავით ნარმანია და ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი.

გამოიცა შრომების კრებული, რომელშიც დაიბეჭდა კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხ-

სენებები. მათგან აღვნიშნავთ მასალას, რომელშიც ასახულია ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები.

იუვალ ფუქსი, ისრაელის ელჩი საქართველოში. მიმართვა კონფერენციის მონაწილეებს.

ისრაელი მზადაა, გამოცდილება და ცოდნა გაუზიაროს ნებისმიერ ქვეყანას, მათ შორის, ცხადია, საქართველოს. მჯერა, რომ ჩვენი თანამშრომლობა ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება, სახელმწიფოებსა და ერებს შორის სამომავლო ურთიერთობას კიდევ უფრო გაამყარებს და ეს თანამშრომლობა მეგობრობასთან ერთად პარტნიორობაზეც იქნება დამყარებული.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა მოვახსენო მესტიაში ამ კონფერენციის ინიციატორებსა და ორგანიზატორებს, ასევე სტუდენტური ცენტრი „იდეას“ ლექტორებსა და სტუდენტებს. მჯერა, რომ თქვენი ინიციატივა სამაგალითო იქნება იმისა, თუ როგორი უნდა იყოს და აუცილებლად იქნება ჩვენი სამომავლო ურთიერთობა. გისურვებთ წარმატებას და საინტერესო კონფერენციას.

აღსანიშნავია პროფესორთა მოხსენებები:

1. Kimhi, A. Reznik (Israel). Efficiency Implications of the Dairy Farm Policy Reform in Israel.
2. Y. Medushovskaya, O. Ryabchenko, M. Shuban (Ukraine). Environmental Protection in Ukraine and Israel: Conditions of Rivers, Their Contamination and Possible Ways of Collaboration.
3. T. Saraidarov (Israel), G. Shikhashvili (Georgia). Water Problems in Israel and Their Solutions.

აღვნიშნავთ სტუდენტთა შემდეგ მოხსენებებს:

1. ო. აბესაძე, გ. კალაიჯიშვილი, ნ. ხარისთვალაშვილი. ისრაელისა და ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები.
2. თ. თაქთაქიშვილი, ქ. კორძაძე, ლ. ტეფნაძე. ებრაული კიბუცების და მოშავების მენეჯმენტი.
3. მურცხვალაძე, ი. სვანიძე, ვ. ჭარაია, ი. ჯანაშვილი. საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები

II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. სიღნაღი, 20-21 სექტემბერი, 2015

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: თსუ-ის ადმინისტრაცია; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, ისრაელის საელჩო საქართველოში, ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა, აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ისრაელის, აშშ-ის და უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორები და სტუდენტები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და ბიზნესმენები.

მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

კონფერენციის ფარგლებში მოეწყო ვიზიტი ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში (მონაწილეობა რთველში).

გამოიცა შრომების კრებული, რომელშიც დაიბეჭდა კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები. მათგან აღვნიშნავთ მასალას, რომელშიც ასახულია ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები.

იუვალ ფუქსი. ისრაელის ელჩი საქართველოში. მიმართვა კონფერენციის მონაწილეებს.

დამოუკიდებლობის 67 წლის მანძილზე ისრაელმა განავითარა მრავალფეროვანი და კრეატიული ქვეყნის ისტორია. ეს ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროს, მათ შორის ეკონომიკასაც. ტრადიციული ეკონომიკიდან ისრაელი გარდაიქმნა მაღალტექნოლოგიურ ძალად, „სტარტ-აფ“ ქვეყნად და დღესდღეობით მაღალტექნოლოგიური პროდუქტის

წილი ისრაელის ექსპორტში უდიდესია მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ სწორედ თქვენისთანა ახალგაზრდები ქმნიან ამ „სტარტ-აფებს“ და წერენ წარმატების ისტორიას მსოფლიო მასშტაბით.

ისრაელი ინარჩუნებს მის წამყვან როლს სოფლის მეურნეობაში მსოფლიო მასშტაბით, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს განვითარებაში, რაც ზრდის წარმოებას ბევრ ქვეყანაში. ისრაელს აქვს ერთ-ერთი უძლიერესი ეკონომიკა, მიუხედავად მრავალი გამოწვევისა, თავისი დამოუკიდებლობის მანძილზე.

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, გავუზიაროთ გამოცდილება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საქართველო. ასეთი თანამშრომლობა სასარგებლო იქნება ორივე ქვეყნისთვის და გააძლიერებს ურთიერთობებს, რომლებიც დაფუძნებული იქნება არამხოლოდ მეგობრობაზე, არამედ პარტნიორობაზეც.

მადლობას ვუხდი სიღნაღის კონფერენციის ინიციატორებს და ორგანიზატორებს, სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ ლექტორებსა და სტუდენტებს. გისურვებთ წარმატებებს სამომავლო წამოწყებებში.

აღსანიშნავია პროფესორების, სპეციალისტების და ბიზნესმენების მოხსენებები:

1. თ. ბერიძე. სტუდენტური ცენტრი „იდეას“ საქმიანობა ისრაელის... ეკონომიკის კვლევის სფეროში.
2. A.Gagulashvili, V.Gogaladze. Netafim Georgia _ Provider of Agribusiness Recent Technologies.
3. გ. შიხაშვილი, ნ. ქიტიაშვილი. ისრაელის მიწათსარგებლობის ბიბლიური ასპექტები.

აღვნიშნავთ სტუდენტთა შემდეგ მოხსენებებს:

1. ნ. აბრამიშვილი, ი. სვანიძე. ლ. ტეფნაძე, ი. ჯანაშვილი. **სახელმწიფო პროგრამების როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში** (საქართველოსა და ისრაელის მაგალითზე)
2. თ. ბერიძე, გ. კალაიჯიშვილი, ჯ. ოქრომჭედლიშვილი, ზ. წითლაური. საირიგაციო და სასათბურე მეურნეობების განვითარება საქართველოსა და ისრაელში.
3. ნ. კახიძე, ი. შენგელია, ვ. ჭარაია. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება ისრაელში.

III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“. თბილისი, თსუ, ISET, 2016 წლის 17-18 მაისი

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: თსუ-ის ადმინისტრაცია; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა – IშEთ, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, ისრაელის საელჩო საქართველოში, ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“, აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ისრაელის, აშშ-ის და უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორები და სტუდენტები, სპეციალისტები და ბიზნესმენები.

მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

გამოიცა შრომების კრებული, რომელშიც დაიბეჭდა კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები. მათგან აღვნიშნავთ მასალას, რომელშიც ასახულია ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები.

აღსანიშნავია პროფესორების, სპეციალისტების და ბიზნესმენების მოხსენებები:

1. Gagulashvili, V.Gogaladze (Israel). Netafim Technologies in Service of Food Security of Georgia.
2. გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი. სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის და მართვის ტრადიციული ტექნოლოგიები ბიბლიის მიხედვით.

აღვნიშნავთ სტუდენტთა შემდეგ მოხსენებებს:

1. ნ. აბრამიშვილი, ტ. ზარანდია, ი. სვანიძე, ლ. ტეფნაძე. სამეცნიერო კვლევებისა და მაღალტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოსა და ისრაელში.
2. დ. ბასილაია, თ. ბიბილაშვილი, ნ. დვალიშვილი, ნ. თოდუა, თ. ჩუბინიძე. ტრადიციული და თანამედროვე სამოსელის წარმოების ტექნოლოგიები საქართველოსა და ისრაელში.
3. ს. ბერიაშვილი, მ. მჭედლიძე, ტ. ძნელაძე, ი. ჯანაშვილი. მზის ენერგეტიკის ორგანიზაცია ისრაელსა და საქართველოში.
4. თ. ბერიძე, შ. გაბადაძე, ჯ. ოქრომჭედლიშვილი, ვ. ჭარაია. ისრაელის მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე.
5. შ. გოგიძე, გ. ბოლქვაძე, ს. სანიკიძე, ლ. შუღლიაშვილი. ენერგოსისტემების განვითარება საქართველოსა და ისრაელში
6. თ. თაქთაქიშვილი, ქ. კორძაძე, ი. მურცხვალაძე, ნ. ხარისთვალაშვილი. ტექნოლოგიური ინკუბატორების როლი ისრაელის სოფლის მეურნეობაში.
7. კიკვაძე, გ. კურატიშვილი, მ. მარსაგიშვილი, მ. ქვრივიშვილი. მმართველობითი ტექნოლოგიების ორგანიზაცია ისრაელის კიბუცებში.

I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“. ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017

მიეძღვნა საქართველოსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს.

ორგანიზატორები

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თბილისის მერია
- ისრაელის საელჩო საქართველოში
- ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“
- თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
- თსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“
- ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
- ბსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი ხედვა“

შაბთაი ცური. ისრაელის ელჩი საქართველოში. მისალმება საზაფხულო სკოლის მონაწილეებისადმი.

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, საზაფხულო სკოლის მონაწილეებო და სტუმრებო.

წელს ისრაელი და საქართველო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლის იუბილეს ზეიმობენ.

საქართველოსა და ისრაელს შორის თანამშრომლობის სფეროები მრავალმხრივია და მოიცავს:

- რეგულარულ ორმხრივ და მრავალმხრივ პოლიტიკურ დიალოგს;
- საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობას (შექმნილია საპარლამენტთა-შორისო მეგობრობის ჯგუფები);
- თანამშრომლობას ეკონომიკის, უსაფრთხოების, კულტურისა და განათლების სფეროებში.

ისრაელის საელჩო მრავალ პროექტს აფინანსებს კულტურის დარგში და ძალიან ბევრ ფესტივალსა და ღონისძიებაზეა წარმოდგენილი ისრაელის კულტურა, იქნება ეს კლასიკური მუსიკა, ჯაზი, კინო, თეატრი, დოკუმენტალისტიკა თუ ლიტერატურა.

ისრაელსა და საქართველოს შორის მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა არსებობს. ორ ქვეყანას შორის ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობების პერიოდში ისრაელიდან საქართველოში ასეულობით მილიონი დოლარის ექსპორტია განხორციელებული. სწორედ ეკონომიკაა ის სფერო, რაშიც ორ ქვეყანას შორის წარმატებული თანამშრომლობა ხორციელდება. ამის დასტურია არაერთი ბიზნეს-ფორუმი, ჩატარებული როგორც საქართველოში, ისე ისრაელში.

მოხარული ვარ, რომ ჩვენი საელჩო აქტიურად მონაწილეობს ამ საზაფხულო სკოლის ორგანიზებაში. სასიამოვნოა, რომ მასში მონაწილეობენ საქართველოსა და ისრაელის წარმომადგენლები – მეცნიერები, პროფესორები, სტუდენტები, სპეციალისტები, ბიზნესმენები. ვუსურვებ ყველას წარმატებებს ახლანდელ და მომავალ საქმიანობაში ჩვენი ორი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აღსანიშნავია პროფესორების, სპეციალისტების და ბიზნესმენების მოხსენებები:

1. A.Gagulashvili, V. Gogaladze (Israel). Role of Agricultural Technologies in Economic Development
2. A.Gagulashvili, V. Gogaladze (Israel). The role of `Netafim-Georgia" in the implementation of agro-technologies in Georgia.
3. თ. ბერიძე. საქართველოს და ისრაელის სოფლის მეურნეობა: რეტროსპექტივა და დღევანდელობა.
4. გ. შიხაშვილი. თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეა"-ს" საქმიანობა საქართველო-ისრაელის ეკონომიკის კვლევის სფეროში.
5. ეთერ ხარაიშვილი. საქართველოსა და ისრაელში სოფლის მეურნეობის განვითარების შედარებითი ანალიზი.
6. ჯ. ხარიტონაშვილი. კოოპერაციული მოძრაობის ფორმები ისრაელის სოფლის მეურნეობაში და მისი გაზიარების პერსპექტივები საქართველოში.

აღვნიშნავთ სტუდენტთა შემდეგ მოხსენებებს:

1. T. Raz, A. Elias (Israel). Cannabies Technologies.
2. მ. თედიაშვილი, მ. მჭედლიშვილი, ნ.თოდუა. ტურიზმის განვითარების ორგანიზაციული საკითხები იერუსალიმსა და თბილისში.
3. ნ. ფირალიშვილი, თ. ჩუბინიძე, შ. გაბადაძე. ურბანული სექტორის მართვა ისრაელსა და საქართველოში.
4. მ. ქვრივიშვილი, გ. კურატიშვილი, გ. ჯანვერდაშვილი, ტ. ძნელაძე. ისრაელის ინოვაციური ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში და საქართველო.

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას" მიერ ისრაელის ეკონომიკასა და ბიზნესთან თან დაკავშირებული კვლევითი პროგრამის განხორციელების შედეგად:

- მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და მართვის ოპტიმალური მოდელის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევას და პრაქტიკულ საქმიანობაში მის რეალურ დანერგვას;
- მიზანშეწონილი და შესაძლებელი გახდება შესაბამისი სასწავლო არჩევითი დისციპლინების (მაგ. „ისრაელის ეკონომიკა და საქართველო", „სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ებრაული მოდელი", „ქართულ-ებრაული ბიზნეს-ურთიერთობები", „კიბუცების და მოშავების ეკონომიკა და მართვა" და სხვ.) შემოღება საქართველოს ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში;
- გზა გაეხსნება სამეცნიერო და სტუდენტური გაცვლითი პროგრამების ფართო მასშტაბით განხორციელებას;
- გაფართოვდება თემატური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების (სიმპოზიუმების, საზაფხულო/ზამთრის სკოლების და სხვ.) ჩატარების შესაძლებლობები;
- გაღრმავდება ქართველ და ებრაელ ბიზნესმენთა საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები.

ყოველივე ეს კი ძალიან წაადგება ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური, დიპლომატიური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას.

ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და საზაფხულო სკოლა ცენტრი „იდეას" კვლევითი პროგრამის შემადგენელი ნაწილია და მისი მიზნების განხორციელებას

ემსახურება.

მთლიანობაში, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს მის ინიციატივიანობას, ინოვაციურობას, მრავალფეროვნებას, შედეგიანობას და მომავალი გეგმების განხორციელების დიდ პერსპექტიულობას.

ლიტერატურა

1. I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“. 2014 წლის 14-17 ივლისი, მესტია. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2014.
2. II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. სიღნაღი, 20-21 სექტემბერი, 2015. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015.
3. III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“. თბილისი, თსუ, ISET, 2016 წლის 17-18 მაისი. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2016.
4. I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“. ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017. სკოლის პროგრამა. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2017.

Giorgi Shikhashvili
Associate professor of the Faculty of Economics
and Business TSU, Director of the Student Center IDEA

Activities of the Student Center IDEA TSU in the Sphere of Research Israeli Economy

Resume

The main purpose of Student research and projects center IDEA TSU is to support upgrading the level of students' knowledge and science-research work.

Since 2013, the Center has been working on scientific-practical research program by the name: „Georgia-Israel economical relations and their development perspectives“.

Within the framework of the scientific-practical program, by the initiative of the `Israeli Economy and Business research Sector", since 2014 the center has conducted 3 scientific-practical conferences and one summer school. Conducted scientific-practical conferences and summer school is part of the research program of the Center IDEA and serves to fulfill its goals.

The analysis of scientific-research activities of the Center IDEA shows a lot of its initiative to innovation, diversity, efficiency and great perspective of future plans.

Keywords: The student Center IDEA. Purposes of research program. Research Sector. Scientific-practical conferences. Scientific-practical Summer school. Proceedings of scientific papers.

.....

SLOVAKIA-AUSTRIA-HUNGARY. **THE THIRD INTERNATIONAL RESEARCH AND PRACTICE CONFERENCE «UKRAINE – EU. MODERN TECHNOLOGY, BUSINESS AND LAW». APRIL, 3-7, 2017**. Collection of International Scientific Papers. Part 2. Chernihiv 2017. p.p. 104-107

Гиорги Шихашвили,
доктор экономики, асоц. профессор ТГУ, Грузия

ХРИСТИАНСКОЕ ОСМЫСЛЕНИЕ ТЕОРИИ УПРАВЛЕНИЯ

Решение комплесных проблем современности и эффективное социально-экономическое развитие общества органически зависит от формирования надлежащего и всесторонне осмысленного теоретико-методологического фундамента управления. Для этой цели необходимо осуществить гармоничное взаимосочетание всего комплекса национальных и общечеловеческих ценностей.

Среди общечеловеческих и национальных ценностей виднейшее место занимает Библия [1], Христианская теология и соответствующая нравственность. Именно под влиянием таких ценностей формировались на протяжении веков основы современной западной цивилизации _ экономика, бизнес, управление, право, наука, образование, культура, демократические идеалы, концепции прав человека и т.д.

Исследованием христианских основ хозяйственно-управленческой деятельности интенсивно занимаются ученые цивилизованных стран. Там формировались такие научно-практические и учебные дисциплины, как-то: Теологическая экономика, Христианская экономика, Христианское управление, Христианский бизнес и др. На основе теории и методологии в этих странах создаются соответствующие законы и развивается нравственный бизнес. В последнее время и в Грузии появились научные работы в этой сфере, что дает повод с надеждой смотреть в будущее [2; 3; 4; 5; 6].

Для теолого-христианского осмысления основ хозяйственно-управленческой деятельности необходимо надлежащее изучение Библии. В ней излагается самая разнообразная экономическая и управленческая тематика: собственность; богатство; бедность; потребности; факторы производства; хозяйствование; труд; промышленность; строительство; деньги; налоги; финансы; таможня; ссудное дело; торговля; учет; управление на всех уровнях и сегментах общества; планирование; организация; мотивация; контроль; цари; правители; домоуправляющие; эффективность; рациональное природопользование и охрана природы; международная экономика; экономическое право; благотворительность и др.

Согласно библейскому учению, краткосрочная земная жизнь есть подготовка к вечной небесной жизни, в которой не будет экономики. Поэтому христианская теология рассматривает экономическую и управленческую деятельность как временный, эсхатологический процесс, целью которого является удовлетворение земных потребностей. Для достижения этой цели необходимо управлять социально-экономическим развитием и бизнесом на основе Богоустановленного Нравственного Закона, соблюдением которого и обеспечивается земное благосостояние людей и вечное блаженство в Царстве Небесном.

Человечество и среда его обитания, включая весь эколого-экономический потенциал являются составными частями созданной Богом вселенной. Все общественные процессы, в том числе и хозяйственно-управленческая деятельность, протекают на основе Божественного плана, воли и промысла.

Как создатель и промыслитель, Бог управляет всеми вселенскими/планетарными процессами, в том числе и экономической деятельностью человека.

По В. Кандалинцеву _ первым и важнейшим социально-экономико- управленческим принципом Библии является то, что «экономикой управляет Бог. …Такое управление осуществляется посредством: 1) закона _ т.е. обязательного свода богооткровенных правил хозяйственного поведения людей; 2) благословения _ в виде дарования Богом человеку особых

способностей или возможностей, необходимых для достижения хозяйственных целей; 3) помощи _ посредством вразумления, наставления, руководства; 4) императивного воздействия _ в виде произведения в человеке стремления достичь и самого действия по достижению определенных хозяйственных целей; 5) сдерживания _ на основе лишения внешних и внутренних ресурсов" [2, с. 6-7].

В Библии показано, что Бог есть: Творец, Всевышний, Вечный, Вездесущий, Всеведуший, Премудрый, Великий, Всемогущий, Справедливый, Всеблагий, Всесвятый, Праведный, Терпеливый, Любовь, Милосердный, Щедрый, Истинный, Верный, Бессмертный, Совершенный, Нетленный, Промыслитель, Вседержитель, Верховный Первосвященник, Царь царей, Богатейший, Спаситель человечества, Господь господствующих, Вечная жизнь, Добрый пастырь, Утешитель.

Такие своиства Бога указывают на то, что именно Господь Бог является наивысшим руководителем всех вселенских, земных, социально-экономических, производственных и организационно-управленческих процессов.

Богоустановленность хозяйственно-управленческой деятельности человека изложена уже в начале Библии. При благословении Адама и Евы Бог сказал им: «Плодитесь, и размножайтесь, и наполняйте землю, и обладайте ею» (Быт. 1, 28). Еще до создания Евы «взял Господь Бог человека, [которого создал,] и поселил его в саду Едемском, чтобы возделывать его и хранить его» (Быт. 2, 15).

Из Библии видно, что уже первым людям важнейшим видом земной деятельности Бог установил труд, хозяйствование, охрану ресурсов и управление (обладание, владычествование, возделывание и хранение). Такую деятельность, в широком понимании, можно обозначить как эколого-экономическое управление.

Труд является важнейшей потребностью и обязанностью человека. Согласно апостолу Павлу: `если кто не хочет трудиться, тот и не ешь" (2 Фес. 3, 10). Трудиться необходимо как для удовлетворения собственных, индивидуальных потребностей, так и нужд других людей.

В Нагорной Проповеди Иисус Христос говорил народу: `всякого, кто слушает слова Мои сии и исполняет их, я уподоблю мужу благоразумному, который построил дом свой на камне; и пошел дождь, и разлились реки, и подули ветры, и устремились на дом тот, и он не упал, потому, что основан был на камне. А всякий, кто слушает сии слова Мои и не исполняет их, уподобится человеку безрассудному, который построил дом свой на песке; и пошел дождь, и разлились реки, и подули ветры, и налегли на дом тот; и он упал, и было падение его великое" (Мф. 7, 24-27).

В этой притче заложена теологическая закономерность Богоустановленной, гармоничной, синергичной взаимосвязи между учением Христа и разумном управлением строительством дома (в широком смысле – общего «Экологического дома» человечества), чем и обеспечивается устойчивость и экологическая безопасность экономической деятельности человека. Игнорирование этого Божественного учения (концептуальной модели) об экологическом управлении, вылилось в неразумном производственно-строительном развитии общества, что и привело к крайнему обострению целого комплекса эколого-экономических проблем в современном мире.

Полный цикл производства продукции, основы рационального/устойчивого природопользования и соответствующего управления в виде теоретико-методологической модели, изложены в притче о пшенице и плевелах (Мф.13, 24-30). В ней описывается засеяние поля, влияние внешних вредных факторов на состояние нивы, охрана всходов пшеницы, уборка урожая в житницу, отношения между руководителем и работниками.

Нравственной основой учения Иисуса Христа является любовь к Господу Богу и ближнему. Из этой всеобщей Божественной заповеди/парадигмы любви вытекают следующие нравственные обязанности каждого человека, семьи, любой организации, бизнеса, государства, правителей, руководителей и менеджеров всех рангов и сфер: 1) чтить Бога и жертвовать средства для Его Церкви; 2) помогать нуждающимся; 3) исполнять долг перед Отечеством; 4) заботиться о защите и сохранении Божественного создания _ природы и ее экономического потенциала; 5) удовлетворять личные и семейные потребности; 6) постоянно трудиться, сохраняя и развивая духовно-материальный потенциал и источники доходов; 7) чтить память усопших.

В этой теоретико-методологической модели заключается Богоустановленный прицип

самоменеджмента индивидов, управления имуществом и финансами на каждом участке, в любой эпохе, в любом периоде социально-экономической деятельности общества. Человек, посредством дарованных ему Господом Богом свободной воли и разума, должен избрать такой путь управления экономикой, который наладил бы Богом одобренное взаимосочетание эколого-экономических и духовных потребностей людей, обеспечив тем самым Боговдохновенное гармоничное развитие общества.

Изучением и ведением Богоугодной хозяйствено-управленческой деятельности занимается соответствующая Теолого-экономическая научно-практическая и учебная дисциплина _ Христианское управление, имеющее свой предмет исследования, свои цели, задачи, принципы, методы и т.д. Главнейшим принципом Христианского управления является обретение материальных и духовных благ праведным путем и их использование в добрых делах.

Христианское управление изучает разумные пути регулирования социально-экономической деятельности общества и каждого человека с целью создания и использования материальных и духовных благ на основе теологической нравственности, открывающей дорогу в Царство Небесное. Христианское управление является теоретико-методологической основой хозяйственно-управленческой деятельности общества, обеспечивающей практическую возможность Боговдохновенного, синергичного, гармоничного развития отдельного человека, нации, государства и Человечества.

В сегодняшних условиях необходимо с Богословских и религиозно-этических позиций осмыслить закономерности управления социально-экономико-экологическим развитием общества. В повестке дня стоит возрождение традиционного, христианского мировоззрения и развитие гармонически сочетающегося с современными принципами управления, теологического экономического мышления и соответствующей хозяйственно-управленческой деятельности.

Список литературы

1. Библия. Российское Библейское общество, Москва, 1997, 1375 **с.**
2. Кандалинцев В.: Политическая экономия Библии. Инкомполиграф, Москва ,1999, 110 **с.**
3. Dyck B.: Management and the Gospel: Luke's Radical Message for the First and Twenty-First Centuries. Palgrave Macmillan, USA, 2013, 303 p.
4. Julakidze E., Julakidze Sh.: Orthodoxy Aspects of Modern Management. `Christianity and Economics" _ Proceedings of the 9th International Scientific Conference Papers, Tbilisi-Kutaisi, 2016, (in Georgian), 237 p. (p.p. 194-197).
5. Shikhashvili G., Beridze T.: The Economic and Legal Aspects of Theological Economics and Management in the Works of Ivane Javakhishvili. `Christianity and Economics" _ Proceedings of the 9th International Scientific Conference Papers, Tbilisi-Kutaisi, 2016, (in Georgian), 237 p. (p.p. 31-37).
6. Shikhashvili G., Priest Basili Akhvlediani, Bakashvili N.: Foundations of Orthodox Theological Economics and Management. Publishers Meridiani, Tbilisi, 2009, (in Georgian), 368 p.

Giorgi Shikhashvili

Christian Understanding of the Management Theory

Summary

Economic and administrative activity pleasant to God is studied and managed by an appropriate theological, economic, scientific, practical and educational discipline – Christian Management that has its own subject of research, objectives, tasks, principles, methods, etc.

Christian Management studies reasonable ways of regulating social economic activity of society on the basis of theological moral for accumulation of material and spiritual wealth that opens us the way to heaven. Christian Management is a theological and methodological base of economic and administrative activity of society. It ensures practical possibility of divine harmonic development of certain persons, nations, states and mankind.

.....

მოხსენებათა კრებული II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". თბილისი, თსუ, 2017, გვ. 541-547.

გიორგი შიხაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე მენეჯმენტის პერსპექტივები პიტერ დრაკერის მიხედვით

ანოტაცია

თანამედროვე მენეჯმენტის კორიფეებს შორის გამორჩეული ადგილი პიტერ ფერდინანდ დრაკერს უკავია. პროფესიული მენეჯმენტის თეორიის და პრაქტიკის ისტორიაში ბოლო პერიოდი სამართლიანად არის მიჩნეული „პიტერ დრაკერის ეპოქად".

მართვის მეცნიერების და პრაქტიკის განვითარების სფეროში უდიდესი დამსახურების გამო პ. დრაკერი აღიარებულია „თანამედროვე მენეჯმენტის მამად". იგი იყო მეცნიერი, რომელიც ყოველმხრივ უსვამდა ხაზს მენჯმენტისადმი ჰუმანისტური მიდგომის აუცილებლობას.

მენეჯერები არ უნდა აზროვნებდნენ მხოლოდ ტექნოკრატიულად, ისინი ვალდებულნი არიან ესმოდეთ საკუთარი მოღვაწეობის სოციალური მნიშვნელობა.

პ. დრაკერი გვთავაზობს ახალ პარადიგმას: „მენეჯმენტი არის ყველა და ყოველი ორგანიზაციის სპეციფიკური და განმსაზღვრელი სტრუქტურა"

საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია ცივილიზებული ეკონომიკური სამყაროს თეორიული მიღწევების და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა და სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში მისი დანერგვა-გამოყენება, რაც, ჩვენი აზრით, ახლო მომავალში აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

საკვანძო სიტყვები: *თანამედროვე მენეჯმენტის მამა. პროფესიული მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა. პიტერ დრაკერის ეპოქა. მენეჯმენტისადმი ჰუმანისტური მიდგომა. ტექნოკრატიული მენეჯერები. მენეჯმენტის სოციალური მნიშვნელობა. თანამედროვე მენეჯმენტის პერსპექტივები და ამოცანები.*

თანამედროვე მენეჯმენტის კორიფეებს შორის გამორჩეული ადგილი პიტერ ფერდინანდ დრაკერს (Peter Ferdinand Drucker) **უკავია. პროფესიული მენეჯმენტის თეორიის და პრაქტიკის ისტორიაში ბოლო პერიოდი სამართლიანად არის მიჩნეული „პიტერ დრაკერის ეპოქად".**

მართვის მეცნიერების და პრაქტიკის განვითარების სფეროში უდიდესი დამსახურების გამო

პ. დრაკერი აღიარებულია „თანამედროვე მენეჯმენტის მამად“ (The Father of Modern Management) **[1].** სწორედ ამიტომ განუზომელია ის დიდი დანაკარგი, რომელიც განიცადა მართვის მეცნიერებამ 2005 წლის 11 ნოემბერს პ. დრაკერის გარდაცვალების გამო.

პ. დრაკერის ბიოგრაფია და შემოქმედებითი მოღვაწეობა უაღრესად მრავალფეროვანი და საინტერესოა [1]; [2, გვ. 316-322, 1085-1086]. იგი დაიბადა 1909 წლის 19 ნოემბერს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. პ. დრაკერმა მიიღო დოქტორის ხარისხი ფრანკფურტის უნივერსიტეტში სამოქალაქო და საერთაშორისო სამართლის სფეროში და 1933 წელს საცხოვრებლად გადავიდა ლონდონში, სადაც საინვესტიციო ბანკირად მუშაობდა. 1937 წელს იგი საცხოვრებლად აშშ-ში გადადის და მუშაობას იწყებს ჟურნალისტად.

1942 წელს პ. დრაკერი არჩეულ იქნა ფილოსოფიის და პოლიტიკის პროფესორის თანამდებობაზე ვერმონტის შტატის ბენინგტონის კოლეჯში. 1950 წელს იგი გადავიდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში მენეჯმენტის პროფესორის თანამდებობაზე მენეჯმენტის კათედრაზე. 1971 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პ. დრაკერი მუშაობდა საზოგადოებრივი მეცნიერებების და მენეჯმენტის პროფესორის თანამდებობაზე კლერმონტის (კალიფორნია) უნივერსიტეტში, რომლის მენეჯმენტის უმაღლეს სკოლას ჯერ კიდევ 1987 წელს მიენიჭა პ. დრაკერის სახელი.

1990-2002 წლებში პ. დრაკერი იყო საპატიო თავმჯდომარე მისივე სახელობის ფონდისა სახელწოდებით: The P.F. Drucker Foudation for Nonprofit Management (არამომგებიანი მენეჯმენტის პ. დრაკერის ფონდი), რომელსაც დღეს ეწოდება Leader to Leader Institute (ინსტიტუტი – ლიდერი ლიდერს).

ამერიკაში ცხოვრების პირველივე წლებიდან იწყება და ცხოვრების ბოლო დღეებამდე გრძელდება პ. დრაკერის გამოჩენილი კარიერა როგორც სწავლული ეკონომისტის, პედაგოგისა და ცნობილი კონსულტანტისა. იგი იყო მეცნიერი, რომელიც ყოველმხრივ უსვამდა ხაზს მენჯმენტისადმი ჰუმანისტური მიდგომის აუცილებლობას. თავისი სამწერლობო და ორატორული ხელოვნებით მან მრავალი ადამიანის სიმპათია დაიმსახურა. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა 2002 წელს პირადად დააჯილდოვა პ. დრაკერი თავისუფლების საპრეზიდენტო მედლით.

პ. დრაკერი დიდი რაოდენობის, მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორია. მან გამოაქვეყნა 40 წიგნი, რომლებიც თარგმნილია მსოფლიოს 20-ზე მეტ ენაზე. ამ წიგნებიდან თითქმის ნახევარი ეძღვნება უშუალოდ მენეჯმენტის პრობლემატიკას, სხვები – კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების, ეკონომიკური თეორიის და პოლიტიკის, აგრეთვე ხელოვნების (იაპონური ფერწერის) აქტუალურ საკითხებს. მისი წიგნებიდან აღსანიშნავია, ასევე, ორი რომანი და ავტობიოგრაფია. პ. დრაკერმა შექმნა აგრეთვე 4 სასწავლო ფილმი მენეჯმენტის თემატიკაზე. პ. დრაკერის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი სტატია და ესსე, რომელთაგან რეკორდული რაოდენობა – 30-ზე მეტი გამოქვეყნებულია მენეჯმენტის სფეროს მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტულ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში „ჰარვარდ ბიზნეს რევიუ“ (The Harvard Busiess Review).

1975 **წლიდან პ. დრაკერი პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა ისეთ გამოცემებში, როგორიცაა** The Wall Street Journal, The Harvard Busiess Review, The Atlantic Monthly, The Economist. **იგი სიცოცხლის ბოლო წლებშიც აქტიურ საკონსულტაციო მომსახურებას უწევდა სამეწარმეო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.**

1936 წელს, 27 წლის ასაკში, იგი აქვეყნებს თავის პირველ წიგნს The End of Economic Man („ეკონომიკური ადამიანის დასასრული“), მიძღვნილს ფაშიზმის ეკონომიკური საწყისების კვლევისადმი. 1942 წელს გამოდის მისი მეორე წიგნი The Future of Industrial Man („ინდუსტრიული ადამიანის მომავალი“). ამ წიგნში ავტორი ცდილობს განჭვრიტოს ომისშემდგომი მომავალი და აღწეროს ახალი მსოფლიოს არსი. თავის მესამე წიგნში The Concept of Corporation (“კორპორაციის კონცეფცია“) (1946 და 1993 წ.წ.) პ. დრაკერი ახდენს ორგანიზაციების ისეთი ტიპების ინდენტიფიცირებას, რომლებიც, მისი აზრით, უნდა ჭარბობდნენ მომავლის საზოგადოებაში, პოლიტიკასა და ეკონომიკაში.

შემდგომი წლების გამოცემებიდან აღსანიშნავია **პ.** დრაკერის შემდეგი წიგნები**:**

- 1954 და 1994 წელს – The Practice of Management (მენეჯმენტის პრაქტიკა);
- 1964 და 1993 წელს – Managing for Results (მართვა შედეგების მიხედვით);

- 1966 და 1993 წელს The Effective Executive (ეფექტური ხელმძღვანელი);
- 1970 წელს – Technology, Management and Society (ტექნოლოგია, მენეჯმენტი და საზოგადოება);
- 1974 და 1993 წელს – Management: Tasks, Responsibilities, Practicies (მენეჯმენტი: ამოცანები, მოვალეობები, განხორციელების მეთოდები);
- 1980 და 1993 წელს – Managing in Turbulent Times (მართვა მძაფრ, მძვინვარე დროებაში);
- 1981 წელს – Towards the Next Economics (გზა მომავალი ეკონომიკისაკენ);
- 1982 წელს – The Changing World of the Executive (ხელმძღვანელის ცვალებადი სამყარო);
- 1985 წელს – Innovation and Enterpreneurship (ინოვაციები და მეწარმეობა);
- 1986 და 1997 წელს – The Frontiers of Management (მენეჯმენტის საზღვრები);
- 1990 და 1992 წელს – Managing the Non-profit Organization: Principles and Practices (არამომგებიანი ორგანიზაციის მენეჯმენტი – თარგმნილია ქართულ ენაზე სახელწოდებით: არაკომერციული ორგანიზაციის მართვა: პრინციპები და პრაქტიკა. თბილისი, მესამე სექტორის ფონდი „ჰორიზონტი“, 2001);
- 1992 წელს – Managing for the Future: The 1990s and Beyond (მართვა მომავლისათვის: 1990-ანები და შემდგომ)
- 1999 წელს – Management Challenges for the 21 st Century (მენეჯმენტის ამოცანები 21-ე საუკუნეში);
- 2002 წელს – Managing in the Next Society (მართვა მომავალ საზოგადოებაში);
- 2005 წელს – The Effective Executive in Action (ეფექტიანი ხელმძღვანელი მოქმედებაში).

პ. დრაკერი თავის ნაშრომებში მენეჯმენტს განიხილავს როგორც თავისებურ ახალ ფილოსოფიას. იგი აქცენტს აკეთებს წარმოების საბოლოო შედეგზე, რის საფუძველზეც აყალიბებს „მიზნების მიხედვით მართვის“ კონცეფციას. პ. დრაკერისათვის უმნიშვნელოვანესია მომავლის ხედვა და ინოვაციური საქმიანობა.

პ. დრაკერის ფილოსოფიის მიხედვით, საწარმოს საბოლოო მიზანი არის საზოგადოებრივი სიკეთეების შექმნა. ორგანიზაცია არსებობს იმისათვის, რომ კონკრეტულ პროდუქციად გარდაქმნას ადამიანის ძალისხმევა – „პირადი ძალისხმევა ქმნის საზოგადოებრივ სარგებლიანობას“ [3, გვ. 81]. **ასეთი პარადიგმა წარმოადგენს მენეჯმენტის ფილოსოფიის დრაკერისეული გააზრების ძირეულ არსს.**

პ. დრაკერის ნაშრომების მნიშვნელოვანი ფაქტორია აზრი, რომლის მიხედვითაც მენეჯერებისათვის აუცილებელია გაითვალისწინონ ის სოციალური ზეგავლენა, რასაც მათი ორგანიზაცია ახდენს გარე გარემოზე. მენეჯერები არ უნდა აზროვნებდნენ მხოლოდ ტექნოკრატიულად, ისინი ვალდებულნი არიან ესმოდეთ საკუთარი მოღვაწეობის სოციალური მნიშვნელობა. რაც უფრო მეტად მსხვილდება და ძლიერდება საწარმო, მით უფრო მეტ სოციალურ ზეგავლენას ახდენს იგი გარემოზე და შესაბამისად იზრდება ამ ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობა – „სოციალური პასუხისმგებლობის მოთხოვნა მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს წარმატების საზღაურს“ [4, გვ. 28]. ამასთან დაკავშირებით ჯ. ტარანტი წერს: „პ. დრაკერი არასოდეს კარგავს მხედველობის არედან საზოგადოებრივ სიკეთეს, რომელიც ზოგადად მდებარეობს ორგანიზაციის შიგნით და კერძო შემთხვევაში – კორპორაციის შიგნით. კორპორაციების მართვა უნდა ხორციელდებოდეს არა მხოლოდ პრაგმატული წესების ნაკრების შესაბამისად, არამედ ასევე იმ ფილოსოფიური ცნებების ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრავენ ორგანიზაციის როლს ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ [5, გვ. 84].

პ. დრაკერის ფილოსოფიურ-კონცეპტუალური მიდგომა სრულად ეხმიანება გაეროს მიერ 1992 წელს მთელი მსოფლიოსათვის რეკომენდებულ მდგრადი განვითარების კონცეფციას და პროგრამას XXI საუკუნისათვის [6]. ამ დოკუმენტებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ განვითარების ტენდენციების მიხედვით აუცილებელია ძირეულად შეიცვალოს სამეურნეო-მმართველობითი კონცეფციები, პარადიგმები და სამენეჯმენტო პრაქტიკა მთელი მსოფლიოს

მასშტაბით, თითოეულ სახელმწიფოში და ყოველ ცალკეულ სამეწარმეო და არასამეწარმეო დარგში.

ახლა მოკლედ განვიხილოთ უმთავრესი პარადიგმები, რომლებიც ასახულია პ. დრაკერის წიგნში „მენეჯმენტის ამოცანები 21-ე საუკუნეში", რომელშიც შესწავლილ-გაანალიზებულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა [7]**:**

- ხვალინდელი დღის უმნიშვნელოვანესი ამოცანები;
- მენეჯმენტის ახალი პარადიგმა;
- დღევანდელი მმართველობითი კონცეფციების ანალიზი სამომავლო ტენდენციების ფონზე;
- ორგანიზაციული სტრუქტურების, პერსონალის მართვის, ტექნოლოგიების, იურიდიული გარემოს და სხვა სფეროების განვითარების პერსპექტივები;
- ახალი სოციალურ-ეკონომიკური რეალიები და ორგანიზაციის სტრატეგია;
- ცვლილებების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები;
- ცვლილებები და სტაბილურობა;
- მომავლის შენება;
- გონებრივი შრომის მუშაკთა მწარმოებლურობა;
- მენეჯერის როლი კარიერასა და ცხოვრებაში.

თავის ამ ნაშრომში პ. დრაკერი აღნიშნავს, რომ „ის, ვინც დღეს მუშაობს ხვალინდელი დღის პრობლემებზე და ამით ამზადებს საკუთარ თავს და თავის ორგანიზაციას ახალი ამოცანებისათვის, ახლო მომავალში დაიკავებს მოწინავე პოზიციებს. ხოლო ის, ვინც ამოცანების გადაჭრას გადადებს სამომავლოდ, უკან ჩამორჩება და, ალბათ, ვერასდროს აინაზღაურებს დაკარგულს" [7, გვ. 11].

პ. დრაკერი აანალიზებს დღეისათვის გაბატონებულ უმთავრეს მმართველობით პარადიგმებს და კონცეფციებს და ასკვნის, რომ მათ დღეისათვის სრულიად ამოწურეს საკუთარი თავი და უფრო დაცინვას იმსახურებენ ვიდრე პატივისცემას. დღეს ისინი იმდენად დაშორდნენ რეალობას, რომ ამუხრუჭებენ მენეჯმენტის თეორიის განვითარებას და, რაც უფრო უარესია, ხელს უშლიან პრაქტიკას. აქედან გამომდინარე, დადგა დრო მათი გადასინჯვისა, რათა ფორმულირებულ იქნეს ახალი შეხედულებები, რომლებიც გამოაცოცხლებენ მენეჯმენტის მეცნიერებასაც და პრაქტიკასაც [7, **გვ. 18]. პ. დრაკერი განიხილავს ასეთ შეხედულებებს, იძლევა წინადადებებს მათი შეცვლისათვის და გვთავაზობს შესაბამის პარადიგმებს.**

მაგალითად, დღეისათვის თითქმის საყოველთაოდ, განსაკუთრებით – საქართველოში, გავრცელებულია აზრი, რომ მენეჯმენტი – ეს მხოლოდ ბიზნესის მენეჯმენტია. პ. დრაკერი სათანადო მსჯელობის საფუძველზე ასკვნის, რომ ასეთი შეხედულება მცდარია და გვთავაზობს ახალ პარადიგმას: „მენეჯმენტი არის ყველა და ყოველი ორგანიზაციის სპეციფიკური და განმსაზღვრელი სტრუქტურა" [7, **გვ. 23]** და დასძენს, რომ „თანამედროვე საზოგადოების, ეკონომიკისა და ადამიანური ურთიერთობების საფუძველი არის მართვადი ორგანიზაცია, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომლის მიზანს შედეგის მიღწევა წარმოადგენს. ხოლო მენეჯმენტი – არის სპეციალური ინსტრუმენტი, განსაკუთრებული ფუნქცია, სპეციფიური აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციას საჭირო შედეგების მიღწევის საშუალებით. საკითხის ასეთი გაგება მოითხოვს მენეჯმენტის სრულიად ახალ პარადიგმას. მენეჯმენტის ყურადღების და პასუხისმგებლობის სფეროში შედის ყველაფერი, რაც რამენაირად ახდენს გავლენას ორგანიზაციის მწარმოებლურობაზე და მისი საქმიანობის შედეგიანობაზე – ორგანიზაციის შიგნით, თუ მის ფარგლებს გარეთ, ორგანიზაციის მიერ კონტროლირებად, თუ არაკონტროლირებად სფეროებში" [7, გვ. 64-64].

მენეჯმენტის ახალი პარადიგმის გააზრებასთან დაკავშირებით ქვემოთ მოვიყვანთ პ. დრაკერის სათანადო მსჯელობას და არგუმენტაციას. მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ ეს საკითხი ფრიად აქტუალურია ჩვენი სამეცნიერო წრეებისათვის, ვინაიდან ჩვენში აზრთა სხვადასხვაობა და პოლემიკაა მენეჯმენტის ადგილთან, ტერმინოლოგიასა და დეფინიციებთან დაკავშირებით.

მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ აუცილებელია მკვეთრად გაიმიჯნოს დეფინიციები და მენეჯმენტი ეწოდებოდეს მხოლოდ ბიზნესის მენეჯმენტს, ხოლო პოლიტიკური, სამთავრობო-აღმასრულებელი, სამართალდამცავი და სასამართლო, გარემოსდაცვითი,

რელიგიური და არაკომერციული სფეროებისათვის გამოიყენებოდეს სხვა მმართველობითი ტერმინოლოგია და არავითარ შემთხვევაში (!? – გ.შ.) – ტერმინი „მენეჯმენტი“. ჩვენ არ ვიზიარებთ ასეთ შეხედულებას, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც უცხოეთში, ასევე ჩვენში უკვე ინტენსიურად მკვიდრდება ისეთი თეორიული კონცეფციები, პარადიგმები, სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინები, პრაქტიკული მმართველობითი საქმიანობის სახეობები და სტრუქტურები, როგორიცაა: „სოციალური სისტემების მენეჯმენტი“, „ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი“, „პოლიტიკური მენეჯმენტი“, „პარტიული ორგანიზაციების მენეჯმენტი“, „სასამართლოების მენეჯმენტი“, „სამთავრობო მენეჯმენტი“, „ადგილობრივი მენეჯმენტი“, „სამინისტროს მენეჯმენტი“, „საგარეო ურთიერთობათა მენეჯმენტი“, „საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად, გაეროს, უშიშროების საბჭოს, ევროპარლამენტის, ევროკავშირის და სხვ.) მენეჯმენტი“, „განათლების (უნივერსიტეტების, სკოლების და საბავშვო ბაღების) მენეჯმენტი“, „დიპლომატიური მენეჯმენტი“, „ბუნებრივი სისტემების, ბიოგეოცენოზების და მათი ცალკეული ელემენტების (ტყის, წყლის, მიწის და სხვ.) მენეჯმენტი“, „გარემოსდაცვითი მენეჯმენტი“, „ტელეკომუნიკაციური სისტემების მენეჯმენტი“, „ჯანდაცვის და მედიცინის (მათ შორის მშობიარობის, ქირურგიული ოპერაციის და სხვ.) მენეჯმენტი“, „ორგანიზაციული მენეჯმენტი“, „პროექტების მენეჯმენტი“, „არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაციების მენეჯმენტი“, „რელიგიური ორგანიზაციების (ეკლესიის, მონასტრის, სამრევლოს, საძმოს) მენეჯმენტი“ და სხვ.

მაგალითად, ეკლესიის მენეჯმენტის მაგისტრებს (Master of Church Management _ MCM) ამზადებს აშშ-ს ილინოისის შტატის ქ. კანკაკის Olivet Nazarene University, Institute for Church Management. აშშ-ს სხვადასხვა უნივერსიტეტებში სტუდენტებს აგრეთვე ამზადებენ ისეთი სპეციალობებით, როგორიცაა: Master of Nonprofit Management (MNM – არასამთავობო, არასამეწარმეო ორგანიზაციების მენეჯმენტის მაგისტრი), Master of Public Management (MPM – სამთავრობო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მენეჯმენტის მაგისტრი), Master of Pest Management (MPM – სასოფლო-სამეურნეო მავნებლების მენეჯმენტის მაგისტრი), Master of Natural Resource Management (MNRM – ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის მაგისტრი) და სხვ. (იხილეთ ბოლო წლების გამოცემები წიგნისა: Peterson’s Guide to Graduate Programs in the Humanities, Arts ანდ შოციალ შციენცეს. Peterson’s. Princeton, New Jersey).

ჩვენ ვიზიარებთ ზემოაღნიშნულ პ. დრაკერისეულ უზოგადეს ფორმულირებას _ „მენეჯმენტი არის ყველა და ყოველი ორგანიზაციის სპეციფიკური და განმსაზღვრელი სტრუქტურა“, რომელსაც იგი ასაბუთებს შემდეგი მსჯელობის საფუძველზე:

XX საუკუნის 30-ან წლებამდე მეცნიერებს, – ფ. ტეილორით (1856-1915) დაწყებული და ჩ. ბარნარდით (1886-1961) დამთავრებული, – მიაჩნდათ, რომ ბიზნესის მენეჯმენტი ეს მხოლოდ საერთო, ზოგადი მენეჯმენტის ქვესახეობაა.

მენეჯმენტის თეორიის პრაქტიკული გამოყენება დაიწყო სრულიადაც არა კომერციულ, არამედ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებში. 1912 **წელს აშშ-ს კონგრესისადმი თავის მოხსენებაში ფ. ტეილორმა „მეცნიერული მენეჯმენტის“ გამოყენების საცდელი მაგალითის სახით მოიტანა არა კომერციული საწარმო, არამედ არაკომერციული ორგანიზაცია – მეიოს კლინიკა.** სწორედ ამ მოხსენების შემდეგ დაიწყეს აშშ-ში სერიოზული ფიქრი მენეჯმენტის შესახებ. „მეცნიერული მენეჯმენტის“ გამოყენების ყველაზე სერიოზული ფაქტი აღინიშნა ასევე არა კომერციულ ორგანიზაციაში, არამედ აშშ-ს არმიის ოუთერთაუნის არსენალში, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა. 1922 წელს პრაღაში ჩატარებული I კონგრესი მენჯმენტში, ორგანიზებული იყო არა ბიზნესმენების, არამედ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების მიერ. მერი პ. ფოლეტი არ ანსხვავებდა კომერციულ და არაკომერციულ მენეჯმენტს, იგი ლაპარაკობდა ორგანიზაციის მენეჯმენტზე, რომელიც ეყრდნობოდა ერთსა და იმავე პრინციპებს.

ზოგადი მენეჯმენტის ბიზნესის მენეჯმენტთან გაიგივებას ბიძგი მისცა დიდმა დეპრესიამ, როდესაც მტრულად და სიძულვილით აღიქვამდნენ კომერციას და ბიზნესმენებს. ამიტომ, იმისათვის, რომ ერთმანეთში არ არეოდათ ბიზნესის მენეჯმენტი და საზოგადოებრივი სექტორის მენეჯმენტი, ამ უკანასკნელს გადაარქვეს სახელი, უწოდეს რა „სახელმწიფოებრივი მართვა“ და გამოაცხადეს ცალკე საუნივერსიტეტო დისციპლინად, თავისი ტერმინოლოგიით და საკარიერო კიბით. სხვა სიტყვებით, დეპრესიის პერიოდის „პოლიტიკურმა კორექტულობამ“

მოითხოვა და გამოიწვია სიტყვა „მენეჯმენტის“ უარყოფა.

II მსოფლიო ომის პერიოდში მეწარმეობის წარმატების კვალობაზე ომის შემდეგ მოდა შეიცვალა და სიტყვა ბიზნესი საპატიო ტერმინად იქცა. ტერმინი „ბიზნესის მენეჯმენტი“ გახდა პოლიტიკურად კორექტული, პირველ რიგში – როგორც მეცნიერების დარგი. ამ დროიდან მოყოლებული მენეჯმენტი როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ასევე სამეცნიერო სამყაროში გაიგივდა ტერმინთან – „ბიზნესის მენეჯმენტი“.

დღეს უკვე იწყება ამ შეცდომის გამოსწორება: ბევრი „ბიზნეს სკოლა“ გადაკეთდა „მენეჯმენტის სკოლად“, სადაც მკვიდრდება ისეთი პროგრამები და სპეციალობები, როგორიცაა „ბიზნეს-მენეჯმენტი“, „არაკომერციული მენეჯმენტი“, „ტოპმენეჯმენტი“, „ეკლესიის მენეჯმენტი“ და სხვ.

მაგრამ წარმოდგენა, რომ მენეჯმენტი – ეს მხოლოდ ბიზნესის მენეჯმენტია, კვლავ არსებობს. ამიტომ მნიშვნელოვანია რაც შეიძლება ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ მენეჯმენტი არ არის ბიზნესის მენეჯმენტი, ისევე როგორც, ვთქვათ მედიცინა არ არის მეანობა [7, გვ. 19-21].

ასეთი მოსაზრებების დასადატურებლად პ. დრაკერი თვითონ ქმნის ახალ მიმართულებებს და შესაბამის ნაშრომებს, რის მაგალითსაც მისი შემდეგი ზემოაღნიშნული წიგნი – Managing the Non-Profit Organization: Principles and Practices და მასში ასახული იდეები, პარადიგმები და პრაქტიკული რჩევები წარმოადგენს. აქ აღვნიშნავთ იმას, რომ ამ შემთხვევაში ინგლისური სიტყვა Managing ზემოაღნიშნულ ქართულ გამოცემაში (არაკომერციული ორგანიზაციის მართვა: პრინციპები და პრაქტიკა. თბილისი, მესამე სექტორის ფონდი „ჰორიზონტი“, 2001) თარგმნილია როგორც „მართვა“, ხოლო არსებულ რუსულ გამოცემაში – როგორც „მენეჯმენტი“ (Менеджмент), რაც მიუთითებს იმაზე, რომ რიგ შემთხვევებში, საჭიროებისა და კონტექსტების მიხედვით ამ ტერმინების („მართვა“ და „მენეჯმენტი“) ხმარება ქართულ ენაზე საჭირო და შესაძლებელია როგორც სინონიმებისა და ურთიერთშემცვლელებისა.

ამასვე ადასტურებს ჩვენში არსებული ინგლისურ-ქართული ზოგადი და სპეციალური ლექსიკონების დიდი ნაწილი, სადაც სიტყვა Management უმეტეს შემთხვევებში თარგმნილი და განმარტებულია როგორც მენეჯმენტი, მართვა, მართვა-გამგეობა, მმართველობა, ასევეა ინგლისურ-რუსულ ლექსიკონებში, სადაც სიტყვა Management-ის თარგმნა-განმარტებისას ძირითადად გამოიყენება ანალოგიური ტერმინები: управление, заведование.

იგივეს დასტურს ვხვდებით ცნობილ ინგლისურენოვან ენციკლოპედიებსა და განმარტებით ლექსიკონებში, რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ: უზოგადესი გაგებით, მენეჯმენტი (Management) არის ადამიანთა ჯგუფის ან რაიმე რეალურად არსებულის (Entity): ნებისმიერი ორგანიზაციის, ყოველგვარი არსების, ორგანიზმის, ნივთის, ობიექტის, ყოფის, არსებობის და არსის ხელმძღვანელობა, მართვა, წარმართვა მიზნის მისაღწევად. ხოლო ზოგადსოციოლოგიური თვალსაზრისით მენეჯმენტი ეს არის წარმოების, სოციალური და კულტურული პროცესების მართვის ზოგადი პრინციპების და მეთოდების ერთიანობა. სხვაგვარად, მენეჯმენტი ეს არის მართვის, ან ხელმძღვანელობის, კონტროლის და ა. შ. აქტი, ან ხელოვნება ან ხერხი [8].

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს პ. დრაკერის ზემოაღნიშნული პარადიგმის სისწორეს, რომ „მენეჯმენტი არის ყველა და ყოველი ორგანიზაციის სპეციფიკური და განმსაზღვრელი სტრუქტურა“.

განსახილველ წიგნში „მენეჯმენტის ამოცანები 21-ე საუკუნეში“ ავტორი სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად კრიტიკულად აანალიზებს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ არსებობს ან უნდა არსებობდეს ორგანიზაციული სტრუქტურის მხოლოდ ერთადერთი სწორი ტიპი. იგი ასკვნის, რომ აუცილებელია ასეთი სტრუქტურის ძიების ნაცვლად გამოვავლინოთ, ჩამოვაყალიბოთ და პრაქტიკაში გამოვცადოთ ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც შეესატყვისებიან დაყენებულ ამოცანებს.

მსგავსი სიტუაციაა პერსონალის მართვის სფეროშიც. დღეს მიჩნეულია, რომ არსებობს ან უნდა არსებობდეს მუშაკთა მართვის მხოლოდ ერთი სწორი მეთოდი. აქაც სათანადო მსჯელობის საფუძველზე პ. დრაკერი გვთავაზობს ახალ მიდგომას: „ადამიანები არ უნდა „ვმართოთ“, ისინი უნდა წარვმართოთ. ამოცანაა – მაქსიმალურად მწარმოებლური გავხადოთ ყოველი ცალკეული მუშაკის სპეციფიკური ცოდნა და ჩვევები“ [7, გვ. 40].

ყოველი ორგანიზაციისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა სწორი სტრატეგიის შემუშავება და მისი ეფექტიანი რეალიზაცია. ამისათვის არ კმარა ორგანიზაციის მხოლოდ შიდა ფაქტორების გათვალისწინება.

დღევანდელ პირობებში, XXI **საუკუნის დასაწყისში მსოფლიო დადგა დიდი ცვლილებების და სრულიად ახალი, ხშირად, განუსაზღვრელი რეალობების წინაშე, რასაც თითქმის არ ითვალისწინებს დღევანდელი ბიზნესი და მენეჯმენტი. პ. დრაკერი ჩამოთვლის ასეთ რეალიებს:**

- შობადობის მკვეთრი დაცემა განვითარებულ ქვეყნებში;
- ცვლილებები შემოსავლების განაწილებაში;
- ეფექტიანობის განსაზღვრის ცვლილება;
- კონკურენციის გლობალიზაცია;
- ზრდადი შეუსაბამობა ეკონომიკურ გლობალიზაციასა და პოლიტიკურ განკერძოებას შორის.

მათი განხილვის შედეგად მეცნიერი ასკვნის, რომ „ეს რეალიები აყენებენ საკითხებს, რომლებზეც ყოველმა ცალკეულმა ორგანიზაციამ დამოუკიდებლად უნდა იპოვოს პასუხები; ეს პასუხები იქნება სწორედ სტრატეგიის საფუძველი“ [7, **გვ.** 102]**. თუ ორგანიზაცია ვერ შეძლებს ღირსეულად „შეხვდეს“ ზემოაღნიშნულ პრობლემებს, მას არ უნდა ჰქონდეს არათუ აყვავების, არამედ წარმატების იმედიც კი, „ერთადერთი პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს წარმატება, არის მომავლის შეგნებული შენება. ...მომავლის შენების დაწყება, საკმაოდ სარისკოა, არდაწყება – უფრო უარესი“** [7, **გვ** 130]**.**

მთლიანობაში, პ. დრაკერის ნაშრომებში ასახული მმართველობითი პრობლემები და მიდგომები მათი გადაჭრისადმი, უაღრესად აქტუალურია მენეჯმენტის ისეთი კლასიკური ქვეყნისათვის, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის მთელი რიგი ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ თავისი ეკონომიკურ-მმართველობითი მომავლის შენებას და წარმატებებსაც აღწევენ ამ სფეროში.

საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია ცივილიზებული ეკონომიკური სამყაროს თეორიული მიღწევების და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა და სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში მისი დანერგვა-გამოყენება, რაც, ჩვენი აზრით, ახლო მომავალში აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://en.wikipedia.org./wiki/Peter_Drucker
2. Классики менеджмента. Под ред. М. Уорнера. Пер. с англ. под ред. Ю.И. Каптуревского. СПб.: Питер, 2001.
3. Drucker Peter F.Management: Tasks, Responsibilities, Practicies. N. Y., Harper & Row, 1974.
4. Drucker Peter F. People and Performance. London. Heinemann, 1973.
5. Tarrant, John C. Drucker: The Man Who Invented the Corporate Society. 1976.
6. Программа действий. Повестка дня на 21 век. Сост. М. Китинг. Женева, 1993.
7. Друкер П. Ф. Задачи менеджмента в XXI веке. Пер. с англ. М. «Вильямс», 2002.
8. http://en.wikipedia.org/wiki/management; http://multilex.mail.ru.

Giorgi Shikhashvili

Modern Management Prospects by Peter Drucker

Among the leaders of modern management, Peter Ferdinand Drucker is the most prominent. The last period in the history of the theory and practice of professional management without exaggeration can be called `The Era of Peter Drucker”.

In connection with the great merits in the field of science and management practice, P. Drucker is recognized as the `Father of Modern Management”. P. Drucker was a scientist who always stressed the

need for a humanistic approach to management.

Managers should not think only technocratically, they must understand the social significance of their activities.

P. Drucker offers a new paradigm: `Management is the specific and determining structure of all and every organization".

It is very important for Georgia to study the theoretical achievements and practical experience of the civilized economic world and their use in economic and management activities, which, in our opinion, should be implemented in the near future.

***Keywords**: Father of modern management. Professional management theory and practice. Peter Draker's epoch. Humanistic approach to management. Technocrat managers. Social Importance of Management. Modern management prospects and tasks.*

.....

ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი". 2017, # 4, გვ. 139-158.

გიორგი შიხაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის
ასოცირებული პროფესორი.

თვითმენეჯმენტის აქტუალური პარადიგმები: პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრება

დღევანდელ პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია თვითმენეჯმენტის აქტუალური საკითხების კვლევა და, კერძოდ, პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრება. ამ მიზნით სტატიაში განხილულია შემდეგი საკითხები: სინერგიული მიდგომა ადამიანის შეცნობისადმი; თვითმენეჯმენტის ფუძემდებლური სინერგიული პარადიგმები; მართვის ბიბლიურ-სინერგიული გააზრება; საზოგადოებრივი და პირადი ჯანდაცვის მართვის ქრისტიანული სინერგიული პარადიგმები; ბიბლიის სამედიცინო სწავლება; პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრების ზოგადმეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები, კონკრეტული ინდივიდუალური სამკურნალო მეთოდების მითითებით (მკურნალობა წვენებით, ჯანსაღი საკვებით, შიმშილობით, ფიზიკური აქტივობით და სხვ.). სტატიაში ჩამოყალიბებულია ავტორისეული ხედვები, პარადიგმები და კონკრეტული მოსაზრებები პირადი ჯანდაცვის მართვის სრულყოფის მიმართულებით.

***საკვანძო სიტყვები**: თვითმენეჯმენტის სინერგიული პარადიგმები; ბიბლიის სამედიცინო სწავლება; პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრება; ინდივიდუალური სამკურნალო მეთოდები.*

თანამედროვე საქართველოში, საზოგადოებრივი ცხოვრების საყოველთაო მკვეთრი ინდივიდუალიზაციის, სეკულარიზაციისა და კომერციალიზაციის პირობებში, უაღრესად მნიშვნელოვანია თვითმენეჯმენტის აქტუალური საკითხების კვლევა და, კერძოდ, პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრება. აუცილებელია მეცნიერული კვლევისა და ცხოვრებისეული პრაქტიკისადმი რელიგიური და სეკულარული მიდგომების ჰარმონიზება.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ინდივიდუალიზაციის მიუხედავად, საქართველოში თვითმენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაგმატულ-გამოყენებითი საკითხების კვლევას ნაკლები ყურადღება ეთმობა. ძალზე მცირეა ამ სფეროს კვლევასთან დაკავშირებული მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები. აქედან გამომდინარე, როგორც შედეგი, თითქმის არ არსებობს ლიტერატურა, რომელიც პირდაპირ ეხება პირადი ჯანდაცვის მართვას. მაგალითად, თვითმენეჯმენტის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი პირადი ჯანდაცვის მართვის მხოლოდ ზოგად (არასინერგიული ხასიათის) საკითხებს [1]. ეკონომიკისა და მართვის კუთხით სპეციალიზებული ლიტერატურიდან, აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ნაშრომები [2; 3], რომლებშიც ასახულია საზოგადოებრივი და

პირადი ჯანდაცვის მართვისადმი სინერგიული მიდგომები და პარადიგმები.

ამასთან, არსებობს ეკონომიკისა და მართვის კუთხით არასპეციალიზებული ქართულენოვანი ნაშრომები [4-15], რომლებშიც ასახულია თვითმენეჯმენტისა და საზოგადოებრივი და პირადი ჯანდაცვისადმი რელიგიური, სეკულარული და სინერგიული მიდგომები.

სტატიის მიზნიდან გამომდინარე, შევისწავლეთ თემასთან პირდაპირ და ირიბად დაკავშირებული უცხოენოვანი წყაროებიც და მათგან ქართულ ენაზე ნათარგმნი ლიტერატურა [16-24 – ნათარგმნი წყაროები; 25-35 – უცხოენოვანი წყაროები].

ნაშრომის მიზანია, საქართველში თვითმენეჯმენტის აქტუალური გამოწვევების თეორიულ-სინერგიული ასპექტების კვლევისა და სინერგიული სამედიცინო თეორიულ-მეთოდოლოგიური პარადგიმების გამოვლენა-შესწავლის საფუძველზე პირადი ჯანდაცვის მართვისათვის ავტორისეული სათანადო პარადიგმების/განმარტებების ჩამოყალიბება და შესაბამისი პრაქტიკული გზების დასახვა.

ნაშრომი ორიგინალურია და სიახლეს წამოადგენს ქართული სამეცნიერო-ეკონომიკური საზოგადოებისათვის. მასში გადმოცემულია თვითმენეჯმენტის და პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრება, შესაბამისი ბიბლიურ-ქრისტიანული და ავტორისეული პარადიგმები და პიროვნულ-ინდივიდუალური მკურნალობის მეთოდები. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ჩვენ მიერ წინა წლებში დაწყებული კვლევის შედეგად გამოცემული ნაშრომები [2; 3], რომლებშიც ასახულია საზოგადოებრივი და პირადი ჯანდაცვის მართვისადმი სინერგიული მიდგომები და პარადიგმები.

თვითმენეჯმენტის სინერგიული გააზრება

თვითმენეჯმენტის ამოსავალი პარადიგმა – „შეიცან თავი შენი“

ყოველი ადამიანის მიერ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და შესაბამის პირად ქმედებათა და მთლიანად, ცხოვრების სწორად წარმართვისათვის პიროვნება ლოგიკურად და აუცილებელად უნდა ეყრდნობოდეს **თვითშეცნობის უძველეს, ერთ-ერთ ფუძემდებლურ პარადიგმას – „შეიცან თავი შენი“.** სწორედ ამ სიბრძნეზე უნდა დაამყაროს ყოველმა ადამიანმა თავისი აზროვნება, შეიცნოს საკუთარი პიროვნება და ზუსტად გაიაზროს: თავისი წარმოშობა, დანიშნულება, მიზანი, ცხოვრების არსი (სიცოცხლის საზრისი), პირადი მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების გზები, საარსებო გარემო, სხვა ადამიანების და საზოგადოებრივი ცხოვრების აზრი.

აღნიშნული სიბრძნიდან გამომდინარებს მეორე, ასევე ძველთაგანვე ცნობილი **საზოგადოებისა და სამყაროს შეცნობის პარადიგმა: „შეიცან თავი შენი და შენ შეიცნობ მთელ სამყაროს“.**

სწორედ ამ ორი პარადიგმის საფუძველზე შევიმუშავეთ **თვითმენეჯმენტის ფუძემდებლური პარადიგმა: „საკუთარი თავის და საარსებო გარემოს შეცნობისა და შეცნობილი რეალობის შესაბამისი მიზნების დასახვის საფუძველზე წარმართე/მართე შენი ცხოვრებისეული ქმედებები“.**

სინერგიული მიდგომა ადამიანის თვითშეცნობისადმი და თვითმენეჯმენტის სინერგიული პარადიგმები

ადამიანის და მისი ცხოვრების არსის შეცნობაში არის ორი მიდგომა – ათეისტური და თეოლოგიური (სხვაგვარად – სეკულარული და ქრისტიანული).

დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ოფიციალურად წახალისებულ-დადგენილ-გაბატონებული **ათეისტურ-სეკულარული იდეოლოგიის მიხედვით**, სამყარო წარმოიშვა თავისთავად, ქაოსიდან, ხოლო ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისაგან, ევოლუციის ხანგრძლივ პროცესში. ყოველი ინდივიდი ცოცხლობს გარკვეული დროის განმავლობაში და სიკვდილის შემდეგ იგი არარაობად იქცევა და სამუდამოდ ქრება სამყაროდან. **თუმცა, ამასთანავე, სეკულარულ გაგებაში ჩადებულია თეოლოგიურ-ქრისტიანული სწავლებასთან საერთო საწყისებიც, რომელთა განხორციელებაც უწევს ყველა ადამიანს მიწიერი ცხოვრების დროს.**

სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის შესახებ თეოლოგიურ-ქრისტიანული იდეოლოგია,

ცნობილ დემოკრატიულ-სისხლიან რევოლუცია-ომებამდე, მოიცავდა დღევანდელი ცივილიზებული ევროპის ტერიტორიაზე არსებულ პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს. მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ცივილიზაცია დევნილ-დაგმობილ იქნა სეკულარულ-ათეისტურად აგრესიული სახელმწიფოების შექმნა-განვითარების მეშვეობით/შედეგად. სამწუხაროდ, უნდა ითქვას ისიც, რომ დღევანდელი ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოების პირობებშიც კი გაბატონებულია ყველასთვის თვალნათელი, თეოლოგიურ-ქრისტიანული აზროვნების დამცირების, დისკრედიტაციისა და ლიბერალური დევნის „დემოკრატიული" იდეოლოგია, პრაქტიკა და შესაბამისი მეთოდები.

თუმცა, დავუბრუნდეთ დაწყებულ მსჯელობას თეოლოგიურ-ქრისტიანული სწავლების შესახებ, რომლის მიხედვით სამყარო შექმნა ღმერთმა. უფალმა ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად, ყოველი ქმნილების გვირგვინად, მეუფედ, მცველად და განმგებლად შექმნა და დაადგინა ადამიანი. ადამიანში არის სულიერი და ხორციელი საწყისები, რომელთაგან მთავარია სული. ხორცი მოკვდავია, სული კი – უკვდავი. ფიზიკური სიკვდილის შემდეგ ხორცი მიიქცევა მიწად, რომლისაგან ის შეიქმნა, ხოლო სული სამარადჟამო ნეტარი ცხოვრებისთვის უბრუნდება ღმერთს, რომელმაც შთაბერა იგი.

თეოლოგიურ-ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ყოველი ადამიანის ცხოვრების არსი, დანიშნულება, მისია, მიზანი და მათგან გამომდინარე **თვითმენეჯმენტის ქრისტიანული სინერგიული პარადიგმის არსია ის, რომ ადამიანმა მიწიერი ცხოვრების დროს, საღვთო სჯულზე დაყრდნობით, საკუთარი ქმედებები უნდა მართოს/წარმართოს იმგვარად, რომ ფიზიკური სიკვდილის და ღვთაებრივი სამსჯავროს გავლის შემდეგ, დაემკვიდროს უფლის სასუფეველში (სამოთხეში) მარადიული ნეტარებისათვის (რასაც ქრისტიანულად განღმრთობა ეწოდება).**

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II **გადმოვცემს თვითმენეჯმენტის პარადიგმას**, რომლის თანახმად, ადამიანის **„მიზანი და დანიშნულება ღმერთში ცხოვრება და ნეტარი მარადიულობის მოპოვებაა"** [8, გვ. 63].

გამოჩენილი მღვდელმთავარი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი წმ. ბასილი დიდი გვთავაზობს თვითმენეჯმენტის შემდეგ პარადიგმას: „შეიცან თავი შენი, იზრუნე საკუთარი სულისთვის: იყავ ფხიზელი, გონიერი, დაიცავ აწმყო, იზრუნე მომავალზე" [4, გვ. 1].

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მიწიერი ცხოვრების დროს ადამიანმა საკუთარი თავი უნდა მართოს ორივე განხილული სწავლების საფუძველზე, სინერგიულად, თეოლოგიურისადმი უპირატესობის მინიჭებით.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სინერგიულობის შესახებ გვასწავლის შემდეგს: „მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას" [5, გვ. 4], **„მეცნიერება და სარწმუნოება კი არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ ისინი ავსებენ ერთმანეთს. ეს ჰარმონიული განვითარება უნდა იყოს ყოველ ადამიანში. უნდა ვიცოდეთ, რომ რწმენა აუცილებელია, მაგრამ მასთან ერთად მატერიალური,მეცნიერული, ტექნიკური განვითარებაც საჭიროა"** [5, გვ. 166].

ზემოაღნიშნული ორი ურთიერთდაკავშირებული პარადიგმის („შეიცან თავი შენი" და „შეიცან თავი შენი და შენ შეიცნობ მთელ სამყაროს") და ქრისტიანულ და სეკულარულ სწავლებათა სინერგიული გააზრების საფუძველზე, გვინდა ჩამოვაყალიბოთ **თვითმენეჯმენტის ჩვენეული განმარტება: თვითმენეჯმენტი არის ადამიანის მიერ საკუთარი თავის სინერგიულ შეცნობაზე დამყარებული პირადი ფიზიკური, სულიერი და სოციალური საწყისების, რესურსების და პოტენციალის მართვა-განვითარება.**

პიროვნული, სოციალური და სამეურნეო-მმართველობითი თემატიკის ბიბლიურ-ქრისტიანული სინერგიული გააზრება

ზოგადსაკაცობრიო სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა საგანძურში ზეაღმატებული ადგილი უკავია ბიბლიას, რომელშიც ასახულია მთელი სამყაროს და მისი ყოველი შემადგენელი ნაწილის საწყისი, ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი, პიროვნული და საზოგადოებრივი განვითარების კონცეპტუალური, თეორიული საფუძველი და პრაქტიკული მოქმედების მეთოდოლოგია.

ბიბლიაში სიღრმისეულად არის ასახული მრავალფეროვანი პიროვნული, სოციალური და სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა, სახელდობრ: ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების გზები, ჯანდაცვა, წარმოების, მართვის და ყოველი ინდივიდის არსებობა-განვითარებისა და თვითმართვის აუცილებლობა, საკუთრება, შრომა, ეკონომიკის ცალკეული დარგები (მშენებლობა, ვაჭრობა, განათლება სოფლის მეურნეობა, საკვები და სასმელი პროდუქტები და სხვ.).

ყოველივე ეს ადასტურებს ბიბლიის უზენაეს თეორიულ-მეთოდოლოგიურ ფასეულობას და მისი მეცნიერულ-სინერგიული შესწავლის შესაძლებლობა-აუცილებლობას სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო პროფილის მკვლევართათვის.

ბიბლიიდან ნათლად ჩანს, რომ სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა თვით ღმერთის მიერ არის დადგენილ-წახალისებული და გვევლინება, როგორც ქრისტიანული სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულად მიგვაჩნია, მსჯელობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის და ცალკეულ ადამიანთა თვითმენეჯმენტის თეოლოგიური, სინერგიული გააზრების შესაძლებლობასა და აუცილებლობაზე.

სიბრძნე-შემეცნების, სიცოცხლის, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის, კვებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია ბიბლიური სინერგიული სიბრძნის, პარადიგმების და პრინციპების სისტემა, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. „ყოველი სიბრძნე უფლისგან არის და მასთანაა საუკუნოდ“ [6, ზირ. 1, 1, გვ. 612];
2. შექმნისას, უფალმა ადამიანებს მისცა „აზრი, ენა და თვალები, ყურები და გული“, რათა შეიცნონ საკუთარი თავი და გარემო, „აღავსო ისინი ცოდნითა და სწავლით და აჩვენა მათ კეთილი და ბოროტი“, „წინ დაუდვა მათ ცოდნა და ცხოვრების წესი დაუმკვიდრა“ [6, ზირ. 1, 1-11, გვ. 623];
3. „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ [6, დაბ. 2, 15, გვ. 14];
4. „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა ეპატრონეთ მას“ [6, დაბ. 1, 28, გვ. 13];
5. „დასაბამი სიცოცხლისა წყალი და პურია“ [6, ზირ. 29, 21, გვ. 632];
6. „აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, ... და ყოველი ნაყოფიერი ხე, ... ეს იყოს თქვენი საზრდო“ [6, დაბ. 1, 29, გვ. 13-14];
7. „ხრწნადი საზრდოსთვის ნუკი ზრუნავთ, არამედ იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ“ [6, იოან. 6, 27, გვ. 1051];
8. „ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდი მრგებს მე, ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ არაფერი არ უნდა მფლობდეს მე. საჭ-მელი მუცლისათვის, და არა მუცელი საჭმლისათვის; ხოლო ღმერთი ერთსაც და მეორესაც განაქარებს. სხეული კი არა სიძვისათვის, არამედ უფლისათვის, და უფალი სხეულისათვის“ [6, 1 კორ. 6, 12-13, გვ. 1137];
9. „გავა ადამიანი, რათა იშრომოს და იმუშაკოს მწუხრის ჟამამდე“ [6, ფსალმ. 103, 23, გვ. 543];
10. „ჩვენი ბეღლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით. ცხვარნი ჩვენნი ათასობდნენ, ათიათასობდნენ ჩვენს საძოვრებზე“ [6, ფსალმ. 143, 13, გვ. 561];
11. „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ [6, მათ. 22, 21, გვ. 981];
12. „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ [6, 2 თეს. 3,10, გვ. 1177];
13. „ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა“ [6, ლუკ. 10, 7, გვ. 1024];
14. თუ ვივლით ღმერთის წესებზე და დავიცავთ მის მცნებებს და შევასრულებთ მათ, უფალი გვპირდება სრულ პიროვნულ, ეროვნულ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, მმართველობით და სამხედრო კეთილდღეობას, უხვ მოსავალს და სულიერ-ხორციელ ჯანმრთელობას, ხოლო თუ არ დავუჯერებთ და არ შევასრულებთ მის მცნებებს, მაშინ იგი მოგვივლენს ყოველივე ამის საპირისპირო სასჯელებს [6, ლევ. 26, 1-46, გვ. 121-122].

მედიცინისა და პირადი ჯანდაცვის მართვის ქრისტიანული სინერგიული პარადიგმები

ბიბლიის სამედიცინო სწავლება

ბიბლიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მედიცინის და პირადი ჯანდაცვის მართვის აქტუალურ საკითხებს, ბიბლიის სამედიცინო-ჯანდაცვითი სინერგიული მოძღვრება გვასწავლის:

1. „თუ არ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას, არ დაიცავ და არ შეასრულებ ყველა მის მცნებას და წესებს... მოგაწებებს უფალი შავ ჭირს.... მოგწყლავს უფალი ჭლექით, ციებ-ცხელებით, ხურვებით, გვალვით, ხორშაკით და სიყვითლით...“ [6, რჯლ. 28, 15, 21-22, გვ. 188];
2. „თუ გაიგონებ უფლის, შენი ღვთის ხმას და სწორად მოიქცევი მის თვალში, ყურს დაუგდებ მის ბრძანებებს და დაიცავ ყველა მის წესს, არ შეგყრი არცერთ სენს, ...რადგან მე ვარ უფალი, შენი გამკურნებელი“ [6, გამ. 15, 26, გვ. 71];
3. „ვინც თავისი შემოქმედის წინაშე სცოდავს, დაე ის ჩავარდეს მკურნალის ხელში!“ [6, ზირ. 38,15, გვ. 638];
4. „ადამიანისთვის სიცოცხლის სახსართაგან მთავარია: წყალი და ცეცხლი, რკინა და მარილი, ხორბლის ფქვილი და რძე, თაფლი და ყურძნის წვენი, ზეთი და სამოსელი. ყოველივე ეს ღვთისმოსავთა სასიკეთოდაა, ცოდვილებს კი სატანჯველად ექცევა“ [6, ზირ. 39, 26-27, გვ. 640];
5. „ჯანმრთელი და ძალ-ღონით ძლიერი ღატაკი სჯობს სხეულით დაძაბუნებულ მდიდარს. სიმრთელე და სიძლიერე ყველა ოქროს სჯობს და ჯანსაღი სხეული – განუზომელ სიმდიდრეს“ [6. ზირ. 30, 14-15, გვ. 632-633];
6. „ჯანსაღი ძილი ზომიერ კუჭზეა: დილით ადრე ადგება და მასთანაა მისი სული. გაუმაძღარ კაცს კი უძილობა, ქოლერა და მუცლის გვრემა გასტანჯავს“ [6, ზირ. 31, 20, გვ. 633];
7. „გაუმაძღარი ნუ იქნები განცხრომაში და საჭმელ-სასმელს ნუ დაეხარბები. რადგან ბევრი ჭამისგან ჩნდება სენი და გაუმაძღრობამ გულისრევა იცის. გაუმაძღრობით მრავალნი აღესრულნენ, თავშკავებული კი სიცოცხლეს იხანგრძლივებს“ [6, ზირ. 37, 29-31, გვ. 638];
8. „ღვინოში ნუ ივაჟკაცებ, რადგან ღვინოს ბევრი დაუღუპავს. კაცთა სიცოცხლისათვის ღვინო საჭიროა, თუკი მას ზომიერად შესვამენ. რა არის სიცოცხლე ღვინის გარეშე? იგი ხომ კაცთა სასიხარულოდ შეიქმნა. გულის სიხარული და სულის შვებაა ზომიერად და დროის შესაფერისად შესმული ღვინო“ [6, ზირ. 31, 25-28, გვ. 633];
9. „ავადმყოფობს რომელიმე თქვენგანი? ეკლესიის ხუცესთ მოუხმოს, რათა ილოცონ მისთვის და ზეთი სცხონ უფლის სახელით. რწმენის ლოცვა იხსნის სნეულს და აღადგენს მას უფალი; და თუ ცოდვები აქვს ჩადენილი, მიეტევება მას“ [6, იაკ. 5, 14-15, გვ. 1107];
10. „პატივი მიაგე მკურნალს, ...რადგან უფალმა შექმნა იგი, რადგან მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას“ [6, ზირ. 38, 1-2, გვ. 638];
11. „შენს სნეულებას ნუ მიუყრუებ, არამედ შეევედრე უფალს და განგკურნავს“ [6, ზირ. 38, 9, გვ. 638];
12. „უფალმა მიწისგან შექმნა წამლები და გონიერი კაცი არ უგულებელყოფს მათ“ [6, ზირ. 38, 4, გვ. 638];
13. „ცოდნა მკურნალს თავს აუმაღლებს და დიდებულთა წინაშე მოუხვეჭს პატივს“ [6, ზირ. 38, 3, გვ. 638];
14. „მიეცი ადგილი მკურნალს, რადგან უფალმა შექმნა და ნუ მოიშორებ, რადგან გჭირდება იგი“ [6, ზირ. 38, 12, გვ. 638];
15. „განკურნეთ სნეულნი, განწმინდეთ კეთროვანნი, აღადგინეთ მკვდარნი, განდევნეთ ეშმაკნი; უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდვე გაეცით“ [6, მათ. 10, 8, გვ. 967];
16. „მკურნალო, განიკურნე შენი თავი“ [6, ლუკ. 4, 23, გვ. 1016].

ბიბლიის სამედიცინო სიბრძნიდან გამომდინარე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გვასწავლის: „ჭეშმარიტი მედიცინა დაკავშირებულია ღმერთთან, სულთან, რწმენასთან“ [5, **გვ.** 152] **.**

მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია შემდეგი სამი ქრისტიანული სამედიცინო პარადიგმა: 1) ავადმყოფობა და სიკვდილი კაცობრიობის ისტორიაში ადამისა და ევას პირველქმნილი ცოდვის შედეგად შემოვიდა; 2) დღესაც უფალი ავადმყოფობას გვიგზავნის ცოდვების გამო და მათი გამოსყიდვის მიზნით, რათა გავაცნობიეროთ ჩვენი მანკიერებანი და შევიცვალოთ ცოდვიანი ცხოვრების წესი; 3) ავადმყოფობა გვეგზავნება, აგრეთვე, ცოდვების ჩადენისგან თავშესაკავებლად და, მათი განკურნების შემთხვევაში, – უფლის განსადიდებლად – მაგალითად, იესო ქრისტეს მიერ დაბადებიდან ბრმის განკურნება სილოამის საბანელთან [6, იოან. 9,1-41, გვ. 1056-1057].

ბიბლიაში სნეულთა მკურნალობას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. იესო ქრისტე დიდი სიყვარულით და სრულიად უანგაროდ კურნავდა ავადმყოფებს.

ავადმყოფობის დროს ექიმს უნდა მივმართოთ, ამასთან, აუცილებელია მოძღვრისგან ვითხოვოთ კურთხევა მკურნალობაზე და მთლიანად მივენდოთ ღვთის ნებას. მაშინ ლოცვით, მარხვით, მოწყალების გაცემითა და სხვა კეთილი საქმეებით შეგვიწყალებს უფალი და გვაჩუქებს განკურნებას.

ჩვენი განკურნებისათვის უმთავრესი და უებარია ლოცვა სნეულთათვის, რომლითაც მივმართავთ თვით უფალ იესო ქრისტეს: „შენ მხოლო ხარ ქრისტე მსწრაფლ შემწე, მსწრაფლ გამოაჩინე ზეცით საფარველი შენი ჭირვეულსა მონასა (მხევალსა) შენსა ზედა და იხსენ სნეულებათაგან ჭირთა და მწარეთა სალმობათაგან და აღადგინენ მაქებელად შენდა, და სადიდებელად სამარადისოდ, მეოხებითა ღვთისმშობელისათა მხოლოო კაცთმოყვარე“ [7, გვ.19]. **ეს ლოცვა, ზოგადსამედიცინო და პირადი ჯანდაცვის თვალსაზრისით უმთავრეს პარადიგმას წარმოადგენს**.

აღსანიშნავია, აგრეთვე, შემდეგი საჯანმრთელო ლოცვები, რითაც მივმართავთ წმინდანებს [7, გვ. 20-81]:

1. ყოველგვარ სნეულებათა დროს – წმ. დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალს, წმ. ღირს მამას გაბრიელს აღმსარებელ-სალოსს;
2. თავის ტკივილის დროს – წმ. წინასწარმეტყველსა და ნათლისმცემელს;
3. თვალის ტკივილის დროს – წმ. მახარებელ ლუკას, წმ. მოციქულ ფილიპეს, წმ. მღვდელმთავარ ნიკოლოზს, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსს;
4. სიბრმავისაგან განსაკურნებლად – წმ. მღვდელმთავარ ნიკოლოზს, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსს, წმ. დიდმოწამე დიმიტრი თესალონკელს, ღირს შიო მღვიმელს;
5. სიმუნჯისა და ენაბლუობისაგან განსაკურნებლად – წმ. მღვდელმთავარ ევტიქის, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსს, ღირს იოანე რილელს;
6. კბილის ტკივილის დროს – წმ. მღვდელმოწამე ანტიპას, პერგამის ეპისკოპოსს, წმ. დიდ კეთილმსახურ მეფე ვახტანგ გორგასალს;
7. გულის დაავადებების დროს – წმ. იოასაფს, ბელგოროდელ ეპისკოპოსს;
8. მუცლის ღრუს (კუჭის) დაავადებების დროს – წმ. დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალს, წმ. დიდმოწამე არტემიოსს;
9. წელის ტკივილის დროს – ღირს სერაფიმე საროველს;
10. უშვილობისას – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მშობლებს წმ. და მართალ იოაკიმეს და ანას, წმ. იოანე ნათლისმცემელის მშობლებს წინასწარმეტყველ ზაქარიას და მართალ ელისაბედს, წმ. მოციქულთა სწორს ქართველთა განმანათლებელ ნინოს, წმ. მოწამე შუშანიკ დედოფალს, ღირს შიო მღვიმელს;
11. ალერგიის დროს – წმ. მოწამეებს, უვერცხლოთ მკურნალთ კვიროს და იოანეს;
12. კიბოსაგან განსაკურნებლად – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს: „პანტანასა“;
13. მემთვრალეობის და ლოთობის სენის დასაძლევად – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს: „თასი შეუსმელი“;
14. ნარკომანიისაგან განსაკურნებლად – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს: „პანტანასა“;
15. ვნებათა და ცოდვათა დასაძლევად – წმ. მთავარანგელოზ იერომიელს.

ღვთის წყალობით და შეწევნით, ჩვენ მიერ შექმნილია ლოცვა-ვედრება უფლისადმი, ჩვენი სულიერი და ხორციელი განწმენდა-განკურნებისათვის, რომელსაც აქვე გადმოვცემთ:

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალე ჩვენ ცოდვილნი და გაგვიწმინდე, განგვიკურნე, აღგვიდგინე და აგვიღორძინე ჩვენი არსება და მისი ყოველი ნაწილი ყოვლისაგან ბიწისა სულიერისა და ხორციელისა!

ლოცვებთან ერთად, პირადი ჯანდაცვის სწორი და ეფექტური მართვისათვის ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და ვიყენებდეთ „მედიცინის მამის", **ჰიპოკრატეს საყოველთაოდ ცნობილ, ფუძემდებლურ პარადიგმას: „დაე, შენი საკვები იყოს შენი წამალი და შენი წამალი იყოს შენი საკვები",** რომელიც გამომდინარეობს ბიბლიური სინერგიული ჯანდაცვითი სიბრძნიდან.

საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის რელიგიურ-ეთიკური და ფსიქოლოგიური ასპექტები

საქართველოში 26 წლის წინ დაწყებული და დღესაც მიმდინარე რეფორმების უმთავრესი მიზანია საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება და განვითარება. ჯანდაცვის სისტემის რეფორმაც, მისი დღევანდელი სახით, მცდარად, ამ მიზნის აბსოლუტურად იდენტურ და სწორ შემადგენელ ნაწილად არის მიჩნეული.

„შეუიარაღებელი თვალისთვისაც" კი ადვილი შესამჩნევია, რომ ტოტალური პრივატიზების და კომერციალიზაციის ყოვლისმომცველი პოლიტიკა უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების ჯანდაცვის მდგომარეობაზე და იწვევს მწვავე და შეუქცევად სამედიცინო, დემოგრაფიულ და ზნეობრივ გართულებებს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ პრივატიზებული და მოგების მოპოვებაზეა გადასული ფსიქიატრიული საავადმყოფოებიც (მაგალითად, ბათუმში, ხონში).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქეისის განხილვის სახით გავიაზროთ ჯანდაცვის სისტემის კომერციალიზაციის კომპლექსური უარყოფითი მხარეები. ამისათვის მკითხველს ვთავაზობთ ჩვენ მიერ შედგენილ ქეისს.

შემეცნებითი სინერგიული ქეისი კომერციულ ჯანდაცვასა
და ფარმაცევტულ ბიზნესზე

თანამედროვე ფარმაცევტული ბიზნესის, კომერციული საავადმყოფოების, პოლიკლინიკების მესვეურების, ექიმების, საავადმყოფოებისა და აფთიაქების თანამშრომლების საარსებო საშუალებები (შემოსავალი, მოგება და ხელფასი) პირდაპირ არის დამოკიდებული ავადმყოფთა სიმრავლეზე, ანუ მოქმედებს **ბიზნესიდეოლოგიური, პარადოქსული, უზნეო პარადიგმა: „ჯანდაცვის მუშაკები უნდა არსებობდნენ ავადმყოფთა არსებობით და სიმრავლით"**. აქედან გამომდინარე, თავისი ქმედებით და წამლებით, ისინი (ჯანდაცვის მუშაკები) შეგნებულად თუ არაშეგნებულად, ხშირად არასრულად ან საერთოდ არ/ვერ კურნავენ ავადმყოფებს. ამასთან, ახალ-ახალი, უამრავი დასახელების, მომხიბლავად შეფუთულ-გაფორმებული, ფარმაცევტული კომპანიების მიერ მეტი და მეტი კომერციული მოგების მიღების მიზნით გამოგონილ-გამოშვებული, წინამორბედი ანალოგიური პრეპარატისგან მხოლოდ დასახელებით და შეფუთვით განსხვავებული, მხურვალედ რეკლამირებული, მომწამლავი ქიმიით „გაჟღენთილი" მედიკამენტების გამოყენება ხშირად იწვევს სხვა, „არამიზნობრივი, დაუგეგმავი" დაავადებების წარმოშობა-გამწვავება-განვითარებას. ამ უკანასკნელ გარემოებაში გვარწმუნებს, თუნდაც წამლების თანმხლები ინსტრუქციები, რომლებშიც ასახულია: პრეპარატის ქიმიური შემადგენლობა, ფარმაკოლოგიური თვისებები, ჩვენებები, უკუჩვენებები, მიღების წესები და დოზები, გვერდითი მოვლენები (ანუ ნაცნობი თუ უცნობი, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი დაავადებები), ორსულობა და ლაქტაცია, განსაკუთრებული მითითებები, ჭარბი დოზირება, სხვა წამლებთან ურთიერთქმედება და სხვ.

ჯანდაცვის ასეთი პარადიგმების, კონცეფციის, სისტემის და შესაბამისი მართვის პირობებში საქართველოში, მთელს მსოფლიოში (განვითარებულშიც და არაგანვითარებულშიც) იზრდება ავადობა (მათ შორის, ფსიქიკური დაავადებები). უფრო და უფრო „ახალგაზრდავდება" და „ბავშვურდება" სნეულებები, წარმოიშობა სრულიად უცნობი, ახალი დაავადებები, კატასტროფულად იზრდება ფასები სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე.

საკითხები ქეისის სინერგიული გააზრებისათვის:

1. ქრისტიანულად, ეთიკურად და იურიდიულად რამდენად დასაშვებია ასეთი ფსიქოლოგიური მიდგომა ავადმყოფი ადამიანისადმი, მთლიანად ჯანდაცვისა და ფარმაცევტული სფეროს ორგანიზაციისადმი და შესაბამისი ბიზნესის განვითარება? თანამედროვე ლიბერალ-დემოკრატი უფლებადამცველები, თითიდან გამოწოვილი „პრობლემური“ სფეროების ნაცვლად, აქ ხომ არ უნდა ეძებდნენ ანტიჰუმანურობის გამოვლინებას და სწორედ აქ ხომ არ უნდა იცავდნენ სნეულ ადამიანებს?!
2. რა საბოლო შედეგებს მოუტანს საზოგადოებას და ქვეყანას უღვთო და უზნეო ბიზნესიდეოლოგია ჯანდაცვისა და ფარმაცევტულ სფეროში?
3. რა გზით უნდა განვითარდეს ჯანდაცვა?
4. როგორი სინერგიული პარადიგმები, კონცეფცია, მოდელი, პროგრამა, პროექტი უნდა შემუშავდეს პრობლემის გადასაჭრელად?

ქეისში მოცემული სიტუაციის გააზრების საფუძველზე მართებულად მიგვაჩნია გადმოვცეთ შემდეგი მოსაზრებები:

1. ცალკეული ადამიანის და მთელი საზოგადოების ჯანმრთელობა არ უნდა იყოს კომერციის მიზანი და საგანი. მარტივად გასაგებია, რომ კომერციაზე ნებით თუ უნებურად დამოკიდებული, ფულს გამოდევნებული, მცირე თუ დიდი ანგარებით დაავადებული მკურნალი, ისევე როგორც სამედიცინო და ფარმაცევტული ბიზნესის მესვეურები და ნებისმიერი თანამშრომელი, ვერც საკუთარ თავს განიკურნავს ანგარების სენისაგან (შდრ. „მკურნალო, განიკურნე შენი თავი“ [6, ლუკ. 4, 23. გვ. 1016]) და არც/ვერც ავადმყოფს უშველის რამეს.
2. ამავე დროს, ჯანდაცვის სისტემის მუშაკთა შრომა, მისი უდიდესი ჰუმანური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად მაღალანაზღაურებადი უნდა იყოს.
3. ჯანდაცვას უნდა წარმართავდეს და მკურნალს გარანტირებულ მაღალ ანაზღაურებას აძლევდეს სახელმწიფო.
4. საჭიროა პრემიების დაწესება ექიმებისთვის ყოველ საბოლოოდ გამოჯანმრთელებულ ადამიანზე და, საერთოდ, ქვეყნის მასშტაბით ავადობის მაქსიმალურ შემცირებაზე. იესო ქრისტე აქაც გვასწავლის, რომ „ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა“ [6, ლუკ. 10, 7, გვ. 1024].
5. მისაღებია, აგრეთვე ალტერნატიული, კერძო კომერციული სამედიცინო საქმიანობაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქვეყანაში იმოქმედებს მაღალორგანიზებული, უსასყიდლო, ზნეობრივ პრინციპებზე დამყარებული ჯანდაცვის სისტემა. ასეთი სისტემა უნდა ეყრდნობოდეს სახელმწიფოებრივი, საეკლესიო-სამონასტრო და არასამთავრობო სექტორის სამკურნალო დაწესებულებების ჰარმონიულ არსებობა-განვითარებას.
6. საჭიროა შემუშავდეს ეკონომიკური საქმიანობისა და კერძოდ, ჯანდაცვის ორგანიზაციის ერთიანი სინერგიული კონცეფცია საზოგადოების ყველა ფუნდამენტური სექტორისა და ეკლესიის მონაწილეობით, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას სათანადო პროგრამები და გაიშალოს პრაქტიკული საქმიანობა, რათა რეალურად იქნეს მიღწეული საქართველოს ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნები.

პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრების მეთოდოლოგიური და პრაქტიკულ-გამოყენებითი ასპექტები

თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე ფიზიოთერაპევტების, ნატუროპათების, ნუტრიციონისტების აზრით, დაავადებათა უმრავლესობის წარმოშობის უმთავრესი მიზეზია არაჯანსაღი, არაორგანული, მკვდარი ნივთიერებებით სავსე საკვების/სასმელების მიღება, რის გამოც ორგანიზმში გროვდება არაორგანიკა (ტოქსინები, წიდები, მარილები, შაქარი, სახამებელი, კირი, ლორწო), რაც, თავის მხრივ, იწვევს სხვადასხვა დაავადებას [9-14; 16-23; 25-32] .

პირადი ჯანდაცვის მართვა ნორმან უოკერის მიხედვით: მკურნალობა ახალგამოწურული წვენებით

წვენებით თერაპიის და ჯანსაღი კვების (ნუტრიციონიზმის) ფუძემდებელად ითვლება ამერიკელი ბიზნესმენი, დოქტორი, მორწმუნე ქრისტიანი, **ნორმან უოკერი** (1886-1985), რომელიც გარდაიცვალა 99 წლის ასაკში [16].

ნორმან უოკერის საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომში [17 – ქართული თარგმანი; 25 – ინგლისური დედანი] ჩამოთვლილია არაჯანსაღი კვების გამო წარმოშობილი მრავალი, მათ შორის, მძიმე და უმძიმესი დაავადებები: ასტიგმატიზმი; სოკო; აციდოზი; ალერგია; აპოპლექსია (დამბლა); ოსტეოქონდროზი; არტერიოსკლეროზი; ართრიტი; კატარაქტა; კენჭები და ქვიშა (თირკმელებში, ნაღვლის ბუშტში); სიმსივნეები; ბრონქიტი; ღვიძლის ციროზი; კოლიტი; ცისტიტი; ნევროზი; სისხლძარღვების ტრომბოზი; ძვლების (მ.შ, კბილების) დაშლა; დიაბეტი; თავის ტკივილი; გასტრიტი; ჩიყვი; ბუასილი; გულ-სისხლძარღვთა დაავადებები; თრომბოზი; ტოქსემია; უძილობა; თეთრსისხლიანობა; ნეფრიტი, ნევრალგია; ფსორეაზი; პროსტატა; პიორეა (ღრძილების ანთება და კბილების მორყევა) და სხვ.

ნორმან უოკერი პირადი ჯანდაცვის მართვის მოსაგვარებლად გვიჩვენებს ნატურალური, არაუმეტეს 40-50 გრადუს ტემპერატურაზე მომზადებული მცენარეული საკვებისა (მეტ ტემპერატურაზე ბოსტნეული და ხილი იწყებს კვდომას, ვინაიდან ამ დროს მისი ორგანული შემადგენელი ელემენტები გადაიქცევა არაორგანულად) და ახალგამოწურული წვენების მეშვეობით დაავადებათა პრევენციისა და სრული გამოჯანმრთელების გზებს, რისთვისაც გვთავაზობს კონკრეტულ რჩევებს და რეცეპტებს.

ნორმან უოკერი, მაგალითად, კიბოს წარმოშობის მიზეზებს შემდეგნაირად განმარტავს: „საჭირო ორგანული ნივთიერებების უკმარისობის გამო ეპითელიური უჯრედების ნახევრადმშიერი ჯგუფები ან ქსოვილები მრავლდება კონცენტრირებული და ხორცეული საკვების მიღებისას“ [17, გვ. 90], **აქვე იგი გვთავაზობს შესაბამის რეცეპტებს:** #1- სტაფილოს წვენი [17, გვ. 74] და #61 – სტაფილოსა და ისპანახის ნაზავი წვენი პროპორციით ორი ერთზე [17, გვ. 81]. უნდა აღინიშნოს, რომ #61 რეცეპტი კურნავს ისეთი სნეულებებისგან, როგორიცაა: სხვადასხვა სისმსივნე, ტოქსემია, ნეფრიტი, ცისტიტი, დიაბეტი, ბუასილი, დაბალი წნევა, უძილობა, ძვლებისა და კბილების დაშლა, ჩიყვი, სიყრუვე, არტერიების დაავადებები და სხვ. სულ უოკერს განხილული აქვს პრაქტიკულად ყველა ბოსტნეული, ზოგიერთი ხილი, მათი სამკურნალო თვისებები და მოცემული აქვს სათანადო ნაზავების რეცეპტები (სულ 87 რეცეპტი).

წვენები ორგანიზმის მიერ სწრაფად (რამდენიმე წუთში) და სრულად აითვისება. საჭმლის მომნელებელი სისტემა ამაზე მინიმალურ ძალისხმევას ხარჯავს, ამავე დროს, წვენები ორგანიზმიდან გამოდევნის მკვდარი უჯრედების ნარჩენებს, რაც არაჯანსაღი კვების შედეგად გროვდება. გარდა ამისა, წვენში არსებული წყალი, რომელიც დიდი რაოდენობითაა ხილსა და ბოსტნეულში, ძალიან სასარგებლოა, რადგან მასში ორგანული ვიტამინები და მინერალებია გახსნილი.

ნორმან უოკერი გვთავაზობს ვაშლს, ვაშლის წვენს და ვაშლის ძმარს სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

აქ მოვიტანთ ცნობილ ინგლისურ და რუსულ ხალხურ პარადიგმებს ვაშლის მარგებლობის შესახებ: „An apple a day, doctor away“ და «По яблоку в день, и доктор не надобен», რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველდღიურად თითო ვაშლის მიღებით ექიმი აღარ დაგვჭირდება. აქვე კვლავ გავიხსენოთ **ჰიპოკრატეს ფუძემდებლური პარადიგმა – „დაე, შენი წამალი იყოს შენი საკვები და შენი საკვები იყოს შენი წამალი**“. ეს სიბრძნე აუცილებლად უნდა ვაქციოთ ჩვენი მიწიერი ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად, რომელზე დაყრდნობითაც შევძლებთ ეფექტურად ვმართოთ პირადი ჯანმრთელობა.

ნორმან უოკერის მიხედვით, უნდა ვსვათ ახალგამოწურული წვენები. სამკურნალო ეფექტისათვის საკმარისია 3-6 ჩაის ჭიქა წვენი დღეში, ხოლო ორგანიზმის ზოგადი გაჯანსაღებისათვის, არაუმეტეს 1-2 ჩაის ჭიქისა.

ნორმან უოკერი პირადი ჯანმრთელობის მართვის ეფექტურობისათვის გვირჩევს, წვენებით კონკრეტული დაავადების მკურნალობის პარალელურად, თავი შევიკავოთ ხორცისგან,

ცომეულისაგან, მარილისა და შაქრისგან. ამასთან, საჭიროა აღვიჭურვოთ მოთმინებით და გვახსოვდეს, რომ ნატურალური წვენების საშუალებით ჩვენ ვწმენდთ საკუთარ ორგანიზმს და ვჯანმრთელდებით.

ჩვენი მხრიდან აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ნორმან უოკერისა და სხვა ნატუროპათების და ფიზიოთერაპევტების [9; 11-14; 16-23; 25-32;] მეთოდების გამოყენებით **ამ სტრიქონების ავტორი გამოჯანმრთელდა ისეთი დაავადებებისგან, როგორიცაა**: აციდოზი; ოსტეოქონდროზი; კენჭები და ქვიშა თირკმელებში; ცხვირის ღრუს ანთება; უძილობა.

ჩვენივე რჩევებით და სწავლებით, აღნიშნული და სხვა დაავადებებისაგან (ალერგია; დიაბეტი; თავის ტკივილი; მეხსიერების დარღვევა; გასტრიტი; ჩიყვი; თრომბოზი; ღრძილების ანთება და კბილების მორყევა და სხვ.) **განიკურნენ ჩვენი ახლობლებიც**.

მაგალითად, რამდენიმე ჩვენმა ახლობელმა შეწყვიტა მეხსიერების დარღვევის სამკურნალოდ ექიმის მის მიერ დანიშნული ჯანმრთლობისათვის სახიფათო პრეპარატ „ლუცეტამის“ გამოყენება და ნიგოზის მიღებით (დღეში 8-10 ლებანი) და ჯანსაღი კვების მეშვეობით, სრულად განიკურნა სენისაგან.

ნორმან უოკერის პირადი ჯანდაცვის მეთოდის გააზრებიდან გამომდინარე, გადმოვცემთ ამ მეთოდის ჩვენეულ პარადიგმას: ჯანსაღი კვების სისტემასა და წვენების მიღებაზე დაფუძნებული თვითმენეჯმენტის მეშვეობით შეგვიძლია სნეულებათა აღკვეთა-პროფილაქტიკა და დამარცხება.

პირადი ჯანდაცვის მართვა პოლ ბრეგის მიხედვით: მკურნალობა შიმშილობით

პოლ ბრეგი – (1881-1976) ცნობილი ამერიკელი ნატუროპათი, ალტერნატიული მედიცინის და ჯანსაღი კვების მოძრაობის მოღვაწე, ბიზნესმენი და შოუმენი, მორწმუნე ქრისტიანი.

პოლ ბრეგმა შექმნა საკუთარი გამაჯანსაღებელი სისტემა, რომელიც ეფუძნება შიმშილობას, სწორ კვებას და ფიზიკურ აქტივობას. მან თავისი პირადი ჯანდაცვის სისტემის წყალობით იცოცხლა 96 წელი (მისი სიკვდილი გამოიწვია უზარმაზარმა ოკეანის ტალღამ, რამაც სერფინგით სრიალისას გადაუარა).

პოლ ბრეგის მიერ შემუშავებული სისტემა უამრავ ადამიანს დაეხმარა გამოჯანმრთელებასა და სრულფასოვანი ფიზიკური ცხოვრების უზრუნველყოფაში [18;19; 26-28].

პოლ ბრეგის მიხედვით, რაციონალური შიმშილი, ჯანსაღი კვება და საკუთარ სხეულზე და სულზე მუშაობა, ეს არის სულიერი და ფიზიკური გაახალგაზრდავების, კარგი ჯანმრთ-ელობის მიღწევისა და 120 წლის ასაკამდე სიცოცხლის საშუალება.

თავად პოლ ბრეგს ბავშვობიდან არაერთი დაავადება აწუხებდა. სუსტი ჯანმრთელობის გამო რამდენიმე წელი სამკურნალო სანატორიუმებში გაატარა, სადაც ექიმები მის მშობლებს ბავშვის გამოჯანმრთელების იმედს თითქმის არ უტოვებდნენ.

გამოჯანმრთელების მიზნით პოლ ბრეგმა მოიარა მთელი მსოფლიო, იგი ეცნობოდა ყველაზე ასაკოვანი ადამიანების ცხოვრებას, სწავლობდა სხვადასხვა რელიგიის და პირა-დი ჯანმრთელობის ურთიერთდამოკიდებულების სინერგიულ პარადიგმებს. ყოველივე ამის გააზრების შედეგად მან შეიმუშავა პირადი ჯანმრთელობის მართვის საკუთარი კონცეფცია და შესაბამისი მეთოდები.

პოლ ბრეგი გვთავაზობს პირადი ჯანდაცვის მართვის ფუძემდებლურ პარადიგმას: „ადამიანის ორგანიზმი ცალკეული უჯრედების ერთობლიობაა. თუ ადამიანი ნორმალურად იკვებება, თუ მისი საკვები აკმაყოფილებს ზრდის და ფუნქციონირების ძირითად მოთხოვნილებებს, ამ უჯრედებს უნარი აქვთ იცოცხლონ 120 წელი და მეტი“ [18]. ხანგრძლივი სიცოცხლის შესაძლებლობას პოლ ბრეგი ბიბლიურ-ქრისტიანული მოძღვრებით ამყარებს: **„მე მჯერა, რომ ყოველ ადამიანს ბოძებული აქვს 120 წლის სიცოცხლე, როგორც ეს ბიბლიაში წერია“** [19, გვ. 6].

პირადი ჯანდაცვის მართვის პოლ ბრეგისეული სისტემის სამი ძირითადი პრინციპია:

1) **შიმშილობა** – სინერგიულად, კომპლექსურად, მოქმედებს ადამიანის მთელს ორგანიზმზე, აღადგენს სულს, სხეულს და გონებას [19, გვ. 54]. ბრეგისეული რაციონალური შიმშილი, სწორი კვება და ფიზიკური აქტივობა ათასობით ადამიანს დაეხმარა დაეძლია მძიმე დიაგნოზი და დაებრუნებინა ხორციელი და სულიერი

ჯანმრთელობა.

2) **ჯანსაღი კვება** – სნეულებათა უმეტესობა არასწორი კვების შედეგია. ბევრი საკვები პროდუქტი მომზადება-გადამუშავებისას მკვდარი ელემენტებით, ტოქსინებით და არაორგანული ქიმიური ნივთიერებებით ივსება. ამიტომ აუცილებელია მხოლოდ ბუნებრივი ენერგიის შემცველი ნატურალური საკვების მიღება. ბრეგის მიხედვით, იდეალური დიეტა 60% ცოცხალი ხილის და ბოსტნეულისგან უნდა შედგებოდეს, 20% ცილოვანი საკვებისგან, დარჩენილი 20% კი, თავის მხრივ, სამი ნაწილისგან შედგება. პირველი – ეს ბუნებრივი სახამებელია, რომელსაც პურიდან, ბრინჯიდან, მარცვლოვნებიდან ვიღებთ. მეორე – ბუნებრივი შაქარი, რომელიც ხილიდან, ჩირიდან, თაფლიდან და წვენებიდან უნდა მივიღოთ. მესამე – ნატურალური უჯერი ცხიმებია (მცენარეული, ზეთისხილის და სოიოს ზეთის ან სხვა უჯერი ზეთები). ბრეგის მიხედვით, მენიუდან უნდა ამოვიღოთ თამბაქო, ალკოჰოლი, შოკოლადი, ნამცხვარ-ტორტები, ყავა, ჩაი, შაქარი და მარილი. აღსანიშნავია, რომ მარილს და შაქარს პოლ ბრეგი „თეთრ სიკვდილს“ უწოდებს.[1]

3) **ფიზიკური აქტივობა** – ბრეგის სისტემის მესამე მნიშვნელოვანი ნაწილია.

ბრეგის მიხედვით, საკუთარი ჯანმრთელობის მართვის მაღალი ეფექტურობისთვის ადამიანმა უნდა გამოიყენოს ცხრა „უდიდესი მკურნალი“: 1) მზის შუქი, 2) სუფთა ჰაერი, 3) სუფთა წყალი, 4) ჯანსაღი საკვები, 5) შიმშილობა, 6) ფიზიკური ვარჯიში, 7) დასვენება, 8) კარგი ტანადობა და 9) გონება.

შიმშილობასთან დაკავშირებით ბრეგმა გამოიკვლია კვების ფიზიოლოგიური პროცედურა, მარხვის ფენომენი, შეისწავლა ფსიქოლოგია და რელიგიები, ბიბლია, ქრისტიანობა, წმინდანთა ცხოვრება. შედეგად დაადგინა, რომ საკვების შეზღუდვა, მარხვა, შიმშილობა ეხმარება ადამიანებს სულიერ-ხორციელი ძალების აღდგენასა და უფალთან დაახლოებაში [19, გვ. 55]. [2]

შიმშილობის დროს ადამიანი მოდის ჰარმონიულ მყოფობაში საკუთარ მესთან ფიზიოლოგიურ დონეზე: სხეულიდან გამოიდევნება ყოველგვარი შხამი, რაც კი არაჯანსაღი საკვებიდან, ქიმიური წამლებიდან და დაბინძურებული ჰაერიდან მიგვიღია.

შიმშილობის პროცედურა ცალკეული პიროვნებისთვის, მისი ჯანმრთელობიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა იყოს. სტანდარტული კი მდგომარეობს შემდეგში: კვირაში ერთხელ, 24 საათი მხოლოდ გამოხდილი ან სუფთა წყალი უნდა მივიღოთ.

განხილული საკითხების გააზრების საფუძველზე, პირადი ჯანმრთელობის პოლ ბრეგისეული პარადიგმის არსის ჩვენეული გაგება შემდეგია: „ყოველმა ადამიანმა ცხოვრების წესად და თავის ქმედებათა საფუძვლად უნდა აქციოს ჯანსაღი კვება, პერიოდული შიმშილობა და ფიზიკური აქტივობა, რათა იყოს ჯანმრთელი და დიდხანს იცოცხლოს“.

პოლ ბრეგის ამ პარადიგმიდან გამომდინარე გვინდა ჩამოვაყალიბოთ პირადი ჯანდაცვის მართვის ჩვენეული პარადიგმა: „ჯანსაღი კვების სისტემაზე, პერიოდულ შიმშილობასა და ფიზიკურ აქტივობაზე დაფუძნებული თვითმენეჯმენტის მეშვეობით შეგვიძლია სნეულებათა აღკვეთა-პროფილაქტიკა, მათი დამარცხება და ხანგრძლივი სიცოცხლე“.

დასასრულ, გთავაზობთ ჩემ მიერ შემუშავებულ პირადი ჯანდაცვის ფუძემდებლურ პარადიგმას შესაბამისი განმარტებით:

- **პარადიგმა**: საკუთარი თავის ფიზიოლოგიური და სულიერი არსის სინერგიული შეცნობის საფუძველზე წარმართე/მართე შენი პირადი ჯანდაცვა;
- **განმარტება:** პირადი ჯანმრთელობის მართვა არის ადამიანის მიერ საკუთარი ფიზიოლოგიური და სულიერი არსის სინერგიულ შეცნობაზე დამყარებული ქმედებებით, პირადი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

ასეთი თეორიული მიდგომა უნდა დაედოს საფუძვლად მიწიერი ცხოვრების დროს ადამია-

---

1 ჩვეულებრივი მარილის ნაცვლად, ჩვენ ოჯახში ვიყენებთ ზღვის მარილს, რომელიც ორგანული შემადგენლობისაა და მავნე არ არის ორგანიზმისათვის. ზღვის მარილის შეძენა ძესაძლებელია დიდ სუპერმარკეტებში.

2 მთლიანობაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლ ბრეგისეული პირადი ჯანმრთელობის მართვის თეორიული კონცეფცია და შესაბამისი პრაქტიკული სისტემა სინერგიულ საფუძველზეა აგებული.

ნის მიერ პირადი ჯანმრთელობის მართვის პრაქტიკას.

დასკვნები განსჯისა და გამოყენებისათვის

საქართველოში თვითმენეჯმენტის თეორიის და პრაქტიკის განვითარებისათვის აუცილებელია საკითხისადმი სინერგიული პოზიციებიდან მიდგომა. თეორიულ კვლევებში მნიშვნელოვანია ფუძემდებლური პარადიგმების და განმარტებების ჩამოყალიბება.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია თემასთან დაკავშირებული ავტორისეული რამდენიმე მნიშვნელოვანი პარადიგმა და განმარტება, რომელთაგან დასკვნაში წარმოვადგენთ უმთავრესს:

1. **თვითმენეჯმენტის ფუძემდებლური პარადიგმა**: *„საკუთარი თავის და საარსებო გარემოს სინერგიული შეცნობისა და შეცნობილი რეალობის შესაბამისი მიზნების დასახვის საფუძველზე წარმართე/მართე შენი ცხოვრებისეული ქმედებები“;*
2. თვითმენეჯმენტი არის ადამიანის მიერ საკუთარი თავის სინერგიულ შეცნობაზე დამყარებული საკუთარი ფიზიკური, სულიერი და სოციალური საწყისების, რესურსების და პოტენციალის მართვა-განვითარება.
3. **პირადი ჯანმრთელობის მართვის პარადიგმა**: „საკუთარი თავის ფიზიოლოგიური და სულიერი არსის შეცნობის საფუძველზე წარმართე/მართე შენი პირადი ჯანდაცვა“;
4. პირადი ჯანმრთელობის მართვა არის ადამიანის მიერ საკუთარი ფიზიოლოგიური და სულიერი არსის სინერგიულ შეცნობაზე დამყარებული ქმედებებით პირადი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

ტოტალური პრივატიზების და კომერციალიზაციის ყოვლისმომცველი პოლიტიკა უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების ჯანდაცვის მდგომარეობაზე და იწვევს მწვავე და შეუქცევად სამედიცინო, დემოგრაფიულ და ზნეობრივ გართულებებს.

ასეთ პირობებში აუცილებელია დაავადებათა წარმომშობი რეალური მიზეზების (მაგ., არაჯანსაღი კვება) გამოვლენა და ინდივიდუალური ნატუროპათიური მეთოდებით საკუთარი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა. საჭიროა მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კარგად აპრობირებული პირადი ჯანდაცვის მართვის მეთოდების გამოყენება ჩვენს რეალობაში.

ჩვენი მიწიერი ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად აუცილებლად უნდა ვაქციოთ **ჰიპოკრატეს ფუძემდებლური ნატუროპათიური პარადიგმა „დაე შენი წამალი იყოს შენი საკვები და შენი საკვები იყოს შენი წამალი“** რომელზე დაყრდნობითაც შევძლებთ ეფექტურად ვმართოთ პირადი ჯანმრთელობა.

ყოველმა ადამიანმა ცხოვრების წესად და თავის ქმედებათა საფუძვლად უნდა აქციოს ჯანსაღი კვება, პერიოდული შიმშილობა და ფიზიკური აქტივობა, რათა იყოს ჯანმრთელი და დიდხანს იცოცხლოს.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტწყაროები

1. ღუდუშაური ზ. თვითმენეჯმენტი (სახელმძღვანელო). თბილისი, „საჩინო“, 2015, 320 გვ.
2. შიხაშვილი გ. სამედიცინო, ფარმაცევტული და სასურსათო ბიზნესის ქრისტიანული გააზრება. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. # 6-7 (ივნისი-ივლისი), 2011, გვ. 65-68.
3. შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მღვდელი ბასილი (ახვლედიანი). მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბილისი, „მერიდიანი“, 2009, 368 გვ.
4. ჭელიძე ქ. შეიცან თავი შენი. http://www.ambioni.ge/seican-tavi-seni (9.11.17, 1 გვ.)
5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი შიხაშვილი გ. თბილისი, „გეოკერია”, 2004 , 236 გვ.

6. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბილისი, 1989, 1216 გვ.
7. ლოცვანი – ვის ვევედროთ ავადმყოფობისა და გაჭირვების დროს. რედ. კ. ჩიჩილიძე. რუსთავი, „გორგასალი“, 2002.
8. ილია მეორის სიბრძნის კიდობანი. შემდგენელ-გამომცემელი მგელაძე ტ. თბილისი, 2016, 544 გვ.
9. არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე). ბიოეთიკა: გენეზისი, არსი, მერმისი. თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, 2012, 549 გვ.
10. ბახტაძე დ., კოღუაშვილი პ. ქართველთა კვების კულტურა. თბილისი, „ინოვაცია“, 2009, 188 გვ.
11. მოსაშვილი-ბერიძე მ., გონსალეს ფერნანდესი რ. სამკურნალო პროფილაქტიკური სამზარეულო. თბილისი, 2015, 927 გვ.
12. ნარმანია კ. შენი ჯანმრთელობა შენს ხელშია. თბილისი, „საჩინო“, 2015, 228 გვ.
13. ყიფიანი დ. ვაშლის ძმრის საოცრებანი. თბილისი, 2013, 32 გვ.
14. ხიდეშელი შ. ყვავილის თაფლი და თაფლის პროდუქტები _ ჯანსაღი ცხოვრების ელექსირი. თბილისი, „ცის ნამი“, 2007, 80 გვ.
15. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ.შიხაშვილი, თბილისი, „გეოკერია”, 2004, 334 გვ.
16. ნორმან უოკერი. ვებგვერდი _ http://www.fitni.ge/2017/08/03/%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%A3%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91/
17. უოკერი ნ. მკურნალობა ბოსტნეულის წვენებით. ინგლისურიდან თარგმნა ჯ. თითმერიამ. თბილისი, „ხელოვნება“, 1991, 115 გვ.
18. პოლ ბრეგი. ვებგვერდი _ http://www.fitni.ge/2017/08/02/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90/
19. ბრეგი პ. შიმშილობის სასწაული. ინგლისურიდან თარგმნა ლ. ჩანტლაძემ. თბილისი, „წყარო“, 1991, 192 გვ.
20. ბენჯამინი ჰ. მათუსალას საიდუმლო. (ნატუროპათიული კრებული _ ბუნებრივი მკურნალობის პოპულარული კრებული). ინგლისურიდან თარგმნეს ვ. ფრანგულაშვილმა და ნ. ხელაიამ. თბილისი, „წყარო“, 1991, 319 გვ.
21. შელტონი ჰ. შიმშილობა გადაარჩენს თქვენს სიცოცხლეს. ინგლისურიდან თარგმნა გ. ლომთაძემ. თბილისი, 1996, 195 გვ.
22. ჯანსაღი კვების სწავლება დაწყებით სკოლებში. ტ. 1: ქრესტომათია. ინგლისურიდან თარგმნა ქ. ქანთარიამ. თბილისი, 2008, 231 გვ.
23. ოჯახის ექიმი _ 2. რუსულიდან თარგმნეს ა. კუსრაშვილმა და ე. მარნელმა. თბილისი, 2009, 223 გვ.
24. მიტროპოლიტი იეროთეოსი (ვლახოსი). სულიერი მედიცინის მეცნიერება _ მართლმადიდებლური ფსიქოთერაპიის საქმე. ბერძნულიდან თარგმნეს ე. დუღაშვილმა და ლ. ბუკიამ. თბილისი, „ახალი ივერონი“, 2017, 389 გვ.
25. Walker N. Fresh Vegetable and Fruit Juises – what's missing in your body. USA, NorwalkPress, 1978, 125 p.
26. Bragg Paul. https://en.wikipedia.org/wiki/Paul_Bragg
27. Bragg Paul, Bragg Patricia. The Miracle of Fasting: Proven Throughout History for Physical, Mental & Spiritual Rejuvenation. USA, 2011, 255 p.
28. Брегг П. Формула совершенства. Пер. с англ. Москва, «Церера», 1993, 351 стр.
29. Кольберт Д. Библейские принципы здорового питания. Москва, Триада, 2006, 238 стр.
30. American Society for Nutrition (ASN) Journals – At the Forefront of Nutrition Research. (https://nutrition.org/publications/ _ 9.11.17.)

31. Dietitian, Nutritionist, Nutritional Therapist or Diet Expert? A comprehensive guide to roles and functions. Birmingham,The British Dietetic Association, 2014, 16 p. (https://www.bda.uk.com/improvinghealth/awareness_raising/dw2017_dietitiannutritionpostcardpdf -9.11.17).
32. Плюснин В., Плюснина Г. Советы православного врача. Обнинск, «Принтер», 2002, 296 стр.
33. Drucker P. Management Challenges for the 21th Century. New York, Harper Collins Publishers, 2001, 207 p.
34. Dyck B. Management and the Gospel: Luke's Radical Message for the First and Twenty-First Centuries. New York, Palgrave Macmillan, 2013, 320 p.
35. Mackey L. Self-management skills in chronic disease management – what role does health literacy have? Physiotherapy and Sport Science University College Dublin. 34 p.

Giorgi Shikhashvili
Associate Professor at TSU

Current Paradigms of Self-management: Synergic Understanding of Personal Health Management

Annotation

Nowadays, it is exceptionally important to research actual issues of self-management, in particular, the synergic understanding of personal health management. For this purpose the article discusses the following issues: a synergic approach to human understanding; The underlying synergic paradigms of self-management; Biblical-synergic understanding of management; Christian synergic paradigms of public and personal health management; Medical teaching according to the Bible; General and practical aspects of personal health management with specific individual treatment methods (treatment with juices, healthy foods, hunger, physical activity, etc.). The article contains the author's visions, paradigms and concrete opinions in the direction of personal health management.

Keywords: Synergic paradigms of self-management. Medical teaching according to the Bible. Synergic understanding of personal health management. Individual treatment methods.

2018 წელი

1) სტატია. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2018, # 1, **გვ.** 131-142

თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების გამოყენება სტუდენტთა სწავლების პროცესში: ურთიერთგამოკითხვის მეთოდი

გიორგი შიხაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი
(+995) 577-97-02-77, giorgi.shikhashvili@tsu.ge

საქართველოში ეკონომიკური პროფილის უმაღლესი განათლების პროგრესული განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების აქტუალური თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკულ-გამოყენებითი

საკითხების კვლევა. სწავლების მეთოდი გულისხმობს სტუდენტებთან პედაგოგის მუშაობის ხერხს, რომლის მეშვეობითაც ხდება შესასწავლი დისციპლინის ოპტიმალური გადაცემა და ათვისება. აუცილებელია მეცნიერული კვლევებისა და საგანმანათლებლო პრაქტიკის უახლესი მიღწევების მიზანმიმართული, საყოველთაო და რეგულარული გამოყენების გაფართოება სტუდენტთა სწავლების პროცესში. შესაბამისად, სტატიაში განხილულია შემდეგი საკითხები: დიდაქტიკური მეთოდოლოგია და ეკონომიკური დისციპლინების სწავლების მეთოდიკა; ავტორის საქმიანობა თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების კვლევისა და გამოყენების მიმართულებით; სტუდენტთა მოსაზრებები ურთიერთგამოკითხვის მეთოდის ეფექტურობისა და საჭიროების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიკა; დიდაქტიკა; სწავლების თანამედროვე მეთოდები; ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა; ურთიერთგამოკითხვა; სტუდენტთა მოსაზრებები ურთიერთგამოკითხვის მეთოდზე; სტუდენტი ლექტორის როლში.

საქართველოში ეკონომიკური პროფილის უმაღლესი განათლების[1] პროგრესული განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების აქტუალური საკითხების კვლევა. აუცილებელია მეცნიერული კვლევისა და საგანმანათლებლო პრაქტიკის უახლესი მიღწევების მიზანმიმართული, საყოველთაო და რეგულარული გამოყენების გაფართოება სტუდენტთა სწავლების პროცესში.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველოში ეკონომიკური პროფილის სტუდენტთა სწავლების პროცესში თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების გამოყენების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაგმატულ-გამოყენებითი საკითხების კვლევას და სიახლეების საყოველთაო დანერგვას ნაკლები ყურადღება ეთმობა. აქედან გამომდინარე, ჩვენში მცირეა ასეთ კვლევებთან დაკავშირებული მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები და შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობა.

არსებული ქართულენოვანი ლიტერატურიდან აღსანიშნავია ავთანდილ ასათიანის მონოგრაფია – „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ [1]. ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე ქართულენოვანი წყაროები [2-10, 12-14]. სტატიის მიზნიდან გამომდინარე, შევისწავლეთ თემასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი წყაროებიც [16-22].

სტატიაში გამოყენებული გვაქვს, აგრეთვე, ჩვენ მიერ ურთიერთგამოკითხვის მეთოდის დანერგვის შედეგების შესახებ სტუდენტთა მოსაზრებების ამსახველი მასალები [11].

ნაშრომის მიზანია:

- მსჯელობა სტუდენტთა სწავლების თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების აქტუალური თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ;
- სწავლების ინტერაქტიული, თანამშრომლობითი ორგანიზაციული ფორმის – ურთიერთგამოკითხვის მეთოდის ავტორისეული გამოყენების ეფექტურობის შესწავლის საფუძველზე მისი დანერგვის გაფართოების საჭიროებისა და შესაძლებლობის წარმოჩენა.

ნაშრომი ორიგინალურია და სიახლეს წამოადგენს ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური ეკონომიკური საზოგადოებისათვის. მასში გადმოცემულია ავტორისეული ხედვები უმაღლესი ეკონომიკური განათლების სფეროში სწავლების თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების აქტუალური თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკულ-გამოყენებითი საკითხების შესახებ. ასევე, ასახულია ურთიეთგამოკითხვის მეთოდის ავტორისეული გამოყენების ეფექტურობის შესწავლის საფუძველზე მისი დანერგვის გაფართოების საჭიროება და შესაძლებლობა.

1 ტექსტების გამარტივების მიზნიდან გამომდინარე, ეკონომიკურ პროფილში, ეკონომიკასა და ეკონომიკურ დისციპლინებში აქ და მთელ სტატიაში ნაგულისხმებია როგორც საკუთრივ ეკონომიკური, ასევე ბიზნეს-სამენეჯმენტო მიმმართულება და შესაბამისი დისციპლინები ერთიანად

დიდაქტიკური მეთოდოლოგია და ეკონომიკური დისციპლინების სწავლების მეთოდიკა

ტერმინი „მეთოდი“ (ბერძნ. methodos) რაიმე მოვლენის კვლევის, შეცნობის ხერხს ნიშნავს. ის ამასთან, არის წესი რაიმე საქმიანობაში, მაგალითად – სწავლების მეთოდი. ხოლო მეთოდიკა არის საქმიანობის პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო მეთოდების, წესების ერთობლიობა.

მეთოდიკა პედაგოგიკის, კერძოდ დიდაქტიკის ნაწილია, რომელიც იკვლევს და გადმოსცემს რომელიმე დისციპლინის (ჩვენს შემთხვევაში _ ეკონომიკური დისციპლინების) სწავლების მეთოდებს.

სწავლების მეთოდი გულისხმობს სტუდენტებთან პედაგოგის მუშაობის ხერხს, რომლის მეშვეობითაც ხდება შესასწავლი დისციპლინის ოპტიმალური გადაცემა და ათვისება.

სწავლების მეთოდიკაში ჰარმონიულად უნდა იყოს შეხამებული სასწავლო პროცესის თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

მეთოდიკა, როგორც მეცნიერება იკვლევს და ადგენს სწავლების ყველაზე მიზანშეწონილ მეთოდებს. მისი ინტერესების სფეროში შედის, აგრეთვე, სწავლების კერძო საკითხები და მიმართულებები. აქედან გამომდინარე, მეთოდიკა შეიძლება იყოს:

- ზოგადი, როდესაც განიხილება სწავლების ისეთი ხერხები, რომლებიც გამოიყენება ყველა დისციპლინის სწავლების დროს;
- კერძო, რომელიც გამოიყენება რომელიმე კონკრეტული საგნის სწავლების პროცესში.

ფართო გაგებით, მეთოდიკა გულისხმობს საგნის სწავლებისას გამოყენებული სხვადასხვაგვარი ხერხების ერთობლიობას. იგი პედაგოგიკის სპეციალური ნაწილია, რომელიც იკვლევს და გამოიყენებს სწავლების წესებს და ხერხებს.

ეკონომიკური დისციპლინების სწავლების მეთოდიკა არის სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა, რომელიც იკვლევს ეკონომიკის სწავლების პროცესის კანონზომიერებებს და წესებს და სახავს ამ პროცესის ოპტიმიზაციის გზებს უახლესი მეთოდური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე.

ეკონომიკის სწავლება მეტად რთული და საპასუხისმგებლო პროცესია, რომლის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ პროცესზე მოქმედი შიგა და გარე ფაქტორების მთელი კომპლექსი.

ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა, როგორც მეცნიერება მოწოდებულია თეორიულად განაზოგადოს საგანმანათლებლო მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, მოახდინოს სათანადო პროგნოზირება და შემოგვთავაზოს სწავლების ისეთი მეთოდები, რაც სრულად უპასუხებს ყველაზე უახლეს თანამედროვე მოთხოვნებს.

ეკონომიკის სწავლების პროცესის კვლევა უნდა ემყარებოდეს სხვადასხვა მეცნიერების (ეკონომიკა, ფილოსოფია, პედაგოგიკა, სამართალი, ფსიქოლოგია, ეთიკა, ახალი ტექნოლოგიები) მიღწევების ანალიზს და განზოგადებას.

ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა პირდაპირ უკავშირდება ისეთი საკითხების და პრობლემების გააზრებას და გადაჭრას, როგორიცაა: ვის ვასწავლით? რა მიზნით ვასწავლით? რას ვასწავლით? რა დროს ვასწავლით? როგორ ვასწავლით? როგორ ისწავლონ?

ეკონომიკის სწავლების მეთოდიკის უმთავრესი ამოცანაა უახლესი მოთხოვნების შესაბამისად გადაარჩიოს ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი მონაცემები, ისე მოაგვაროს ეკონომიკის სწავლება, რომ სტუდენტებმა სასწავლო პროცესში მაქსიმალურად ჩართულობისა და თანამშრომლობითი საქმიანობის მეშვეობით მიიღონ ოპტიმალური განათლება, აღზრდა, განვითარება და ინტელექტუალურ-მეთოდური ბაზა მომავალში ცოდნის მუდმივი განახლებისა და სხვისთვის გადაცემისათვის.

ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლების და კონკრეტული დისციპლინების სწავლება-ათვისებისა და შემდგომი გადაცემის პროცესის თვალსაზრისით, **ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა ერთ-ერთი კერძო დიდაქტიკას წარმოადგენს. ის მიგვითითებს თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს ეკონომიკა საუკეთესოდ და მოწოდებულია:**

- **პედაგოგიური მეცნიერების მიზნების, ამოცანების და შესაძლებლობების მიხედვით დაამუშაოს შესასწავლი მასალის სისტემა და შინაარსი;**
- **გადაწყვიტოს სპეციფიკური წმინდა პედაგოგიური და დიდაქტიკურ-ტექნოლოგიური ამოცანები ეკონომიკური მეცნიერების შინაარსობრივი შესაძლებლობებიდან გამომ-დინარე.**

მეთოდიკამ ეკონომიკა არამარტო შინაარსობრივად უნდა განსაზღვროს, არამედ დაადგინოს მისი შინაარსის გახსნის საუკეთესო ფორმებიც. მეთოდიკის მეშვეობით პედაგოგი აღჭურვილია ყველა იმ საშუალებით, რაც აუცილებელია ოპტიმალური ეკონომიკური განათლებისათვის (დისციპლინის შინაარსი, ცოდნა, უნარი, სწავლების პედაგოგიურ-დიდაქტიკური და ორგანიზაციულ-მეთოდური საშუალებები).

ეკონომიკის სწავლების პროცესი უნდა ეყრდნობოდეს ისეთ დიდაქტიკურ პრინციპებს, როგორიცაა: სწავლების მეცნიერულობა; შეგნებულობა და აქტიურობა; სისტემურობა და თანმიმდევრულობა; თვალსაჩინოება; ცოდნის მტკიცედ შეთვისება; მისაწვდომობა და დასაძლევობა; სტუდენტისადმი ინდივიდუალური მიდგომა. **ამასთან, უნდა გამოიყენებოდეს სწავლების შემდეგი წესები**: ნაცნობიდან უცნობისაკენ; ახლობელიდან შორეულისაკენ; ადვილიდან ძნელისაკენ; მარტივიდან რთულისაკენ; კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

ზემოაღწერილი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის სწავლების თეორიასა და პრაქტიკაში გადამწყვეტ როლს სწორედ მეთოდიკა ასრულებს.

ამ სფეროში ჩვენში ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. პირველ რიგში, აუცილებელია ტრადიციული გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე უახლესი დასავლური სასწავლო ტექნოლოგიების შესწავლა-დანერგვაზე საყოველთაო გადასვლა. ეს ისეთი მიმართულებაა, რომლის პრაქტიკული განხორციელება აუცილებლად არ მოითხოვს სპეციალური საკანონმდებლო აქტების მიღებას, ინვესტიციების მოზიდვას და პედაგოგთა კვალიფიკაციის რადიკალურ და ძვი**რადღირებულ შეცვლა-ამაღლებას**.

ავტორის საქმიანობა თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების კვლევისა და გამოყენების მიმართულებით

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სხვადასხვა დისციპლინის სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდიკის (ლექციის ჩატარება ინდუქციის მეთოდით, პროექტების მეთოდი, შემთხვევის/ქეისის ანალიზი, ურთიერთგამოკითხვა) გამოყენება ჩვენ დავიწყეთ 1996 წლიდან.

ახალი მეთოდების ინტენსიურ გამოყენებაზე ჩვენ გადავედით 1998-1999 სასწავლო წლიდან, მას შემდეგ, რაც ეკონომიკის ლექტორთა გაძლიერებულ ტრენინგ-სემინარების (1997-1998 სასწავლო წელი) საფუძველზე მივიღეთ აშშ-ის ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს (NCEE USA) ტრენერთა ტრენერის (Trainer of Trainers) სერთიფიკატი.

2012 წელს, როგორც ექსპერტმა და ტრენერთა ტრენერმა, მოვამზადე 100-ზე მეტი ტრე-ნერი, რომლებმაც საქართველოს 20 ქალაქში 14 ათას მსმენელს ჩაუტარეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული „პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის“ 2-თვიანი ტრენინგები. ამასთან დაკავშირე-ბით მიღებული გვაქვს სპეციალური სერტიფიკატი.

2000-2004 **წლებში ფაკულტეტის მაგისტრატურაში, ჩვენ მიერვე შედგენილი პროგრამით ვკითხულობდით საგანს „ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა“** [2, **გვ.** 27-29].

პროგრამა მოიცავდა 24 **საათს** (**ლექცია** – 12 **სთ., სემინარი** – 12 **სთ**) **და შედგებოდა შემდეგი თემებისგან:**

1. ეკონომიკა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა (ლექცია – 1 სთ., სემინარი – 1 სთ);
2. ეკონომიკური განათლების სისტემა (ლექცია – 1 სთ., სემინარი – 1 სთ);
3. ეკონომიკური პედაგოგიკის და მეთოდიკის ზოგადი საფუძვლები (ლექცია – 2 სთ., სემინარი – 2 სთ);

4. ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები (ლექცია – 8 სთ., სემინარი – 8 სთ).

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე ყველა სპეციალობისათვის ისწავლებოდა ამ მიმართულების ორი დისციპლინა: „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ და „ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა“. ამასთან, ეკონომიკური თეორიის სპეციალობის სტუდენტები დამატებით სწავლობდენ პედაგოგიკას, პედაგოგიურ ფსიქოლოგიას, პოლიტეკონომიის სწავლების მეთოდიკას და სხვ.

XX ს. 90-ანი წლების ბოლოდან, უმაღლესი განათლების პედაგოგიკა-დიდაქტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათისა და ჩვენი შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობის ამსახველ ინფორმაციას, სისტემატურად ვაქვეყნებთ სხვადასხვა წყაროში, რომელთაგან აღსანიშნავია [2-10].

სტუდენტთა მოსაზრებები ინტერაქტიული, თანამშრომლობითი ურთიერთგამოკითხვის მეთოდის ეფექტურობისა და მისი ფართოდ დანერგვის საჭიროების შესახებ

2002 წლიდან, თსუ-ის ეკონომიკსა და ბიზნესის ფაკულტეტზე სხვადასხვა დისციპლინის სწავლების პროცესში, სემინარებზე თემების ჩაბარებისას მუდმივად ვიყენებთ სტუდენტზე ორიენტირებულ, ინტერაქტიულ, თანამშრომლობით მეთოდიკას – „სტუდენტთა ურთიერთგამოკითხვა“ (ურთიერთგამოკითხვა 2-4 კაციან ჯგუფებში, ინტერვიუ წყვილებში, პედაგოგის/ლექტორის როლი სტუდენტებისათვის, თემატური დისკუსია).

2006 წლიდან დავიწყეთ ურთიერთგამოკითხვის მეთოდის გამოყენების შესახებ ჩვენი სასემინარო ჯგუფების სტუდენტთა ზეპირი გამოკითხვა და წერილობითი მოსაზრებების შეკრება. განვლილ პერიოდში ზეპირად აქვს გამოთქმული თავისი მოსაზრება 1500-ზე მეტ სტუდენტს, ხოლო წერილობითი მოსაზრება გადმოცემული აქვს 250-ზე მეტ სტუდენტს

ამ მოსაზრებების მცირე ნაწილის გაცნობითაც კი მკაფიო წარმოდგენა გვექმნება ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდიკის ეფექტურობისა და საჭიროების შესახებ.

ქეთი კოლხიდაშვილი. *28.12.2008 წ.*

ურთიერთგამოკითხვის მეთოდი ძალიან პრაქტიკულია. ჯერ-ერთი, ამით ვიგებთ დროს – ახლა მთელ ჯგუფს აქვს შესაძლებლობა ჩაეტიოს იმავე დროში, რომელშიც რამდენიმე სტუდენტი თუ მოასწრებდა ჩაბარებას. **მეორე დადებითი მხარე ისაა,** რომ სტუდენტებს უმუშავდებათ პედაგოგიური აზროვნება. **მესამე დადებით მხარედ მიმაჩნია ის,** რომ როდესაც ერთი სტუდენტი აბარებს მეორეს რომელიმე თემას, რომელიც მეორეს უკვე ჩაბარებული აქვს წინა ლექციაზე, ამ შემთხვევაში ხდება უკვე ნასწავლი მასალის ერთგვარი გამეორება. **მეოთხე დადებითი მხარეა ის,** რომ ამ შემთხვევაში დაზეპირება გამორიცხულია. როდესაც სტუდენტი აბარებს უშუალოდ ლექტორს, იგი უფრო დაძაბულია. იმის შიშით, რომ არ შეეშალოს რამე, იგი ზეპირად სწავლობს თემას. ხოლო როდესაც აბარებ თანატოლს, დაძაბულობა გამორიცხულია, ხარ უფრო თავისუფლად.

ქეთევან კობახიძე. *16.11.2012 წ.*

პირველ სემინარზე ამ მეთოდის გამოყენების მერე, ჩემი თანაკურსელები მოუთმენლად ელოდნენ შემდეგ სემინარს, რათა მეტი და მეტი ესწავლათ მეგობრულ წრეში. ეს ჩემთვისაც სასიამოვნო პროცესი და სტიმულის მომცემი გახდა, რომ არცერთი სემინარი არ გამეცდინა.

ელზა ხელაშვილი. 25.05.2013 *წ.*

სემინარზე ურთიერთგამოკითხვა და ლექტორის როლის მორგება ხასიათდება რიგი უპირატესობით:

1. **დროის რაციონალურად გამოყენება** – მოცემული მეთოდის საშუალებით სემინარზე, თეორიული მეცადინეობის გარდა, შესაძლებლობა გვაქვს განვახორციელოთ პრაქტიკული სამუშაოები, რაც მნიშვნელოვანია პროფესიის დაუფლებისთვის;

2. **მეტი თავისუფლება** – ეს მეთოდი უნივერსალურია სტუდენტებისთვის, რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა უფრო თავისუფლად და დაძაბულობის გარეშე გადმოსცენ

სასემინარო თემა;

3. **სამართლიანობა** – სტუდენტს ეკისრება ვალდებულება სწორად და სამართლიანად შეაფასოს, იცის თუ არა თანაკურსელმა თემა;

4. **კონტროლი** – მოცემული მეთოდი სტუდენტს საშუალებას აძლევს შეამოწმოს საკუთარი თავი, რამდენად კარგად ემზადება გამოცდებისთვის და რომელ თემებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება.

5. **კონცენტრაცია** – სტუდენტი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, თუ რამდენად კარგად და მარტივად გადმოსცემს თემას, ამახვილებს ყურადღებას თანაკურსელის საუბარზე და საჭირო შემთხვევაში ერთვება დისკუსიაში, რაც ხელს უწყობს თემის უფრო მყარად შესწავლას;

6. **პასუხისმგებლობა** – სტუდენტი, რომელიც ირგებს ლექტორის როლს, პასუხიმგებელია როგორც საკუთარ თავთან, ასევე ლექტორთან, რომ ნამდვილად ჩაიბარა სასემინარო თემა.

ირაკლი სვანიძე. 2.06.2013 *წ.*

ჩემთვის სასიამოვნო ინოვაცია იყო ურთიერთგამოკითხვის მეთოდი, რომელსაც შემდეგი დადებითი მომენტები ახასიათებს:

1. **აღნიშნული მეთოდი სტუდენტებს გვაძლევს საშუალებას, ვიყოთ უფრო გახსნილები,** რადგან თანატოლებსა და მეგობრებთან უფრო ადვილია საკუთარი აზრის გადმოცემა, ვიდრე დაფასთან;
2. **მეთოდი საშუალებას იძლევა, სტუდენტებმა ერთმანეთი უკეთ გავიცნოთ და სწავლების პროცესი უფრო სასიამოვნო ხდება;**
3. **საშუალებას იძლევა, საჭიროების დროს, გამოკითხვა დისკუსიის სახით წარიმართოს, რაც უფრო მეტი სარგებლის მომტანია, ვიდრე რუტინული სწავლების პროცესი;**
4. **ვუსმენთ ერთმანეთს და გვივითარდება მოსმენის კულტურა;**
5. **ამასთანავე, თუ რომელიმე სტუდენტმა თემა არ იცის, საკუთარი თანატოლი მისთვის ლექტორის როლში გამოდის, რაც ორივე მათგანისთვის ძალიან სასარგებლოა;**
6. **არ იჩაგრებიან ის სტუდენტები, რომეთაც დაფასთან გამოსვლის კომპლექსი აქვთ** (პირადი გამოცდილებიდან).

მთლიანობაში, მე ძალიან მომწონს ურთიერთგამოკითხვის მეთოდი და ვისურვებდი ყველა სემინარზე აღნიშნული ხერხით სწავლებას.

ნათია ლელაშვილი. 14.12.2013 **წ.**

თანამშრომლობითი სწავლა-სწავლების პროცესში ურთიერთგამოკითხვის მეთოდის უპირატესობებია:

1. ერთმანეთთან მოყოლით სტუდენტებს კომპლექსები მოეხსნათ და საკუთარი აზრის გადმოცემა უფრო უადვილდებათ;
2. ვისწავლეთ ერთმანეთის მოსმენა და როცა ერთი ყვება, სხვები ცდილობენ ყურადღება სხვა საგნებზე არ გადაიტანონ;
3. ზოგიერთი სტუდენტი, ვისაც არ უსწავლია სემინარი, იქვე სწავლობს თემას ან იგებს მის შინაარსს და შემდეგ მისი ათვისება გაცილებით უადვილდება;
4. პირადად მე უკეთ მამახსოვრდება წაკითხული, როცა ამას სხვას ვუხსნი და ვასწავლი;
5. ლექტორის მიერ გამოცხადებული ნდობა სტუდენტებს საშუალებას არ აძლევს მოიტყუონ, რომ იციან სემინარი. ამასთან, ლექტორი მუდმივად აკონტროლებს ურთიერთგამოკითხვის პროცესს;
6. ყველა სტუდენტის გამოკითხვაზე ნაკლები დრო იხარჯება და სემინარზე საშუალება გვაქვს ქეისები და სხვა დავალებები გავაკეთოთ, რაც მეტად პროდუქტიულია, ვიდრე ყველასგან ერთი და იმავეს მოსმენა;
7. ასეთი მეთოდის (და ჯგუფური დავალებების) საშუალებით სტუდენტებმა ერთმანეთი უკეთ გავიცანით.

დარწმუნებული ვარ, ამ მეთოდის რომელიმე დადებითი მხარე გამომრჩა, მაგრამ აქედანაც

შემიძლია ვთქვა, რომ ურთიერთგამოკითხვისას მინიმუმ, ზემოთ ჩამოთვლილ „7 კურდღელს ვიჭერთ ერთდროულად“.

მთვარისა ქვრივიშვილი. 10.05.2016 *წ.*

არსებობს სტუდენტების გარკვეული კატეგორია, რომელთაც დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა და მოყოლა არ შეუძლიათ, რადგან იბნევიან და ავიწყდებათ ყველაფერი. ასევე არიან სტუდენტები, რომელთაც პრობლემები აქვთ მეტყველებასთან და ეუხერხულებათ საჯაროდ თავისი ნაკლის წარმოჩენა. **ყველაფერთან ერთად გასათვალისწინებელია უცხოელი სტუდენტებიც, რომლებიც ქართულად გამართულად ვერ საუბრობენ.**

აღნიშნული პრობლემების გამო, ხშირ შემთხვევაში, სტუდენტები ვერ ამჟღავნებენ ცოდნას და მათი დაბალი შეფასება ხდება, რაც უკმაყოფილებისა და უსამართლობის შეგრძნებას იწვევს სტუდენტებში.

ურთიერთგამოკითხვის მეთოდის გამოყენების შედეგად, სწავლის დონე საგრძნობლად ამაღლდა ჯგუფში. მენეჯმენტის ჯგუფში ყოველთვის აბსოლუტურმა უმრავლესობამ იცის სემინარი, გაქრა უხერხულობის შეგრძნება, სტუდენტები ერთმანეთს აბარებენ თემებს, საუბრობენ, მსჯელობენ, ცვლიან იდეებს და, რაც მთავარია, არ ეშინიათ შეცდომის დაშვებისა, რადგანაც ჩვენთან, ბატონი გიორგის წყალობით, შეცდომების გამო კი არ ისჯებიან, არამედ უფრო მეტს სწავლობენ. გამოცდებზეც ქულები საგრძნობლად უფრო მაღალი იწერება, ვიდრე სხვა საგნებში და საბოლოო შედეგითაც ყველა კმაყოფილია.

მინდა მადლობა გადაგიხადოთ ასეთი მიდგომისთვის. ვისურვებდი, უფრო მეტმა ლექტორმა მიმართოს ამ ხერხს, რაც ზოგადად სწავლის დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს, არამხოლოდ ჩვენს ფაკულტეტზე ან უნივერსიტეტში, არამედ მთლიანად საქართველოში.

ანა ღამბაშიძე. 25.05.2017 *წ.*

უკვე ორი წელია ვსწავლობ უნივერსიტეტში და სემინარებს ყოველთვის დაზეპირებულს ვაბარებდი ლექტორს ან კიდევ კითხვებზე პასუხის გაცემით. **ჩემთვის ბატონი გიორგის მეთოდიკა ინოვაციური და საინტერესოა. ძალიან კარგია, როდესაც მეგობარს ვუზიარებ ჩემს ცოდნას და ასევე ის მე მიზიარებს თავისას.**

როდესაც მეგობარს ვუყვები მომზადებულ თემას, უფრო თავისუფლად ვსაუბრობ უფრო მეტი მნიშვნელოვანი ნაწილი მახსენდება და თუ რამე დამავიწყდა, ის დაამატებს და საბოლოოდ სრულყოფილს გავხდით ჩვენ მიერ ნასწავლ სემინარს.

შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ გამოცდისთვის ცუდია ასეთი მეთოდიკა ან კიდევ სხვა რაიმე დაამატოს. თავიდან ცოტას მეც ვშიშობდი, გამოცდას ნეტავ როგორ ჩავაბარებ მეთქი, **მაგრამ გამოცდაში მაქსიმალური ქულა ავიღე**. ყველა თემის ახლიდან სწავლაც აღარ დამჭირდა და როდესაც გამოცდას ვწერდი, ყველაფერი მახსენდებოდა.

დასკვნები და მოსაზრებები განსჯისა და გამოყენებისათვის

თავდაპირველად გადმოვცემთ ჩვენს დასკვნებს და მოსაზრებებს

- აუცილებელია მეცნიერული კვლევისა და საგანმანათლებლო პრაქტიკის უახლესი მიღწევების მიზანმიმართული, საყოველთაო და რეგულარული გამოყენების გაფართოება სტუდენტთა სწავლების პროცესში;
- ეკონომიკის სწავლების პროცესი უნდა ეყრდნობოდეს უმთავრეს დიდაქტიკურ პრინციპებს;
- ეკონომიკური დისციპლინების სწავლების მეთოდიკა არის სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა, რომელიც იკვლევს ეკონომიკის სწავლების პროცესის კანონზომიერებებს და წესებს და სახავს ამ პროცესის ოპტიმიზაციის გზებს უახლესი ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე;
- ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა, როგორც მეცნიერება მოწოდებულია თეორიულად განაზოგადოს საგანმანათლებლო მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, მოახდინოს სათანადო პროგნოზირება და შემოგვთავაზოს სწავლების ისეთი მეთოდები, რაც სრულად უპასუხებს ყველაზე უახლეს თანამედროვე მოთხოვნებს;
- ეკონომიკის სწავლების თეორიასა და პრაქტიკაში უმნიშვნელოვანესია მეთოდიკის

როლი. მეთოდიკამ ეკონომიკა არამარტო შინაარსობრივად უნდა გაამდიდროს, არ-ამედ დაადგინოს მისი არსის გახსნის საუკეთესო ფორმებიც;

- აუცილებელია, ტრადიციული გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, უახ-ლესი დასავლური სასწავლო ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების შესწავლა-დანერგვაზე საყოველთაო გადასვლა.

2006 წლიდან მრავალი სტუდენტის გამოკითხვის შედეგად შეგროვებული, ქვემოთ გადმო-ცემული, სტუდენტთა გაერთიანებული დასკვნებისა და მოსაზრებების გაცნობა, თავის მხრივ, ნათლად გვიდასტურებს ურთიერთგამოკითხვის მეთოდის ეფექტურობას და საჭიროებას:

- ურთიერთგამოკითხვა ძალიან საინტერესო, პრაქტიკული და ეფექტური მეთოდია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ლექტორებისთვის. ეს ლექტორის მხრიდან ფუნ-ქციების დელეგირებაა და სტუდენტების მოტივაციას უწყობს ხელს. ეს არის ლექტო-რის მიერ სასემინარო დროის სწორი მენეჯერული დაგეგმვა;
- ურთიერთგამოკითხვის დროს სტუდენტები არიან უფრო მომზადებულები და მობი-ლიზებულები, რადგან მათ უწევთ თანატოლთან ლექტორის როლის მორგება და შე-საბამისი პასუხისმგებლობის აღება. თუ რომელიმე სტუდენტმა თემა არ იცის, თანა-ტოლი მისთვის ლექტორის როლში გამოდის, რაც ორივესთვის ძალიან სასარგებლოა;
- ეს სტუდენტისთვის სასიამოვნო პროცესი და სტიმულის მიმცემია, რომ არ გააცდი-ნოს სემინარები. ურთიეთრგამოკითხვა სტუდენტებისთვის დიდად საინტერესო და მრავლისმომცემია, ვიდრე დაფასთან ინდივიდუალურად მოყოლა. მეთოდი საშუალე-ბას იძლევა, სტუდენტებმა ერთმანეთი უკეთ გაიცნონ და სწავლების პროცესი უფრო სასიამოვნო ხდება;
- ურთიერთგამოკითხვის მეთოდის გამოყენების შედეგად, სწავლის დონე საგრძნო-ბლად ამაღლდა ჯგუფში. არ იჩაგრებიან ის სტუდენტები, რომელთაც დაფასთან გამოსვლის კომპლექსი აქვთ. მნიშვნელოვანია მეთოდის როლი სტუდენტებს შორის კეთილისმყოფელი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, წარმოშობს აზრთა მრავალ-ფეროვნებას, იძლევა დისკუსიის გამართვის საშუალებას.
- მეთოდი შესანიშნავია და სასურველია ყველა სემინარზე აღნიშნული ხერხით სწავ-ლება. მსგავსი გამოკითხვის მეთოდის დანერგვა მომგებიანი და სასარგებლო იქნება ყველა უნივერსიტეტისთვის. კარგი იქნება, თუ ამ სახის სემინარები ყველა საგანში დაინერგება. ეს სწავლის დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

მთლიანობაში, სასწავლო პროცესში ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება, ზემოთაღწერილ დადებით მომენტებთან ერთად, განაპირობებს ლექტორის პოზიციის ცვლილებას. ცოდნის მატარებელ-გადამცემის ნაცვლად, იგი გვევლინება როგორც სტუდენტთა შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზატორი.

სათანადოდ იცვლება ფსიქოლოგიურ-ესთეტიკურ-ეთიკური კლიმატი აუდიტორიაშიც, რომელიც იქცევა პედაგოგისა და სტუდენტების ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობის ასპარეზად, რაც საგრძნობლად ამაღლებს სწავლება/სწავლის ხარისხს.

სასწავლო პროცესში ორი დაინტერესებული, ურთიერთგანმაპირობებელი მხარე – პედაგოგი და სტუდენტი მონაწილეობს. სწავლების მაღალი შედეგი მაშინ იქნება მიღწეული, როდესაც ორივე მხარეს შორის ჰარმონიული, შემოქმედებითი ურთიერთობა დამყარდება. ამის საშუალებას კი თანამედროვე სასწავლო-შემეცნებითი და ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების (მათ შორის, ურთიერთაგმოკითხვის მეთოდის) გამოყენება იძლევა.

ლიტერატურა:

1. ასათიანი ა. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. თბილისი, „უნივერსალი“, 2015, 305 გვ.
2. შიხაშვილი გ. ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი. 2002, #71. გვ. 2-35.
3. შიხაშვილი გ., შიხაშვილი მ. მენეჯმენტის სწავლების მეთოდიკა აშშ-ის უნივერსიტეტებში საერთაშორისო ჟურნალი „ამერიკის შესწავლის საკითხები“ (კრებული IV). თბილისი,

თსუ, 2006. გვ. 477-482, 541-542.
4. შიხაშვილი გ. ბიზნეს-ტრენინგები პროექტების მეთოდის გამოყენებით. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, #5. გვ. 119-131.
5. შიხაშვილი გ. ეკონომიკური დისციპლინების სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები. თსუ სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, „ბარტონი“, 2009. გვ. 182-189.
6. შიხაშვილი გ. სწავლების პროცესში სტუდენტური გუნდური პროექტების მომზადება-პრეზენტაციის მეთოდური ასპექტები. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, #2. გვ. 169-182.
7. შიხაშვილი გ., გედევანიშვილი მ., კრუსიძე კ. პროექტების მენეჯმენტი (სახელმძღვანელო). თბილისი, „მერიდიანი“, 2012. 290 გვ.
8. პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა (სახელმძღვანელო). შემდგენლები. გ. შიხაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ც. დალაქიშვილი. თბილისი, „მერიდიანი“, 2012. 260 გვ.
9. შიხაშვილი გ., სატრენინგო პროექტი: „პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა”. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2013, #4. 153-170.
10. შიხაშვილი გ. ბიზნეს-ტრენინგების ორგანიზაციულ-მეთოდური ასპექტები. შრომების კრებული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა – „თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები პრობლემები“. თბილისი, 2014. გვ. 251-260.
11. სტუდენტთა მოსაზრებები ურთიერთგამოკითხვის მეთოდის შესახებ (გამოკითხვის მასალები – 2006-2017 წ. წ.). კომპიუტერული ვერსია, PDF ფორმატში. თსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, 2018. 25 გვ.
12. დიდაქტიკური კონცეფცია. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი, 2011. 41 გვ.
13. შონია ნ. აუდიტორიის მართვის ზოგიერთი ასპექტები უმაღლეს სკოლაში. შრომები IV საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციისა „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2013. გვ. 427-430.
14. სწავლების ფორმები და მეთოდები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (სტუ) http://gtu.ge/quality/pdf/sc.pdf 27.02.18. /5 გვ.
15. ნეფარიძე თ. თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება. http://mastsavlebeli.ge/?p=2353 16.02.18. /5 გვ.
16. Liesveld R., Ann Mille J. Robison J.Teach With Your Strengths: How Great Teachers Inspire Their Students. Gallup Press. New York, 2005. 204 p.
17. Gleeson A. Student Perception of the Effectiveness of Collaborative learning Tutorials. Adelaide, Australia. Flinders Business School Research Paper Series: 2007 #05, p. 1-15.
18. Dias M.Teaching Strategies for Active Learning. Centre for University Teaching. U Ottava, March 2011, p. 1-6.
19. Vision on Teaching and Learning. Universiry Policy Papers. University of Amsterdam, 2012. 36 p.
20. Vassiliou A., McAleese M. High Level Group on the Modernisation of Higher Education. Report to the European Commission on New modes of learning and teaching in higher education. Luxembourg: Publications Offce of the European Union, 2014 – 68 pp.
21. Buitendijk S. Innovative Teaching for World Class Learning. Learning and Teaching Strategy. Imperial College London, 2017. 42 p.
22. Collaborative Learning _ With Structure BY: Usable Knowledge. Harvard University. Posted: January 8, 2018. p. 1-6. https://www.gse.harvard.edu/news/uk/18/01/collaborative-learning-structure

Giorgi Shikhashvili
Associate Professor
TSU, Georgia

The Use of Modern Organizational and Methodological Technologies in Students Learning Process

Summary

Research of current theoretical-methodological and practical-applied issues of modern organizational and methodological technologies is very important for the progressive development of higher education in economic profile in Georgia. The method of teaching implies the way the teacher works with the students through which the optimal transfer and application of the discipline is studied. The article discusses the following issues: Didactic Methodology and Methodology of Teaching Economic Disciplines; author's activities in the field of research and use of modern organizational-methodical technologies; students' opinions about the effectiveness and need of inter-survey method. It is necessary to expand the targeted, universal and regular use of the latest scientific achievements and educational practices in the student's teaching process.

Keywords: Pedagogy; didactics; modern teaching methods; methodology of teaching economics; inter-survey; students' opinions on inter-survey method; student in the role of lecturer.

2) თსუ გამომცემლობაში მალე გამოქვეყდება ქარულ ენაზე ნათარგმნი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო „მენეჯმენტი“ (ავტ. ს. რობინსი და მ. კოუტერი), მე-12 გამოცემა. 796 გვ.

- გ. შიხაშვილი – თანამთარგმნელი და მთარგმნელობითი ჯგუფის მთავარი კოორდინატორი

ეფექტური
ენერგიული
ეფექტური
ეფექტური
ეფექტური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ ისტორია და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ცენტრის სლოგანია:

„ფიქრი იდეისთვის, კვლევა პროექტისთვის, მართვა წარმატებისთვის“

„Think for an Idea, Research for a Project, Manage to Succeed“

ცენტრის დირექტორი

მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებული პროფესორი

გიორგი შიხაშვილი

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ ისტორიისა და საქმიანობის მოკლე მიმოხილვა (2000-2018 წ.წ)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ (შემდგომში – „ცენტრი“) შეიქმნა ჩვენი ინიციატივით და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა კურთხევით 2000 წლის 8 თებერვალს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრაზე და წარმოადგენს ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს.

ცენტრის შექმნიდან დღემდე მისი დირექტორია მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებული პროფესორი გიორგი შიხაშვილი.

ცენტრის ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქუჩა, 2, თსუ მაღლივი (X) კორპუსი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ოთახი 1008.

დღეისათვის ცენტრის პერსონალურ შემადგენლობაშია ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 40-ზე მეტი სტუდენტი, რომელთაგან 12 სტუდენტი ცენტრის გამგეობის წევრია.

ცენტრთან არსებულ მრჩეველთა და მზრუნველთა საბჭოებში გაერთიანებული არიან ქართველი და უცხოელი საზოგადო მოღვაწეები, დიპლომატები, მეცნიერები, სპეციალისტები და ბიზნესმენები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ცენტრს.

2016 წლის 1 ივნისიდან ცენტრმა ბინა დაიდო ახალ ოფისში (თსუ მაღლივი კორუსი, ოთ. #1008), სადაც შემომწირველების დახმარებით კარგი პირობებია შექმნილი მუშაობისათვის. ასეთი გარემოება დიდ სტიმულს აძლევს ცენტრის წევრებს ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

ცენტრი „იდეას“ მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

I თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიზნებია:

1. თსუ-სა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო პროფილის სტუდენტთა ცოდნისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დონის ამაღლების ხელშეწყობა;
2. სწავლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, მეცნიერების, სპეციალისტების, ბიზნესმენების, სახელმწიფო, ბიზნეს- და არასამთავრობო ორგანიზაციების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობის ხელშეწყობა ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის აქტუალური საკითხების კვლევისა და სათანადო პროექტების შემუშავება-განხორციელების სფეროში;
3. ხელშეწყობა უნივერსიტეტის, კერძოდ კი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განვითარება-პოპულარიზაციაში და მისი ფინანსური სახსრების ზრდაში ცენტრის საქმიანობის შედეგად მიღებული გრანტებიდან და სხვა შემოსავლებიდან.

II მიზნების განხორციელებისათვის ცენტრი საქმიანობას წარმართავს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. დაინტერესებულ მხარეებთან ერთობლივი ინტერდისციპლინური, მულტიდისციპლინური, სუბდისციპლინური და ინოვაციური კვლევების ჩატარება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ბიზნესისა და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში; სათანადო რეკომენდაციების, პროექტების, პროგრამების შემუშავება და მონაწილეობის მიღება მათ პრაქტიკულ განხორციელებაში;
2. საქართველოში პროექტების მართვის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ხელშეწყობა;
3. სათანადო საინფორმაციო-საკონსულტაციო და სატრენინგო სისტემის შექმნა;
4. საგამომცემლო საქმიანობა: სამეცნიერო, სასწავლო, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა სახის ლიტერატურის გამოცემა;

5. ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით სტუდენტთა, მეცნიერთა და ბიზნესმენთა დაახლოებისა და თანადგომის ხელშეწყობა, გაცვლით სამეცნიერო-სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა;
6. კონფერენციების, სიმპოზიუმების და სემინარების ჩატარება.

ცენტრის გრძელვადიანი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-სატრენინგო სამუშაოები და შესაბამისი პროექტების/ღონისძიებების განხორციელება შემდეგი ძირითადი პროგრამების საფუძველზე:

1. „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
2. „ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
3. „აშშ-ის ეკონომიკა და ბიზნესი“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
4. „ბრიტანეთის ეკონომიკა და ბიზნესი“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული ბრიტანული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
5. „აზერბაიჯანის ეკონომიკა და ბიზნესი“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული აზერბაიჯანის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია ცენტრში შეიქმნას თურქეთის, სომხეთის, ესტონეთის და იტალიის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორები.

2000 **წლიდან დღემდე ცენტრი „იდეას“ ინიციატივით/თანაინიციატივით, ორგანიზებით/ თანაორგანიზებით და მონაწილეობით ჩატარებულია ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები, საზაფხულო სკოლა და აკადემიური სემინარი, რომელთაგან გადმოვცემთ უმთავრესს:**

1) I სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2005“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2005 წლის 19 აპრილი);
2) სამეცნიერო სემინარი: „მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2005 წლის 30 ნოემბერი);
3) სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „აშშ-ის ეკონომიკა და თანამედროვეობა“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2006 წლის 28 დეკემბერი);
4) II სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“ (ბოლნისი, 2008 წლის 13 აპრილი);
5) III სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2008“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2008 წლის 30 მაისი);
6) IV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“ (მესტია, 2008 წლის 25-30 ივლისი);
7) თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბავშვო უნივერსიტეტის გასვლითი ლექცია ბოლნისში (2009 წლის 30 მაისი);
8) I *უნივერსიტეტთაშორისი* სტუდენტური კონფერენცია – „სტუდენტური პროექტები“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2009 წლის 5 ივნისი);
9) ტრენინგი სასულიერო პირებისა და მრევლისათვის: „პროექტების შედგენა და მენეჯმენტი“ (ქალაქი წნორი, 2010 წლის 8-10 იანვარი);
10) V სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2010“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2010 წლის 25 იანვარი);
11) II უნივერსიტეტთაშორისი სტუდენტური კონფერენცია – „სტუდენტური პროექტები“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2010 წლის 1 ივნისი),
12) VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – გორი – 2013“ (გორი, 2013 წლის 30 ივლისი);
13) I *საერთაშორისო* სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“ (2014 წლის 14-17 ივლისი, მესტია);
14) VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბათუმი – 2015“ (ბათუმი, 2015 წლის 5-6 სექტემბერი);
15) II *საერთაშორისო* სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

„საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ (2015 წლის 20-21 სექტემბერი, სიღნაღი);

16) III *საერთაშორისო* სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“ (2016 წლის 17-18 მაისი, თბილისი, თსუ, ISET);

17) IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ქუთაისი – 2016“ (ქუთაისი, 2016 წლის 22-23 ოქტომბერი);

18) I *საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა* „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები – ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“ (საქართველო, ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017);

19) საერთაშორისო აკადემიური სემინარი ბენ-გურიონის უნივერსიტეტის (ისრაელი) ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე. ბეერ შევა, ისრაელი, 2018 წლის 10-15 მარტი.

აღნიშნულ ღონისძიებათა მნიშვნელოვანი ნაწილის შრომების (მოხსენებათა) კრებულები დაბეჭდილია (ISSN და ISBN კოდებით) სტამბური წესით თსუ-ისა და სხვა გამომცემლობების მიერ.

ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან

2000 წლიდან მოყოლებული, ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის პროგრამის ფარგლებში, ცენტრი „იდეა“ თანამშრომლობს თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან.

ცენტრის წევრი სტუდენტები და დირექტორი გ. შიხაშვილი თავისი მოხსენებებით მონაწილეობენ ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში, სადაც ცენტრის დირექტორი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ეკონომიკის სექციის საქმიანობას.

მომავალში განზრახულია კვლევების გაფართოება ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკის და ბიზნესის კვლევის სექტორის, თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის, აშშ-ის უნივერსიტეტებისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით.

ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“ და ისრაელის უნივერსიტეტებთან

2013 წლიდან ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“, ისრაელის უნივერსიტეტებთან (ირუსალიმის, ბენ გურიონის), რომლებიც ყოველმხრივ დახმარებას და თანადგომას უწევენ ცენტრს. სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ზემოაღნიშნული სამი საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და საზაფხულო სკოლა თემაზე: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები“ (2014, 2015, 2016, 2017 წ.წ.) და საერთაშორისო აკადემიური სემინარი ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში (2018).

ცენტრი „იდეას“ დირექტორის გიორგი შიხაშვილის მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში

გასულ პერიოდში ცენტრის დირექტორი **გიორგი შიხაშვილი მონაწილეობდა არაერთ ტრენინგში, სემინარებსა და კონფერენციებში ტრენერის, მსმენელის, ორგანიზატორის, სექციის ხელმძღვანელის, ორგკომიტეტის თავმჯდომარის/წევრის რანგში როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში** (**თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ბაკურიანი, კიევი, მინსკი**).

ცენტრი „იდეას“ მიერ ჩატარებული ტრენინგები

მთავარი პროგრამის ფარგლებში – „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო“, ცენტრი „იდეა“ სისტემატურად ატარებს ტრენინგებს და ლექცია-სემინარებს (დროის მართვა;

პროექტების შედგენა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; კონფერენციების მოწყობა; საზაფხულო სკოლების მოწყობა; სამეცნიერო კვლევის მეთოდიკა; ადგილობრივი მართვა; საკუთარი ბიზნესის დაწყება; ლიდერობა და გუნდის მართვა და სხვ.) როგორც ცენტრის წევრებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, გარე სამიზნე ჯგუფებისათვის ქვეყნის მასშტაბით (თბილისი, წნორი, ბორჯომი, მცხეთა, ყაზბეგი, გორი, მესტია, დმანისი და სხვ.).

ცენტრი „იდეას“ წევრების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში

გასულ პერიოდში ცენტრ „იდეას“ წევრები ცენტრის სახელით და ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ არაერთ კონფერენციაში, ტრენინგებში, გაცვლით და საგრანტო პროგრამებში, პროექტებში და სხვა ღონისძიებებში, **სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.**

სტუდენტური სასწავლო-შემეცნებითი სემესტრული გუნდური პროექტების პრეზენტაცია ცენტრ „იდეას“ ოფისში

2000 წლიდან მოყოლებული, ცენტრში სისტემატურად ეწყობა სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემეცნებითი პროექტების პრეზენტაცია.

ასეთი პროექტების შედგენა-პრეზენტაციას ყოველსემესტრული ხასიათი აქვს და ცენტრის დირექტორის გ. შიხაშვილის სასწავლო გეგმისა და მეთოდიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტების პრეზენტაციის შეფასება ხდება ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის მენეჯერი-სტუდენტებით შედგენილი კომისიის მიერ.

ცენტრი „იდეას“ მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში – შ. ღობბინს, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014.

2014-2016 წლებში ცენტრი „იდეას“ დირექტორი გ. შიხაშვილი და დირექტორის მოადგილე თ. თაქთაქიშვილი უძღვებოდნენ სარედაქციო-საორგანიზაციო და მთარგმნელობით მუშაობას, რომელიც ხორციელდებოდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014) თარგმნისა და თსუ-ში გამოცემისათვის.

* * *

მთლიანობაში, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ 2000 წლიდან დღემდე ნაყოფიერად მუშაობს, რაც სისტემატურად შუქდება სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებში, მათ შორის თსუ-სა და ფაკულტეტის ვებ-გვერდებზე და თსუ-ის გაზეთში.

ცენტრს შემუშავებული აქვს საინტერესო სამომავლო გეგმები, რომელთა განხორციელებისათვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 2014-2018 წლებში

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცენტრის გრძელვადიანი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-სატრენინგო სამუშაოები და შესაბამისი პროექტების/ღონისძიებების განხორციელება შემდეგი ძირითადი პროგრამების საფუძველზე:

1. „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
2. „ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული ისრაელის ეკონომიკის კვლევის სექტორში;
3. „აშშ-ის ეკონომიკა და ბიზნესი“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
4. „ბრიტანეთის ეკონომიკა და ბიზნესი“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული ბრიტანული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
5. „აზერბაიჯანის ეკონომიკა და ბიზნესი“ – ხორციელდება ცენტრთან არსებული აზერბაიჯანის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია ცენტრში გაიხნას თურქეთის, სომხეთის, ესტონეთის და იტალიის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორები.

ქვემოთ გადმოცემულია მოკლე ინფორმაცია 2014-2018 წ.წ. ჩატარებული კონფერენციების, საზაფხულო სკოლისა და აკადემიური სემინარის შესახებ

2014 წელი

პროგრამული პროექტი –
I **საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“**
(2014 წლის 14-17 ივლისი, მესტია)

თსუ-სთან და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად კონფერენციის მხარდამჭერები იყვნენ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, ისრაელის საელჩო საქართველოში, კერძო პირები. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, სპეციალისტები, ბიზნესმენები (20-ზე მეტი ადამიანი) და სტუდენტები (40-ზე მეტი ადამიანი) საქართველოდან, ისრაელიდან და უკრაინიდან. თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა კონფერენციის შრომათა კრებული.

2015 წელი

პროგრამული პროექტი -
II **საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“**
(2015 წლის 20-21 სექტემბერი, სიღნაღი)

კონფერენცია მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტსა და საქართველოში ისრაელის საელჩოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

კონფერენციის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

სიღნაღის კონფერენციის ორგანიზატორები არიან: თსუ ადმინისტრაცია; ისრაელის საელჩო საქართველოში; სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური

კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, სპეციალისტები, ბიზნესმენები (15-ზე მეტი ადამიანი) და სტუდენტები (25-ზე მეტი ადამიანი) საქართველოდან, ისრაელიდან, აშშ-დან და უკრაინიდან.

მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

21 სექტემბერს ჩატარდა კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი (პლენარული სხდომა და სამეცნიერო მოხსენებები), ხოლო 22 სექტემბერს – კონფერენციის პრაქტიკული ნაწილი – მონაწილეობა რთველში.

თსუ-ის გამომცემლობაში დაიბეჭდა შრომების კრებული, რომელშიც შესულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

2016 წელი

პროგრამული პროექტი -
III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“
(2016 წლის 17-18 მაისი, თბილისი, თსუ, ISET)

კონფერენცია მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოში ისრაელის საელჩოსა და ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველოს“ შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

კონფერენციის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

კონფერენციის ორგანიზატორები არიან: თსუ ადმინისტრაცია; ისრაელის საელჩო საქართველოში; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“; აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, სპეციალისტები, ბიზნესმენები (20-მდე ადამიანი) და სტუდენტები (30-მდე ადამიანი) საქართველოდან, ისრაელიდან, აშშ-დან და უკრაინიდან.

მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს ცენტრ „იდეას“ სტუდენტებმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

17 მაისს ჩატარდა კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი (პლენარული სხდომა და სამეცნიერო მოხსენებები), ხოლო 18 მაისს – კონფერენციის პრაქტიკული ნაწილი – ვიზიტი “შატო-მუხრანში“ და „ნეტაფიმის“ სარწყავი სისტემის ობიექტზე.

თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა (ISSN და ISBN საგამომცემლო კოდებით) შრომების კრებული, რომელშიც შესულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

2017 წელი

პროგრამული პროექტი –
I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“
(ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017)

თსუ-ის სტუდენტური სამეცნიერო პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს 2017 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით დაფინანსდა თსუ ***ეკონომიკისა და ბიზნესის***

ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული სამეცნიერო პროექტი.

პროექტის თანაორგანიზატორები და თანადამფინანსებლები არიან: თსუ, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; თსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ); ბსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი ხედვა“; თბილისის მერია; ისრაელის საელჩო საქრთველოში; ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“.

პროექტი მიეძღვნა საქართველოსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს.

პროექტით განსაზღვრულ პირველ ეტაპზე (მარტი-აგვისტო) განხორციელდა:

- ***უშუალოდ*** სკოლის მომზადება და ჩატარება გონიოში;
- ***დაფუძნდა*** სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული ყოველკვარტალური ჟურნალი ***„სტუდენტური კვლევები და პროექტები“.***

მეორე ეტაპზე (სექტემბერი-დეკემბერი):

- ***გამოსაცემად*** მომზადდა და თსუ გამომცემლობას გადაეცა ჟურნალი – „სტუდენ-ტური კვლევები და პროექტები“, რომლის პირველ ნომერში, 2017 წლის დეკემბრის ბოლოს დაიბეჭდა საზაფხულო სკოლის მოხსენებები.

საზაფხულო სკოლის (***უშუალოდ გონიოს ნაწილი*** _ 2-9 ***აგვისტო***) ***მუშაობა***ში სტუმრის და მომხსენებლის რანგში მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა ადამიანმა, რომელთა შორის არიან ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური; თსუ პროფესორი, თბილისის ყოფილი მერი _ დავით ნარმანია; ბათუმის მერის მოადგილე _ ბაგრატ მანველიძე; აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე _ ავთანდილ მესხიძე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები, მეცნიერები, სპეციალისტები და ბიზნესმენები საქართველოდან და ისრაელიდან.

ისრაელის მხარეს წარმოადგენდა 9 ადამიანი, მათ შორის, ბენ გურიონის უნივერსიტეტის 2 სტუდენტი ავიელ ელიასი და ტომ რაზი.

გონიოში საზაფხულო სკოლის მიმდინარეობისას მოეწყო: მისალმებები; თემატური მოხსენებები და დისკუსიები; ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ პრეზენტაცია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ვიზიტი ზუგდიდის სასათბურე მეურნეობაში; შემოქმედებითი აკვასემინარი; ვიზიტი აჭარის ერთ-ერთ აგროფირმაში; აჭარის ბუნებრივი, ისტორიული და ურბანული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. დაფუძნდა და დეკემბრის ბოლოს თსუ გამომცემლობის სტამბაში დაიბეჭდა ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“. პროექტის მიმდინარეობა გაშუქდა მე-დიაში, ბსუ-ს მიერ გადაღებულ იქნა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტული ფილმი.

2018 წელი

საერთაშორისო აკადემიური სემინარი ბენ-გურიონის უნივერსიტეტის (ისრაელი) ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე

2018 წლის იანვრის ბოლოს ძალაში შევიდა ურთიერთგაგების მემორანდუმი თსუ-სა და ბგუ-ს შორის, რომლის ფარგლებში დაიგეგმა და 10-15 მარტს ბენ-გურიონის უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო აკადემიური სემინარი ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე.

სემინარის ინიციატორი და მთავარი ორგანიზატორი იყო ბგუ-ის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, რომლის სპეციალური მოწვევის საფუძველზე ისრაელში გაემგზავრა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორთა და სტუდენტთა დელეგაცია.

თანაორგანიზატორობის ფუნქცია შეასრულეს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა და სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“.

აკადემიურ სემინარში თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მხრიდან მონაწილეობდა 8 პროფესორი და 7 სტუდენტი ხოლო ისრაელის მხრიდან 20-ზე მეტი პროფესორი და 40-ზე მეტი სტუდენტი.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ მიერ ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენილი წლიური ანგარიშები

(იხ.: ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენილი შესაბამისი წლიური ანგარიშები)

2014 წლის ანგარიში https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/W5YgHwRtLj1L7rZdD/?p=40
2015 წლის ანგარიში https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/GxDaedmuFzW6sM42e/?p=29
2016 წლის ანგარიში https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/cEyD-ALFQUd5pBesb/?p=1
2017 წლის ანგარიში https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/70hCW7Tmi_shk3Ovs/?p=1

ანგარიში სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2013 კალენდარულ წელს ცენტრი „იდეას“ მიერ განხორციელებული ძირითადი ღონისძიებები

შეხვედრა ისრაელის ელჩთან საქართველოში – 10 .12. 13

ცენტრთან მოქმედებს ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის შემსწავლელი სექტორი, რომელიც 2014 *წლიდან იწყებს* გრძელვადიან სამეცნიერო-პრაქტიკულ კვლევით პროექტს თემაზე: „საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები“.

ასეთი პროექტის განხორციელება ხელს შუწყობს სამეცნიერო, კერძოდ, სტუდენტური კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას და საკუთარ წვლილს შეიტანს საქართველო-ისრაელის ეკონომიკური და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებაში.

ამ კვლევითი პროექტის ფარგლებში, ცენტრს განზრახული აქვს ჩაატაროს შესაბამისი საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ პროფესორებს და სტუდენტებს ისრაელის უნივერსიტეტებიდან.

10 დეკემბერს თსუ-ის პირველ კორპუსში მოხდა ცენტრი „იდეას“ შეხვედრა ისრაელის ელჩთან საქართველოში ბატონ იუვალ ფუქსთან, რომელმაც მოგვიწონა ისრაელის ეკონომიკის კვლევის პროექტი, შესაბამისი კონფერენციის ჩატარების იდეა და დიდი მხარდაჭერა აღგვითქვა ამ საქმეში. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ თსუ-ის რექტორი *ლადო პაპავა*, მისი *მრჩეველები ირაკლი მურცხვალაძე* და *ვახტანგ ჭარაია*, რომლებმაც ასევე გამოხატეს ჩვენი მხარდაჭერა.

შეხვედრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსთან -27.11.13.

შედგა ცენტრის შეხვედრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსთან, მანანა ლობჟანიძესთან. განხილულ იქნა ცენტრის საქმიანობის გაღრმავება-გაფართოების, სამომავლო გეგმების და ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურთან მჭიდრო ურთიერთობების საკითხები.

შეხვედრა ცენტრის ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის შემსწავლელ სექტორში -13.11.13

ისრაელის ეკონომიკის კვლევის მიმართულებით საქმიანობის გაღრმავება-გაფართოებისა და სამომავლო გეგმების განხილვისათვის 13 ნოემბერს შედგა ცენტრის წევრთა სხდომა.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ; დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსმა, თსუ-ის მოწვეულმა პროფესორმა, დავით ჩიკვაიძემ; ისრაელის მოქალაქემ, ფაკულტეტის სტუდენტმა, იულია ჯანაშვილმა. ცენტრის დირექტორმა გიორგი შიხაშვილმა წარმოადგინა გეგმა სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროექტისა - „საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები". ბატონებმა თეიმურაზ ბერიძემ და დავით ჩიკვაიძემ ისაუბრეს განხილული მიმართულებით სტუდენტური ცენტრის მუშაობის მნიშვნელობაზე და აღნიშნეს, რომ ასეთი პროექტის გახორციელება ხელს შუწყობს სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას და გარკვეულ წვლილს შეიტანს ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებაში.

ლექცია თსუ-ის ნორჩ ეკონომისტთა სკოლაში – 2.11.13

2 ნოემბერს თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის ნორჩ ეკონომისტთა სკოლის მოსწავლეებისათვის ცენტრმა ჩაატარა ლექცია თემაზე: „დროის მართვა". ლექციას **უძღვებოდნენ ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი და მისი ასისტენტები, ცენტრის წევრი სტუდენტები: ჯული ოქრომჭედლიშვილი, ლევან ტეფნაძე და შორენა გოგიძე.**

ლექცია-სემინარი მცხეთის მართლმადიდებლურ სკოლაში – 29.10.13

ლექცია-სემინარი თემაზე: „დროის მართვა" ცენტრმა ჩაატარა 29 ოქტომბერს წმ. ათორმეტ მოციქულთა სახელობის მცხეთის მართლმადიდებლურ საშუალო სკოლაში. ლექცია-სემინარს უძღვებოდნენ ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი და მისი ასისტენტები, ცენტრის წევრი სტუდენტები: ნესტან აბრამიშვილი, ჯული ოქრომჭედლიშვილი, ნინო ხარისთვალაშვილი, ირაკლი სვანიძე. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი"-ს ჟურნალისტმა ნატო ობოლაძემ, ფოტორეპორტიორმა ანი ბოლქვაძემ და თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ქეთევან გაბოშვილმა. ლექციის შემდეგ, ღონისძიების მონაწილეებმა მოილოცეს სვეტიცხოვლის და სამთავროს ტაძრები და წმ. გაბრიელ ბერის საფლავი. დღის ბოლოს მოეწყო ერთობლივი ტრაპეზი.

ლექცია-სემინარი გორის გიმნაზიაში – 22.10.13

ანალოგიური ლექცია-სემინარი ცენტრმა „იდეამ" ჩაატარა 22 ოქტომბერს, წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიაში. ლექცია-სემინარს გაუძღვნენ ცენტრი „იდეას" დირექტორი გიორგი შიხაშვილი და მისი ასისტენტები, ცენტრის წევრი სტუდენტები: ქეთი კორძაძე, თორნიკე ბერიძე, ლევან ტეფნაძე, შორენა გოგიძე. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: თსუ-ს რექტორის მრჩეველებმა ირაკლი მურცხვალაძემ და ვახტანგ ჭარაიამ, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქტორმა ნინო კაკულიამ და ჟურნალისტმა ნატო ობოლაძემ. ლექციის შემდეგ, გიმნაზიის დირექტორთან, მღვდელ ბორის ნიჩიპეროვიჩთან და მღვდელ ზაზა სოსიაშვილთან ერთად, ღონისძიების მონაწილეებმა მოილოცეს ატენის სიონის ტაძარი. დღის ბოლოს მოეწყო ერთობლივი ტრაპეზი.

ლექცია-სემინარი სტეფანწმინდის (ყაზბეგის) საპატრიარქოს გიმნაზიაში – 16.05.13

16 მაისს სტეფანწმინდის (ყაზბეგის) საპატრიარქოს გიმნაზიის უფროსკლასელებისა და თსუ-ს „ნორჩი ეკონომისტის" სკოლის მოსწავლეებისათვის ცენტრმა ჩაატარა ლექცია–სემინარი თემაზე: „დროის მართვა". ლექცია-სემინარს უძღვებოდნენ გიორგი შიხაშვილი და მისი ასისტენტები, ცენტრის წევრი სტუდენტები: თენგიზ თაქთაქიშვილი, ლევან ტეფნაძე, ვლადიმერ ხიხაძე. ღონისძიებაში მონაწილეობდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველი ოთარ აბესაძე. ლექცია-სემინარის შემდეგ თბილისელი სტუმრები პატრიარქის მშობლიურ სოფელ სნოს ეწვივნენ, სადაც საპატრიარქოს რეზიდენციაში მათ მეუფე

იეგუდიელმა უმასპინძლა.

ცენტრი „იდეა“ მასპინძლობდა კოსტა-რიკელ სტუმარს – 11.05.-18.05 2013.

11 მაისს თსუ მაღლივ კორპუსში ცენტრს ესტუმრა კოსტა-რიკელი პროფესორი ნორმან ვილალობოსი, რომელიც დაინტერესდა ცენტრის საქმიანობით და განხორციელებული პროექტებით. საუბარი შეეხო სამომავლო გეგმებსაც, მათ შორის, კოსტა-რიკელი და ქართველი სტუდენტების დაახლოების პერსპექტივებს. ბატონი ნორმანი, ცენტრის წარმომადგენელ ირაკლი სვანიძესთან ერთად 13 მაისს გაემგზავრა ზემო სვანეთში, სადაც ისინი ხუთი დღის განმავლობაში სტუმრობდნენ მესტიისა და
ზემო სვანეთის მიტროპოლიტ ილარიონის რეზიდენციას.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის მოკლე ანგარიში

საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

2014 წლის 14-17 ივლისს, ცენტრის ინიციატივით და ორგანიზებით მესტიაში ჩატარდა საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“. თსუ-სთან და თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად კონფერენციის მხარდამჭერები იყვნენ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, ისრაელის საელჩო საქართველოში. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, სპეციალისტები, ბიზნესმენები და სტუდენტები ისრაელიდან და უკრაინიდან. თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა კონფერენციის შრომათა კრებული.

ცენტრის თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმთან“

2014 წელს ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობდა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმთან“. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები და დაიგეგმა ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო, სასწავლო-სატრენინგო და მთარგმნელობითი პროექტები 2015 და შემდეგი წლებისთვის.

ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

25 და 26 ოქტომბერს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი საერთო სახელწოდებით „მუნიციპალური მართვის ორგანიზაციული ასპექტები“. ტრენინგის დასასრულს თითოეულ მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

ტრენინგის ჩასატარებლად მესტიას ეწვია სამუშაო-სატრენინგო ჯგუფი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის ხელმძღვანელობით.

ტრენინგს ესწრებოდა და ლოცვა-კურთხევით შეეწეოდა მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტი ილარიონი.

ტრენინგის ინიციატორი და ორგანიზატორი, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, იყო ცენტრი „იდეა“.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ანალიტიკური დოკუმენტისა და გეგმის შემუშავება

დაიწყეს. არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“-ს პროექტის – „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“ ფინალურ ეტაპზე გადავიდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტების გუნდი: მარიამ ჯიბუტი (ცენტრი „იდეა“-ს წევრი), შოთა ჯიბუტი (ცენტრი „იდეა“-ს წევრი), ანა ახვლედიანი და ანა სალიაშვილი. 2015 წლის თებერვალში დაგეგმილია გუნდის წევრების ორ-კვირიანი კვლევითი ტური მესტიის მუნიციპალიტეტში. გუნდის საქმიანობა, მოპოვებული გრანტის საფუძველზე, დაფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ მიერ.

ცენტრი „იდეას“ სატრენინგო პროექტი – „დროის მართვა“

ცენტრ „იდეას“ მთავარი პროგრამა – „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო“, ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას როგორც ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე გარე სამიზნე ჯგუფებისათვის (დროის მართვა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა).

ტრენინგი – „დროის მართვა – საშუალო სკოლის კურსი“ ჩატარდა დეკემბერში 2 სამიზნე ჯგუფისათვის.

5 და 12 დეკემბრის სატრენინგო მეცადინეობა განკუთვნილი იყო ცენტრის 18 ახალი წევრისათვის, რომელთაც გადაეცათ მსმენელის სერტიფიკატი.

ხოლო 5, 12 და 19 დეკემბრის სატრენინგო მეცადინეობა გამიზნული იყო ცენტრის 8 ძველი წევრისათვის, რომლებმაც 2013 წელს ასისტენტის რანგში ჩაატარეს დროის მართვის ლექცია-სემინარები ყაზბეგის, გორის და მცხეთის გიმნაზიებში. ასეთ სტუდენტებს ტრენინგის ბოლოს გადაეცათ ტრენერის სერტიფიკატი.

ტრენინგს ესწრებოდა და მის მონაწილეებს 26 დეკემბერს სერტიფიკატები გადასცა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ.

სტუდენტური სემესტრული გუნდური პროექტების პრეზენტაცია ცენტრის ოფისში

2014 წლის 24 და 26 დეკემბერს, ცენტრის ოფისში (მაღლივი კორუსი, ოთ. # 1211) მოეწყო სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემეცნებითი პროექტების პრეზენ-ტაცია. მსგავს პროექტებს ყოველსემესტრული ხასიათი აქვს და ჩვენი სასწავლო გეგმისა და მეთოდიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტების პრეზენტაციის შეფასება ხდება ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის წევრი მენეჯერებით შედგენილი კომისიის მიერ.

სულ, ოთხი სასწავლო ჯგუფიდან წარმოდგენილი იყო სხვადასხვა აქტუალურ თემაზე შესრულებული 16 პროექტი, რაც დიდ ინტერესს იწვევდა როგორც სხვა გუნდებში, ისე შემფასებლებში. მსგავსი ტიპის პროექტებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის, რომ ადგილი არ ჰქონდა აზრების განმეორებას და ყოველ პროექტს მსმენელამდე მიჰქონდა ახალ-ახალი იდეები, მათი განხორციელების ორიგინალური გააზრება და სათანადო გზების დასახვა.

ყველასთვის სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იყო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის დასწრება პროექტების პრეზენტაციაზე, რომელმაც განაცხადა: „ცენტრი “იდეა” კარგად მუშაობს, ვხედავ სტუდენტების სწრაფვას – გაიაზრონ, იმსჯელონ და დასახონ მოქმედების გზა აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით – ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

მთლიანობაში, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“ 2014 წელს ნაყოფიერად იმუშავა. ახალ, 2015 წელს ცენ-ტრი შეხვდა დიდი ენთუზიაზმით და საინტერესო გეგმებით, რომელთა განხორციელებისათ-ვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ქვემოთ გადმოცემულია ცენტრი „იდეას“ ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 კალენდარულ წელს განხორციელებული პროექტები/ღონისძიებები

1) პროგრამული პროექტი – II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“

(2015 წლის 20-21 სექტემბერი, სიღნაღი)

ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.

კონფერენცია მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოში ისრაელის საელჩოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

კონფერენციის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

სიღნაღის კონფერენციის ორგანიზატორები არიან: თსუ-ის ადმინისტრაცია; ისრაელის საელჩო საქართველოში; სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში წარმოდგენილი არიან: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა – თსუ-ის რექტორი; იუვალ ფუქსი – ისრაელის ელჩი საქართველოში; დავით ჯანიკაშვილი – სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი; თეიმურაზ ბერიძე – თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი; დავით ნარმანია – ქ. თბილისის მერი, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი; გიორგი შიხაშვილი – თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ დირექტორი, ასოც. პროფესორი; აჰარონ გაგულაშვილი – ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველოს“ დირექტორი; ნიკოლოზ ბაკაშვილი – აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანიას“ დირექტორი და სხვ.

კონფერენცია ჩატარდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და თსუ-ს შორის მიმდინარე წლის 22 იანვარს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის, დავით ჯანიკაშვილის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სტუდენტთა ინიციატივისადმი.

სიღნაღის კონფერენცია მოეწყო, აგრეთვე, თსუ-სა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ (დირექტორი – აჰარონ გაგულაშვილი) შორის მიმდინარე წლის 9 ივლისს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.

კონფერენციის მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ასევე, აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანიას“ დირექტორმა ნიკოლოზ ბაკაშვილმა.

კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს ისრაელის, აშშ-ის და უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორებმა და სტუდენტებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და ბიზნესმენებმა.

მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

21 სექტემბერს ჩატარდა კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი (პლენარული სხდომა და

სამეცნიერო მოხსენებები), ხოლო 22 სექტემბერს – კონფერენციის პრაქტიკული ნაწილი – მონაწილეობა რთველში.

თსუ-ის გამომცემლობაში დაიბეჭდა შრომების კრებული, რომელშიც შესულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

2) **ცენტრის თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში**

2013 წლიდან დღემდე ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევს ცენტრს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ელჩის, ბატონ იუვალ ფუქსის სისტემატური და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სტუდენტთა საქმიანობისადმი.

სწორედ ამ თანამშრომლობის ფარლებში 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა ზემოაღნიშნული II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“, ხოლო 2014 წლის 14-17 ივლისს მესტიაში – I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“.

2015 წლის განმავლობაში ისრაელის საელჩოში და ელჩის რეზიდენციაში შედგა რამდენიმე შეხვედრა ბატონ იუვალ ფუქსსა და ცენტრ „იდეას“ წევრებს შორის.

3) VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – 2015“
(2015 წლის 5-6 სექტემბერი, ბათუმი)

2015 წლის 5-6 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – 2015“ მიეძღვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავს.

კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად იყო სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

თსუ-ში დასტამბულ სამეცნიერო კრებულში აისახა გერმანიიდან (იენის უნივერსიტეტი), ლიტვიდან (გამოყენებითი მეცნიერების ალითაუს კოლეგიის უნივერსიტეტი), უკრაინიდან (უჟგოროდის ეროვნული უნივერსიტეტი) და ბელარუსიდან (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი), აგრეთვე ცენტრ „იდეა“-დან წარმოდგენილი სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომები.

4) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

ცენტრი „იდეას“ ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 17 ივლისს ყაზბეგში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის. უნივერსიტეტის სახელით მემორანდუმს ხელი მოაწერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

მემორანდუმის მიხედვით მხარეები მიზნად ისახავენ, ხელი შეუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ადგილობრივი მართვის ორგანოებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას. თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, მმართველობითი, საექსპერტო პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების და სიმპოზიუმების ჩატარებას, კადრების მოსამზადებელი, სატრენინგო პროგრამებისა და ლექცია სემინარების ჩატარებას, როგორც ყაზბეგის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის, ასევე ყველა დაინტერესებული მხარეების/ჯგუფების/ინდივიდების, მათ შორის ბიზნესსუბექტების და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, სტუდენტების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებისათვის

მუშაობას.

ამ მემორანდუმის ფარგლებში მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ერთდღიანი ვიზიტით ეწვინენ ცენტრის წევრები. დაისახა ერთობლივი სამუშაოების ჩატარების გეგმა.

5) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“

მჭიდრო თანამშრომლობა 2014 წლიდან ვითარდება ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“.

ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“-შორის. მემორანდუმს ხელი მოაწერეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ დირექტორმა აჰარონ გაგულაშვილმა. მემორანდუმის მიზანია, მხარეებმა ხელი შუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიზნესორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

მემორანდუმში გათვალისწინებულია:

1. ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური, მმართველობითი და სამეცნიერო-საექსპერტო პროექტების განხორციელება;
2. სასწავლო-სატრენინგო კურსებისა და საჯარო ლექცია-სემინარების ერთობლივი ჩატარება დაინტერესებული მხარეებისთვის;
3. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესურისა და სტუდენტური ცენტრ „იდეას“ წევრების გაგზავნა ისრაელსა და საქართველოში კომპანიის საწარ-მოებში გამოცდილების გასაზიარებლად, სტაჟირებასა და პროფესიულ პრაქტიკაზე;
4. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატ-არება.

მემორანდუმის ფარგლებში, ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.

6) ცენტრი „იდეას“ დირექტორის, ასოც. პროფესორ გიორგი შიხაშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „თეოლოგია და ეკონომიკა (ქრისტიანული პარადიგმა)“

2015 წლის 9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი შიხაშვილმა გამართა საჯარო ლექცია თემაზე: „თეოლოგია და ეკონომიკა (ქრის-ტიანული პარადიგმა)“. ლექცია გაიმართა თსუ რექტორის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის – „პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“ – ფარგლებში.

7) თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის ლექციები ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში

2015 წლის ივნისის ბოლო დეკადაში, ცენტრ „იდეას“ ინიციატივით და ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ მხარდაჭერით, არსებული მემორანდუმის ფარგლებში ისრაელს ვიზიტით ეწვია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, რომელმაც ლექციები წაიკითხა ბენ-გურიონის უნივერსიტეტში.

8) გუნდური სტუდენტური სემესტრული პროექტების პრეზენტაცია ცენტრ „იდეას“ ოფისში

2015 წლის ივნისის დასაწყისში ცენტრის ოფისში (თსუ მაღლივი კორუსი, ოთ. # 1211) მოეწყო სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების პრეზენტაცია. მსგავს პროექტების შედგენა-პრეზენტაციას ყოველსემესტრული ხასიათი აქვს და ცენტრის დირექტორის გ. შიხაშვილის სასწავლო გეგმისა და მეთოდიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტების პრეზენტაციის შეფასება ხდება ცენტრის ხელმძ-ღვანელისა და ცენტრის წევრი მენეჯერებით შედგენილი კომისიის მიერ.

9) ცენტრი „იდეას დირექტორის, ასოც. პროფესორ გიორგი შიხაშვილის
ცენტრი „იდეას" დირექტორი ვიზიტი ლას-ვეგასის უნივერსიტეში (აშშ)

2015 წლის 20 მაისს, თსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას" დირექტორი გ.შიხაშვილი კერძო ვიზიტით ეწვია აშშ-ის ლას-ვეგასის ნევადის უნივერსიტეტის კვლევებისა და ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის ვიცე-პრეზიდენტს ტომას პიეჩოტას. განიხილულ იქნა ურთიერთსაინტერესო საკითხები და დაისახა თანამშრომლობის განვითარების გზები.

10) ტრენინგი თემაზე: პროექტების შედგენა არასამთავრობო სექტორისათვის (2015 წლის 23, 30 მარტი. ცენტრი „იდეას" ოფისი)

ცენტრი „იდეას" მთავარი პროგრამა – „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო", ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას როგორც ცენტრის წევრებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე თსუ-ის გარე სამიზნე ჯგუფებისათვის (დროის მართვა; პროექტების შედგენა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; კონფერენციების მოწყობა; სამეცნიერო კვლევის მეთოდიკა; ადგილობრივი მართვა; საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა).

მიმდინარე წელს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა" აგრძელებდა ტრენინგების ციკლს.

2015 წლის 23, 30 მარტს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „პროექტების შედგენა არასამთავ-რობო სექტორისათვის". სწავლების ინდუქციური მეთოდის საფუძველზე ტრენინგის პირველი ნაწილი (23 მარტი) დაეთმო პრაქტიკულ მეცადინეობას (გუნდური მიკროპროექტების შედგენა-პრეზენტაცია), ხოლო მეორე (30 მარტი) – ჯგუფური დისკუსიების მეშვეობით თეორიული დებულებების გამომუშავებას.

ტრენინგის დასასრულს ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ მონაწილეებს გადასცა სერტიფიკატები. ღონისძიების დაწყებამდე მან ცენტრის ფუნქციურ დატვირთულობაზე ისაუბრა, აღნიშნა, რომ მისი საქმიანობის საზღვრები ფართოვდება და საერთაშორისო დატვირთვას იძენს. ბატონმა თეიმურაზმა ცენტრს მხარდაჭერა გამოუცხადა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

11) ცენტრი „იდეას" თანამშრომლობა სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 22 იანვარს სიღნაღში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის.

მემორანდუმის მიხედვით მხარეები მიზნად ისახავენ, ხელი შეუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ადგილობრივი მართვის ორგანოებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, მმართველობითი, საექსპერტო პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების და სიმპოზიუმების ჩატარებას, კადრების მოსამზადებელი, სატრენინგო პროგრამებისა და ლექცია სემინარების ჩატარებას, როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის, ასევე, ყველა დაინტერესებული მხარეების/ჯგუფების/ინდივიდების, მათ შორის ბიზნესსუბექტების და არასამთავრობო

ორგანიზაციებისთვის, სტუდენტების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებისათვის.

მემორანდუმის ფარგლებში 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა ზემოაღნიშნული II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.

12) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ პროექტის – „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“ ფინალურ ეტაპზე გადავიდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტების გუნდი: მარიამ ჯიბუტი (ცენტრ „იდეა“-ს წევრი) , შოთა ჯიბუტი (ცენტრ „იდეა“-ს წევრი), ანა ახვლედიანი, ანა სალიაშვილი და ნოდარ ვაწაძე.

2015 წლის 21 სექტემბერიდან 4 ოქტომბრამდე გუნდი იმყოფებოდა ტრენინგებზე პოლონეთსა და გერმანიაში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების დეტალურად შესასწავლად.

2015 წლის 23 ოქტომბერს გუნდმა მესტიის მუნიციპალიტეტში გამართა პრეზენტაცია, სადაც გამგეობის წარმომადგენლებს წარუდგინა კვლევითი პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტები.

13) თანამშრომლობა თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრთან

2015 წელს ცენტრი „იდეა“ **პროექტ „ლიდერის“ ფარგლებში მჭიდროდ თანამშრომლობდა – თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრთან** (**დირექტორი – ეკონომიკის დოქტორი ვახტანგ ჭარაია**). **ცენტრ „იდეას“ წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული პროექტ „ლიდერის“ ღონისძიებებში, სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.**

14) ცენტრი „იდეას“ მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში
– S. Robbins, M. Coulter. Management, 2014.

2015 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეას“ წევრები გ. შიხაშვილი და თ. თაქთაქიშვილი უძღვებოდნენ სარედაქციო-საორგანიზაციო მუშაობას, რომელიც ხორციელდება მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management, 2014) თსუ-ში გამოსაცემად.

15) ცენტრი „იდეას“ წევრების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში

2015 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეას“ წევრები ინდივიდუალურად და ცენტრის სახელით მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ არაერთ კონფერენციაში, ტრენინგებში, გაცვლით და საგრანტო პროგრამებში, პროექტებში და სხვა ღონისიებებში, **სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.**

მთლიანობაში, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“ 2015 წელს ნაყოფიერად იმუშავა. ახალ, 2016 წელს ცენტრი ხვდება დიდი ენთუზიაზმით და საინტერესო გეგმებით, რომელთა განხორციელებისათვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

ამ ეტაპზე ტარდება მოსამზადებელი სამუშაოები და იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო, სასწავლო-სატრენინგო და მთარგმნელობითი პროექტები 2016 და შემდეგი წლებისთვის.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ქვემოთ გადმოცემულია ცენტრი „იდეას“ ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2016 კალენდარულ წელს განხორციელებული პროექტები/ღონისძიებები

1) პროგრამული პროექტი – III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონ-ფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“

(2016 წლის 17-18 მაისი, თბილისი, თსუ, ISET)

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

2016 წლის 17-18 მაისს თბილისში, თსუ-ში, ISET-ში ჩატარდა III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“.

კონფერენცია მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოში ისრაელის საელჩოსა და ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველოს“ შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

კონფერენციის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

კონფერენციის ორგანიზატორები არიან: თსუ ადმინისტრაცია; ისრაელის საელჩო საქართველოში; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“; აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“.

კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს საქართველოს, ისრაელის, აშშ-ის და უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორებმა და სტუდენტებმა, სპეციალისტებმა და ბიზნესმენებმა.

მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს ცენტრ „იდეას“ სტუდენტებმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

17 მაისს ჩატარდა კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი (პლენარული სხდომა და სამეც-ნიერო მოხსენებები), ხოლო 18 მაისს – კონფერენციის პრაქტიკული ნაწილი – ვიზიტი „შატო-მუხრანში“ და „ნეტაფიმის“ სარწყავი სისტემის ობიექტზე.

თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა (ISSN და ISBN საგამომცემლო კოდებით) შრომების კრებული, რომელშიც შესულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

2) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში

2013 წლიდან ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან საქა-რთველოში, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევს ცენტრს. განსაკუთრებით აღსანიშ-ნავია ყოფილი ელჩის, ბატონ იუვალ ფუქსის სისტემატური და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სტუდენტთა საქმიანობისადმი.

სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა თბილისში ზემოაღნიშნული კონფერენცია, აგრეთვე 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“; ხოლო 2014 წლის 14-17 ივლისს მესტიაში – I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“.

2016 წლის იანვარ-ივნისის განმავლობაში ისრაელის საელჩოში და ელჩის რეზიდენციაში შედგა რამდენიმე შეხვედრა ელჩ იუვალ ფუქსსა და ცენტრი „იდეას“ წევრებს შორის. ხოლო ივნისში, ელჩობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამშობლოში გამგზავრების წინ ბატონ ელჩს, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და ცენტრი „იდეას“ სახელით გადაეცა

მადლიერების სერტიფიკატი.

2017 წელს და მომავალში დაგეგმილია ფაკულტეტისა და ცენტრის ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელება ისრაელის ახალ ელჩთან, ბატონ შაბთაი ცურთან.

- *2017 წლის აგვისტოში განზრახულია ერთობლივი საზაფხულო სკოლის მოწყობა ბათუმში.*

3) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“

მჭიდრო თანამშრომლობა 2014 წლიდან ვითარდება ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“ (დირექტორი – აჰარონ გაგულაშვილი).

ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ შორის. მემორანდუმის მიზანია, მხარეებმა ხელი შუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიზნესორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

მემორანდუმით გათვალისწინებულია:

1. ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური, მმართველობითი და სამეცნიერო-საექსპერტო პროექტების განხორციელება;
2. სასწავლო-სატრენინგო კურსებისა და საჯარო ლექცია-სემინარების ერთობლივი ჩატარება დაინტერესებული მხარეებისთვის;
3. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარება.

მემორანდუმის ფარგლებში, ფირმა *„ნეტაფიმ-საქართველოს“* მნიშვნელოვანი მხარდაჭერით:

- 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.
- *2016 წლის 17-18 მაისს თბილისში* ჩატარდა *III* საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“.
- *2017 წელს, აგვისტოში განზრახულია ისრაელ-საქართველოს ერთობლივი საზაფხულო სკოლის მოწყობა ბათუმში.*

4) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასა და ისრაელის სახლთან

2014 წლიდან ვითარდება ცენტრ „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასთან/ისრაელის სახლთან (ხელმძღვანელი – ბატონი იციკ მოშე).

2016 წლის აგვისტოში, ისრაელის ბიზნესპალატის მიწვევით, ცენტრის წევრები დაესწრნენ ისრაელის „მაკაბის“ და თბილისის „დინამოს“ ვეტერან კალათბურთელთა საქველმოქმედო მატჩს.

2016 წლის 24-25 დეკემბერს ცენტრის წევრები და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თანმშრომლები მიწვეული არიან ხანუკას დღესასწაულისადმი და ისრაელის საერთაშორისო მხარდაჭერისადმი მიძღვნილ „ჰასბარას“ საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც ჩატარდება თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში და Biltmore Hotel Tbilisi-ში. ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პრემიერ მინისტრი, მთავრობის და პარლამენტის წევრები, ქ. თბილისის მერი, ისრაელის მთავრობის, კნესეტის და საელჩოს წარმომადგენლები.

5) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან

2000 წლიდან მოყოლებული და, კერძოდ, 2016 წელს ცენტრი „იდეა“ თანამშრომლობს თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან.

2016 წლის მაისში ცენტრის წევრმა სტუდენტებმა და დირექტორმა ერთობლივი მოხსენებით მონაწილეობა მიიღეს ამერიკისმცოდნეობის XVII საერთაშორისო კონფერენციის

მუშაობაში. ამ კონფერენციაზე ცენტრის დირექტორი გ. შიხაშვილი ხელმძღვანელობდა ეკონომიკის სექციის მუშაობას.

6) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

2016 წელს დაწყებულია მუშაობა ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის კვლევის მიმართულებით.

პროექტში მონაწილეობას მიიღებს ცენტრის პერსონალი, მათ შორის ფაკულტეტის დოქტორანტი, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელენე განაია.

- 2017 წელს და მომავალში განზრახულია კვლევების გაფართოება მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის კვლევის მიმართულებით.

7) IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“
(2016 წლის 22-23 ოქტომბერი, ქუთაისი)

2016 წლის 22-23 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის უნივერსიტეტში გაიმართა IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“.

კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის უნივერსიტეტთან ერთად იყო სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

თსუ-ში გამოცემულ კონფერენციის შრომათა კრებულში, სხვა მოხსენებებთან ერთად, აისახა აგრეთვე ცენტრ „იდეას“ წევრის, დოქტორანტ თენგიზ თაქთაქიშვილის თანაავტორობით წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომიც.

8) ცენტრი „იდეას“ დირექტორის, ასოც. პროფესორ გიორგი შიხაშვილის მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში

2016 წლის განმავლობაში ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი მონაწილეობდა 12-ზე მეტ ტრენინგში, სემინარებსა და კონფერენციებში ტრენერის, მსმენელის, ორგანიზატორის, სექციის ხელმძღვანელის, ორგკომიტეტის თავმჯდომარის/წევრის რანგში როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში (თბილისი, ქუთაისი, ბაკურიანი, კიევი, მინსკი).

9) ცენტრ „იდეაში“ ჩატარებული ტრენინგები

ცენტრ „იდეას“ მთავარი პროგრამა – „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო“, ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას როგორც ცენტრის წევრებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე თსუ-ს გარე სამიზნე ჯგუფებისათვის (დროის მართვა; პროექტების შედგენა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; კონფერენციების მოწყობა; საზაფხულო სკოლების მოწყობა; სამეცნიერო კვლევის მეთოდიკა; ადგილობრივი მართვა; საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა).

2016 წელს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ აგრძელებდა ტრენინგების ციკლს. კერძოდ:

- 2016 წლის 10-11 მაისს და 5 ნოემბერს, ცენტრის გამგეობის წევრების, მენეჯერებისა და სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის ჩატარდა 2-ნაწილიანი ტრენინგი თემაზე: „ივენთ მენეჯმენტი – კონფერენციების ორგანიზება“ (ტრენერი – ცენტრის დირექტორი, გიორგი შიხაშვილი).ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.
- 2016 წლის 15 დეკემბერს, ცენტრის გამგეობის წევრებისა და მენეჯერებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ლიდერობა და გუნდის მართვა“ (ტრენერი – ცენტრის მენეჯერი ნია თოდუა).

10) ცენტრი „იდეას“ წევრების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში

2016 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეას“ წევრები ცენტრის სახელით და ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ არაერთ კონფერენციაში, ტრენინგებში, გაცვლით და საგრანტო პროგრამებში, პროექტებში და სხვა ღონისძიებებში, სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.

11) სტუდენტური სასწავლო-შემეცნებითი სემესტრული გუნდური პროექტების პრეზენტაცია ცენტრ „იდეას“ ოფისში

2016 წლის ივნისის დასაწყისში ცენტრის ყოფილ ოფისში (თსუ მაღლივი კორუსი, ოთ. # 1211) მოეწყო სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემეცნებითი პროექტების პრეზენტაცია.

ასეთი პროექტების შედგენა-პრეზენტაციას ყოველსემესტრული ხასიათი აქვს და ცენტრის დირექტორის გ. შიხაშვილის სასწავლო გეგმისა და მეთოდიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტების პრეზენტაციის შეფასება ხდება ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის მენეჯერებით შედგენილი კომისიის მიერ. სულ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა აქტუალურ თემაზე შესრულებული 20-მდე გუნდური პროექტი, რაც დიდ ინტერესს იწვევდა როგორც სხვა გუნდებში, ისე შემფასებლებში.

ყველასთვის სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იყო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის დასწრება პროექტების პრეზენტაციაზე, რომელმაც მოიწონა სტუდენტთა ნამუშევრები, ცენტრ „იდეას” მუშაობა ამ სფეროში და წარმატებები უსურვა ყველას.

12) ცენტრი „იდეას“ მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში – S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014.

2016 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეას“ წევრები გ. შიხაშვილი და თ. თაქთაქიშვილი უძღვებოდნენ სარედაქციო-საორგანიზაციო მუშაობას, რომელიც ხორციელდება მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014) თსუ-ში გამოსაცემად.

მთლიანობაში, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“ 2016 წელს ნაყოფიერად იმუშავა. ახალ, 2017 წელს ცენტრი ხვდება დიდი ენთუზიაზმით და საინტერესო გეგმებით, რომელთა განხორციელებისათვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

ამ ეტაპზე ტარდება მოსამზადებელი სამუშაოები და იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო, სასწავლო-სატრენინგო და მთარგმნელობითი პროექტები 2017 და შემდეგი წლებისთვის.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ქვემოთ გადმოცემულია ცენტრი „იდეას“ ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2017 კალენდარულ წელს განხორციელებული პროექტები/ღონისძიებები

1) პროგრამული პროექტი – I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები – ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“
(საქართველო, ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017).

თსუ-ის სტუდენტური სამეცნიერო პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს 2017 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით დაფინანსდა თსუ ***ეკონომიკისა და ბიზნესის***

ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული სამეცნიერო პროექტი.

პროექტის თანაორგანიზატორები და თანადამფინანსებლები არიან:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;
3. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“;
4. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ);
5. ბსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი ხედვა“;
6. თბილისის მერია;
7. ისრაელის საელჩო საქრთველოში;
8. ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“.

საზაფხულო სკოლის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

პროექტი მიეძღვნა საქართველოსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრულია ორი ეტაპი.

- პირველ ეტაპზე (მარტი-აგვისტო) განხორციელდა:
    1. უშუალოდ სკოლის მომზადება და ჩატარება გონიოში;
    2. დაფუძნდა სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული ყოველკვარტალური ჟურნალი „***სტუდენტური კვლევები და პროექტები“.***
- მეორე ეტაპზე (სექტემბერი-დეკემბერი)**:**
    1. გამოსაცემად მომზადდა და თსუ გამომცემლობას გადაეცა სკოლის მიმდინარეობისას დაფუძნებული სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული ყოველკვარტალური ჟურნალი – „სტუდენტური კვლევები და პროექტები“, რომლის პირველ ნომერში, დეკემბრის ბოლოს დაიბეჭდა საზაფხულო სკოლის მოხსენებები (***რითაც დასრულდა პროექტი***)***.***

საზაფხულო სკოლის (***უშუალოდ გონიოს ნაწილი*** – 2-9 ***აგვისტო***) ***მუშაობა***ში სტუმრის და მომხსენებლის რანგში მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა ადამიანმა, რომელთა შორის არიან ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური; თსუ პროფესორი, თბილისის ყოფილი მერი – დავით ნარმანია; ბათუმის მერის მოადგილე – ბაგრატ მანველიძე; აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე – ავთანდილ მესხიძე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები, მეცნიერები, სპეციალისტები და ბიზნესმენები საქართველოდან და ისრაელიდან.

ისრაელის მხარეს წარმოადგენდა 9 ადამიანი, მათ შორის, 2 სტუდენტი ბენ გურიონის უნივერსიტეტიდან ავიელ ელიასი და ტომ რაზი).

გონიოში საზაფხულო სკოლის მიმდინარეობისას მოეწყო: მისალმებები; თემატური მოხსენებები და დისკუსიები; ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს პრეზენტაცია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ვიზიტი ზუგდიდის სასათბურე მეურნეობაში; შემოქმედებითი აკვასემინარი; ვიზიტი აჭარის ერთ-ერთ აგროფირმაში; აჭარის ბუნებრივი, ისტორიული და ურბანული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. დაფუძნდა და დეკემბრის ბოლოს თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“. პროექტის მიმდინარეობა გაშუქდა მედიაში, ბსუ-ს მიერ გადაღებულ იქნა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტული ფილმი.

2) თანამშრომლობა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან

2017 წლის 12-14 თებერვალს მოეწყო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის, ცენტრ „იდეას“ დირექტორის გიორგი შიხაშვილის და ცენტრის მენეჯერთა (მირიან თედიაშვილი, ტონი ძნელაძე) ვიზიტი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

●●●● ვიზიტის უმთავრესი მიზანი იყო თსუ-სა და ბსუ-ს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის გაფართოება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების

სტუდენტთა კვლევითი საქმიანობისა და სათანადო პროექტების განხორციელების სფეროში.

●●●● შეხვედრები და მოლაპარაკებები გაიმართა ბსუ რექტორთან, პროფესორ მერაბ ხალვაშთან, ბსუ რექტორის მოადგილესთან, პროფესორ ნათია წიკლაშვილთან, ბსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ჯემალ ანანიძესთან, ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ვლადიმერ ღლონტთან, ფაკულტეტის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან მურმან ცეცხლაძესა და ბადრი გეჩბაიასთან. მომავალი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების განხილვა-კონსულტაციების შედეგად ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი და 13 თებერვალს დაფუძნდა სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი ხედვა“, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს ცენტრ „იდეასთან“.

ბსუ-მ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ზემოაღნიშნული საზაფხულო სკოლის მომზადებასა და წარმატებით ჩატარებაში.

3) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში

2013 წლიდან ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევს ცენტრს.

სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა სამი საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და ზემოაღნიშნული საზაფხულო სკოლა (2014 წელს მესტიაში, 2015 წელს სიღნაღში, 2016 წელს თბილისში და 2017 წელს გონიოში).

2017 წლის განმავლობაში შედგა შეხვედრები ისრაელის ახალ ელჩთან, ბატონ შაბთაი ცურთან. 2018 წელს და მომავალში დაგეგმილია ფაკულტეტისა და ცენტრის ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელება ისრაელის საელჩოსთან საქართველოში.

4) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“

მჭიდრო თანამშრომლობა 2014 წლიდან ვითარდება ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“ (დირექტორი – აჰარონ გაგულაშვილი). ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს შორის. მემორანდუმის მიზანია, მხარეებმა ხელი შუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიზნესორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

მემორანდუმის ფარგლებში, ფირმა *„ნეტაფიმ-საქართველოს“* მნიშვნელოვანი მხარდაჭერით:

- 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.
- *2016 წლის 17-18 მაისს თბილისში* ჩატარდა *III* საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“.
- *2017 წლის 2-9* აგვისტოს გონიოში ჩატარდა *I საერთაშორისო* სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები – ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“.

5) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასა და ისრაელის სახლთან

2014 წლიდან ვითარდება ცენტრ „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასთან/ისრაელის სახლთან (ხელმძღვანელი – ბატონი იციკ მოშე).

2017 წლის 4 ივნისს ცენტრი „იდეას“ წევრები და ფაკულტეტის პროფესურა დაესწრნენ

ისრაელის საელჩოსა და ისრაელის ბიზნესპალატის მიერ ორგანიზებულ ნინო ყოლანდარიას ფილმის პრემიერას „არ დაგივიწყებ საქართველო“, რომელიც ჩატარდა კინოთეატრ „ამირანში“.

5 სექტემბერს ცენტრი „იდეას“ წევრები და ფაკულტეტის პროფესურა დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში „ებრაული კულტურის ევროპული დღეების“ ფარგლებში გაიმართულ გამოფენას. გამოფენა ორგანიზებული იყო ისრაელის საელჩოსა და ისრაელის ბიზნესპალატის მიერ.

6) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან 2014 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში 2016 წელს დაწყებულია მუშაობა ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის კვლევის მიმართულებით.

პროექტში მონაწილეობას მიიღებს ცენტრის პერსონალი, მათ შორის ფაკულტეტის დოქტორანტი, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელენე განაია.

7) ცენტრი „იდეას“ დირექტორის, გიორგი შიხაშვილის მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში

2017 წლის განმავლობაში ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი მონაწილეობდა 10-ზე მეტ ტრენინგში, საზაფხულო სკოლაში, სემინარებსა და კონფერენციებში ტრენერის, მსმენელის, ორგანიზატორის, სექციის ხელმძღვანელის, ორგკომიტეტის თავმჯდომარის/ წევრის რანგში როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში (თბილისი, ბათუმი, მინსკი, პეტროზავოდსკი).

8) ცენტრ „იდეაში“ ჩატარებული ტრენინგები

ცენტრი „იდეას“ მთავარი პროგრამა – „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო“, შესაბამის კვლევებთან ერთად, ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას როგორც ცენტრის წევრებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე გარე სამიზნე ჯგუფებისათვის (დროის მართვა; პროექტების შედგენა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; კონფერენციების მოწყობა; საზაფხული სკოლების მოწყობა; სამეცნიერო კვლევის მეთოდიკა; ადგილობრივი მართვა; საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა).

2017 **წელს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ აგრძელებდა ტრენინგების ციკლს. კერძოდ:**

1. 2017 წლის 14 იანვარს ცენტრ „იდეას“ მენეჯერებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ტრენინგების ორგანიზაცია“ (ტრენერი _ ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი). განხილულ და შესწავლის იქნა შედეგი ძირითადი საკითხები: 1) ტრენინგების ორგანიზაცია და მეთოდიკა; 2) რჩევები ტრენერებს; 3) ტრენინგის კურსი დამწყებთათვის: „პროექტების მენეჯმენტი’’. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.
2. 2017 წლის მარტში დაიწყო გრძელვადიანი (10 თვიანი) ტრენინგი თემაზე: „საზაფხულო სკოლის ორგანიზება“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ზემოაღნიშნული გონიოს საზაფხულო სკოლის მოსამზადებელი სტუდენტური სამუშაო ჯგუფის წევრებმა. განხილულ და შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები: 1) ტრენინგები; 2) საზაფხულო სკოლა; 3) მოხსენების მომზადება; 4) სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა; 5) მთარგმნელის ფუნქცია.

ტრენინგი დამთავრდა 2017 წლის 14 დეკემბერს. მონაწილეებს გადაეცათ საზაფხულო სკოლის ორგანიზატორის სერტიფიკატები.

9) ცენტრი „იდეას“ წევრი სტუდენტების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში

2017 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეას“ წევრები ცენტრის სახელით და ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ არაერთ კონფერენციაში, ტრენინგებში, გაცვლით და საგრანტო პროგრამებში, პროექტებში და სხვა ღონისძიებებში, **სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.**

10) სტუდენტური სასწავლო-შემეცნებითი სემესტრული გუნდური პროექტების პრეზენტაცია ცენტრ „იდეას“ ოფისში

2017 წლის 13 იანვარს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ ოფისში ჩატარდა სემესტრული სტუდენტური გუნდური პროექტების პრეზენტაცია.●პრეზენტაციაში მონაწილეობდა 5-7 სტუდენტისაგან შემდგარი 20-მდე საპროექტო გუნდი. პრეზენტაციას ხელმძღვანელობდა ცენტრ „იდეას“ დირექტორი, ასოცირებული პროფესორი გიორგი შიხაშვილი.

წარმოდგენილ პროექტებს, გ.შიხაშვილთან ერთად, აფასებდა კომისია, რომლის წევრები იყვნენ წინასწარ დატრენინგებული ცენტრის მენეჯერები – ფაკულტეტის სტუდენტები: სალომე სალია, მარიამ მჭედლიშვილი, გვანცა კურატიშვილი, მთვარისა ქვრივიშვილი, გუგა ჯანვერდაშვილი, ნინო ფირალიშვილი, ტონი ძნელაძე და შოთა გაბადაძე.

2017 წლის 15 ივნისს ჩატარდა ანალოგიური პრეზენტაცია. პრეზენტაციებმა შემოქმედებით და ინტერაქტიურ გარემოში ჩაიარა. წარმოდგენილი პროექტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

11) ცენტრი „იდეას“ მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში –
S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014.

2017 წლის განმავლობაში ცენტრი „იდეას“ წევრები გ. შიხაშვილი და თ. თაქთაქიშვილი უძღვებოდნენ სარედაქციო-საორგანიზაციო მუშაობას, რომელიც ხორციელდება მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014) თსუ-ში გამოსაცემად.

ამ ეტაპზე თსუ გამომცემლობის მიერ წიგნი გადაცემულია სტამბაში დასაბეჭდად, რაც უნდა დასრულდეს 2018 წლის თებერვალ-მარტში.

ამასთან, მთავრდება ხელშეკრულების გაფორმება Pearson-თან წიგნის ელექტრონული ვერსიის გავრცელებისათვის.

მთლიანობაში, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეა“-მ 2017 წელს ნაყოფიერად იმუშავა.

ახალ, 2018 წელს ცენტრი ხვდება დიდი ენთუზიაზმით და საინტერესო გეგმებით, რომელთა განხორციელებისათვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

ცენტრი „იდეას“ მიერ 2018 წელს განხორციელებული საქმიანობა

2018 წლის დასაწყისიდან ცენტრი „იდეას“ მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

1. 4 თებერვალს მოეწყო ცენტრის მენეჯერთა გაცნობითი ვიზიტი კარდენახის მეღვინეობის ფირმა „ნაღდ მარანში“;
2. ცენტრი „იდეას“ დირექტორმა და ოთხმა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღეს 2018 წლის 10-15 მარტს ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში ჩატარებული საერთაშორისო აკადემიური სემინარის მუშაობაში;
3. 8 მაისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ცენტრის დირექტორმა გ. შიხაშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: ,,თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების გამოყენება სტუდენტთა სასწავლო პროცესში‘‘. მომხსენებელს ასისტენტობას უწევდა ცენტრი ,,იდეას‘‘ მენეჯერი შ. გაბადაძე;
4. 15 თებერვალს მოეწყო ცენტრის ხელმძღვანელობის საქმიანი შეხვედრა ისრაელის ელჩთან საქართველოში შაბთაი ცურთან;
5. 17 მაისს, ცენტრი „იდეას“ ოფისში ცენტრის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „პროექტების შედგენისა და მართვის მეთოდოლოგიური ასპექტები“. ტრენერი – ცენტრის დირექტორი – გ. შიხაშვილი;
6. 24 მაისს ცეტრში შეიქმნა აზერბაიჯანის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორი, რომლის ხელმძღვანელი გახდა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ჯეიჰუნ ფაშაევი;
7. 24 და 31 მაისს ცენტრი „იდეას“ ოფისში ცენტრის წევრებისათვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე: „დროის მართვა“ (სასკოლო კურსი). ტრენერი – ცენტრის დირექტორი – გ. შიხაშვილი.
8. მაისის თვეში მიღებულ იქნენ ცენტრის ახალი წევრები – მე-2 კურსის სტუდენტები;
9. 1 ივნისს მოეწყო გასვლითი ლექცია-სემინარი (ტრენინგი) დმანისის საჯარო სკოლაში თემაზე; „დროის მართვა“ (ტრენერები – ცენტრი „იდეას“ წევრი სტუდენტები);
10. ივნისში თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა ცენტრი „იდეას“ ჟურნალი “სტუდენტური კვლევები და პროექტები“ , #1-2, 2018.

2018 წლის 4-8 სექტემბერს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი ხედვა“, ცენტრ „იდეასთან“ ერთად აწყობს

სტუდენტურ საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ საზაფხულო სკოლა-ტრენინგს – „პროექტების დაგეგმვა და მართვა“, რომლის ორგანიზებასა და მუშაობაში ცენტრი „იდეას“ ხელმძღვანელობა და სტუდენტები მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას.

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიერ 2013-2018 წლებში განხორციელებული უმთავრესი ღონისძიებების ფოტო-გალერეა

2013 წელი, ყაზბეგი, ლექცია-სემინარი ყაზბეგის სასულიერო გიმნაზიაში

2014 წელი, მესტია, I საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია

2015 **წელი, სიღნაღი,** II **საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია**

SURPRISE
I'M
NOT
DRUNK


NETAFIM
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
საქართველო-ისრაელის ურთიერთობები
GEORGIA-ISRAEL RELATIONS
II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
აგრობიზნესის ორგანიზებასა და მართვა
სიღნაღი, 2015 წლის 20-21 სექტემბერი
II INTERNATIONAL STUDENT SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
ORGANIZING AND MANAGING AGRIBUSINESS
Signagi, September 20-21, 2015
მოამბის ტომები - PROCEEDINGS
მოამბის ტომები
PROCEEDINGS
თბილისი 2015
Tbilisi 2015

2016 წელი, თსუ, ISET, III საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია



2017 წელი, გონიო, ბათუმი, ბსუ, I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სკოლა

სტუდენტური ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

2018 წელი, ნეგევის ბენ გურიონის უნივერსიტეტი, ისრაელი, საერთაშორისო აკადემიური სემინარი

2018 წელი, ტრენინგები სტუდენტურ ცენტრ „იდეაში“და დმანისის პირველ საშუალო სკოლაში

სტუდენტური ცენტრი „იდეას“ მიერ 2018 წელს გაცემული სერტიფიკატები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“

ტრენინგი

დროის მართვა – საშუალო სკოლის კურსი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business

Student Research and Project Center “IDEA”

TRAINING

Time Management – High School Course

თსუ, 24, 31 მაისი; დმანისი, 1 ივნისი, 2018 / TSU, 24,31 May; Dmanisi, 1 June, 2018

ტრენერის

სერტიფიკატი

CERTIFICATE

OF TRAINER

ჯილდოვდება

Awarded to

გიორგი შიხაშვილი
ცენტრ „იდეა“-ს დირექტორი,
პროფესორი

Giorgi Shikhashvili
Director of the Center “IDEA”,
Professor

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“

ტრენინგი

პროექტების შედგენა და მართვა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business

Student Research and Project Center “IDEA”

TRAINING

Creating and Managing Projects

თსუ, 17 მაისი, 2018 / TSU, 17 May, 2018

სერტიფიკატი
CERTIFICATE

ჯილდოვდება ტრენინგის მონაწილე

Awarded to the Participant of the Training

გიორგი შიხაშვილი
ცენტრ „იდეა“-ს დირექტორი,
პროფესორი

Giorgi Shikhashvili
Director of the Center “IDEA”,
Professor

გიორგი შიხაშვილის და სტუდენტური ცენტრი „იდეას“
უახლოესი გეგმები

1. ინტენსიური მუშაობის გაგრძელება ერთობლივ (გ. შიხაშვილის სამეცნიერო კონცეფცია და ცენტრი „იდეას“ კვლევითი პროგრამა – „ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი“) სამეცნიერო პროგრამაზე.

2. კვლევითი მუშაობის გაგრძელება ცენტრის სხვა პროგრამებზე (საქართველოს ეკონომიკა და ბიზნესი, აშშ ეკონომიკა და ბიზნესი, ბრიტანეთის ეკონომიკა და ბიზნესი, აზერბაიჯანის ეკონომიკა და ბიზნესი).

3. თანაორგანიზატორის რანგში მონაწილეობა ბსუ-ს სტუდენტური ცენტრი „ახალი ხედვის საგრანტო ტრენინგში „პროექტების დაგეგმვა და მართვა“ (ბათუმი, ბსუ, 2018 წლის 4-9 სექტემბერი).

4. ვიზიტი ბაქოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის შექმნის მიზნით.

5. თსუ სტუდენტური პროექტების დამფინანსებელ საბჭოში სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლის პროეტის წარდგენა დაფინანსების თხოვნით (2019 წლის თებერვალი – ზამთრის სკოლა ისრაელის ბენ გურიონის უნივერსიტეტთან ერთად – „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტურიზმისა და ტურისტული რეგიონების მართვა – თანამედროვეობა და პერსპექტივები“).

6. ცენტრის ტრენინგების სერიის გაგრძელება.

სარჩევი

შესავალი 3

გიორგი შიხაშვილი. სამეცნიერო-პედაგოგიურ-პროფესიული ბიოგრაფია 6

გიორგი შიხაშვილის მთავარი პუბლიკაციების ჩამონათვალი (1979 – 2018 წ.წ.) 9

გიორგი შიხაშვილის მთავარი სიგელები და სერტიფიკატები 25

უმთავრესი ცალკეული პუბლიკაციების ტექსტები წლების მიხედვით 28

1979 წელი (სტუდენტობის პერიოდი) 28

ჩვენს წვლილს შევიტანთ (ბუნების დაცვის პრობლემური სტუდენტური სექტორის შექმნა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე) 28

1980 წელი (სტუდენტობის პერიოდი) 29

ბუნების დაცვას – კვალიფიციური სპეციალისტები 29

1981 წელი (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტობის პერიოდი) 31

ბუნება და ახალგაზრდობა 31

1984 წელი (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტობის პერიოდი 32

ეკონომიკური მეცნიერება და ბუნების დაცვა 32

1985 წელი 33

დისერტაციის ავტორეფერატი 33

1988 წელი 35

გარდაქმნა და ახალი ეკოლოგიური აზროვნება 35

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა: თეორიისა და პრაქტიკის საკითხები 38

1994 წელი 41

ეკონომიკური თეორიის და პრაქტიკის მართმადიდებლური საფუძვლების გააზრებისათვის 41

1996 წელი 45

ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი 45

1997 წელი 59

ეშმაკთან წილნაყარი ვერცხლისმოყვარეობა: კორუფციის რელიგიური გააზრება 59

1998 წელი 60

ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსების მართვა 60

1999 წელი 63

პორნოეროტიკული ბილწი ბიზნესი, ანუ გზა ზნეობრივი დაცემისა 63

2000 წელი 65

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ შექმნა 65

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. 2004 66

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. 2004 66

პროექტების მენეჯმენტი. სახელმძღვანელო, 2012 68

პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა.

სახელმძღვანელო, 2012 68
2016 წელი 70
Место Церкви в структуре общества с точки зрения трехсекторности национального хозяйства 71
თვითმენეჯმენტის თეორიიდან პრაქტიკისაკენ: კარიერის დაგეგმვისა და შექმნის პრინციპები 74
2017 წელი 80
თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეას“ საქმიანობა ისრაელის ეკონომიკის კვლევის სფეროში 80
ХРИСТИАНСКОЕ ОСМЫСЛЕНИЕ ТЕОРИИ УПРАВЛЕНИЯ 87
თანამედროვე მენეჯმენტის პერსპექტივები პიტერ დრაკერის მიხედვით 90
თვითმენეჯმენტის აქტუალური პარადიგმები: პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრება 97
2018 წელი 110
თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების გამოყენება სტუდენტთა სწავლების პროცესში: ურთიერთგამოკითხვის მეთოდი 110
ქარულ ენაზე ნათარგმნი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო „მენეჯმენტი“ 119
სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ ისტორია და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 120
ცენტრი „იდეას“ ისტორიისა და საქმიანობის მოკლე მიმოხილვა (2000-2018 წ.წ) 121
ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 2014-2018 წლებში 125
ცენტრი „იდეას“ მიერ ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენილი წლიური ანგარიშები 128
ცენტრი „იდეას“ მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ 128
ცენტრი „იდეას“ მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის მოკლე ანგარიში 130
ცენტრი „იდეას“ მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში 132
ცენტრი „იდეას“ მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში 137
ცენტრი „იდეას“ მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში 140
ცენტრი „იდეას“ მიერ 2018 წელს განხორციელებული საქმიანობა 145
ცენტრი „იდეას“ მიერ 2013-2018 წლებში განხორციელებული უმთავრესი ღონისძიებების ფოტო-გალერეა 146
გიორგი შიხაშვილის და სტუდენტური ცენტრი „იდეას“ უახლოესი გეგმები 156

გამომცემლობა „მერიდიანი“,

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47

☎ 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com